ზურაბ კიკნაძე

ხასიდური სიბრძნე

გამომცემლობა **ინტელექტი**
თბილისი

რედაქტორი
ზაზა ფირალიშვილი

დამკაბადონებელი
ვიოლა ტულუში

გარეკანის დიზაინერი
თეონა ჭანიშვილი

გარეკანზე გამოყენებულია *მარკ შაგალის* ნახატი

ISBN 978-9941-470-04-2

© ზურაბ კიკნაძე, 2016
© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2016

ქალაქ ონის ებრაელობას

სარჩევი

რედაქტორისგან 7

წინათქმა 9

ხასიდური რწმენა და ყოფა 15

თქვა რაბიმ... 43

შექმნა არარადან 237

ცნობები ავტორებზე 273

საძიებელი 284

გამოყენებული ლიტერატურა 288

რედაქტორისგან

ყოველი დიდი რელიგიური ტრადიცია გარდუვალად დგას ერთი საფრთხის წინაშე. ცოცხალი სიტყვა, მოძღვრების ცოცხალი ძალმოსილება, მისი უშუალო სიცხადე შეიძლება ჩაანაცვლოს კარგად ანკეტირებულმა და კატალოგიზებულმა ცოდნის უსიცოცხლო სისტემამ, რიტუალმა, რომელსაც აღარ ახლავს ის ცოცხალი სულისკვეთება, რომელმაც მას ოდესღაც და სადღაც სათავე დაუდო. თითქოს იმავე მოძღვრებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ის ერთგვარ ავტომატურ „თვითმწარმოებლობას“ არის მინდობილი. ამიტომაც უთუოდ გამოჩნდება მავანი, ვინც შეეცდება კვლავ სიცოცხლე შესძინოს თავდაპირველ სულისკვეთებას და მის უშუალო პირველძირებს მიუბრუნდეს. ამ დროს რელიგიური ტრადიცია გარდუვალად დგება თვითგანახლების ამოცანის წინაშე, რადგან მას აღარ ძალუძს იარსებოს თავისი ამ მთავარი ოპონენტის არსებობის გათვალისწინების გარეშე.

ასეთი იყო იუდეველობისათვის ხასიდიზმი, რომელსაც ეს წიგნი ეძღვნება, ასეთივე როლს თამაშობდა ქრისტიანულ მოძღვრებათა თუ მიმდინარეობათა მთელი წყება ტრადიციული ქრისტიანული ეკლესიებისათვის.

თუმცა კი, ესეც უნდა ითქვას, რომ განახლების ეს სულისკვეთება ხშირად სრულიად პარადოქსულ და ზერელე სახეს იღებს, რაც რელიგიურ ტრადიციას თავისი იდენტობის მკაცრი შენარჩუნებისაკენ უბიძგებს. ასეთ ფენომენს ხშირად ვხვდებით ჩვენს დროში, როდესაც, როგორც ამას ამერიკელი პრო-

ტესტანტი თეოლოგი ლანგდონ გილკეი ამბობს, ცდილობენ, ბიბლიური ნარატივი ლიბერალურ ნარატივს დაუქვემდებარონ და ისეთი ცვლილებებისაკენ მოუწოდებენ, ძირეულადვე რომ ეწინააღმდეგება რელიგიურ ტრადიციას.

ცხადია, ვერც ხასიდიზმი ჩამოყალიბდებოდა ქრისტიანობის მხედველობაში მიღების გარეშე. გავიხსენოთ თუნდაც ხასიდური მოძღვრების ის მომენტი, რომლის თანახმადაც უფალი იქაა, სადაც ორი მორწმუნის დიალოგია, მათი ეკსისტენციალური შეხვედრაა. მარტინ ჰაიდეგერის მოწაფემ და „ხასიდმა ფილოსოფოსმა“ მარტინ ბუბერმა ამ აზრობრივ იმპულსზე დაყრდნობით დაწერა წიგნი „მე და შენ“, რომელმაც მას საყოველთაო აღიარება მოუტანა.

მიუხედავად იმისა, რომ ხასიდები ხშირად აპელირებენ იუდეველური მისტიკისა და თეოლოგიის ურთულეს კონცეფტებზე, მათ მაინც შეინარჩუნეს ერთგულება იმ სისადავისა, ნებისმიერი რელიგიურობის თავწყაროს რომ წარმოადგენს და რომლის გარეშეც რელიგიურობა მხოლოდ აბსტრაქტული თეოლოგიური მოძღვრების ფარგლებში ყოფნას ნიშნავს და არა უფლისაკენ მიმავალი გზების ძიებას. ამდენად, მათ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა იუდეველობის გამარტივებასთან, რაც ნებისმიერ რელიგიურობისათვის საფრთხეს წარმოადგენს, არამედ ურთულესი კონცეფტების უშუალო ადამიანური განცდების ენაზე ამეტყველების მცდელობასთან.

წინამდებარე წიგნი ხასიდური სწავლებების ქართულ ენაზე გადმოცემის ძალზე მნიშვნელოვან და წარმატებულ მცდელობას წარმოადგენს. ბატონმა ზურაბ კიკნაძემ დიდი ძალისხმევა მიუძღვნა იმას, რომ იგი მთელი თავისი სისადავით, უშუალობითა და ფილოსოფიური სიღრმით ქართულად აემეტყველებინა.

ამ ძალისხმევის შედეგად ჩვენ წინაშეა წიგნი, რომელიც ჩვენი, ადამიანური სამყაროს ერთ ძალზე მნიშვნელოვან განზომილებას გვამცნობს.

ზაზა ფირალიშვილი

წინათქმა

მარტინ ბუბერმა თავისი პირველი წიგნი Die Geschichten des Rabbi Nachman (რაბი ნახმანის ზღაპრები, 1906), რომლითაც მან გააცნო ევროპას, ყოველ შემთხვევაში, გერმანულ ინტელექტუალურ სამყაროს მისთვის არცთუ მისაწვდომ იდიშზე და ებრაულ ენაზე არსებული ხასიდების სიბრძნე, თავის პაპას, სოლომონ ბუბერს, როგორც წარწერაში უწოდებს, „ძველი ჰასკალის უკანასკნელ მოძღვარს“ მიუძღვნა. *ჰასკალა* ებრაული სიტყვაა და „განათლებას“ ნიშნავს. XVIII ს-ში გერმანიაში ევროპის კვალზე წარმოშობილი *ჰასკალას* სახელით ცნობილი განმანათლებლური, კულტურული და ლიტერატურული მიმდინარეობა მიზნად ისახავდა ტრადიციული ებრაული კულტურის და ყოფის მოდერნიზაციას, მის ინტეგრირებას ევროპულ ჰუმანისტურ კულტურასთან. ებრაული განმანათლებლობა ნიშნავდა, საბოლოო აზრით, ებრაელობის (იუდაელობის) განსაკუთრებულობაზე უარისთქმას და ევროპის ნაციათა შორის თავისი თავის დამკვიდრებას.

არც ერთი მიმდინარეობა იუდაიზმში ისე შორს არ იყო განმანათლებლობისგან, როგორც ხასიდობა, ხასიდიზმი (*ხასიდუთ*). არც ერთი რელიგიური თუ სეკულარული დოქტრინა ისე რადიკალურად არ დაპირისპირებია ერთმანეთს, როგორც ერთ ეპოქაში (XVIII ს.) წარმოშობილი *ჰასკალა* და *ხასიდუთი.* თავისი პაპის, სოლომონ ბუბერის ოჯახში, „ძველი ჰასკალის“ მოძღვრის გარემოცვაში აღზრდილ და შემდგომ გერმანულ უნივერსიტეტებში განსწავლისას გერმანული მისტიკაში (ეკჰარტი,

იაკობ ბოემე) და ფილოსოფიაში (კანტი, ნიცშე, განსაკუთრებით, ვილჰელმ დილთაი) ჩაღრმავებულ მარტინ ბუბერს, რომელიც თუმცა „პოლონელ ებრაელად“ აღიარებდა თავს, ყველაფერი უწყობდა ხელს გერმანულობასთან მის ინტეგრაციას ჰასკალას ახალ და სიღრმისეულ, შესაძლოა, უკანასკნელ ეტაპზე. მაგრამ თავისი პირველი წიგნით, სადაც გადმოცემულია ხასიდების მოძღვრის (*ცადიკის*) ბრაცლაველი რაბი ნახმანის მისტიკური დოქტრინა, მისი ავტორი თითქოს საბოლოოდ გაემიჯნა გერმანულ სულიერ კულტურას და, იმავდროულად, ტრადიციულ იუდაიზმს. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ხასიდუთმა იგი კი არ დააშორა გერმანულ სულიერებას, არამედ სწორედ მისი წყალობით დაუბრუნდა მას აწ უკვე არა მისტიკის, არამედ რელიგიური ეკსისტენციალიზმის ნიადაგზე. რა თქმა უნდა, ვილჰელმ დილთეის მოწაფეობამ თავისი როლი შეასრულა მისი ფუნდამენტური ნაშრომის Ich und Du („მე და შენ“, 1923) შექმნაში, რომლის წყარო თუმც თავისებურად გაგებული, მაგრამ არსებითად მაინც ხასიდუთია. მისთვის ეს ფენომენი არა *ახსნის* (Erklären), არამედ დილთეის ჰერმენევტიკის კვალზე *გაგების* (Verstehen) ობიექტი გახდა. *თავისებურად* ნიშნავს, რომ მან ხასიდუთში ის *გაიგო*, რის მიმართაც მისი ეკსისტენცია მზაობაში იყო. მისივე აღიარებით, თავისი ბავშვობის ყველაზე მგრძნობიარე პერიოდში ხასიდურმა გარემომ მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. პარადოქსული ის იყო, რომ თუ, ერთი მხრივ, ხასიდუთის უნივერსალური ფესვი გერმანულ კულტურაშიც პოვნიერი იყო, ბუბერი მასში იუდაიზმის აღორძინების სახსარს ხედავდა. მაგრამ არც ასე მარტივად იყო საქმე. დამოუკიდებლივ ბუბერის მიმართებისა ხასიდუთის სიბრძნისადმი, მიუხედავად ამ უკანასკნელის უნივერსალობისა, ხასიდების სპეციფიური აზროვნების და ცხოვრების ნირი არათუ ევროპული კულტურისთვის იყო უცხო, არამედ აბსოლუტურად მიუღებელი შეიქნა როგორც ებრაული განმანათლებლობისთვის, ისე ყველა მიმდინარეობის იუდაიზმისთვის.

ნიშანდობლივია ამ მხრივ, რომ ხასიდუთის ღრმადპიროვნულად *გამგები* ბუბერი, როგორც ყოფიერი კაცი, არ შეთვისებია ხასიდების ყოფას და, როგორც განათლებით *გერმანელი*, მის გარეთ იდგა.

წინამდებარე წიგნი, რომელიც ერთგვარად გამოხატავს მისი ავტორის დაინტერესებას ამ მართლაც *თავისებური* (ამ სიტყვის გაუცვეთელი მნიშვნელობით) ფენომენისადმი, სამი ნაწილისგან შედგება. პირველი არის ცდა, ორმაგი აზრით, როგორც essay და როგორც წადილი, ხელმისაწვდომ ლიტერატურაზე და, შეძლებისდაგვარად, საკუთარი დაკვირვების საფუძველზე გაეცეს პასუხი პრობლემას, სათაურით – „ხასიდების რწმენა და ყოფა“ – რომ არის მინიშნებული, როგორ განსაზღვრავს რწმენა ყოფას რწმენისა და ყოფის ფუნდამენტურ ურთიერთობაში.

მეორეა – თარგმანი თავად ხასიდური გამონათქვამების, ნოველების, აფორიზმების, ეპიგრამების, იგავების, ანეკდოტების, ეგზეგეტიკური შენიშვნებისა წმინდა წერილზე, ანუ „სწავლათა“ (როგორადაც მათ სხვანაირად მოვიხსენიებთ), რომლებიც სახელდებით ცნობილ *ცადიკებს* მიეწერებათ. ასობით „სწავლანი“ ბუბერის მიერ გერმანულად ითარგმნა და გასული საუკუნის 20-იან წლებში დაიბეჭდა. მოგვიანებით, 1934 წელს, ინგლისურ ენაზე გამოიცა ვრცელი „ხასიდური ანთოლოგია“, რომელიც ამ მემკვიდრეობის თითქმის სრულ კორპუსს შეიცავს (მითითებულია ბიბლიოგრაფიაში). ქართული თარგმანი ამ ორი პუბლიკაციიდან არის შესრულებული. გამოყენებულია ბუბერის გამოცემის რუსული ვერსიის ორტომეული (2006, 2009), თანდართული შენიშვნებით. შერჩეულია ყველაზე დამახასიათებელი ნიმუშები ხასიდურ „სწავლათა“, რომლებიც სხვადასხვა კუთხით და მეთოდით გადმოსცემენ ხასიდურ მოძღვრებას, თუმცა მას სისტემატური სახე არ მიუღია. რაც შეეხება მეთოდს, ხშირად ისინი პარადოქსული გადმოცემის ფორმით და მანერით, მიუხედავად დოქტრინალური სხვაობისა, თურქუ-

ლი სამყაროს მოლა ნასრედინის, ერთი შეხედვით, სახალისო ანეკდოტებს გვაგონებენ, რომელთა ღრმა სუფიური სარჩული ცნობილია. ქრისტიანული მომენტებიც შენიშნულია მათ შორის, რასაც ლიტერატურაში გავლენით ხსნიან, რაც, ვფიქრობ, არ უნდა იყო მართებული. ამ თანხვედრას გავლენით ვერ ავხსნით, ისინი სპონტანურად უნდა ამოზრდილიყვნენ ებრაული სულიერებიდან. დაკვირვებული თვალი შეამჩნევს, რომ ხასიდიზმი ტიპოლოგიურია იმ პროცესისა, რომელიც ადრეულმა ქრისტიანობამ გაიარა თავისი ქარიზმატული გზნებით დაწყებული და დევნილების გამოცდილებით დამთავრებული. *ცდაში* მითითებულია ეს ცალკეული თანხვედრები, მთლიანობაში მათი განშლით განხილვის საშუალებას სტატიის ფორმატი არ იძლევა.

მარტინ ბუბერის პუბლიკაციაში და ინგლისურენოვან „ხასიდურ ანთოლოგიაში“ განსხვავებულად არის განლაგებული მასალა. ბუბერი ქრონოლოგიურ პრინციპს მისდევს: ხასიდუთის მამამთავარ ბეშტიდან (1690-1760) დაწყებული უკანასკნელ ბრძენ *ცადიკამდე* (1798-1870) მოთხრობები დალაგებულია *ცადიკთა* სკოლებისა და დინასტიების მიხედვით. „ანთოლოგიაში“ კი მასალა თემატურად, 201 თემად (როგორიცაა: საიქიო ცხოვრება, ცოდვა, სიკეთე, ასკეტიზმი, სიკვდილი, დევნილება, შური და სიხარბე, რწმენა, მარხვა, მამაშვილობა, პატიება, ღვთის შიში და სიყვარული, რისხვა, სული და სხეული და ა. შ.) არის დაჯგუფებული, რასაც თავისი საზრისი აქვს: მასალის დალაგების ასეთი პრინციპი წარმოდგენას გვიქმნის ხასიდურ სწავლათა თემატურ მრავალფეროვნებაზე. ჩვენი შედგენილი „რჩეული“ ბუბერის პრინციპს მისდევს, რომელიც მთხრობელ ცადიკთა ტემპერამენტს, რელიგიურ პრიორიტეტებს, თავ-თავის ხასიდებთან თავისებურ დამოკიდებულებას გვიმხელს.

მესამე ნაწილში ყურადღება ექცევა ხასიდური მოძღვრების ერთ ფუნდამენტურ კონცეფტს, რომელიც დასაბამს მოგვიანო კაბალიდან იღებს. თუ სამყაროს *არარადან* შექმნა (creatio ex

nihilo) ბიბლიური უპრეცედენტო გამოცდილების მონაპოვარია, კაბალა ცდილობს განჭვრიტოს თავად ამ *არარას* წარმოშობა ღვთაებრივი უკიდეგანო სისავსის წიაღში, რასაც ასევე პრეცედენტი არ მოეპოვება არსებულ კოსმოგონიურ მოძღვრებებში. კაბალის რთული, ჩახლართული ლაბირინთებიდან მხოლოდ იმიტომ გამოვყავით ე. წ. *ციმცუმის* უკიდურესად კადნიერი იდეა უსასრულო ღვთაების თვითშეკუმშვისა, ან სხვანაირად, თვითგამოდევნისა საკუთარი თავისგან სამყაროს არსებობისთვის „ღვთისგან დაცარიელებული“ სივრცის წარმოსაშობად, რომ იგი, მიუხედავად თავისი უაღრესი განყენებულობისა, ხასიდების ყოფის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მომენტი შეიქნა. ეს მომენტი, თუმცა ფრაგმენტულად და ზოგჯერ შეფარულად, იკითხება ხასიდურ გამონათქვამებში.

ონი-ალმატი (ძველი ვაშლოვანი),
ოქტომბერი, 2016

ხასიდური რწმენა და ყოფა

ხასიდიზმი, ხასიდობა (ებრ. *ხასიდუთ*) იუდაიზმის ერთ-ერთი მოგვიანო, მკვეთრად ორიგინალური განშტოებაა, რომელმაც გაარღვია იუდაისტური სქოლასტიკა, რაციონალიზმი და ამ გარღვევით ღვთის შემეცნება, ღვთიური სიბრძნის ძიება თალმუდიდან ადამიანის გულებისკენ გადაანაცვლა. რელიგია უნდა გათავისუფლებულიყო მწიგნობრობის წნეხისგან, იმედი უნდა მისცემოდა მდაბიო ხალხს, წერა-კითხვის ნაკლებად მცოდნეს, სრულიად უცოდინარსაც, რომ არსებობს გზა ხსნისა თალმუდური სწავლულობის გარეშეც. „რასაც მე მივაღწიე, ლოცვით მივაღწიე, და არა თალმუდის შესწავლით“, ამბობდა ხასიდური მოძრაობის წამომწყები – ბეშტი. მასვე უთქვამს თავგამოდებულ მეთალმუდეზე, იმდენად გართულია წიგნით, ღმერთზე ფიქრის დრო აღარ რჩებაო. ბეშტს ახალი რწმენა და რჯული არ უქადაგნია, მან განახორციელა ის დანაპირები, რომელიც მრავალი საუკუნის წინ იერემია წინასწარმეტყველმა უფლის შთაგონებით აღუთქვა ისრაელიანებს, რომ რჯული მათ გულებზე დაიწერებოდა (იერ. 31:33). და, ამრიგად, როგორც მარტინ ბუბერი ამბობს, ხასიდობის სიახლე და მისი სიდიადე მდგომარეობს არა მოძღვრებაში, არამედ ცხოვრების წესში.

ხასიდობის რელიგიური მოძღვარი ბეშტი, თუმცა საუკუნეების მიღმა არ ცხოვრობდა, მისი პიროვნება ლეგენდებშია გადასული.

XVIII საუკუნის 30-იან წლებში პოდოლიესა და ვოლინში (დღევანდელი უკრაინის ტერიტორია) გამოჩნდა უჩვეულო

ადამიანი, მოხეტიალე მკურნალი, შემლოცველი, მოწრიალე ავსულთა (*დიბუკების*) გამომდევნელი, ანუ პროფესიით „სახელის უფალი“ – *ბაალ შემ*, რომელსაც მადლიერმა ხალხმა „კეთილი ბაალ შემი“ – *ბაალ შემ ტოვ* – შეარქვა, აბრევიატურით: *ბეშტ*. ეს იყო ისრაელ ბენ ელიეზერი (1700-1760), მამით ადრე დაობლებული დედისერთა, თემისა და სინაგოგის ნაშვილები. მისი მოღვაწეობა მკურნალობით არ შემოიფარგლებოდა. მოწაფეთა და მიმდევართა გუნდთან ერთად მიმოდიოდა პოდოლიის დაბა-სოფლებში და განახლებულ რელიგიას ქადაგებდა. ბოლოს, დაბა მეძიბოჟში, სადაც დაიდო ბინა, დაიწყეს მისკენ დენა უკრაინიდან, ბესარაბიიდან, გალიციიდან. აუტანელი სიდუხჭირის და გაუხარელი ყოფის საპირწონედ ამ არემარის ებრაელობას ნუგეშად მოევლინა ეს იმედიანი და ხალისიანი მოძღვრება. ვინ იყვნენ პირველი ხასიდები? ესენი იყვნენ რაბინული და თალმუდისტური წრეებისგან ათვალწუნებული, მათი მედიდურობის ქვეშ გათელილი, დაბა-სოფლებში მიმოფანტული ებრაელობა, მათივე სისხლი და ხორცი, საცოდავი მეიჯარენი, მედუქნეები და მეფუნდუკენი, წვრილი მოვაჭრენი, უპოვარი დღიური მუშები... ბეშტის სიცოცხლის ბოლოს მათმა რიცხვმა ორმოციათასს მიაღწია. მერე და მერე ახალმა მოძღვრებამ მეთალმუდენიც მიიზიდა. თუმცა ბეშტი არ უარყოფდა წიგნურ სიბრძნეს, ებრაული სულიერი კულტურის ათასწლოვან ტრადიციებს და რელიგიურ რიტუალებს, მაგრამ ის ამბობდა, რომ ხასიდის ღვაწლი უფრო აღმატებულია, რადგან ხასიდი თავის თავს ღვთისა და ადამიანების წინაშე უფრო მეტ მოვალეობას უყენებს, ვიდრე თალმუდის მცოდნე და რელიგიური წესების შემსრულებელი. ხასიდმა იმაზე მეტი უნდა აკეთოს, რის გაკეთებასაც რჯული ავალებსო.

ხასიდობამ სულ მოკლე ხანში მოიცვა ბელორუსია, ლიტვა, პოლონეთი, რუმინეთი, უნგრეთი... შეხვდა, როგორც მოსალოდნელი იყო, მძაფრი წინააღმდეგობა ორთოდოქსი რაბინების და ელიტარული საზოგადოების მხრიდან. იყო დასმენები ხელი-

სუფლებასთან შეთქმულების ბრალდებით, ანათემები, დევნა, ხელნაწერების ამოღება და განადგურება, განკვეთანი სინაგოგიდან, რაც ათეული წლები გრძელდებოდა. მაგრამ დევნამ და რეპრესიებმა ხასიდურ მოძრაობას, როგორც თავის დროზე ქრისტიანობას, არათუ რამე დააკლო, არამედ კიდევ უფრო გააძლიერა, გააფართოვა მისი გავლენის არეალი. დროთა ვითარებაში თავდაპირველმა სექტამ, როგორადაც ის ორთოდოქსული იუდაიზმისგან იყო მიჩნეული დევნილების ხანაში, რაბინების წინააღმდეგობა გატეხა, ურთიერთობა თანდათან პოლემიკაში გადაიზარდა და მათ რიგებში ადრინდელი მოწინააღმდეგენიც გამოჩნდნენ.

რამ გაამარჯვებინა ახალ, ქვედა ფენებიდან წარმოშობილ მიმდინარეობას? ისევ და ისევ ხალხში მთვლემარე ხალასი რელიგიურობის გაღვიძებამ, რწმენაში პიროვნული მომენტის წინ წამოწევამ. ხასიდობამ ადამიანის პიროვნებას დასდო ფასი. პიროვნული უნიკალობა და ქარიზმატული გაქანება აღმოუჩინა ბეშტმა პოდოლიის მდაბიო ხალხს. თუ თალმუდი და მთელი იუდაისტური მწიგნობრული სიბრძნე იყო კედელი ტყვეობასა და განფანტულობაში მყოფი ერის გადასარჩენად და მისი იდენტობის შესანარჩუნებლად კედელი, რომ არ გათქვეფილიყო უცხოობაში, როგორც ძველი რჯული აფრთხილებდა, ბეშტმა გაარღვია ეს უკვე ყრუ ადამიანში პიროვნების გადასარჩენად. თუ თალმუდი იცავს იუდაელთა კრებულის თავისთავადობას, განსაკუთრებულობას, ხასიდობას უნდა დაეცვა პიროვნების თავისთავადობა და უნიკალურობა. ხასიდობამ გააცნობიერა ეს თითქოს უბრალო ჭეშმარიტება, რომ ღმერთი ადამიანისაგან არ მოითხოვს იმაზე მეტს, რისი ატანაც მას შეუძლია, როგორადაც გააჩინა იგი. ღმერთი არ მოსთხოვს ადამიანს პასუხს იმაზე, თუ რატომ არ გასწია მან მოსეობა თავისი ცხოვრების მანძილზე. მაგრამ ხასიდმა იცის და სხვასაც უქადაგებს, რომ ადამიანმა უნდა შეიცნოს თავი და ეცადოს სრულყოფილად გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობანი სიცოცხლეში,

რომელიც მიუთვალა მას ღმერთმა, რომ ის ყოველთვის იყოს და დარჩეს იმად, რაც არის, ვინადაც გაჩნდა, და არ ეცადოს სხვადყოფნას. ხასიდმა იცის, რომ ღმერთი მას სწორედ იმისთვის მოსთხოვს პასუხს, რომ არ უპატრონა საკუთარ ერთადერთობას[1] და არ შეინახა ის, რაც მისი განუყოფელი საკუთრებაა, მისი თვითობაა, მისი „ძვალია“ – *ცეცემ* (ბიბლიურ სიღრმისეულ მეტაფორას თუ მოვიხმობთ), ადამიანის სხეულის შეუმუსვრელი ნაწილი.

ხასიდობა, როგორც მოძღვრება, მკვეთრად გამოხატულ პიროვნებას გულისხმობს და მის ინტერესს უტრიალებს გარს. მას ადამიანობის ღირსად არ მიაჩნია ის კაცი, რომელსაც დღის მანძილზე თუნდაც ერთი საკუთარი საათიც არ გააჩნია სათავისოდ. პიროვნება უნდა უღრმავდებოდეს საკუთარ თავს, მაგრამ ეს თვითჩაღრმავება არ არის თვითმიზანი. ხასიდის მიზანი ღმერთთან ერთიანობაა, ამ ერთიანობის მისტიური განცდა, სიცოცხლის სიხარული, მადლიერება გამჩენისადმი მისგან მონიჭებული სიცოცხლისთვის, თანაგრძნობა სხვა სიცოცხლისადმი, სიყვარული ადამიანებისა ღმერთში და ღვთისა – ადამიანებში. ხასიდობა ინდივიდუალურიც არის და საყოველთაოც. ის აღიარებს, როგორც ჭეშმარიტებას, რომ ადამში იმყოფებოდა იმთავითვე როგორც ყოველი ადამიანის სული პიროვნულად, ისე მთელი კაცობრიობა, ადამის მოდგმა, და რომ ამიტომაც განურჩევლად ყველა თანამდებია ადამის ცოდვისა, ყველა ერთმანეთის მიმართ პასუხისმგებელია, და რომ ამ ცოდვაში მაინც არის კაცობრიობა ერთიანი და, თუ ცოდვაში – მაშინ ხსნაშიც ერთიანი იქნება. ხასიდობა შეახსენებს ადამიანს, რომ

---

[1] ფსალმუნში ადამიანის სულს *ერთადერთი (ᲔᲮᲘᲓᲐᲰ)*, „ჩემი ერთადერთი“ – (*ᲔᲮᲘᲓᲐᲗᲘ*) ეწოდება. ძველქართული თარგმანით: „ᲘᲫᲡᲔᲜ ᲛᲐᲮᲫᲚᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲡᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐ ᲫᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲫᲐᲦᲚᲗᲐᲐᲡᲐ – ᲛᲮᲝᲚᲝᲓᲨᲝᲑᲘᲚᲔᲑᲐᲐ ᲩᲔᲛᲘ“, ბერძნ. την μονογηνη μου (ფსალმ. 21:21; იხ. აგრ. 34:17).

მან არ უნდა დაივიწყოს თავისი მეფური წარმომავლობა, რომ ის უფლისწულად არის გაჩენილი. ამ გახსენებით იწყება ადამიანის ხსნა.

ხასიდის რელიგიურ-ზნეობრივ განცდაში, რაკი ღვთაება ყველაფერშია და ყველგან არის, არც ერთი ქმნილება არ შეიძლება ჩაითვალოს აბსოლუტურ ბოროტებად. ბოროტება საგნის თუ არსების წარმავალი მდგომარეობაა, ჩვენი პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მოკლეა, მით ოხერია“ – მას არა აქვს საკუთარი არსებობა. ის უსაფუძვლოა, არ წარმოადგენს სიკეთის კონტრაპუნქტულ მოვლენას. ამიტომაც ადამიანი, რაც უნდა დაცემული იყოს, ის ატარებს ღვთიურ ნაპერწკალს, ის ყოველთვის შეძლებს ღმერთამდე აღსვლას, რადგან არავინ, თვით უდიდესი ცოდვილიც კი, არ არის აბსოლუტურად უღმერთო. ღმერთი თავისი ნაპერწკლის სახით ისევე ჰგიეს ცოდვილში, როგორც მართალში. ეჰ, ნეტავ ისევე მიყვარდეს უდიდესი მართალი, როგორც ღმერთს უდიდესი ბოროტმოქმედი უყვარსო! ასეთია ხასიდის ნატვრა. თუ ღვთიურ სიყვარულში ბოროტმოქმედიც პოულობს თავის ადგილს, ადამიანი უნდა ცდილობდეს, თავის სიყვარულში შეჰყავდეს ცოდვილიც და ისევე ექცეოდეს მას, როგორც მართალს ექცევა. ასეთი მოქცევა და თანაგრძნობა დაცემულისადმი ღმერთამდე ამაღლებს ადამიანს და ცოდვილსაც გზას უხსნის სინანულისკენ. ხასიდისთვის უცხო არ იქნებოდა ქრისტეს სიტყვები, რომ იგი ცოდვილთათვის მოვიდა და არა მართალთათვის (მ. 9:13).

ხასიდი პასუხისმგებელია ღვთის წინაშე არა მხოლოდ საკუთარი პიროვნებისთვის, არამედ ყოველი არსებისთვის, მთელი სულიერ-უსულო სამყაროსთვის. ხასიდის რწმენით, ღვთიური ნაპერწკლები მყოფობს ყველგან და ყველაფერში – არა მხოლოდ ადამიანში, ცხოველებშიც, მატერიალურ საგნებშიც, წმინდაში თუ არაწმინდაში, და განყენებულ აზრებში. ხასიდმა ნივთიერის წიაღ უნდა აღმოაჩინოს მასში დაფარული თუ დატყვევებული ღვთის ნაწილი და მის პირველსაწყისს დაუბრუნოს.

ხასიდი შუამავალია ღმერთსა და ამ სამყაროს შორის, რომელიც მან უნდა ასწიოს ღმერთამდე. ნივთიერ სამყაროში გაფანტული და დატყვევებული „ღვთიური ნაპერწკლები“ ადამიანმა უნდა გაათავისუფლოს და აიყვანოს ქვემო საფეხურებიდან უფრო მაღალ საფეხურებზე, ვიდრე საბოლოოდ არ მიიღწევა სრული შერიგება ქმნილებასა და შემოქმედს შორის. ხასიდი თავისი „მესტეჩკოების“ ვიწრო და წვირიან ქუჩაბანდებში წარმოთქვამს იმავე ესქატოლოგიურ საიდუმლოს, რასაც თავის დროზე პავლე მოციქული მიუწერდა რომაელებს („რამეთუ თვით იგიცა დაბადებული განთავისუფლდეს მონებისაგან ხრწნილებისა აზნაურებასა მას დიდებისა შვილთა ღმრთისათა. უწყით, რამეთუ ყოველი დაბადებული ჩუენ თანა თანა-კვნესის და თანა-ელმის მოაქამდე“, რომ. 8:21-22). ადამიანს ამის აღსრულება შეუძლია მხოლოდ ლოცვის ექსტაზში, აღტაცებაში, მგზნებარებაში (*ჰითლაჰავუთ*). ეს არის მისი საბოლოო ამოცანა ამ წუთისოფელში, რასაც, ჩვენი პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჭკვიანნი ვერ მიხვდებიან“ და, ამიტომაც, ვერ აღასრულებენ. ცადიკი, ხასიდების მოძღვარი, ამბობს:

> „კაცმა კიდეც რომ განასრულოს მთელი სისავსე მოძღვრებისა და მთელი რჯული, მაგრამ არ ჰქონდეს აღტაცება და გზნება, როცა მოკვდება და გაღმით გააბიჯებს, სამოთხე კი იქნება ღია მისთვის, მაგრამ რაკი ამქვეყნად არ განუცდია აღტაცება და გზნება, სამოთხეშიც არ ექნება ამის განცდა“.

კვლავ გვახსენდება პავლე მოციქული:

> „ენათა-ღა თუ კაცთასა და ანგელოზთასა ვიტყოდი, ხოლო სიყუარული არა მაქუნდეს, ვიქმენ მე, ვითარცა რვალი, რომელი ოხრინ, გინა წინწილანი, რომელნი ხმობედ“ (1 კორ. 13:1).

როგორც ბევრი რელიგიური წინამძღვრის ცხოვრება, ისრაელ ბენ ელიაზარის ცხოვრებაც პარადიგმულია. მას ობოლი

არ ეთქმოდა, ჰყავდა მამა, თუმცა ადრეულ ასაკშივე დაკარგა. ჰყავდა დედა და მზრუნველი თემი, რომელმაც მისი აღზრდა იტვირთა, რომ სწავლა-განათლების გარეშე არ დაეტოვებინა ხელმოკლე, თითქმის უპოვარი ოჯახის შვილი. მის მამას სწავლულის სახელი ჰქონდა. სიკვდილის წინ ხელში აუტატებია ჩვილი ისრაელი და ანდერძად უთქვამს: „მე ვერ ვეღირსე შენს აღზრდას, მაგრამ გახსოვდეს, რომ ღმერთი მარად და ყველგან შენთანაა, და ნურაფრის შეგეშინდება“. მამის ეს სიტყვები, ჩანს, გულის სიღრმემდე ჩაწვდა მას. ბავშვობასა და სიყრმეში მისი თანამდევი იყო ობლობის განცდა და ღრმა რწმენა იმისა, რომ ობოლთა მამა ღმერთია, მით უმეტეს, სულით ობოლთა, რომლებიც, მიუხედავად საზოგადოების მხრიდან მზრუნველობისა, ადამიანთა საზოგადოებაში თავს მარტოსულად და მიუსაფრად გრძნობენ. ხედერშიც, პირველდაწყებით სასწავლებელში, სადაც თემმა მიაბარა, სწორედ ამ მიზეზით – გარემოცვა კიდევ უფრო ამძაფრებდა ობლობისა და მარტოსულობის გრძნობას – ვერ ჩერდებოდა, გარბოდა, უკან აბრუნებდნენ, კვლავ გარბოდა... სად? ბუნების წიაღში, კარპატების ხევ-ხუვებში, ტყეებში, ველ-მინდვრებში... ჯერ კიდევ ბავშვი იქ იყო გართული ლოცვებსა და ხილვებში, იქ ეძლეოდა მედიტაციას ობლების ზეციურ მამასთან, რომელიც თავის ერთადერთ მფარველად და, მეტიც, შთამაგონებლად იგულვა. მაშინაც კი, როცა უკვე ცოლიანი იყო და საკუთარი ოჯახი ჰქონდა, გული შინ არ უდგებოდა. ერთხანს, სადღაც მთებში ერთი ღრმა გამოქვაბული ჰქონდა ბინად და მახლობელი ტბა ყოველდღიურ რიტუალურ განსაბანელად. ამბობენ, ამ განმარტოებაში ეუფლებოდა კაბალის სიბრძნეს. ლეგენდა გვაუწყებს როგორ მოხვდა ყრმა ბეშტის ხელში კაბალის საიდუმლო ხელნაწერები. ვინმე ადამს, წმინდა კაცს და სასწაულმოქმედს, ხელნაწერები ერთ გამოქვაბულში უპოვნია; ხილვა ჰქონია, რომ ისინი ამა და ამ ქალაქში მცხოვრებ ისრაელ ბენ ელიაზარისთვის გადაეცა. მისმა შვილმა შეასრულა მამის ანდერძი, და-

სახლდა ოკუპში, ისრაელის მშობლიურ ქალაქში, მოძებნა ყრმა ისრაელი და მისი ცხოვრების ნირზე მიხვდა, რომ იგი სწორედ ის კაცი იყო, ვისთვისაც ეს ხელნაწერები იყო განკუთვნილი. უფრო ძველი თქმულებით, კაბალიზმის ფუძემდებლური წიგნი *ზოჰარი* სწორეთ გამოქვაბულში იქნა ნაპოვნი და მერე ესპანელ ებრაელთა შორის გავრცელებული. *ზოჰარს* ესპანეთში თან გაყვა მისი მისტიური ვინაობის საბუთი – გამოქვაბულური წარმოშობის ლეგენდა. ბეშტის ლეგენდას სურს თქვას, რომ მისი კაბალისტური განსწავლულობა იდუმალებრივად კაბალის პირველწყაროდან მომდინარეობს. ასე იყრის თავს ერთმანეთში სამი გამოქვაბული, ბეშტის სიყრმისეული გამოცდილების მნიშვნელოვანი კონცეფტი.

თავის განსწავლულობას კაბალაში ბეშტი მიაწერს წინასწარმეტყველთ – მოსეს და ელიას, რომლებიც მას არცთუ იშვიათად ეცხადებოდნენ და იდუმალებრივ ესაუბრებოდნენ[1], და იცხაკ ლურიას (1534-1572), კაბალიზმის უკანასკნელ დიდ ადეპტს. ბეშტი სიბრძნის მასწავლებლად აღიარებდა ძველი აღთქმის უჩინო, თუმცა არცთუ უმნიშვნელო წინასწარმეტყველს შილოელ (სილოამელ) ახიას, რომლის პირით იქნა თქმული სოლომონის შემდეგ ქვეყნის ორ სამეფოდ გაყოფა (3 მეფ. 11:30-40). ბეშტს გადამწყვეტ მომენტებში ზეგარდამო ესმოდა ხმა, რომელიც ხან მოწევნადს წინასწარმეტყველებდა, ხან გზას ურჩევდა, ხან უკრძალავდა ნაბიჯის გადადგმას.

ბეშტს, ხასიდობის მამამთავარს, ცადიკს, თავისი ოცდახუთწლიანი მოღვაწეობის მანძილზე თითო-ოროლა წერილი თუ დარჩა. მას არასოდეს უცდია თავისი მსოფლმხედველობის წერილობით ჩამოყალიბება. თავის მოძღვრებას ბეშტი ცალკეული გამონათქვამების სახით გადასცემდა ზეპირად თავის მოწაფე-

---

[1] შდრ. ქრისტეს ფერისცვალების სცენა მოსესა და ელიას თანხლებით. ებრაული ტრადიციით, მოსე და ელია, რომელიც ესქატოლოგიური ფიგურაა, უდიდეს წინასწარმეტყველებად მიიჩნეოდნენ.

ებს და მეგობრებს, უბრალო ხალხს, ვისაც კი ხვდებოდა. ერთ ხასიდს, ბეშტის მოწაფეთაგანს, ჰკითხა სხვა ქალაქიდან ჩამოსულმა რაბიმ: თუ დაგიტოვათ თქვენმა მოძღვარმა ნაწერები მემკვიდრეობითო. დადებითი პასუხი რომ მიიღო, კვლავ ჰკითხა: ნაბეჭდია თუ ისევ ხელნაწერად არისო. არც ერთი და არც მეორეო, მიუგო ხასიდმა, მის მოწაფეთა გულებშია ჩაწერილიო. ცოტას წერდნენ ან სრულებით არ უწერიათ მის მომდევნო ცადიკებსაც, რომელთაც გაიზიარეს ბეშტის მოძღვრება და განავითარეს კიდეც. მაგრამ ისინიც ზეპირსწავლებას ანიჭებდნენ უპირატესობას. ხასიდური ანდრეზები ძირითადად ზეპირსიტყვიერებაა, რისი წერილობით ფიქსაცია მის ავტორებს არც კი უცდიათ. უფრო მეტიც: მათთვის დუმილი წარმოთქმულ სიტყვაზე მეტად ფასობდა, დაწერილზე რომ არაფერი ვთქვათ. ნიშანდობლივია ერთ-ერთი ცადიკის ნათქვამი:

> „მალაქია წინასწარმეტყველი ამბობს: როცა უფლის მოშიშნი საუბრობენ ერთმანეთში, ყურს უფალი უგდებსო. მაგრამ როცა ორი ცადიკი ერთმანეთს ხვდება, თავად მათი შეხვედრა უკვე საუბარია, ერთი სიტყვაც რომ არ დაძრანო“.

თუ ერთმანეთის პირისპირ დარჩენილ ცადიკებს ზედმეტად მიაჩნიათ სიტყვის დაძვრა, ისინი ხალისიანად პასუხობენ მოწაფეთა შეკითხვებს და ხშირად თვითონაც ჩამოაგდებდნენ კითხვას, რომ თავადვე ეპასუხათ. პასუხი იყო დაწურული, ლაკონიური, მეტწილად პარადოქსული. ცადიკთა გამონათქვამებს ჰყავდათ ე. წ. „განმმეორებელნი“, რომელნიც იმეორებდნენ თავიანთი მოძღვრის აზრებს მის მიმდევართა წრეში, გაჰქონდათ დაბა-სოფლებში და მისაწვდომად განუმარტავდნენ უბრალო ხალხს. პლატონის კვალზე (იხ. *ფედროსი*, 275d-276-b) ბეშტი უარყოფითად იყო განწყობილი ნაწერი სიტყვისადმი, რომელიც მოკლებულია იმ ძალას და შთაგონებას, მისი ავტორის ცოცხალ წარმოთქმაში რომ აქვს. წარმომთქმელს მოწყვეტილი სიტყვა და მასში გამოხატული აზრი ფერმკრთალდება ნაწერში. ჩანს,

ამის გამოცდილება ჰქონდა ბეშტს. ის არა მხოლოდ თავად არ იწერდა აზრებს, არამედ სხვასაც არ აძლევდა ამის ნებას. თუმცა ისეც ხდებოდა, რომ მისი ნათქვამი ისე გადასხვაფერებულა, რომ თავად მას ვერც კი უცვნია. ბეშტს ისეთ რეალობასთან ჰქონდა საქმე, რომ გამოსახატავად სიტყვები არ ჰყოფნიდა ან არსებული სიტყვა ადეკვატურად ვერ გამოხატავდა სათქმელს. ლაპარაკობდა მინიშნებებით, ბოლომდე არ ავითარებდა აზრს, მხოლოდ არსებითის გადაცემით კმაყოფილდებოდა. მსმენელს ხშირად ისღა რჩებოდა, თავისი შესაძლებლობისდაგვარად „ეთარგმნა“ მისი ნაქადაგარი. ბეშტი ამბობდა, რომ, რასაც ის ხალხს გადასცემდა, მხოლოდ მცირე ნაწილი იყო იმისა, რაც მის გულისგულში იყო დაფარული და მხოლოდ ერთმა ღმერთმა უწყოდა. ის, რასაც მისგან ხალხი ისმენდა, ბეშტის თქმით, მხოლოდ პირთამდე სავსე ჭურჭლიდან მცირე გადმონღვარი იყო. ბეშტის განჭვრეტით, ღმერთი ყველგან არის. არ არსებობს საგანი, რომელიც მოკლებული იყოს მის წილს. ყველაფერში, რაც სამყაროში არსებობს ნივთიერად თუ სულიერად, მყოფობს ღმერთი. მისი ნაპერწკლები გაბნეულია ხეებში, ქვებში, ყოველ საქმეში, წმინდაში თუ უწმინდურში, კეთილში თუ ბოროტში, რასაც სჩადის ადამიანი. ღვთის ნაპერწკალი, თუნდაც მბჟუტავი, ცოდვაშიც არის. ადამიანს ძალუძს, უნდა ეცადოს, გათავისუფლდეს ცოდვის ტყვეობიდან მასთან ერთად ტყვეობაში მყოფი ღვთიური ნაპერწკლითურთ. ადამიანის არა მხოლოდ მორალური და რელიგიური, არამედ კოსმოგონიური ვალია გაფანტული და დატყვევებულ ღვთიურ ნაპერწკალთა მათ პირველსაწყისში, ღმერთში, დაბრუნება. ეს არის ხასიდის მოწოდება და პასუხისმგებლობა სამყაროს წინაშე. ქმნილებათა შორის ადამიანი არის ერთადერთი არსება, რომელიც ამ მოწოდებით არის დატვირთული. მარტინ ბუბერის თქმით, ბუნება საჭიროებს ადამიანს, რათა მან აღასრულოს ის, რაც ანგელოზს არ ძალუძს და არც ამის მოწოდება აქვს.

ორიოდე სიტყვა ვთქვათ ცადიკზე[1], ხასიდობის ცენტრალურ ფიგურაზე. ვინ არის ცადიკი? ამ სიტყვას (*ცადდიკ*), რომელიც ჩვეულებრივ „მართალს“ ნიშნავს, იუდაისტურ ტექსტებში ცნების მნიშვნელობა აქვს. ჯერ კიდევ ბიბლიაში გვხვდება იგი როგორც ტერმინი მაღალი ზნეობის, განსაკუთრებული მადლით შემოსილი, რჩეული პიროვნებების დასახასიათებლად. „მართლის“ არქეტიპი თავად უფალია: „მართალ არს უფალი ყოველთა შინა გზათა მისთა“ (ფსალმ. 144-145:17). მართალი ის არის, ვინც უფლის გზებით დადის. ასეთი იყო ნოე, რომელზეც დაწერილია: „მართალი, სრული კაცი იყო ნოე თავის თაობაში. ღმერთთან დადიოდა ნოე“ (დაბ. 6:9). ასეთი მართალი იყო იობი, თუმცა ის ცადიკად არ იწოდება, მაგრამ მასზე ვკითხულობთ წიგნის დასაწყისშივე: „იყო ის კაცი სრული და წრფელი, და ღვთისმოშიში და ბოროტებას განრიდებული“ (იობ. 1:1). ცადიკის სულიერი პორტრეტი სრული არ იქნება, თუ მას სიბრძნე არ დავუმატეთ. ნოეს სიბრძნეზე არაფერი ვიცით, მაგრამ იობზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ იმ სატანჯველმა, რომელიც მას უფლის მიშვებით და სატანის ხელით მოევლინა, სიბრძნე შემატა. მაგრამ არც ნოე და არც იობი, და არც სხვა ვინმე, ვინც ცადიკად იწოდება ბიბლიაში, არ წარმოადგენს ცადიკს იმ მნიშვნელობით, რომელიც ამ სიტყვამ ხასიდობაში მიიღო. მართალია, ნოე ერთადერთი ცადიკი იყო თავის თაობაში, მაგრამ ის კერძო კაცი იყო და თავისი ცადიკობით ვერ იხსნა თაობა. „ხასიდურ სწავლანში“ ერთგან გაკვრით, არცთუ კიცხვით, ნოეზე ნათქვამია, რომ იგი არ გამოესარჩლა კაცობრიობას და მხოლოდ თავისი თავისთვის და თავისი ოჯახისთვის იზრუნა, აბრაამისა და, განსაკუთრებით მოსეს უპრეცედენტო გამო-

---

[1] *ცედეკ* „სიმართლე“ ისევე, როგორც *ხესედ* „მადლი“, „წყალობა“ ბიბლიაში, განსაკუთრებით, სიბრძნის წიგნებში (ფსალმუნები, იგავნი, წინასწარმეტყველნი...) საკვანძო სიტყვებია. სიმართლეზე დგას სამყარო და ღვთის მადლი და წყალობაა მასზე მოფენილი.

საჩლება კი დარჩება კაცობრიობის ისტორიაში ჰუმანურობის უმწვერვალეს გამოხატულებად. ცადიკის ბიბლიური განმარტება მწირია, თუმცა ის ნარატიულად არის გაშლილი ბიბლიურ წიგნებში, ხოლო რაც შეეხება პოსტბიბლიურ ლიტერატურას, რაბინულ ნაწერებში ყველა შემდგომი ხანის ცადიკთა არქეტიპად „დიდი ცადიკი“ მოსეა დასახელებული. მაგრამ ცადიკის სიღრმისეულ პორტრეტს ისევ და ისევ კაბალა იძლევა, რომლის თანახმად, მოსეს პიროვნება ისრაელიანთა სულების შესაკრებელია, მსგავსად ადამისა, რომელიც მთელს კაცთა მოდგმას შეიცავს თავის თავში. „თაობის ცადიკის“ ფენომენი, როგორც ცადიკიზმის დოქტრინა, კარგად ჩანს ქვემორე მოყვანილ ნაწყვეტში „ზოჰარიდან“:

> „ასწავლიდნენ.
> იმ დროში, როცა ცადიკი მყოფობს სოფელში, სამსჯავრონი თვლემენ და არ ბატონობენ სოფელზე, რადგან ეს მართალი ძე კაცისა არის ნიშანი ამ სოფელში, და წმინდა {უფალი], კურთხეულ არს იგი, ზრუნავს მის დიდებაზე და მისი გულისთვის არსებობს სოფელი.
> გადმოცემულია. თქვა რაბი იოსემ:
> – იმ დროში, როცა მიწის შვილები დამნაშავენი აღმოჩნდნენ წმინდის, კურთხეულ არს იგი, წინაშე, იგი ესაუბრება იმ ცადიკს, რომელიც [იმჟამად] იმყოფება სოფელში. იმისთვის, რათა გაიგონოს [წმინდამ] ლოცვა სოფლის მკვიდრთათვის და შეურიგდეს მათ. რას აკეთებს წმინდა, კურთხეულ არს იგი? ესაუბრება მას მიწის ცოდვილთათვის. ამბობს, რომ ყველას დაღუპავს და მხოლოდ მას ერთს გაუკეთებს სიკეთეს. როგორ იქცევა ის ცადიკი? ივიწყებს თავს და ესარჩლება მთელს სოფელს, რათა წმინდა, კურთხეულ არს იგი, შეარიგოს მათთან. ვისგან ვსწავლობთ ამას? მოსესგან, რომელსაც უთხრა წმინდამ, კურთხეულ არს იგი: შესცოდეს ებრაელებმა, *გაიკეთეს ჩამოსხმული ხბო და თაყვანი სცეს მას*... და კიდევ უთხრა მას: *გავანადგურებ და წავშლი მათ სახელს ცისქვეშეთი-*

დან და შენ გაქცევ მასზე ძლიერ და მრავალრიცხოვან ერად. და იმწამსვე თქვა მოსემ: „თუ ჩემი დიდების გულისთვის გაქრება ისრაელი ამ სოფლიდან, მიჯობს მოვკვდე, ვიდრე თქვან, რომ ჩემი დიდებისთვის მთელი სოფელი მოვიძულე“[1].

ხასიდურ მოძრაობაში ცადიკი ხასიდების ერთგვარი მესიაა, რომელიც მოწოდებულია თავისი მრევლის სახსნელად. ცადიკი არ არსებობენ ხასიდების გარეშე და ხასიდები არ არსებობენ ცადიკების გარეშე, ისინი ერთმანეთით არსებობენ. როგორც ხასიდები ეძებენ ცადიკს, რომლის გარეშე მათ არ შეუძლიათ არსებობა, ასევე ცადიკი ეძებს ხასიდებს[2], რომელთაც გარსშემოიკრებს, ასწავლის, მოძღვრავს, ამავე დროს უსმენს მათ. ცადიკი თავისი კარის (სკოლის) ხასიდთა უდიდესი ავტორიტეტია. უფრო მეტი: ლიზენსკელი რაბი ელიმელეხის თქმით, „უზენაესი ბრძანებს, ხოლო ცადიკი აუქმებს მის ბრძანებას. უზენაესი აუქმებს, ცადიკი ბრძანებს და განახორციელებს“. სხვა რაბი, სახელდობრ, კოცკელი მენახემ-მენდელი კი იტყვის: „თორა გვაფრთხილებს, არ შევქმნათ კერპი ღვთის ბრძანებისგანაც კი“.

ცადიკის ღვაწლის იდეალური შედეგი ხასიდის ცადიკად შექმნაა. ხასიდობის რწმენით, ცადიკი ერთგვარად კრებითი პიროვნებაა, რომელსაც თავის თავში მოიცავს თავის მიმდევარ ხასიდთა სულებს. ხასიდი მირქმულია ცადიკზე და, როცა ლოცვების წყალობით ცადიკი ადის ღმერთამდე, თავისთან ერთად ხასიდიც აჰყავს. ცადიკი, რომელიც სულიერ-ზნეობრივ

---

1 Раби Шимон, Фрагменты из книги Зоґар (105-106), იხ. ბიბლიოგრაფია. „ზოჰარში“ საგანგებო თავი ეძღვნება გამოსარჩლების თემას.

2 ცადიკის გარეშე დარჩენილი ხასიდი მოგვაგონებს დაიმიოდაკარგულ სამურაის, ე. წ. რონინს, რომელმაც არ იცის, ვის ემსახუროს და უერთგულოს. ასევე წარმოუდგენელია ერთგულთა გარეშე მყოფი დაიმიო, თავადი. ისინი ერთმანეთისთვის არსებობენ.

მწვერვალზე იმყოფება, ბუდისტი ბოდისატვების მსგავსად, ნებაყოფლობით ეშვება ქვენა უწმინდურ სფეროებში, რათა ცოდვის წვირეში ჩაფლულებთან ერთად ამოვიდეს იქიდან. და რა სიღრმემდეც ეცემა იგი, იმზომი სიმაღლით მაღლდება. ცადიკი მზად არის შეოლის (ჯოჯოხეთის) უფსკრულებში ჩავიდეს იქ ჩაკარგულ სულთა მოსაძიებლად და სამზეოზე ამოსაყვანად. ცადიკი ეცემა თავისი სიმაღლიდან და ცხოვრობს ცოდვილი ადამიანის ცხოვრებით, რათა აიყვანოს დაცემულნი იმ სიმაღლემდე, საიდანაც თავად დაეცა. დასაშვებია, რომ ცადიკმა ამ მაღალი მიზნით განზრახ ჩაიდინოს ცოდვა, რათა თავისი სული გაათანაბროს დაცემულის სულთან იმავე ცოდვის ჩადენით (ეს ერთგვარი სასარგებლო გამოცდილებაც არის), რათა შემდგომ სინანულის ძალით გამოისყიდოს თავისი და თავისი მოყვასის ცოდვა. ეს არის მისი დიდება. ამ შეგნებული დაცემის შემდეგ იგი უფრო მაღალ საფეხურზე ადის, ვიდრე დაცემამდე იმყოფებოდა. რადგან ის ასრულებს მოწოდებას მსგავსად უსასრულო ღვთაების (*ენსოფის*), რომელმაც ქმნილებათათვის შეზღუდა თავისი უსასრულობა (იხ. თავი II „არარადან შექმნა“). ამრიგად, ცადიკის რწმენით, ვინც დიდებისკენ მიისწრაფის, მან ჯერ თავისი სიმცირე უნდა განიცადოს. მისი დევიზია – შთასვლა (*ჯერიდაჰ*) აღსვლისათვის (*ცალიაჰ*). შემთხვევითი არ არის, რომ ებრაულ დრამატულ პიესას *ჰადიბუკს*, რომელიც, ძირითადად, ხასიდების რელიგიურ ყოფაზეა აგებული, დასაწყის-დასასრულში რეფრენად გასდევს სიმღერა: „რისთვის რისთვის ეშვება სული ზესკნელიდან ქვესკნელისაკენ? ან ქვესკნელიდან ზეცისაკენ რისთვის ილტვის იგი? შთასვლა ამაღლების გზა არის მისთვის, შთასვლა ამაღლების გზა არის მისთვის“.[1]

---

[1] ს. ა. ან-სკი (რაპოპორტის) ეს პიესა „ორ სამყაროს შორის – დიბუკი“ 1922 წელს მოსკოვში „ჰაბიმას“ თეატრში დადგა ევგენი ვახტანგოვმა. პიესის შინაარსი იხ. ს. ა. ან-სკი (რაპოპორტი), „ორ სამყაროს შორის – დიბუკი“, დრამატული ლეგენდა 4 მოქ. იდიშიდან თარგმნა

უფრო მეტიც, ცადიკი თავის ხასიდებს შორის მთელს ისრაელს განასახიერებს იმ ზომამდე, რომ მისი გასაჭირი და განსაცდელი, რასაც ის ითმენს თავის ცხოვრებაში, თითქოს ისრაელის ტანჯვას ამსუბუქებს. ცადიკის ტანჯვა ისრაელის ცოდვათა გამოსყიდვას ემსახურება. მიუხედავად ცადიკის ამგვარი სიმაღლისა, იგი ყველასათვის მისაწვდომია, მისი ეზოს კარი ღიაა მათთვის, ვისაც სურს, დაემოწაფოს მას, გახდეს მისი მიმდევარი, მისი სულის თანაზიარი. შესანიშნავია, რომ ცადიკი, თავისი უკიდეგანო სიმართლით და სიმდაბლით, ადამიანებში არავითარ ბოროტებას არ ხედავს, საკუთარ თავზე კი ისეთი წარმოდგენა აქვს, თითქოს უკანასკნელი ცოდვილი იყოს და ჭეშმარიტ მსახურებას არც კი შედგომოდეს.

ხასიდობა ორი ტიპის ცადიკს იცნობს: ერთია ცადიკი სხვებისთვის, სხვანაირად: გაცხადებული, სახელოვანი ცადიკი, რომელიც სააშკარაოდ მოღვაწეობს, სულიერად მოძღვრავს თავის ხასიდებს; მეორეა „ცადიკი თავისთვის“, სხვანაირად: ფარული ცადიკი, რომლის მთავარი სიქველე სიმდაბლეა. წუთისოფელს განრიდებული, იგი სიკეთეს ფარულად იქმს და სულიერებას იდუმალ აფრქვევს თავის გარშემო. ხასიდური თქმულებით, ოცდათექვსმეტ ფარულ ხასიდზე დგას სამყარო. მათ ისეთ საიდუმლოებებზე მიუწვდებათ ხელი, რომლებსაც „აშკარანი“ მხოლოდ თუ ინატრებენ. თუმცა ფარულებზე კი დგას სამყარო, მაგრამ „აშკარანი“ კეთილი და ერთგული მწყემსები არიან, რომლებიც, შესაძლოა, უფრო საჭირონი იყვნენ წუთისოფელში. ხასიდური ტრადიციით, ხუთი ცადიკი მოძღვრავდა ადამიანებს თავ-თავიანთ თაობებში. ესენი იყვნენ ნოეს კვალზე „თაობათა ცადიკები“.

ებრაულად ხაიმ-ნახმან ბიალიკმა, თარგმანი ებრაულიდან მოსე ი. დანიელის მიერ, 1946 თბილისი – 1990 იერუსალიმი. 1924 წელს ეს სპექტაკლი მოსკოვში ნახა გრიგოლ რობაქიძემ, იხ. მისი რეცენზია: „გაბიმა – ებრაელთა თეატრი მოსკოვში“, დროშა, 1925, №26.

ხასიდურ იგავებში, შეგონებებსა თუ კითხვა-პასუხებში, რომლებიც ცადიკებმა შექმნეს ორიოდე საუკუნის მანძილზე, მკითხველს არ შეიძლება არ ეცნაუროს ის სპონტანური რელიგიურობა, რომელიც უფრო ადამიანის გულსა და სულში იბადება და ნაკლებად საზრდოობს წიგნური კულტურიდან, თუმცა არც წიგნია უარყოფილ-უკუგდებული და დგას მის უკან, როგორც სიბრძნის უტყვი და მდუმარე მოწმე. ეს ისეთი შრეა რელიგიურობისა, ისეთი წყაროა, სადაც მხოლოდ ჭეშმარიტება იბადება. წიგნი, – *თორა* იქნება ეს, *თალმუდი* თუ *მიდრაში*[1], მხოლოდ ადასტურებს ამ ჭეშმარიტებას, როგორც უზენაესი ავტორიტეტი. ტერტულიანეს სიტყვები, რომ ადამიანის სული დაბადებით ქრისტიანია, სწორედ ასეთ ბუნებრივობას გულისხმობს ფუნდამენტურ რელიგიურ ჭეშმარიტებათა აღმოჩენებში, როგორც ბეშტმა და მისმა მომდევნო ცადიკებმა აღმოაჩინეს. არ უნდა გაგვიკვირდეს ამიტომ, თუკი ხასიდთა ზოგიერთი გამონათქვამი ეხმიანება იმ ჭეშმარიტებებს, რომლებიც ქრისტიანობის, როგორც უნივერსალური რელიგიის, საფუძველშია ჩადებული. ხასიდის რელიგიური ინტუიცია გასაოცარი გამჭრიახობით და ამავე დროს უბრალოებით სწვდება ღვთის ინკარნაციის დოგმატის სიღრმეს, როცა კარლინელი რაბი შლომოს პირით გვემცნობა, თუ როგორ უნდა ვიხსნათ ლაფში ჩავარდნილი ადამიანი, – რომ საკმარისი არ არის ხელის გაწვდენა, რომ მხსნელი თავადაც უნდა ჩავიდეს ორმოს ლაფში და მასთან ერთად ამოვიდეს იქიდან, რომ მხსნელმა თავის თავზე უნდა იტვირთოს ეს სიბინძურე, რომელიც დაგროვდა ადამს აქეთ ამ წუთისოფელში. ხასიდის რწმენით, მესია (ისრაელის, თითოეული ებრაელის და, ბოლოს, მთელი კაცობრიობის მხსნელი) პრინციპით – „ჩამოსვლა აღსვლისთვის“ – ჯერ ბოროტების უფსკრულებამდე უნდა ჩაიძიროს, მოედოს ყოველი

[1] თალმუდი და მიდრაში, ძირითადად, თორის (მოსეს ხუთწიგნეულის) მრავალმხრივი და გამოწვლილვითი კომენტარებია.

ბიწი, რათა დაიხსნას სულები ჯოჯოხეთიდან... კაცობრიობის მხსნელის განკაცების საიდუმლო, რომელიც ძველი მსოფლიოს რელიგიურ მითებში იყო წინასახეობრივად მოსწავებული და რომელიც ახალი აღთქმის ეპოქაში ისტორიულ სინამდვილედ გაცხადდა, პოდოლიელმა თუ ვოლინელმა ხასიდმა სრულიად სპონტანურად ერთ უბრალო იგავში მოაქცია. ან გავიაზროთ თუნდაც იგავი ადამიანზე, რომელსაც დავიწყებული აქვს თავისი უფლისწულობა. განა არ ეხმიანება ეს იგავი პავლე მოციქულისა და წმინდა მამათა სწავლას ადამის ძის დაკარგულ მეფურ ღირსებაზე, რომლის დასაბრუნებლად სწორედ ღვთის დამდაბლება შეიქნა აუცილებელი. ადამიანის უფლისწულობაშია ღვთისგან მონიჭებული თავისუფლების საიდუმლო. ღვთისშვილობა, როგორც აღსვლა მონობიდან თავისუფლებისკენ, გაჭრა უფლისწულობის საუფლოში, არის მიზანი კაცობრიობისა, რასაც ელის არა მხოლოდ ადამიანი, არამედ მთელი ქმნილება, „ყოველი დაბადებული“, როგორც მოციქული ამბობს: „რამეთუ თვით იგიცა დაბადებული განთავისუფლდეს მონებისაგან ხრწნილებისა აზნაურებასა (თავისუფლებასა) მას დიდებისა შვილთა ღმრთისათა“ (რომ. 8:21).

ბოლოს, რჯულის პრობლემა. განა ხასიდობაც ისევე მკვეთრად არ დაუპირისპირდა იუდაისტურ სწავლულობას და იმ რჯულს, რომელიც აბრკოლებდა უშუალო რელიგიურ განცდას და ჭეშმარიტ ღვთისმოსავობას, როგორც თავის დროზე ქრისტე – მწიგნობრებსა და ფარისევლებს, რომლებიც რჯულის შესრულებაში ხედავდნენ ერთადერთ ხსნას? რჯული არ გაუქმებულა, არამედ აღსრულდა უფრო მაღალ საფეხურზე იმ აზრით, რომ გარედან მაიძულებელი ზნეობრივი კანონი ადამიანის გულში ჩაიწერა და, უკვე მის ბუნებად ქცეული, შიგნიდან განსაზღვრავს ადამიანის ზრახვებსა და ქმედებებს. ასეთ კანონს, როგორც ახალ აღთქმას, აღუთქვამდა ჯერ კიდევ იერემია წინასწარმეტყველი ისრაელიანებს მათ გულებზე დასაწერად (იერ. 31:31-33). „ღმერთი სიყვარული არს“ (1 იოან 4:8)

– ამ ჭეშმარიტებით არის გამსჭვალული ხასიდური სწავლანი. „ეჰ, ნეტავ ისე მიყვარდეს უდიდესი ცადიკი, როგორც ღმერთს უდიდესი ბოროტმოქმედი უყვარსო!“ – ამას ნატრობს ხასიდი და ასეთი ნატვრა ქრისტიანისთვისაც არ უნდა იყოს უცხო.

ცადიკის აზროვნება (ეს კარგად ჩანს მის ნათქვამებში) პარადოქსულია, რადგან თავად სამყაროა დაბადებული პარადოქსისგან, გონებით მიუწვდომელი არარადან (არარას შესახებ იხ. თავი II) და ხასიდი ყველანაირი მეტაფორებით, თუნდაც აბსურდულით, უცნაური იგავებით ცდილობს ამ პარადოქსის საზრისის შეცნობას. გონება უკანა პლანზე გადადის, ადგილს უთმობს რწმენას. რა არის მისთვის გონება, რომელიც ვერ სწვდება ყველაზე მნიშვნელოვანს და არსებითს, ვერ იტევს თავის თავში? პრაქტიკულ გონებას ჰყოფნის კადნიერება, დასცინოს და აბუჩად აიგდოს სინაის გამოცხადება. რწმენა სწორედ მაშინ გამოდის შემეცნების ასპარეზზე, როცა გონება მის თვალში აბსურდს, რაღაც დაუჯერებელს წააწყდება, მაშინ იტყვის, ტერტულიანეს კვალზე, რომ ეს ნამდვილია, რადგან შეუძლებელია (certum est, quia impossibile). მართლაც რისი უნდა სწამდეს ადამიანს – გონებით შეცნობადის თუ დაუჯერებლის, რამე წარმოუდგენლის? რწმენა მხოლოდ სასწაულის შეიძლება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მორწმუნე ხასიდი რწმენის სიმტკიცისთვის სასწაულებს ელოდებოდეს. რწმენა, რომელიც სასწაულებს მოითხოვს განსამტკიცებლად, ფიქრობს ხასიდი (და ვერც ქრისტიანი უარჰყოფს), რწმენის დაბალი საფეხურია. ჭეშმარიტი რწმენა სულიერი რეალობის უპირობო მიღებაშია. ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც ხასიდი აფასებს ადამიანში, რწმენის თავისუფალი არჩევანია, სასწაული კი, როგორც დამარწმუნებელი, მაიძულებელი ფაქტორი, ადამიანს არჩევანის საშუალებას არ უტოვებს. შეუვალი მტკიცებები თავისუფალ არჩევანს წინ ეღობება და რწმენასაც აუფასურებს, მის პროფანაციას ახდენს. ხასიდის პარადოქსული ფიქრით, რომელიც მის გამოცდილებაში იბადება, რწმენა იზრდება ღმერთის უმყოფო-

ბის განცდაში და ძლიერდება იქ, სადაც ღმერთი ყველაზე მეტად დაფარულია და მიუწვდომელი. ხასიდი არ გაურბის ეჭვს, დაეჭვებას ღმერთის არსებობაში. პირიქით, ეჭვი განამტკიცებს მის რწმენას. მას შეუძლია ეჭვის მომენტი რწმენის გაფართოებულ ცნებაში ჩართოს, ანუ, სხვანაირად, ეჭვი იმის საწყისად ჩათვალოს, რომელიც საბოლოო შედეგი რწმენაა. ამგვარად, ეჭვი რწმენის სამსახურშია ჩაყენებული. გარკვეული აზრით, ეჭვი რწმენის სახეობაა. აუცილებელიც კი ხდება ღვთისშემეცნების გზაზე ღვთისგან გაუცხოება თვით იმ ზომამდე, რომ მის არსებობაში ეჭვი დაიბადოს, და რწმენა სწორედ იქ იღვიძებს და გამოდის ასპარეზზე, სადაც ეჭვი და განცდა მიტოვებულობისა კულმინაციას აღწევს. ღმერთი დამალულია და, თუ იცი, რომ დამალულია, ღვთის შემეცნებაც ეს არის – ამ თითქოსდა მარტივ და თავისთავად გასაგებ დასკვნამდე მიდის ხასიდი.

სიმპტომატურია ბერდიჩეველი რაბის ლევი-იცხაკის შეკითხვა უფლისადმი:

> „მე შენი შვილი ვარ, უფალო, მაგრამ მე მაინც არ გთხოვ, რომ გამიმჟღავნო შენი გზების საიდუმლო, რადგან მე ამის ცოდნას ვერ ავიტან. მაგრამ გთხოვ, მაცოდინო მე ღრმად და ცხადად, რას ნიშნავს ჩემთვის ეს ყველაფერი, რაც ჩემ გარშემოა, რას მოითხოვს ის ჩემგან და რა გსურს, რომ მითხრა ამ ყველაფრით...“

ხასიდი თავისი ცხოვრების წესით, აზროვნებით, რწმენით, მთელი თავისი ეკსისტენციით ახორციელებს *ხესედს*. ხოლო *ხესედს* რაც შეეხება, არც ერთი ენა არ იძლევა ამ ებრაული სიტყვის რამდენადმე დამაკმაყოფილებელ შესატყვისს. ენებში არ მოიძებნება მისი ცალსახა განმარტება. ფსალმუნების მიხედვით *ხესედ* ღმერთის ერთ-ერთი ატრიბუტია, რომელიც მას მარადიულად ახლავს. ძველი ქართულით ეს არის „წყალობა“ (შესაძლოა, „მადლიც“, რომელიც ბერძნული ვერსიიდან მოდის: ελεος „წყალობა“, „სიბრალული“, „თანაგრძნობა“, „სიყვარული“):

აღუვარებდით უფალსა, რამეთუ კეთილ,
რამეთუ უკუნისამდე არს წყალობა მისი (*ხესდო*);
აღუვარებდით ღმერთსა ღმერთთასა,
რამეთუ უკუნისამდე არს წყალობა მისი (*ხესდო*);
აღუვარებდით უფალსა უფალთასა,
რამეთუ უკუნისამდე არს წყალობა მისი (*ხესდო*)...

(ფსალმ. 135:1-26)

ხესედ მოიცავს ზნეობრივ სიქველეთა მთელ თაიგულს, მაგრამ *ხასიდის* პიროვნებაში მაინც განმსაზღვრელია სიყვარული და ერთგულება ყველა თავისი ელფერით. ხასიდი არის ერთგული და მტკიცე როგორც სიყვარულში, ისევე რწმენაში... ხასიდი მოწოდებულია განახორციელოს სიყვარული თავისი მოყვასისადმი, განურჩევლად სოციალური წარმოშობისა, თუნდაც იყოს იგი ცოდვილი ან თორისა და მცნებათა უმეცარი, წინააღმდეგ რაბინული მედიდური თვალთახედვისა, რომლის თანახმად ცოდვილი და უმეცარი ებრაელი არ შეიძლება იყოს სიყვარულისა და თანაგრძნობის და, ბოლოს, წყალობის ღირსი... მაგრამ ხასიდი მოწოდებულია უბრალო ხალხთან ერთიერთობისთვის, რაც გულისხმობს არა მხოლოდ სიყვარულს, თანალმობას, არამედ იმასაც, რომ ამ ურთიერთობამ უნდა გამოასწოროს მისი ზნის, ხასიათის უარყოფითი თვისებები. გამოსწორება-აღდგენა (ებრ. *თიკუნ*) კი, კაბალისტური მოძღვრების მნიშვნელოვანი კონცეფტია: პიროვნული გამოსწორება, ვთქვათ, სრულყოფა, ეხმიანება კოსმიური მასშტაბის გამოსწორებას, რასაც ადამიანი თავისი ძალისხმევით უნდა უწყობდეს ხელს (იხ. თავი III). ხასიდი მუდმივ სიხარულსა და მადლიერებაში უნდა იმყოფებოდეს. ნაღვლიანობა, უსიხარულობა ღვთის გმობაა, ცოდვა და უმადურობაა სიკეთეებისადმი, რითაც ღმერთი ადამიანის ცხოვრებას ავსებს. იყავი მხიარული, თუნდაც სასიხარულო არაფერი იყოს შენს გარშემო, თავად არსებობაა სიხარულის მიზეზი და წყარო... ცადიკი აფრთხილებს თავის ხასიდს, ერიდოს სევდას და მწუხარებას, რადგან მწუხარება ცოდ-

ვაზე მეტად აშორებს ადამიანს ღვთისგან. ღმერთი ემალება მწუხარე ადამიანს. მწუხარება შავი ფარდაა, რომელიც ჩამოფარებულია ადამიანსა და ღმერთს შორის. სატანს ადამიანის ცოდვები კი არ სურს, მას მისი შავნაღვლიანობა, უგუნებობა, სურს, რომ ველარასოდეს შეძლოს ცოდვისგან განწმენდა. თუ იოანე ღვთისმეტყველი ამბობს, რომ „ღმერთი სიყვარულია“, ხასიდს შეუძლია თქვას, რომ ღმერთი სიხარულია. სიხარულით შენ მოიგერიებ სატანს, რადგან თავად ღმერთია სიხარულში. ამიტომაც ხასიდთა შეკრებები, რომლებიც ცადიკის სახლში იმართება, სიხარულისა და ურთიერთსიყვარულის შეხვედრებია (აქაც ერთგვარი ანალოგია ადრექრისტიანულ აღაპებთან). სუფრაზე არ გაურბიან მაგარ სასმელებს, რისთვისაც გარეშენი კიცხავენ ხოლმე. ისინი შეზარხოშდებიან კიდეც, მაგრამ ალკოჰოლი უფრო უშუალობისთვის და სულიერი ძალების ასაღორძინებლად ესაჭიროებათ („ღვინო ახარებს გულსა კაცისასა...“ ფსალმ. 103:15). ტრაპეზზე სვამენ სიცოცხლის სადღეგრძელოს – *ლე ხაიმ* („სიცოცხლისთვის“), აქ მღერიან ისინი საგალობლებს, მორიგეობით ყვებიან სულისმარგებელ ამბებს, სახალისო ანეკდოტებსაც კი. თითოეული მათგანი იხსენებს ეპიზოდებს საკუთარი გამოცდილებიდან, უზიარებს შეკრებილთ, ხშირად თვითმხილებით და სხვათაგან მხილებით. რაბი – მათი სულიერი მამა, ცადიკი, ყველას უსმენს და განმარტებებს იძლევა, სხვებიც ერთვებიან, არავის ეკრძალება აზრის გამოთქმა, თუნდაც მისი აზრი ცადიკის ნათქვამს ეწინააღმდეგებოდეს... ეს ყოველივე რწმენის გალესვა-გაძლიერებას, ფიქრების დახვეწას, გზნებას და ცეცხლოვან აღფრთოვანებას, *ჰითლაჰავუთს*, და ისევ და ისევ ზემოთნახსენები „გამოსწორების“ (*თიკუნის*) კოსმიურ საქმეს ემსახურება. ამ შეკრებებზე თითოეულ მათგანს აქვს შინაგანი ჩაღრმავების საკუთარი სამედიტაციო ჟამი და ყველას ერთად ლოცვების აღვლენის ჟამი, რასაც სიმღერები, ცეკვა და საერთო აღტყინება ენაცვლება. „ხასიდურ სწავლათა“ ერთ-ერთი საკვანძო სიტყვა, სხვა კონცეპტუალურ სიტყვების

გვერდით, არის სიხარული, რომელიც უნდა შთანთქავდეს ხასიდის დუხჭირი ყოფისგან გამოწვეულ შავნაღვლიანობას, ისე რომ, ეს უკანასკნელი სიხალისედ და სიხარულად გარდაიქმნას[1]. გარეშეთა თვალისთვის შოკისმომგვრელი დიონისური ღრეობები ცადიკის კარზე ამ მიზანსაც ემსახურება. აი, „სიხარულის იგავი“:

> ზოგჯერ, როცა ხალხი მხიარულობს და ცეკვავს, გამოიტაცებენ ადამიანს, შავნაღვლიანობაში მყოფს და მოწყენილს, მისი ნების წინააღმდეგ ჩაითრევენ მროკველთა წრეში და მათთან ერთად მხიარულებას აიძულებენ. ასეა სიხარულიც: როცა ადამიანი ხარობს, შავნაღვლიანობა უკან იხევს. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, გამოიტაცო თავად შავნაღვლიანობა და მხიარულება აიძულო, რათა შავნაღვლიანობა სიხარულად გარდაიქმნას...

ხასიდები, გარდა თრობისა და აღგზნებისა, სხვადასხვა საშუალებითაც ცდილობენ „სულის დამანაგვიანებელ“ უგუნებობისგან თავის დაღწევას. წუთისოფლისგან მოგვრილი „ნაგვისგან“ გულის გასასუფთავებლად ერთადერთი საშუალება მაგარი სასმელი არ არის. ამ მიზნით, სიმთვრალესა თუ სიფხიზლეში, თავდავიწყებამდე, თავბრუდახვევამდე როკავენ ცალ-ცალკე თუ ხელიხელჩაბმულნი, მღერიან ცალ-ცალკე თუ გუნდებად, ვინ აქეთ-იქით დაბორიალობს, თითქოს რაღაცის ძებნაშია, ვინ ყვირის გამყივანი ხმით, ვინ მიწას ეხეთქება ბნედიანივივით, ვინ ყირაზე გადადის. ყირამალები იმდენად დამახასიათებელია ხასიდებისთვის, რომ ხასიდობაზე გადასვლა ამ ტერმი-

---

[1] ჩვეულებრივ ყოფაში საყოველთაოდ განუხორციელებელი ეს ძალისხმევა ხასიდებშიც ერთეულების ხვედრად რჩება. ეს იდეალია, რასაც, როგორც *თიკუნის* კერძო შედეგს, მთელი არსებით უნდა ესწრაფოდეს იგი. ყოფითი სიდუხჭირის თუ შავნაღვლიანობის სიხალისედ გარდაქმნის შესაძლებლობა ვაჟა-ფშაველამ ამგვარად გამოხატა: „სიცოცხლემ შხამი მასმია, მე კახურ ღვინოდ შევირგე“.

ნით გამოითქმოდა. გარეშე თვალისთვის, ცხადია, ეს სანახაობა შორს იყო ღვთისმოსავობისგან, მაგრამ ხასიდებისთვის ეს იყო მზადება ლოცვის წინ – აუცილებელი დაცლა უკეთური და გარეშე ფიქრებისგან, მათი განდევნა მოუსავლეთისკენ. რა თქმა უნდა, ასეთი ღრეობანი მხოლოდ დღესასწაულებში ეწყობოდა. სხვა დღეებში, განსაკუთრებით შაბათობით, სრულიად ფხიზელნი ცადიკთან სატრაპეზოდ იკრიბებოდნენ და კითხვა-პასუხში ატარებდნენ საღამოებს[1].

ხასიდები ჯგუფ-ჯგუფად რომელიმე ავტორიტეტული *რაბის*, ცადიკის, გარშემო არიან შემოკრებილნი. ხასიდი ირჩევს ცადიკს ან საკუთარი ინიციატივით, ან მეგობარი ხასიდის რჩევით, მაგრამ ყველა შემთხვევაში ხასიდმა იცის, ვის წრეში აპირებს გაერთიანებას. არჩევამდე ის ხვდება ცადიკს, ამოწმებს მას, რამდენად შესაფერისი იქნება მისთვის მისი პიროვნება და ცადიკიც, თავის მხრივ, ჭვრეტს თავის მომავალ ხასიდს. თითოეულ თემს თავისი პრობლემატიკა აქვს, რომელსაც ცადიკის განათლება, ინტერესები და პიროვნული ხასიათი განსაზღვრავს. ხასიდთა რეგულარულ შეკრებებს, როგორც სადღესასწაულო, ისე სადაგ დღეებში, რებე-ცადიკი წარმართავს. სუფრაზე, როგორც ბერძნულ სიმპოზიუმზე, ის წამოჭრის პრობლემას და თავისი ხასიდებისგან პასუხებს ელის. საკითხი ეხება წმინდა წერილის სადაო ადგილებს, ან, ერთი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელო ყოფაცხოვრებით შემთხვევებს, რომლებიც რაღაც საიდუმლო მინიშნებებს შეიცავენ და ინტერპრეტაციას საჭიროებენ.

ხასიდური სწავლანი, როგორც ჩვენ შევარქვით ამ სხვადასხვა ჟანრის ტექსტებს, აღმოსავლეთ ევროპის ებრაულ მოსახლეობაში იყო გავრცელებული მეორე მსოფლიო ომამდე. მისი ენა იდიშია. მათი ჩაწერა და კრებულებად გამოცემა XIX

---

[1] ცადიკთან შეკრებების საზრისი კარგად ჩანს ბუბერის რომანში „გოგი და მაგოგი“.

საუკუნის მიწურულში დაიწყო. განსაკუთრებული ინტერესი ხასიდობისადმი გამოიჩინა განთქმულმა რელიგიურმა მოაზროვნემ მარტინ ბუბერმა (1878-1965), რომელმაც გერმანულად თარგმნა და მსოფლმხედველობრივად გაიაზრა ეს ზეპირსიტყვიერი მემკვიდრეობა, რისგანაც თავად მისი ფილოსოფია დიდად არის დავალებული.

ხასიდობის საფუძვლიან შესწავლას უკავშირდება მეორე სახელი, ეს არის ბუბერის უმცროსი თანამედროვე გერშომ შოლემი (1897-1983), რომლის მიდგომები ბუბერის საპირისპიროა, თუმცა ისინი ერთმანეთს არ უარყოფენ, ერთმანეთს ავსებენ. გერშომ შოლემი, როგორც ისტორიკოსი, იკვლევდა ხასიდობას ჩასახვის მომენტიდან მისი განვითარების ეტაპებს და ცვალებადობას ათწლეულებში, თანამედროვეობამდე. ბუბერისთვის კი ხასიდობა ერთიანი, დროისა და სივრცის გარეშე არსებული მოძღვრება იყო, რომელიც მისგან, როგორც ფილოსოფოსისგან, მოითხოვდა *გაგებას* მაშინ, როცა შოლემისთვის მთავარი ამოცანა მოვლენის *ახსნა* იყო. ბუბერი, როგორც ვილჰელმ დილთეის მოწაფე, ხასიდობის შესწავლისას მისდევდა მის მეთოდს, რომელიც სულისმეცნიერებებში განმსაზღვრელ მნიშვნელობას გაგებას (Verstehen) ანიჭებდა, ბუნებისმეცნიერებათა საპირისპიროდ, სადაც მოვლენის მიზეზ-შედეგობრიობის დადგენაა ანუ ახსნაა (Erklären) დომინანტური (დილთეის თეზისი: „ჩვენ ვცდილობთ, ავხსნათ ბუნება, მაგრამ ვცდილობთ, გავიგოთ ადამიანი“). მისდევდა რა დილთეის მეთოდს, ბუბერს ემპათიის ძალით – ხასიდობის სულში შეღწევით – შეეძლო უფრო მეტი დაენახა და ამოეკითხა ცადიკების სწავლებებში, ვიდრე თავად მათ მოწაფეებს შეეძლოთ დაენახათ.

გერშომ შოლემი ფიქრობდა, რომ ნაცვლად იმისა, რომ ხასიდობის რეალური, ავთენტური არსი წარმოეჩინა, ბუბერმა ხასიდურ სიბრძნეს თავს საკუთარი ეკსისტენციალური კონცეფციები მოახვია თავს და სრულიად მცდარი წარმოდგენა შექმნა ხასიდობაზე. შესაძლებლია, ასეც იყოს, თუმცა „თავსმოხვევა“

ორლესული რამ არის: იქნებ არა ბუბერმა მოახვია თავს ხასიდურ მემკვიდრეობას საკუთარი მსოფლხედვა, არამედ ხასიდურმა სიბრძნემ იქონია გარკვეულწილად გავლენა ფილოსოფოსის მსოფლხედვაზე, რომელიც ადრეული სიჭაბუკიდან მწიფდებოდა მასში. თუ ამ ორ მიმართულებას გავაერთიანებთ, საკითხი ასე შემოტრიალდება: ბუბერმა ხასიდობიდან აიღო ის, რაც მას, როგორც მოაზროვნეს, იმთავითვე ეკუთვნოდა და მათი საშუალებით თავისი ფილოსოფია ააგო[1].

ბუბერი ერთ თავის ადრინდელ ნაშრომში („ბაალშემ-ტოვის ლეგენდა“, 1908) წერს, რომ მან ხასიდური თხრობანი (Erzählungen) გადმოიღო სახალხო წიგნებიდან და ზეპირსიტყვიერებიდან და ახლებურად გამოთქვა; არ გადაუმუშავებია ისინი, როგორც ფოლკლორულ მასალას ექცევიან, არამედ გამოთქვა ახლებურად, როგორც კაცმა, რომელიც მოგვიანებით დაიბადა; გამოთქვა ისინი თავი ხანაში და რომ ის თავის თავში ატარებს იმათ სისხლსა და სულს, რომელთაც შექმნეს ისინი; რომ ის დგას მთხრობელთა ჯაჭვში როგორც ერთი რგოლი რგოლთა შორის და ახმიანებს ძველ ანდრეზებს და, თუ ისინი ახლე-

---

[1] ანალოგიურია კლოდ ლევი-სტროსის შემთხვევა: იგი აღიარებდა, რომ იმ ხალხის მითოლოგია, რომელსაც იგი სწავლობდა, სტრუქტურულად მის აზრთა წყობას შეესატყვისებოდა. შეგვეძლო გვეთქვა, რომ გამოჩენილმა ეთნოლოგმა, რომლის განსწავლულობა ფილოსოფიით დაიწყო, საკუთარი ფილოსოფია „მითოლოგიურების“ (Mythologiques I-IV) საშუალებით გამოთქვა. ამავე პოზიციას იცავს გოეთე თავის შემოქმედებაში: „რა გავაკეთე მე? მე შევკრიბე ყველაფერი [...], რაც კი ბუნებას და ადამიანებს შეუქმნიათ; მე ყველაფერი გარდავქმენი; ყველაფერი, რაც მე დამიწერია, ურიცხვ არსთა და საგანთა წიაღ გადმომეცა; ბრძენებმა და ბრიყვებმა, გონებაჩლუნგებმა და გონიერებმა, ბავშვებმა და მოზრდილებმა, მათდა უნებურად, მომიტანეს თავიანთი აზრები, ცოდნა, საკუთარი გამოცდილება; ხშირად, რასაც თესდნენ, მე ვიმკიდი...“

ბურად ჟღერენ, ეს იმის გამოა, რომ ეს სიახლე იმთავითვე თვლემდა მათში, როცა ისინი პირველად გამოითქვნენ[1].

ბუბერს, როგორც თეოდორ დილთეის მოწაფეს და მიმდევარს, არ შეეძლო და არც სურდა ისეთი შთამაგონებელი მასალა, როგორიც ხასიდური გადმოცემებია, შოლემის მსგავსად ისტორიკოსის კვლევის ობიექტად ექცია. მისთვის ხასიდობა არ იყო ოდენ გარდასული ეპოქის ფაქტი, არამედ დღევანდელი და მარადიული ადამიანის სულის ცოცხალი მოწმობა. მისთვის მნიშვნელოვანი იყო არა წარსული წარსულისთვის, როგორც საკვლევი მასალა, არამედ აწმყოსთვის, მის აწმყოში, მისდროინდელი ევროპული რაციონალისტური და პოზიტივისტური ტენდენციების დასაძლევად. დილთეის მოწაფეობის შემდეგ აზროვნების ეკსისტენციალურ ნიადაგზე გადასვლა, რომელიც მისი შემოქმედების მწვერვალით „მე და შენით“ (Ich und Du, 1923) დაგვირგვინდა, მრავალწილად ხასიდურმა დიალოგურმა სიბრძნემ განაპირობა. და თუმცა, მის ფუნდამენტურ ნაწერებში „მე და შენით“ დაწყებული, არ არის ლაპარაკი ხასიდობაზე, ნახსენებიც კი არა არის ეს სახელი, მაგრამ იგი მაინც ყველგან უხილავად მყოფობს, როგორც შინაგანი დვრიტა. ეს არის ადამიანისა და ღმერთის დიალოგი, რაც ხასიდური „იგავების“ ძირითად თემას შეადგენს: ღმერთი „მე“-ც არის, რომელიც განსხვავდება არსობრივად ადამიანის „მე“-სგან და არის „შენ“-ც, როგორც ადამიანის პარტნიორი დიალოგში. ბუბერმა ხასიდობაში თავისი ფილოსოფიის მაგალითი და ილუსტრაცია დაინახა.

რამდენად სამართლიანია ბუბერის მიმართ საყვედური, რომ იგი თვითნებურად (თუმცა არა უსაფუძვლოდ) კითხულობდა ხასიდურ ტექსტებს, როცა იუდაისტურ ეგზეგეტიკაში დამკვიდრებული ტრადიციით თავად ბიბლიისა და თალმუდის ადგილების თავისუფალი საავტორო წაკითხვები უცხო არ იყო.

---

[1] Martin Buber. The Legend of the Baal-Shem, p. 10.

ცადიკებიც ხშირ შემთხვევაში წმინდა წერილის ადგილებს თვითნებურად იყენებენ, როგორც საყრდენს, საკუთარი განჭვრეტის საილუსტრაციოდ. მათებური ეგზეგესისი ხშირად არ ითვალისწინებს ტექსტის ავტორის რეალურ ჩანაფიქრს: მათთვის ტექსტი თითქოს ბუნების მოვლენაა, რომელიც თავისუფალი ინტერპრეტაციის ფართო ასპარეზს ქმნის[1]. მკითხველი ამგვარ მაგალითებს მრავლად შეხვდება ცადიკისა და ხასიდის ქვემორე კითხვა-პასუხებსა თუ მონოლოგებში.

[1] ამგვარი ეგზეგესისი არც ქრისტიანული თეოლოგიისთვისაც არის უცხო.

თქვა რაბიმ...

საკვანძო სიტყვები: აბრაამი, ადამი, არარა, ბოროტება, გამოსყიდვა, დევნილება, ელია, თალმუდი, თორა, იაკობი, ისაკი, კურთხევა, ლოცვა, მესია, მოსე, მსახურება, მხიარულება, მწუხარება, ნათელი, ნაპერწკალი, რჯული, საიდუმლო, სამსჯავრო, სატანი, სიკვდილი, სიმდაბლე, სიყვარული, სიცოცხლე, სიწმინდე, სიხარული, სმა-ჭამა, შეხინა, ცეკვა, ცადიკი, წმინდა მიწა, ჭეშმარიტება.

ცოდნის ხესთან

ამბობენ, იმ ჟამს, როცა ადამი ცოდნის ხესთან იდგა და ყველა სული მასში იყო მოქცეული, ბაალ შემ ტოვის სული დაუძვრა ადამს და არ უგემნია ხის ნაყოფი.

გამოცდა

მოგვითხრობენ.

რაბი ელიეზერი, ბაალ შემ ტოვის მამა, სოფლად ცხოვრობდა. ისეთი სტუმართმოყვარე იყო, რომ თავის მსახურთ სოფლის ბოლოს გაგზავნიდა, რათა შეეჩერებინა ყოველი უპოვარი მწირი და შინ მიეწვია. და ელიეზერი უმასპინძლდებოდა მათ. ცანი ხარობდნენ გულუხვი რაბის გამო და მისი გამოცდა გადაწყვიტეს. სატანმა გამოიდო თავი, მაგრამ წინასწარმეტყველმა ელიამ დაარწმუნა ცანი, რომ იგი გაეგზავნათ. შაბათს, შუადღისას, ღატაკ მწირად გადაცმული ზურგზე ჩანთააკიდებული და არგნით ხელში, ელია შევიდა ელიეზერის სახლში და მშვიდობა უთხრა. ელიეზერმა არ იუკადრისა და მიიღო მწირი. სუფრა გაუშალა და ღამეც გაათევინა. დილით, როცა მწირი

წავიდა, რაბის ერთი სიტყვაც არ დასცდენია სასაყვედურო. მაშინ ელია თავისი საკუთარი სახით გამოეცხადა ელიეზერს და აღუთქვა, რომ მას შეეძინებოდა ვაჟი, რომელიც თვალებს აუხელდა ისრაელს.

მამის სიტყვები

ისრაელი (ბაალ შემ ტოვი) მშობლებს მოხუცობაში შეეძინათ. ისინი დაიხოცნენ, როცა იგი ჯერ კიდევ ბავშვი იყო. როცა სიკვდილის მოახლოება იგრძნო, ელიეზერმა აიტატა ბავშვი და უთხრა: „ვხედავ, რომ შენ ჩემი გამანათებელი შუქურა იქნები, მე კი შენს გაზრდას ვერ მოვესწრები. მაგრამ გახსოვდეს, საყვარელო შვილო, რომ მთელი სიცოცხლე ღმერთი შენთან იქნება და არაფრის შეგეშინდეს“.

და გულის სიღრმეში ჰქონდა ჩარჩენილი ისრაელს ეს სიტყვები.

ამაო მცდელობანი

მამის სიკვდილის შემდეგ მისი ხსოვნისათვის მოქალაქეებმა ბავშვი მელამედს (მასწავლებელს) მიაბარეს.

ისრაელი ბეჯითი იყო სწავლაში, მაგრამ ხანგამოშვებით სადღაც იკარგებოდა. ტყეში მარტოდმარტო მყოფს იპოვიდნენ, ფიქრობდნენ, ობოლი ბავშვია და ყურადღებას არავინ აქცევსო. კვლავ გაგზავნიდნენ ისრაელს მელამედთან, მაგრამ ის ისევ ტყეში გარბოდა.

ბოლოს, ყველა მიხვდა, რომ იგი არაჩვეულებრივი ბავშვი იყო.

წილის გარეშე საიქიოში

ერთხელ ბაალ შემ ტოვის სული ისე იყო დათრგუნვილი, რომ იფიქრა, ჩემს სულს წილი არ უდევს საიქიო ცხოვრებაშიო. და უთხრა თავის თავს: „თუ ღმერთი მიყვარს, რას ვაქნევ საიქიოში წილსო?“

საკუთარი უნარით

თქვა ბაალ შემ ტოვმა:

„არ არსებობს ორი ადამიანი, მსგავსი უნარები რომ ჰქონდეთ. ყოველი კაცი თავისი ნიჭისამებრ უნდა ემსახურებოდეს ღმერთს. ვინც სხვის მიბაძვას ცდილობს, იგი ჰკარგავს შემთხვევას საკუთარი ღირსების მეშვეობით სიკეთის კეთებისა. სხვათა მიბაძვით იგი ვერაფერს ვერ აღასრულებს“.

საჭმლის გემო უფლისგან არის

თქვა ბაალ შემ ტოვმა:

„როცა საჭმელს გემოს ატან, გახსოვდეს, უფლის ჩადებულია საჭმელში მისი გემო და სიტკბო. მაშ, იცოდე, რომ ჭამის დროსაც ემსახურები უფალს“.

რომელი მათგანია თანამოსაუბრე?

ყოველ საღამოს ლოცვის შემდეგ ბაალ შემ ტოვი განმარტოვდებოდა ხოლმე თავის ოთახში. მის მაგიდაზე ორი სანთელი ენთო, მათ შორის კი იდუმალებრივი *სეფერ ჲეცირა* („შესაქმის წიგნი“) იდო. ამ დროს ყველა, ვისაც რჩევა ესაჭიროებოდა, მასთან შედიოდა და თერთმეტ საათამდე ესაუბრებოდა მას.

ერთხელ, საღამოხანს, როცა ბაალ შემ ტოვი თავისი ოთახიდან გამოვიდა, ერთ-ერთმა, ვინც მას უსმენდა, თქვა, თუ როგორი გულითადობით ელაპარაკებოდა მას ბაალ შემ ტოვი და რამდენი სასიკეთო რჩევა მიიღო მისგან. მეორე შეეპასუხა, მას მერე, რაც ყველანი მასთან შევედით, ბაალ შემ ტოვს ჩემს გარდა არავისთან უსაუბრიაო. მესამეს, მათი ლაპარაკი რომ მოისმინა, გაეცინა, ორივენი ცდებით, რაბიმ მთელი საღამო ჩემთან გულითად საუბარში გაატარაო. ეს თქვა მეოთხემ და მეხუთემაც და ყველა დანარჩენმა. და უცებ ყველამ ჩაიკმიდა.

თემის ძალა

მოგვითხრობენ.

როგორღაც, *იომ ქიფურის* (შენდობის დღის) ბოლო ღამით მთვარე ღრუბლებმა დაფარა და ბაალ შემ ტოვმა ვერ შეძლო ახალი მთვარის კურთხევის წარმოთქმა. ამან სული დაუმძიმა ბაალ შემ ტოვს და მას, როგორც წინათაც მომხდარა, დაეუფლა გრძნობა, რომ ღვთიური განგების ძალის გრანდიოზულობისა და განუზომლობის გამო მისი ბაგეები მოძრაობას ვერ შეძლებდნენ. ამაოდ ცდილობდა დაეუნჯებინა შინაგანი ენერგია, რათა აენთო მთვარის შუქი, შეწეოდა მთვარეს, რომ თავი დაეღწია ღრუბლების ზრქელი ფარდიდან. და ვისაც კი გზავნიდა ცის საყურებლად, დაბრუნებისას ყველა ამბობდა, რომ ღრუბელი იზრდებოდა და იზრდებოდა. ბოლოს, ბაალ შემ ტოვმა სრულიად დაკარგა იმედი.

ამასობაში ხასიდები, რომელთაც არ იცოდნენ ბაალ შემ ტოვის წუხილის შესახებ, შეიკრიბნენ ამავე სახლის სხვა ოთახში და დაიწყეს ცეკვა, რადგან ამ ღამით სწორედ ასე ისურვეს სიხარულის გამოხატვა: მათ ხომ მიიღეს მომავალი წლის ცოდვების გამოსყიდვა. კურთხეული აღტყინება უფრო და უფრო ძლიერდებოდა ასე ცეკვა-ცეკვით ბაალ შემ ტოვის ოთახში აღმოჩნდნენ. აღფრთოვანებით ცნობაწართმეულებმა დათრგუნვილი ცადიკიც ჩაითრიეს თავიანთ წრეში. ამ დროს რომელიღაცას მოუნდა გარეთ გასულიყო, მერე სხვებიც გაყვნენ მას. ღამე ნათელი იყო და უღრუბლო ციდან, როგორც არასდროს, ანათებდა მთვარე.

კეთილი არჩევა

ბაალ შემ ტოვი ერთ თავის მოწაფესთან ერთად გზაზე მიდიოდა. მოწაფეს მოსწყურდა, მაგრამ ახლო-მახლოში არსად არ იყო წყალი და მან შესჩივლა ბაალ შემ ტოვს. ბაალ შემ ტოვმა უპასუხა: „თუ გწამს, რომ როცა ღმერთმა სამყაროს შექმნა ჩაიფიქრა, მან შენი ეს გასაჭირიც გაითვალისწინა და ამის სახსარიც მოიმარაგა?“

„კიო“, მიუგო მოწაფემ.

მცირე ხნის შემდეგ ერთი კაცი გამოჩნდა წყლით სავსე სათლით, და დაალევინა მწყურვალს წყალი. ბაალ შემ ტოვი შეეკითხა კაცს: საიდან გაჩნდი ამ უგზო ადგილას, ამსიშორიდან როგორ მოგაქვს წყალიო? კაცმა მიუგო: „ჩემი ბატონი უეცრად ცუდად შეიქნა და მეც იძულებული გავხდი შორს წავსულიყავი წყლის მოსატანად“. „ხედავ, გამართლდა შენი რწმენა“, განუმარტა ბაალ შემ ტოვმა მოწაფეს. „ვიდრე მიწა შეიქმნებოდა, ღმერთს ყველა ხდომილება გათვალისწინებული ჰქონდა. შემთხვევითობა არ არსებობს სამყაროში. ყველაფერი დამოკიდებულია ადამიანის მიერ კეთილის არჩევაზე და იმაზე, თუ როგორ მოიხმარს ადამიანი ჭკუა-გონებას, რომელიც მიენიჭა მას.

რაც ბაგეს სურს

თქვა ბაალ შემ ტოვმა:

„როცა ჩემს გონებას ღვთისკენ მივაპყრობ ხოლმე, ჩემს ბაგეს იმას ვალაპარაკებ, რაც მას სურს, რადგან მაშინ იგი მის ზემოთა ფესვზეა მიბმული“.

ცოცხი

ბაალ შემ ტოვი აგზავნიდა ხოლმე თავის მოწაფეებს ხალხის შესაგონებლად და გამოსასწორებლად. ერთხელ მისი გაგზავნილი რაბი მენდელი რომ დაბრუნდა მეძიბოჟში, ბაალ შემ ტოვმა უთხრა: „ცოცხი ასუფთავებს ეზოს, მაგრამ თავად ისვრება. წადი, განიწმინდე თავი ყველა წვირისგან, რაც კი მოგეცხო“.

ნივთიერი ფარდა

ბაალ შემ ტოვი ამბობდა: „როცა ადამიანი სულმუდამ ნივთიერ სიკეთეს ევედრება ღმერთს, მისი ლოცვა-ვედრება ფუჭია. ის ქმნის ნივთიერ ფარდას ღმერთსა და თავის თავს შორის, რადგან მას სულიერ სამყაროში ნივთიერება შეჰყავს. ამიტომაც ვერ იღებს პასუხს.

თუ რომ...

ერთხელ რაბი ლეიბმა, სარას ძემ, ფარულმა ცადიკმა, უთხრა ხასიდებს, რომლებიც ბაალ შემ ტოვზე ფიქრობდნენ:

„გინდათ იცოდეთ ვინ იყო ბაალ შემ ტოვი? გეტყვით: თუ რომ მას წინასწარმეტყველთა ხანაში ეცხოვრა, წინასწარმეტყველი იქნებოდა; თუ რომ პატრიარქთა ხანაში ეცხოვრა, პატრიარქი იქნებოდა – ასე რომ: სიტყვებს „ღმერთი აბრაამისა, ღმერთი ისაკისა, ღმერთი იაკობისა“ დაემატებოდა „ღმერთი ისრაელისა“.

სულის განახლება

თქვა ბაალ შემ ტოვმა:

„ნუ მიიჩნევ დაკარგულად ჭამასა და ძილში გატარებულ დროს. ამ დროს სული ისვენებს, რათა განახლებული ძალით შეუდგეს წმინდა საქმეს“.

ახლოს და შორს

ჰკითხეს მოწაფეებმა ბაალ შემ ტოვს: „რატომ არის, რომ ვინც მიწებებულია ღმერთს და იცის, რომ ახლოს არის მასთან, ზოგჯერ ეჩვენება, რომ მოწყვეტილია ღმერთს და შორს არის მისგან?“

ბაალ შემ ტოვმა აუხსნა: „როცა მამა თავის პატარას სიარულს ასწავლის, ხელებს შორის მოაქცევს ბავშვს, რომ არ წაიქცეს. და ბავშვიც მიდის მამისკენ მისი ხელების იმედით. მაგრამ როცა ბავშვი მიეკრობა მამას, მამა უკან იხევს და ხელებსაც მოაშორებს. ასე ხდება ყოველთვის, სანამ ბავშვი სიარულს არ ისწავლის“.

სნეულება როგორც ფარი

ერთი ცადიკი მძიმე ავად გახდა და მისმა მოწაფეებმა სთხოვეს ბაალ შემ ტოვს, ელოცა მისი განკურნებისთვის, მაგრამ უარი მიიღეს.

რამდენიმე დღის შემდეგ ყაჩაღების ბანდა, რომელსაც ქალაქის გაძარცვა ჰქონდა დაგეგმილი, პოლიციამ შეიპყრო. ცადიკი იმ დღესვე გამოჯანმრთელდა. ბაალ შემ ტოვმა განმარტა, რომ ცადიკის ავადმყოფობამ დააბრკოლა ყაჩაღების თავდასხმა იმ დრომდე, ვიდრე პოლიციამ არ აღმოაჩინა ბანდა.

„ცადიკის სნეულებამ ფარის როლი შეასრულა“.

რჩევის საზღვარი

ერთხელ ბაალ შემ ტოვის მოწაფეებმა ყური მოკრეს, რომ ვიღაცას დიდი სწავლულის სახელი აქვს. ზოგიერთებმა მათ შორის მოისურვეს, წასულიყვნენ იმ კაცთან, ერთი ვნახოთ, რას გვასწავლისო. ბაალ შემ ტოვმა გაუშვა ისინი და წასვლამდე ჰკითხეს, როგორ შევატყოთ, ნამდვილი ცადიკია თუ არაო?

ბაალ შემ ტოვმა ასე უპასუხა: „თხოვეთ, გირჩიოთ, როგორ უნდა მოიქცეთ, რომ ლოცვისა და სწავლის დროს უცხო ფიქრებმა არ შეგაწუხონ. თუ რჩევა მოგცათ, მიხვდებით, რომ ის დიდი სწავლული არ არის. რადგან ასეთია ადამიანის მსახურება ამქვეყნად მისი სიკვდილის წუთამდე – სულმუდამ უნდა ებრძოდეს უცხო ფიქრებს და სულმუდამ მაღლდებოდეს, რომ ღვთიური სახელის ღირსი გახდეს“.

მოწაფის სიტყვა

პარასკევს, როცა ბაალ შემ ტოვი თავის თავს ცდიდა, ისე დაუბნელდა სამყარო, რომ ლამის ჩაკვდა მასში სიცოცხლის სული.

ამ მდგომარეობაში შეუსწრო ცადიკს ერთმა მისმა დიდმა მოწაფემ და ხმის კანკალით აღმოხდა: „უფალო ჩემო და მოძღვარო!“ და დადუმდა, მეტის თქმა ვერ შეძლო.

მაშინ ახალი ძალა შევიდა ბაალ შემ ტოვის გულში და სიცოცხლის ნიშატი გაძლიერდა მასში.

მეტყველების ძალა

თქვა ბაალ შემ ტოვმა:

„როცა ლაპარაკობ, გახსოვდეს, რომ შენი მეტყველების ძალა შენი სულისგან მოდის, რომელიც ღვთის ნაწილია.

როცა ისმენ, გახსოვდეს, რომ მოსმენის ძალა შენი სულისგან მოდის.

მაშ, შეუერთე შენი სული შეხინას.

გახსოვდეს აგრეთვე, რომ შენი რიოში სიტყვები იმავე ბგერებისგან შედგება, რითაც წმინდა სიტყვები წარმოითქმის. ამიტომაც იმ რიოშ სიტყვებშიც არის სიწმინდე. ეცადე, თავიანთ პირველწყაროში მიაბრუნო ისინი“.

წინასწარგანზრახულობა

ბაალ შემ ტოვი ერთ თავის მოწაფესთან ერთად გზაზე მიდიოდა. მოწაფეს წყალი მოსწყურდა, მაგრამ ახლო-მახლოში არსად არ იყო წყალი და მან შესჩივლა ბაალ შემ ტოვს. ბაალ შემ ტოვმა უპასუხა: „თუ გწამს, რომ როცა ღმერთმა სამყაროს შექმნა ჩაიფიქრა, მან შენი ეს გასაჭირიც გაითვალისწინა და ამის სახსარიც მოიმარაგა?“ „კიო“, მიუგო მოწაფემ.

მცირე ხნის შემდეგ ერთი კაცი გამოჩნდა წყლით სავსე სათლით, და დაალევინა მწყურვალს წყალი. ბაალ შემ ტოვი შეეკითხა კაცს: საიდან გაჩნდი ამ უგზო ადგილას, ამსიშორიდან როგორ მოგაქვს წყალიო? კაცმა მიუგო:

„ჩემი ბატონი უეცრად ცუდად შეიქნა და მეც იძულებული გავხდი შორს წავსულიყავი წყლის მოსატანად“.

„ხედავ, გამართლდა შენი რწმენა“, განუმარტა ბაალ შემ ტოვმა მოწაფეს. „ვიდრე მიწა შეიქმნებოდა, ღმერთს ყველა ხდომილება გათვალისწინებული ჰქონდა. შემთხვევითობა არ არსებობს სამყაროში. ყველაფერი

დამოკიდებულია ადამიანის მიერ კეთილის არჩევაზე და იმაზე, თუ როგორ მოიხმარს ადამიანი ჭკუა-გონებას, რომელიც მიენიჭა მას“.

უფლის სამსახური

თქვა ბაალ შემ ტოვმა: „როცა საჭმელს გემოს ატან, გახსოვდეს, უფლის ჩადებულია საჭმელში მისი გემო და სიტკბო. მაშ, იცოდე, რომ ჭამის დროსაც ემსახურები უფალს.“

სხეულისადმი

ბაალ შემი თავის სხეულს ეუბნებოდა:

„მიკვირს, როგორ არ იმსხვრევი, ჩემო სხეულო, შენი გამჩენის შიშით?“

რაც ბაგეს სურს

თქვა ბაალ შემმა:

„როცა ჩემს გონებას ღვთისკენ მივაპყრობ ხოლმე, ჩემს ბაგეს იმას ვალაპარაკებ, რაც მას სურს, რადგან მაშინ იგი მის ზემოთა ფესვზეა მიბმული“.

არავინ არის უცოდველი

თქვა ბაალ შემ ტოვმა:

„არც ერთ ჭეშმარიტ წმინდას არ შეუძლია სხვებში სიბოროტის დანახვა. ნამდვილმა ცადიკმა არ იცის, დამნაშავეა თუ არა ვინმე, კაცი თუ ქალი. ამიტომაც ის ვერ იქნება სხვებისთვის მაგალითი და ვერ შეძლებს ხალხის დამოძღვრას. ამის გამოა, რომ არ არსებობს ამქვეყნად ადამიანი, რომელსაც ცოდვა არ ჩაედინოს. ცოდვა ცადიკს ადამიანურს ხდის და სხვების დამოძღვრის უნარს ანიჭებს“.

სიმარტივე

ერთხელ ბაალ შემ ტოვმა უთხრა თავის მოწაფეებს: „ახლა, როცა მე გადავლახე ყველა ზღურბლი ღვთის მსახურებისა, მაქვს უფლება განვშორდე ყოველივე ამას და მარტივი რწმენის შენარჩუნებით უფლის ჭურჭელი გავხდე. რადგან დაწერილია: „გულუბრყვილოს სწამს ყოველი სიტყვა“ (იგავ. 14:15) და „იცავს უფალი გულუბრყვილოებს“ (ფსალმ. 114:6).

ჩანაწერები

ერთი მოწაფე ჩუმად იწერდა ყველაფერს, რასაც ბაალ შემ ტოვისგან ისმენდა. ერთხელ ბაალ შემ ტოვმა დაინახა, რომ მის სახლში ეშმაკი დადის წიგნით ხელში. რაბი შეეკითხა, „ეს რა წიგნიაო?“ ეშმაკმა უპასუხა: „შენი დაწერილიაო“.

ასე შეიტყო ბაალ შემ ტოვმა, რომ ერთი მისი მოწაფეთაგანი ჩუმ-ჩუმად იწერს მის ნალაპარაკევს. შეკრიბა ყველანი და ჰკითხა: „რომელი თქვენგანი იწერს, რასაც მე გასწავლით?“ მოწაფე, რომელიც იწერდა, გამოტყდა და გადასცა ჩანაწერი. ბაალ შემ ტოვი დიდხანს სწავლობდა ფურცელ-ფურცელ ჩანაწერს და ბოლოს თქვა: „აქ ერთი სიტყვაც არ არის ჩემგან წარმოთქმული. შენ მე მისმენდი, მაგრამ არა ცათა სახელით, ამიტომაც ბოროტების ძალებმა დაგიბინდეს გონება და შენი ყურები ჩემს ნალაპარაკევს ვერ ისმენდნენ“.

სატანის სიბეჯითე

თქვა ბაალ შემ ტოვმა:

„თუ სატანი არ გეშვება და ბეჯითად ცდილობს, ბოროტება ჩაგადენინოს, იცოდე, ის კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას. ისწავლე მისგან სიბეჯითე შენი აუცილებელი მოვალეობის შესასრულებლად, სახელდობრ, მისი მცდელობების მოსაგერიებლად“.

მოუცლელი კაცის ლოცვა

ამბობდა ბაალ შემ ტოვი: „წარმოიდგინეთ კაცი, რომელიც მთელი დღე დარბის ქუჩებსა და ბაზრებში. მას დავიწყებულიც კი აქვს, რომ არსებობს სამყაროთა შემოქმედი. მხოლოდ მაშინ, როცა დადგება ნაშუადღევის ლოცვის ჟამი, მოაგონდება, ლოცვის დროა, უნდა ვილოცოო. და მაშინ მას გულის სიღრმეებიდან აღმოხდება სინანულის ოხვრა, რომ მთელი დღე ფუჭად და ამაოებაში გაატარა. ასე დგას იგი შუა ქუჩაში და ლოცულობს. ამ დროს ხარობს ღმერთი, დიდად ხარობს მის გამო, და ლოცვა ამ კაცისა ცამდე აღწევს“.

უდიდესი სასწაული

ერთი ბუნებისმეტყველი შორიდან მოვიდა ბაალ შემ ტოვის სანახავად. შეხვედრისას უთხრა: „ჩემი გამოკვლევები მიჩვენებს, რომ ბუნების კანონების თანახმად, მეწამული ზღვა სწორედ მაშინ უნდა გაპობილიყო, როცა ისრაელიანებს უნდა გადაელახათ იგი. სად არის აქ სასწაული?“

ბაალ შემ ტოვმა უპასუხა: „განა არ იცი, რომ ბუნება თავის კანონებიანად ღვთის შექმნილია? და მან შექმნა იგი ისე, რომ სწორედ იმ ჟამს, როცა ისრაელიანები გადალახავდნენ მეწამულ ზღვას, მისი ნაკადი შეწყდებოდა. ეს არის უდიდესი სასწაული“.

ცოდვილებთან

ამბობდა ბაალ შემ ტოვი: „ნებას ვრთავ ცოდვილებს, რომ მომიახლოვდნენ, თუკი ამპარტავნობა არ არის მათში. ხოლო მწიგნობრებს და უცოდველთ, თუ ამპარტავნობენ, არ მოვუშვებ. იმიტომ, რომ ღმერთი ცოდვილთან არის, რომელმაც იცის, რომ ცოდვილია და ამიტომ არაფრად მიაჩნია თავი, რადგან ღმერთი „მის ყველა სატანჯველში თვითონაც იტანჯება“ (ეს. 63:9). მაგრამ, როგორც *გემარადან* ვიცით, ღმერთი ასე ეუბნება მათ, ვინც ამაყობს თავისი უცოდველობით: „სამყაროში არ არის ისეთი ადგილი, სადაც თქვენთან ყოფნას ვინებებდი“.

ნანგრევებს შორის

ერთი ცადიკის ნაამბობი.

ერთხელ სიზმრად უმაღლესი სამოთხის ბაღში მოვხვდი. იქ ვიხილე ზეციური იერუსალიმის კედლების ნანგრევები. ამ ნანგრევებში განუწყვეტლივ მიდი-მოდიოდა ვიღაც კაცი. რომ ვიკითხე, ვინ არის-მეთქი, „ეს რაბი ისრაელ ბაალ შემ ტოვი არისო“, მითხრეს, „დაფიცებული აქვს, არ დატოვოს აქაურობა, სანამ ტაძარი არ აღდგება“.

თავის სხეულს

ასე ეუბნებოდა ბაალ შემ ტოვი თავის სხეულს: „მიკვირს, სხეულო, როგორ არ იმსხვრევი შენი შემქმნელის შიშით!“

ხასიდების ცეკვა

სიმხათ-თორას[1] დღესასწაულზე ბაალ შემ ტოვის მოწაფეებმა მის სახლში ქეიფი გამართეს. ცეკვავდნენ, სვამდნენ, და სულ ღვინოზე ჩარბოდნენ სარდაფში. რამდენიმე საათის შემდეგ ცოლი შევიდა ბაალ შემ ტოვის ოთახში და უთხრა: „თუ ისინი სმას არ მოეშვნენ, შაბათის რიტუალისთვის ღვინო აღარ გვექნება“.

ბაალ შემ ტოვს გაეცინა და მიუგო: „მართალი ხარ. წადი და უთხარი, რომ მოეშვან სმას“.

როცა ქალმა დიდი ოთახის კარი გააღო, დაინახა მოცეკვავე ხასიდები და მათ გარშემო ცისფრად მოციაგე რკალი. და ქალმა, ამის შემხედვარემ, მარჯვენით ერთი დოქი დაიჭირა, მარცხენით – მეორე და სარდაფში ჩავიდა, რადგან უკვე მსახურებიც ცეკვავდნენ. მალე იგი ღვინით სავსე დოქებით დაბრუნდა.

გლეხის კვერცხი

თქვა ბაალ შემ ტოვმა:

„ერთ გლეხს კვერცხი ეჭირა ხელში და ოცნებობდა: ამ კვერცხზე კრუხს დავსვამ, კრუხი წიწილებს გამოჩეკავს, წიწილა კიდევ სხვა წიწილებს, გავყიდი მათ და ხბოს ვიყიდი. მერე ხბო... და ამ ოცნებაში მაგრად მოუჭირა კვერცხს ხელი და კვერცხი თითებში შემოეჭყლიტა.

ასე მოსდით იმათ, ვინც კმაყოფილდება მიღწეული სიწმინდით და ცოდნით და სულ იმას ფიქრობს, რომ სხვებზე აღმატებულია. მაგრამ არ უწყიან, რომ ამგვარი ფიქრით იმ მცირეოდენსაც კარგავენ, რასაც მიაღწიეს“.

---

[1] ამ დღეს მთავრდება თორის კითხვის წელიწდეული და იწყება ახალი ციკლი.

ჭეშმარიტება

თქვა ბაალ შემ ტოვმა: „რას ნიშნავს სიტყვები: „სიმართლე მის წინაშე ვიდოდის“? (ფსალმ. 84:14). ეს ნიშნავს, რომ იგი არასოდეს ერთ ადგილზე არ არის გაჩერებული, რომ იგი მარადიული მგზავრია“.

ვარიანტი: „ეს ნიშნავს, რომ ის დევნილია და განწირულია სახეტიალოდ“.

სიყვარული

უთხრა ბაალ შემ ტოვმა ერთ თავის მოწაფეს: „იცი შენ, რომ უსაძაგლესი საძაგელთა შორის, როგორის წარმოდგენაც კი შეგიძლია, უფრო მიყვარს, ვიდრე შენ – შენი ერთადერთი შვილი“.

შეხინას ემისარი

თქვა ბაალ შემ ტოვმა: „ჭეშმარიტი მლოცველი ის არის, რომელიც ყველა თავის ვედრებაში შეხინას აღმოაჩენს. ის მოქმედებს, როგორც შეხინას ემისარი, რომელიც ფიქრებს სიტყვებად გარდაქმნის“.

შეხინას შემოსვლა

თქვა ბაალ შემ ტოვმა: „როცა კაცი ამიდას ლოცვას იწყებს და ამბობს შესავალ სიტყვებს „ო, უფალო, გამიხსენი ბაგეები!“ შეხინა იმწამსვე შედის მის ხმაში და მისი ხმით ლაპარაკობს. გახსოვდეს ეს და არაფრის შიში არ გექნება“.

ურჩი შვილი

მამამ შესჩივლა ბაალ შემ ტოვს შვილის გამო, ღმერთი სულ დაივიწყა და რა ვქნაო, რაბი?“

„უფრო მეტად შეიყვარე, ვიდრე ოდესმე გიყვარდაო“, მიუგო ბაალ შემ ტოვმა.

სტუმრობა

ბაალ შემ ტოვის მოწაფეები მოძღვრის სახეზე ხვდებოდნენ, იმყოფება თუ არა მათ შორის შვიდი მწყემსი ან, თუნდაც ერთი მათგანი.

ერთხელ, ახალმთვარობის სერობაზე, მათ შეხედეს მასწავლებელს და მიხვდნენ, რომ მათ შორის ერთი მწყემსთაგანი იმყოფებოდა. მოგვიანებით მათ ჰკითხეს ბაალ შემ ტოვს, ვინ იყოს ეს სტუმარი. ბაალ შემ ტოვმა მიუგო: „პურის კურთხევისას სერობის საიდუმლოზე ვფიქრობდი და მთლიანად მომიცვა ამ ფიქრებმა. და მაშინ მოსე, ჩვენი მოძღვარი, მშვიდობა სუფევდეს მასზე, გამომეცხადა და მითხრა: „მშვიდობა შენდა, რადგან სწორედ ახლა მე ითროსთან ერთად, ჩემს სიმამრთან, სერობაზე ვიჯექი და იმავე საიდუმლომ ჩამაფიქრა, რაზეც შენ ფიქრობდი“.

ხატად ღვთისა

ერთხელ ბაალ შემ ტოვმა რაღაც მნიშვნელოვანი საქმისათვის ავსულთა მეუფე სამაელი გამოიძახა. მეუფემ შეუღრიალა: „როგორ ბედავ ჩემს გამოძახებას! აქამდე მხოლოდ სამგზის ვიყავი გამოძახებული: ცნობადის ხესთან, ოქროს ხბოს შექმნისას და იერუსალიმის დანგრევის ჟამს“.

ბაალ შემ ტოვმა უბრძანა თავის მოწაფეებს შუბლები გამოეჩინათ და სამაელმა თითოეულ მათგანზე ღვთის ხატის ნიშანი დაინახა. ამიტომ მან ყველაფერი შეასრულა, რაც ბაალ შემ ტოვმა დაავალა. მაგრამ სანამ დატოვებდა მას და მის მოწაფეებს, სამაელმა თხოვა მათ: „ცოცხალი ღმერთის შვილებო, მცირე ხანს კიდევ მამყოფეთ თქვენთან და მაყურებინეთ თქვენი შუბლებისთვის“.

თორის გასაღები

თქვა ბაალ შემ ტოვმა:

„მეფეს ძვირფასი თვალი გადმოუვარდა ბეჭდიდან და თავის საყვარელ შვილს მისცა გასაღები, თუ სად უნდა ეძებნა იგი, რათა შვილს გამოეჩინა სიბეჯითე და გამჭრიახობა მამის

საამებლად. ასევე, ღმერთმა ჩამოყარა თავისი სიწმინდის ნაპერწკლები. თავისი თორის მეშვეობით მან ისრაელს მისცა იმ ადგილთა გასაღებები, სადაც ისინი მიწაზე დაცვივდნენ, რომ ისრაელმა უკან დააბრუნოს ისინი“.

გარე და შიდა შიში

თქვა ბაალ შემ ტოვმა:

„ღვთის შიში ორგვარი არსებობს: გარე და შიდა. გარე შიში სასჯელის შიშია და ადამიანში სინანულის გრძნობის გამოწვევას ემსახურება. ხოლო მონანულს შეუძლია შიდა შიშის მოპოვება, იმის შიშის, რომ ვაითუ აწყენინა საყვარელ მამას ცათა შინა და მაშინ მისთვის გარე შიში საჭირო აღარ იქნება“.

ქმნადი სამყარო

თქვა ბაალ შემ ტოვმა:

„დაწერილია: „განახლდებიან ისინი ყოველ დილით: დიდია შენი რწმენა“ (გოდ. 3:23). ადამიანს უნდა სწამდეს, რომ სამყარო ყოველდღე ხელახლა იქმნება და რომ ის ყოველ ცისმარე დილით იბადება. მაშინ მისი რწმენაც გაძლიერდება და ის ყოველდღიურად განახლებული გულისყურით შეუდგება უფლის სამსახურს“.

უარი

ერთი ქალაქის მცხოვრებნი სთხოვდნენ ბაალ შემ ტოვს, დაეთანხმებინა მისი მოწაფე იეხიელ-მიხალი, მათი რაბინი გამხდარიყო. ბაალ შემ ტოვი ბევრს ეცადა, დალაპარაკებოდა ამ საქმეზე, მაგრამ მიხალს გაგონება არ უნდოდა.

„თუ არ გამიგონებ, – უთხრა ბოლოს ბაალ შემ ტოვმა, – დაკარგავ წილს ამქვეყნად და იმქვეყნადაც“.

„ასეც რომ მოხდეს, – მიუგო მიხალმა, – მაინც არ დავთანხმდები იმაზე, რაც მე არ მეკუთვნის“.

„მაშინ, მიიღე, შვილო, ჩემი კურთხევა, – უთხრა ბაალ შემ ტოვმა, – შენ გაუძელი განსაცდელს“.

ყრუ

რაბი მოშე-ხაიმ-ეფრაიმი, ბაალ შემ ტოვის შვილიშვილი ყვებოდა:

„აი, რა მოვისმინე პაპაჩემისგან. ერთი ვიღაც მევიოლინე ისე საამურად უკრავდა, რომ ყველა, ვინც კი ისმენდა, აცეკვდა, გამვლელებიც ჩაებნენ ცეკვაში. იყო იქ ერთი ყრუ კაცი, რომელსაც ვიოლინოს ხმები არ ესმოდა. ყველაფერი, რასაც ხედავდა, სიგიჟედ მიაჩნდა: ფიქრობდა, ჭკუაზე შეიშალნენ ან რაღაც უზნეოდ იქცევიანო.

ტვირთი

ერთ დილას ბაალ შემმა მხარზე ხელი იგრძნო და, როცა უკან შეტრიალდა, ბრძოლის ანგელოზი დაინახა, ფერმკრთალი შუბლი და მრისხანე წარბები ჰქონდა. „რა გსურს, მოძღვარო?“ ჰკითხა დაბნეულმა. მიუგო: „შენ თავად იცი“, და განშორდა. მისი ხელი მოსცილდა ბაალ შემის მხარს, მაგრამ ტვირთი დარჩა, არ მოსცილებია.

გაჩენის მიზანი

სიკვდილის წინ ბაალ შემ ტოვმა თქვა:

„ახლა ვიცი მიზანი, რისთვისაც გავჩნდი“.

ცეცხლოვანი მთა

რაბი ცვი, ბაალ შემ ტოვის ვაჟი ყვებოდა:

„გარდაცვალების შემდეგ მამაჩემი ერთხელ ცეცხლის მთის სახით ვიხილე, ურიცხვ ნაპერწკალს აფრქვევდა. როცა შევეკითხე, ასეთი სახით რატომ ჩანხარ-მეთქი, მომიგო, მე ასე ვემსახურებოდიო ღმერთს“.

ალი ნაცრიდან

ჰკითხეს დოვ-ბერ მეჟერიჩელს, დიდ მაგიდს, როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ჩვენი ლოცვა ისეთი მხურვალე იყოს, რომ ღმერთთან ადიოდესო.

მაგიდმა მიუგო: „ნათქვამია, რომ ვინც ცეცხლს ეძებს, ნაცარი უნდა გაქექოს. მე კი ვამბობ: საკმარისია ადამიანმა გაიხსენოს, რომ ის მხოლოდ ნაცარი და მტვერია, თითქმის არარაა, იმ ღვთიური ნაპერწკლის გარეშე, რომელიც მას განასულიერებს, რომ იმწამსვე ნაცარში დაფარული ნაპერწკალი ძლიერ ალად იფეთქებს“.

უანგარო სამსახური

ერთხელ დოვ-ბერ მეჟერიჩელი მაგიდის ცოლი არწევდა მშიერ ბავშვს, რომელიც ისე დასუსტებულიყო, რომ ტირილიც არ შეეძლო. მაშინ პირველად თავის სიცოცხლეში მაგიდმა მოიწყინა. და იმწამსვე გაისმა ხმა: „შენ წაგერთვა წილი საიქიო ცხოვრებაში“.

„რა ვქნა, – თქვა მაგიდმა, – დავიმსახურე. ამიერიდან შემიძლია ღმერთს უანგაროდ ვემსახურო“.

წმინდა ნაპერწკლები ცოდვაში

თქვა რაბი დოვ-ბერ მეჟერიჩელმა: „ღვთიური ბრწყინვალეების ნაპერწკლები ცოდვაშიც კი ჰგიეს. და რა არის ეს ნაპერწკლები, ცოდვაში რომ ჰგიეს? სინანული. სინანულის ყოველ ჟამს და ცოდვისგან ყოველ განრიდებისას ნაპერწკლები, რომლებიც ცოდვაშია, მაღლისაკენ მიემართებიან“.

დევნილებაში

ამბობდა მეჟერიჩელი მაგიდი: „ახლა, როცა დევნილებაში ვართ, სიწმინდის სული უფრო ადვილად ივანებს ჩვენზე, ვიდრე მაშინ, როცა ტაძარი იდგა.

ერთხელ მეფე თავისი ქვეყნიდან განდევნეს და ის იძულებული იყო ეხეტიალა. ხეტიალისას ერთი ღარიბ-ღატაკის სახლში მოხვდა, სადაც მან მცირედი საზრდო და ჭერი ჰპოვა, მაგრამ მეფურად კი მიიღეს. გაიხარა მეფემ და ისე შეიტკბო სახლის პატრონი, როგორც თავისი კარის დაახლოებული პირნი.

ახლა, დევნილებაში, ღმერთიც ასე იქცევა.

დევნილებაში უფრო ადვილია ღვთიური შთაგონების მიღება, ვიდრე ტაძრის დღეებში. როცა მეფე სასახლეში იმყოფება, ძნელია, მის წინაშე წარდგომა. მაგრამ როცა მგზავრობს, ადვილად შეძლებ მასთან მიახლოებას“.

უკანასკნელი სასწაული

ამბობდა მეჟერიჩელი მაგიდი: „ცათა და მიწის შესაქმე არარადან რაიმეს წარმოშობაა, ზემოთის ქვემოთამდე ჩამოსვლა. მაგრამ ცადიკები, თავიანთი ღვაწლით რომ განარიდებენ თავს ნივთობრიობისგან და მხოლოდ ღმერთზე ფიქრობენ, ჭეშმარიტებაში ჭვრეტენ სამყაროს და იმგვარად წამოიდგენენ ქმნილებას, როგორიც ის შესაქმემდე იყო. ისინი რამეს კვლავ არარად აქცევენ. და ეს უფრო მეტი სასწაულია, რადგან ის უქვემოესიდან ამოდის. გემარაში ხომ ნათქვამია: „პირველზე დიდია უკანასკნელი სასწაული“.

შუალედური საფეხური

ამბობდა მეჟერიჩელი მაგიდი: „არაფერი ამ სამყაროში არ გადავა ერთი რეალობიდან მეორეში, თუ ჯერ არარად არ იქცა, თუ შუალედურ რეალობას არ მიაღწია. ამ არარას შეცნობა არავის ძალუძს, რადგან იგი შესაქმეს უსწრებს წინ. მხოლოდ ამ საფეხურს მოსდევს ახალი შესაქმე, მსგავსად კვერცხიდან გამოჩეკილი წიწილასი. ის წამი, როცა კვერცხის განადგურება დასრულებულია და წიწილა ჯერ არ დაწყებულა, არარაა. ფილოსოფოსები ასწავლიან, რომ არარა თავდაპირველი მდგომარეობაა, რომლის შემეცნება შეუძლებელია, რადგან იგი წინ უსწრებს შესაქმეს. ამას ქაოსს უწოდებენ. იგი გაღივებული თესლის მსგავსია. თესლი აღმოცენებას არ იწყებს, ვიდრე არ გაფუვდება მიწაში და არ დაკარგავს თესლის თვისებას და სახეს. ეს იმიტომ ხდება, რომ მან არარას, ახალი შესაქმის დასაწყისს, მიაღწიოს. ამ საფეხურს შეუცნობელ საწყისს ან

გამოუვლენელ ფიქრს უწოდებენ. შემდეგ აზრი ბადებს ახალ ქმნილებას, რადგან ნათქვამია: „ყოველივე სიბრძნით შეჰქმენ“ (ფსალმ. 103:24).

მეჟერიჩელი მაგიდი იტყოდა

ვინ არის ღვთის ჭეშმარიტი მორწმუნე? ის, ვისაც სწამს, რომ *შეხინა* მუდამ მასშია და იცავს მას;

რომ იგი შემოქმედშია და შემოქმედი მასშია:

რომ რომ შემოქმედი თავისი ნების აღმასრულებელია: წამისყოფაში ქმნის სამყაროებს და წამისყოფაში ანადგურებს მათ;

რომ მასშია წყარო ყველა სიკეთისა და ყველა უბედურებისა;

რომ მისი გავლენა და ცხოველმყოფელი ძალა ყველა ქმნილებაში ჰგიეს.

რწმენა ყოვლის საფუძველია. შესაძლებელი უფლის მსახურება გადმოცემით, ცოდნის გარეშე. მაგრამ შეუძლებელია უფლის მსახურება რწმენის გარეშე.

გუნდა

ვიდრე მეჟერიჩელი მაგიდი ორი ძმის – შმელკესა და ფინხასის განსწავლას შეუდგებოდა, ჯერ უამბო, თუ როგორ უნდა იქცეოდნენ დღის განმავლობაში გამოღვიძებიდან დაძინებამდე. ამას რომ არიგებდა, მაგიდი ითვალისწინებდა ყველა მათ ჩვევას, თითქოს მთელი სიცოცხლე იცნობდა მათ, ზოგს უსწორებდა, ზოგს უწუნებდა. ბოლოს უთხრა: „ვიდრე დასაძინებლად დაწვებოდეთ, გაიხსენეთ, რა გააკეთეთ დღის განმავლობაში. მაგრამ უწყოდეთ: როცა ადამიანი განიხილავს განვლილ ცხოვრებას და ხედავს, რომ არც ერთი წუთი ფუჭად არ გაუტარებია, მისი გული სიამაყით ივსება და მაშინ ცაში შეაგროვებენ ამ კაცის კეთილ საქმეებს, აგუნდავებენ მათ და გუნდას უფსკრულში მოისვრიან“.

რწმენა

რაბი დავით ლეიკესმა, ბაალ შემ ტოვის მოწაფემ, თავის სიძესთან, ჩერნობილელ რაბი მორდეხაისთან სტუმრობისას, ჰკითხა ხასიდებს, მისი ოთახიდან გამომავალთ: „ვინ ხართ თქვენ?“ მიუგეს, რაბი მორდეხაის ხასიდები ვართო. მაშინ რაბი დავითი შეეკითხა მათ, მტკიცე იყო თუ არა მათი რწმენა მოძღვრისადმი. ხასიდებმა ვერაფერი უპასუხეს, ვინაიდან ვინ გაბედავდა თქმას, რომ მტკიცეა მისი რწმენა.

„მე გეტყვით, უთხრა მათ რაბიმ, რა არის რწმენა. ერთ შაბათს, როგორც ხშირად ხდებოდა ხოლმე, მესამე ტრაპეზი ბაალ შემ ტოვთან გვიან საღამომდე გაგრძელდა. ბოლოს, ფეხზე დგომით წარმოვთქვით სუფრის კურთხევა, წავიკითხეთ მწუხრის ლოცვა, შევასრულეთ *ჰავდალა*[1] და შევუდექით შაბათის გამოსათხოვარ ტრაპეზს. ყველანი უპოვარნი ვიყავით, გროშიც არ გვებადა, მით უმეტეს, შაბათის შემდეგ. და მაინც ტრაპეზის დასასრულს ბაალ შემ ტოვმა მითხრა: „დავით, მომეცი ფული თაფლუჭისთვის!“ იმწამსვე ჯიბეში ჩავიყავი ხელი, თუმცა ვიცოდი, რომ არაფერი მეგულებოდა. ხელში ოქროს მონეტა მომხვდა, ამოვიღე და მივეცი ფული“.

ცადიკმა უნდა დაიმდაბლოს თავი

თქვა პოლონოელმა რაბიმ:

„როცა ცადიკი სამართლიანობის კიბის მაღალ საფეხურზეა, მას კავშირი გაწყვეტილი აქვს უბრალო ხალხთან. იგი უნდა ჩამოვიდეს უფრო დაბალ საფეხურზე, რათა უბრალო ხალხმა შეძლოს უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა. ამას მოწმობს იაკობის კიბე, რომელიც მიწაზე იდგა, მაგრამ ცას სწვდებოდა“.

---

[1] „განყოფა“, რიტუალი, რომელიც სრულდება შაბათის ან რომელიმე დღესასწაულის დასასრულს. რიტუალი განყოფს ერთმანეთისგან წმინდა და სადაგ დღეებს.

ბალაამი და წინასწარმეტყველნი

თქვა პოლონოელმა რაბიმ:

„ბალაამმა ქება-დიდების ნიაღვარი მიუღვარა ისრაელს, წინასწარმეტყველნი კი მასზე სულმუდამ წყევლა-კრულვას აწვიმებდნენ. რომელი მათგანი იყო უკეთესი მეგობარი? თითოეულის საბოლოო განზრახვა იძლევა პასუხს. ბალაამის ქება თვითკმაყოფილებას ბადებდა ისრაელში და გაუმჯობესების მოთხოვნილებას კლავდა მათში. რომ მიეღოთ ბალაამისგან ქება-დიდება, სხვა ხალხებს დაემსგავსებოდნენ. წინასწარმეტყველთ კი სურდათ, ისრაელს სიწმინდისა და სიკეთის მაღალი საფეხურისთვის მიეღწია. ამიტომაც კიცხავდნენ მას მცირე ცოდვებისთვისაც კი და თავს არ იკავებდნენ მათ ნაკლოვანებათა გაზვიადებისგან.

ეს სოფელი საქორწილო დარბაზია

ბრძენთა სიტყვა – „ეს სოფელი ქორწილის მსგავსია“ – პოლონოელმა რაბი იაკობ-იოსეფმა ამგვარად განმარტა:

„როგორც ქორწილის მიზანია სასიძოს შეერთება სასძლოსთან, ასევე კაცის ვალია ამსოფლად ღვთაებასთან შეერთება“.

მშვიდობისმყოფელი

გვასწავლიან, რომ დიდი მცნებაა (*მიცვა*) მშვიდობის დამყარება ორ მოშუღარს შორის. მაგრამ მე უფრო დიდ მცნებას გეტყვით: ეს არის მშვიდობის დამყარება თქვენს სხეულსა და სულს შორის, რათა მატერიალიზმმა არ დაიმორჩილოს თქვენი სული.

ქვიშა და ცეცხლი

იაკობ-იოსეფმა, პოლონოელმა რაბიმ, თქვა:

„ებრაელები რჯულის წიგნში ქვიშას არიან შედარებული (დაბ. 32:13). ქვიშის ყოველი მარცვალი განსხვავებულია და მხოლოდ ცეცხლი გადაადნობთ მათ ერთიან მინაში. ასევე ისრაელიანები განცალკევებულნი არიან ერთმანეთს შორის და მხოლოდ უბედურება აერთიანებს მათ“.

ქვიშა და წყალი

თქვა პოლონოელმა რაბიმ:

„შენ იცი, რომ თორაში ებრაელობა ქვიშას არის შედარებული და, ვიდრე მშრალია ქვიშა, ის ქვიშაა, მაგრამ როგორც კი წყალი მიეღვრება მას, ტალახად იქცევა“.

ბოროტის ჯოჯოხეთი

თქვა პოლონოელმა რაბიმ:

„სამოთხეში მოხვედრა ბოროტი კაცისთვის ჯოჯოხეთზე უარესია. აქ ის ვერ შეხვდება იმ სიამეებს, ცხოვრებაში რომ ატკბობდა: ვერც ჭამა-სმას, ან სხვა ხორციელ სიამოვნებებს. ისინი მხოლოდ ცადიკებს შეხვდებიან, რომელთა სიხარული უფალთან სიახლოვეა. და ვინ არიან ეს ცადიკები, რომლებსაც სამოთხეში ამგვარი ხვედრი აქვთ? ეს ის ხალხია, ვისაც ბოროტი ადამიანები ზიზღით უყურებდნენ და მათ სწავლებას არად აგდებდნენ. რა უნდა იგრძნონ ამ ადამიანებმა სამოთხეში, გარდა სიმწარისა? განა შეეძლებათ მათ, განიცადონ შეხინასთან სიახლოვის სიხარული, როცა სიცოცხლეში სულისთვის არ ზრუნავდნენ?“

დამსხვრეული ჭურჭლები

ამბობდა კორეცელი რაბი ფინხასი: „ყველამ ვიცით, რომ უხსოვარ დროში, როცა ღმერთი სამყაროებს ქმნიდა, უზენაესი ჭურჭლები შეუქმნელი ნათლით აავსო, მაგრამ ჭურჭლებმა ვერ გაუძლეს მათში მოქცეულ სიმდიდრეს და დაიმსხვრნენ. ამიტომ ქვემო სამყაროებშიც შეაღწია ნათელმა და ისინი სიბნელეში არ დარჩნენ. ასევე ცადიკი ამსხვრევს თავის გულს და თავისი სულის ჭურჭლებს“.

ქოხები

ამბობდა რაბი ფინხასი: „ღმერთის დამოკიდებულება ცოდვილისადმი ჰგავს თავადის დამოკიდებულებას ქოხებისადმი, რომლებიც მას ტყეში ან სოფელ ადგილებში აქვს, რათა თავი

შეაფაროს მათ ნადირობისას თუ მგზავრობისას. არც ერთი სასახლე მისთვის ერთ ასეთ ქოხადაც არ ღირს. ქოხი და სასახლე ერთმანეთს არ ცვლის. რაც მცირეს შეუძლია, ის დიდს არ ძალუძს. ასეა მართალიც: თუმცა დიდია იგი და დიდია მისი საქმენი, მას არ ძალუძს იმის კეთება, რასაც ცოდვილი აკეთებს, როცა ის ლოცულობს ან რასმე სჩადის უფლის დიდებისთვის. და ღმერთი, რომელიც გადმოხედავს ამ ცოდვილ წუთისოფელს, ხარობს მის გამო. ამიტომაც მართალს არ ეგების თავი ცოდვილზე უპირატესად მიიჩნიოს".

გიყვარდეს მეტად

როცა რაბი ფინხასი და მისი მოწაფეები ცოდვილ და ბოროტ ადამიანებზე ლაპარაკობდნენ, ისინი ბაალ შემ ტოვის რჩევას იხსენებდნენ, რომელიც მან რჯულისგან განმდგარის მამას მისცა: „ახლა შენ შვილი უფრო მეტად უნდა გიყვარდეს".

რაბი ფინხასი და მისი მოწაფეები ამბობდნენ: „როცა შენ ხედავ, რომ ვიღაცას სძულხარ და ბოროტად გექცევა, ძალა მოიკრიბე და შეიყვარე იგი. მხოლოდ ამ გზით შეგიძლია შეცვალო მისი დამოკიდებულება შენდამი. რადგან მთელი ისრაელი ღვთიური ეტლია. თუ ისრაელიანთა შორის იქნება სიყვარული და თანხმობა, შეხინა და სიწმინდეც მათთან იქნება. მაგრამ თუ (ღმერთმა ნუ ქნას!) მათში განხეთქილება მოხდება, სიწმინდე ნაჭუჭის ტყვეობაში აღმოჩნდება. ასე რომ, თუ შენი მოყვასი სულით გშორდება შენ, წინანდელზე უფრო მეტად დაუახლოვდი, რათა ამოივსოს წარმოქმნილი უფსკრული".

ლოცვა ცოდვილთათვის

ამბობდა რაბი ფინხასი: „ჩვენ უნდა ვლოცულობდეთ ამა ქვეყნის ცოდვილთათვის. ჩვენ უნდა შევიყვაროთ ისინი. ვიდრე არ ვილოცებთ მათთვის და არ შევიყვარებთ მათ, არ მოვა მესია".

და კიდევ: „ჩემმა რაბი რაფაელმა იცოდა, როგორ უნდა შევიყვაროთ უკანასკნელი ცოდვილი".

ცეცხლით განწმენდა

თქვა კორეცელმა რაბი ფინხასმა:

„ოქრო და ვერცხლი ცეცხლით განიწმინდება. თუ შენ ვერ გრძნობ უკეთესობას ლოცვის შემდეგ, შენ ან მდარე ლითონისგან ყოფილხარ შექმნილი, ან შენი ლოცვა ცივი ყოფილა“.

რისხვის დამორჩილება

თქვა კორეცელმა რაბიმ:

„დიდი ხნის წინათ დავამარცხე რისხვა და ჯიბეში ჩავიდევი. როცა დამჭირდება, ამოვიღებ“.

შუაგულთან გაერთიანება

თქვა კორეცელმა:

„ვიყოთ როგორც წრის შუაგულისკენ მიმავალი სხივები: ყველა ერთ წერტილთან მივა და იქ გაერთიანდებიან. ნუ ვიქნებით პარალელური ხაზებივით, ერთმანეთს რომ არასოდეს შეხვდებიან“.

ღვთის უპირველესი ატრიბუტი

თქვა კორეცელმა:

„თუ ადამიანს არ შეუცოდავს, უფალი ვერ გამოიყენებს მის მიმართ შეწყალების ატრიბუტს, არამედ მხოლოდ სამართლიანობისას. აქედან ის დასკვნა გამომდინარეობს, რომ ცოდვილნიც კი აამებენ ღმერთს: მისი უპირველესი ატრიბუტის გამოყენების შესაძლებლობას აძლევენ“.

სპინოზა და ცხოველები

ერთხელ რაბი ფინხას კორეცელს უთხრეს, რომ არსებობს ერთი ბრძენი, სახელად სპინოზა, რომელიც ამტკიცებს, ადამიანს იგივე ბუნება აქვს, რაც ცხოველებს, და რომ ადამიანი არაფრით მათზე მაღლა არ დგას.

რაბის გაეცინა და თქვა: „ერთი შეეკითხონ ამ თავისუფლად მოაზროვნე ადამიანს, თუ შეუძლიათ ცხოველებს თავიანთ შორის წარმოშვან სპინოზა“.

პატივი და სიამაყე

თქვა კორეცელმა რაბიმ: „თუ კაცი პატივს გცემს, ის თავის თავს ამ მომენტში შენზე ნაკლებ მნიშვნელოვნად მიიჩნევს და ამის გამო ის შენზე უკეთესი ხდება. რამდენადაც მეტად გაფასებს, იმდენად იზრდება იგი შენს ხარჯზე. მაშ, როგორ უნდა იგრძნო თავი ამაყად, როცა პატივით ხარ გარემოცული?“

სიამენი სამოთხეში

თქვა კორეცელმა რაბიმ:

„ყველა სიამოვნება, უბრალო ხუმრობაც კი სამოთხის სიამეთა წილის ხარჯზე მოდის. რაც უფრო იხარებ ამ წუთისოფელში, მით უფრო ნაკლები გრჩება იმ სოფლისთვის. მაშ, გონივრულად მოიქეცი, თავი შეიკავე უზომო სიამეთაგან, რათა მარადიულ სოფელში მეტი წილი მიიღო“.

შეხინა დარაჯად

თქვა კორეცელმა რაბიმ:

„შობის ტკივილები მაშინ ძლიერდება, როცა ახლოა მშობიარობის ჟამი. მსგავსადვე, უსასტიკეს სატანჯველს გამოსყიდვის ჟამი მოსდევს უშუალოდ.

ჩვენი გამოსყიდვა ეგვიპტიდან სრული იქნებოდა, რომ არც ერთი ებრაელი არ დარჩენილიყო გამოუსყიდველი. შეხინა მყოფობს დევნილებაში, რათა იქ დარჩენილნი დაიცვას“.

ღვთის ხატება

თქვა კორეცელმა რაბიმ:

„მიჩვენე პირი შენი, მასმინე ხმა შენი“ (ქებათა ქ., 2:14). აი, რას ნიშნავს ეს: უფალი უცხადებს კეთილ ადამიანს: ვჩანდე

მე შენს სახეში, რადგან ღვთის ხატება კეთილი კაცის სახეშია. ვიყო მოსმენილი შენს ხმაში, რადგან ვინც ისმენს კეთილი კაცის ხმას, მზად არის უკეთესი გახადოს თავი“.

ვისწავლოთ როგორც ბავშვმა

თქვა კორეცელმა რაბიმ:

„„მამათა შეგონებებში“ ნათქვამია: თუ ვინმე ბავშვივით სწავლობს, რას შეიძლება ეს ჰგავდეს? სუფთა ქაღალდზე მელნით ნაწერს. თუ ვინმე მოხუცივით სწავლობს? დალაქავებულ ქაღალდზე მელნით ნაწერს. შეიძლება იკითხოს კაცმა, რა ეშველება მოხუცსო? ეს შეგონება ამგვარად უნდა გავიგოთ: ბავშვივით სწავლა ანუ ფიქრის მოკრება იმის გარშემო, რასაც სწავლობ, რომ იმ ჟამად თავში არც ერთი ფიქრი არ იპოვებოდეს, სუფთა ფურცელზე მელნით წერაა. მისი ნასწავლი ამოიტვიფრება მის გონებაში და მის გულში. ამრიგად, მოხუცსაც შეუძლია ბავშვივით სწავლა, თუკი ფიქრის მოკრებას შეძლებს“.

ამბობდა კორეცელი რაბი:

სატანი[1] მერყევი არსებაა. ის ცდილობს გადააფიქრებინოს კაცს სუსხიანი დილით სინაგოგაში წასვლა. მაგრამ კაცი მაინც მიდის, სატანი კი მაინც მისდევს მას და სინაგოგაში შეყვება.

ხასიდსა და ჭკვიან ადამიანსა შორის ხასიდი უპირატესია. მაგრამ ჭკვიან ხასიდსა და კეთილ ადამიანს შორის კეთილი ადამიანი უპირატესია.

ცამეტი წელი ვასწავლიდი ენას, რომ სიცრუე არ ელაპარაკა. მეორე ცამეტი წელი სიმართლის ლაპარაკს ვასწავლიდი.

სიზმრები ტვინის ნარჩენებია.

მეცნიერებანი, თუმცა, შესაძლოა, ისინი *თორის* ნარჩენებად მოგვეჩენოს, სინამდვილეში მის გასუფთავებას ემსახურებიან.

თუ გონება დანისლული გაქვს, მხურვალე ლოცვით გაფანტე ნისლი.

---

[1] იგივე სატანა. აღვადგენ დედნისეულ ფორმას: *სატან.*

არ არის საკმარისი, ადამიანს სინანულისკენ მოუწოდებდე. დაეხმარე მონანიებაში.

მიყვარს ლოცვა მზის ამოსვლისას, სანამ ქვეყანა სიძულვილით და ამაოებით აივსებოდეს.

პალესტინა სამყაროს შინაგანი არსია, მისი სულიერი საწყისია.

მნიშვნელოვანია, რომ ღმერთს შევთხოვოთ ნაყოფების და მარცვლეულის კურთხევა. მათი წყალობითაა, რომ *შეხინა* მაღლა ადის.

ღმერთი მაშინ აფასებს დიდად ადამიანს კეთილ საქმეებს, რომლებიც მხოლოდ მან უწყის, ვისთვისაც გაკეთდა, და მათმა მკეთებელმა.

ამბობენ, რომ ძალზე ღრმა არის *თორის* ჭეშმარიტება. ამიტომაც მედიდური კაცი, რომელიც თავს მაღლა წევს, შორს არის მისგან.

შეხინა მწუხარების ადგილზე არ ივანებს.

ღმერთი ყველგან არის, ბოროტ ზრახვებშიც კი.

როცა სიცრუის ლაპარაკი დიდ დანაშაულად იქნება შერაცხილი კაცთა შორის, მაშინ მოვა მესია.

ჭეშმარიტებაა, რომ ყველაფერს იქმს, რასაც ინებებს. მაგრამ ადამიანმაც უნდა გამოაჩინოს იგივე ძალა თავისი თავისუფალი ნების წყალობით.

ადამიანის ძალა

თქვა კორეცელმა რაბიმ:

„ადამიანი თავის თავში ყველა არსებულ სამყაროს შეიცავს. მას შესწევს უნარი ყველასთან დაამყაროს კავშირი. ადამიანი თავის თავში შეიცავს ყველა კეთილ და ყველა ბოროტ თვისებას, მაგრამ ისინი ჩანასახში არიან. ადამიანს შეუძლია შობოს ისინი. თუ ადამიანი ანგელოსურ ხასიათზეა, მას შეუძლია ბოროტი თვისებები სასიკეთოდ გარდაქმნას. და თუ დემონურ ხასიათზეა კეთილ თვისებებს ბოროტად გარდაქმნის“.

სიკეთე ბოროტში

ბარუხ მეძიბოჟელმა რაბიმ ასე განმარტა ფსალმუნთა ეს მუხლი: „წუთღა და არა იყოს უღვთო, ეძიებდე ადგილსა მისსა და არა ჰპოვო“ (36,10). მან თქვა: „ბოროტი ადამიანიც კი არ არის მთლიანად ცუდი. არის რაღაც წამი, როცა მასში აღარ არის უღვთოება. კარგად ეძებე მასში სიკეთე და აღმოაჩენ, რომ იგი ნამდვილად ბოროტი არ ყოფილა“.

საკუთარ თავს

როცა ბარუხმა, მეძიბოჟის რაბიმ, ჩაიკითხა ფსალმუნის სიტყვები „ანუ თუ ვსცე ძილი თუალთა ჩემთა და ჰრული წამთა ჩემთა, ვიდრემდის ვპოო მე ადგილი უფლისა“ (ფსალმ. 131:4-5), შეყოვნდა და თავის თავს უთხრა: „ვიდრე არ ვიპოვი ჩემს თავს და არ შევიქნები შეხინას საკადრის ჭურჭლად“.

ორი მწირი

118-ე ფსალმუნში მგალობელი ასეთი სიტყვებით მიმართავს ღმერთს: „მწირ ვარი მე ქუეყანასა ზედა, ნუ დაჰფარავ ჩემგან მცნებათა შენთა“ (118:19).

ჩაუღრმავდა რაბი ბარუხი ამ მუხლს და თქვა:

„ვისაც მგზავრობანი შორს წაიყვანს და უცხო მხარეში მოახვედრებს, მუნ მცხოვრებთაგან ვერავისთან გამონახავს საერთო ენას. მაგრამ თუ შეხვდება მას სხვა მწირი, თუნდაც სხვა ქვეყნიდან იყოს მოსული, შეეწყობა მას, ერთად იცხოვრებენ და ერთმანეთის ნდობა ექნებათ. ორივენი მწირნი რომ არ ყოფილიყვნენ, ვერ დაუახლოვდებოდნენ ერთმანეთს. აჰა, ამ სიტყვების აზრი: შენ, ღმერთო, ჩემსავით მწირი ხარ, და არ არის ამ ქვეყნად შენი საკადრისი ადგილი. ამიტომ ნუ დამიმალავ შენს მცნებებს, რათა ახლოს მოვიდე შენთან“.

როგორ ხამს სწავლა

ჰკითხეს მოწაფეებმა რაბი ბარუხს, მეძიბოჟელ რაბის:

„განა შესაძლებელია ჭეშმარიტების წვდომა თალმუდის შესწავლით? რადგან ჩვენ ვხედავთ, რომ აბაიე ერთს ამბობს, რავა – სხვას, თითქოს სხვადასხვა სამყაროებში ცხოვრობდნენ. განა შესაძლებელია ერთდროულად ორივეს გაგება?“

ცადიკმა მიუგო:

„ვისაც სურს ჩაწვდეს აბაიეს სიტყვებს, თავისი სული აბაიეს სულს უნდა შერთოს. მაშინ მიხვდება იგი მისი სიტყვების ჭეშმარიტ აზრს, თითქოს თავად აბაიეს გაეცხადებინოს მისთვის. თუ რავის სიტყვების გაგება მოუნდება, შერთოს თავისი სული რავის სულს. სწორედ ამას ამბობს თალმუდი: „როცა წარმოითქმის სიტყვა მისი მთქმელის სახელით, მთქმელის ბაგეები ამოძრავდება სამარეში“. წარმომთქმელის ბაგეები თითქოს იმგვარადვე მოძრაობენ, როგორც დიდი ხნის გარდაცვლილი მასწავლებლის ბაგენი“.

თავის ადგილზე

ერთხელ ზლოჩეველი რაბი იეხიელ-მიხალი დიდ მაგიდს ეწვია თავის პატარა შვილთან, იცხაკთან ერთად. მაგიდმა ისინი თავის ოთახში შეიპტიჟა, თავად კი მცირე ხნით გავიდა. ამასობაში ბავშვმა მაგიდიდან სათუთუნე აიღო, ყოველმხრივ შეათვალიერა და ისევ უკან დადო. როცა მაგიდი ოთახში შევიდა, ზღურბლიდანვე შეხედა იცხაკს და უთხრა: „ყოველ საგანს თავისი ადგილი აქვს. ყოველ გადაადგილებას თავისი აზრი აქვს. მან, ვინც ეს არ იცის, არაფერს არ უნდა შეუცვალოს ადგილი“.

სწავლა ყველასგან

შეეკითხნენ რაბი იეხიელ-მიხალს: *ფირკე ავოთში*[1] ვკითხულობთ: “ვინ არის ბრძენი? ის, ვინც ყველასგან სწავლობს, როგორც ნათქვამია: მე განვისწავლე ყველა ჩემი მასწავლებლის-

[1] „მამათა სწავლანი“.

გან“. რატომ არ არის ნათქვამი: „ის, ვინც სწავლობს ყველა დამრიგებლისგან“?

რაბი მიხალმა განმარტა: „ბრძენი, რომელმაც ეს აზრი გამოთქვა, ცდილობს შეგვაგნებინოს, რომ ჩვენ შეგვიძლია ვისწავლოთ არა მხოლოდ მათგან, ვისთვისაც სწავლება პროფესიაა, არამედ ყველასგან. ბრიყვისგანაც ან ცოდვილისგან ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ცოდნა ცხოვრებაში საწინამძღვროდ“.

ადამიანი და ბოროტი საწყისი

„ვიპოვოთ გზა და დავადგეთ მას, და მე წაგიძღვებით თქვენ“ – წმინდა წერილის ამ ადგილის განმარტებისას რაბი იეხიელ-მიხალი ამბობდა: „ეს არის ის, რასაც ბოროტება იდუმალ ეუბნება ადამიანს. სწორედ ამგვარად ბოროტება სიკეთედ უნდა იქცეს – და მას სურს სიკეთედ იქცეს, – ბიძგს აძლევს რა ადამიანს ბოროტების დასაძლევად და სიკეთედ მის გარდაქმნას. აი, მისი იდუმალი ჩანაფიქრი ადამიანის მიმართ, რომელსაც ჩააგონებს: „დავტოვოთ ცოდვილი მდგომარეობა და ვემსახუროთ შემოქმედს, რათა ერთად შევძლოთ ღმერთამდე ამაღლება, თუმცა იმად, ვჩანვარ, რაც აშფოთებს ადამიანს და აბრკოლებს მას“.

სურვილი

ახალგაზრდობაში რაბი იეხიელ-მიხალი დიდ სიღარიბეში ცხოვრობდა, მაგრამ ბედნიერება ერთი საათითაც არ ტოვებდა მას.

ერთხელ ვიღაცამ ჰკითხა: „რაბი, როგორ წარმოთქვამ ყოველდღიურად ლოცვის სიტყვებს „კურთხეული ხარ, შენ, უფალო, რომ ყოველივე სურვილს მისრულებ“? შენ ხომ არაფერი გაგაჩნია!“

მიუგო იეხიელ-მიხალმა: „ჩემი მთავრი სურვილი სიღარიბეა და ამას სავსებით მისრულებს უფალი“.

განსაცდელი

ამბობდა რაბი იეხიელ-მიხალი: „როცა ბოროტებას სურს ადამიანის შეცდენა, მოუწოდებს მას, ყველაფერში მეტისმეტად მართალი გახდეს“.

ბაალ შემ ტოვის მოციქული

როცა რაბი იეხიელ-მიხალი ჯერ კიდეც ცნობილი არ იყო, იამპოლში, ბაალ შემ ტოვის ქალაქთან, მეძიბოჟთან ახლოს, ცხოვრობდა. იმხანად ბაალ შემ ტოვის ხასიდებს შორის იყო პირუტყვით მოვაჭრე ვინმე, რომელიც ყოველ გამგზავრებამდე მოძღვართან მიდიოდა შაბათის გასატარებლად. ერთხელ გამომშვიდობებისას ბაალ შემ ტოვმა უთხრა: „ჩახვალ იამპოლში და ჩემგან მოკითხვას გადასცემ რაბი მიხალს“.

საქონლით მოვაჭრე ჩავიდა იამპოლს, მაგრამ ამაოდ კითხულობდა ამ სახელის რაბის. ბოლოს, სასწავლებელში მივიდა და იქაც გამოიკითხა. მიუგეს, ასეთი რაბი ჩვენ არ გაგვიგიაო. ერთმა კი თქვა: „არის აქ ერთი მიხალი, მაგრამ მას არავინ უწოდებს რაბის. ბავშვები მას „დამთხვეულს“ ეძახიან, ბავშვების გარდა, არავის მასთან საქმე არა აქვს. რადგან რა საქმე უნდა გვქონდეს ადამიანთან, რომელიც ლოცვისას კედელს თავს სისხლის დენამდე ურტყამს“.

„დაველაპარაკებოდი ამ კაცს“, თქვა საქონლით მოვაჭრემ.

„არ არის ადვილი, – უთხრეს. – როცა შინ ზის, წიგნებში ჩაღრმავებული, არავისთან ლაპარაკი არ სურს. მაგრამ თუ მიხვალ მასთან და ყურში ჩასჩურჩულებ, მშიაო, იმწამსვე გაიქცევა და საჭმელს მოგიტანს. მერე კი შეიძლება მასთან ლაპარაკი“.

მოვაჭრემ სთხოვა, მიესწავლებინათ მისთვის ამ „დამთხვეულის“ ადგილსამყოფელი. ეს ერთი ძველი ქოხი აღმოჩნდა. კართან მათხოვრები ფუთფუთებდნენ. რაბი მიხალი მაგიდას უჯდა, მის წინ კაბალის წიგნი იყო გადაშლილი. სტუმრის შესვლისას თავი არ აუღია. მოვაჭრე მიუახლოვდა და ჩასჩურჩულა: „მშია“. რაბი იმწამსვე წამოხტა, კარადებსა და თაროებზე ძებნას მოყვა,

მაგრამ ვერაფერი იპოვა. მაშინ ხელი დასტაცა წიგნს, გავარდა სახლიდან, დააგირავა წიგნი და მიღებული ფულით პური და ქაშაყი იყიდა. ჭამას რომ მორჩა, სტუმარმა უთხრა: „ბაალ შემ ტოვმა მოგიკითხაო“. პასუხად რაბიმ თავი მდუმარედ დახარა.

მერე მოვაჭრემ თქვა: „რაბი მიხალ, ვხედავ, წმინდა კაცი ხარ და რატომ არ სთხოვ ღმერთს, ამ გაჭირვებიდან ამოგიყვანოს?“

რაბიმ მიუგო: „ერთმა მეფემ თავისი ასული გაათხოვა და ქორწილზე მთელი ქალაქი დაპატიჟა. მოსაწვევ ქაღალდზე კერძები იყო ჩამოთვლილი, საქორწილო სუფრაზე რომ უნდა მოეტანათ. მეფის ასული მოულოდნელად დასნეულდა, ვერაფერი უშველეს და მალე გარდაიცვალა. წვეულნი უხმოდ დაიშალნენ. გლოვობდნენ მშვენიერ და კეთილ მეფის ასულს. მაგრამ იყო ერთი სტუმარი, რომელიც არ წასულა და მოსაწვევში ჩამოთვლილ კერძებს მოითხოვდა. მიუტანეს და ისიც უსირცხვილოდ თქვლეფდა. ნუთუ ახლა, როცა ღვთიური მყოფობა, შეხინა, დევნილებაშია, ამ კაცივით მოვიქცევი?“

დაცემა და ამაღლება

დიდი ცადიკი მენახემ-ნახუმ ჩერნობილელი ამბობდა:

„დიდი წესს გამცნობ: თუ შენ იგრძნობ, რომ ცუდი ზნე დაგეუფლა, განსაკუთრებით კი ცუდმა სიყვარულმა შეგიპყრო, ან გაშფოთებს ხორციელი ვნება, თუნდაც არა მრუშობისა, იცოდე, რომ ზემოურთ შენი აყვანა სურთ უფრო მაღალ საფეხურზე შენს თვისებებთან ერთად, და რომ შენი გული გაიხსნება ღვთისადმი ჭეშმარიტი სიყვარულისთვის, რადგან დაცემა ყოვლთვის წინ უსწრებს ამაღლებას, და შენში ცუდის ზნის დაძლევის სურვილს სიკეთისკენ მიყავხარ“.

არარაობა

როცა რაბი აარონ კარლინელს ჰკითხეს, რა გასწავლა შენმა მოძღვარმა, დიდმა მაგიდმაო, რაბიმ მიუგო: „არაფერი“. როცა თხოვეს აეხსნა, თუ რას გულისხმობდა, რაბი აარონმა თქვა: „არაფერია სწორედ ის, რაც ვისწავლე. მე მივხვდი არაფრის

საზრისს. მე მივხვდი, რომ მე არაფერი ვარ და, მიუხედავად ამისა, ეს მე ვარ“.

მიწაზე

რაბი აარონ კარლინელი ასე განმარტავდა თორის ამ ადგილს: „აჰა, კიბე იდგა მიწაზე და მისი თავის ცას წვდებოდა“ (დაბ. 28:1):

„თუ ებრაელს თავი ხელში მაგრად უჭირავს და მყარად დგას მიწაზე, მისი თავი ცას სწვდება“.

„მე“

ყმაწვილი ვინმე რამდენიმე წელი მეჟერიჩელ დიდ მაგიდთან სწავლობდა და, როცა იფიქრა, უკვე ყველაფერი ვისწავლეო, შინ დაბრუნდა. გზად კარლინში გაიარა რაბი აარონის კარლინელის სანახავად, რომელთანაც ერთად დიდი მაგიდის სკოლაში სწავლობდა. ღამით მიადგა მის სახლს და ფანჯარაზე დაუკაკუნა. საამო ხმამ იკითხა: „ვინ არის?“ სტუმარმა იფიქრა, ხმაზე მიცნობსო და გაეპასუხა: „მე ვარ“. მაგრამ ფანჯარა არ გაღებულა. ხმაც არავის გაუცია ოთახიდან. მაგიდის მოწაფემ კიდევ ერთხელ დააკაკუნა. პასუხი არ იყო. აკაკუნებდა, მაგრამ ამაოდ. ბოლოს შეევედრა: „აარონ, რატომ არ მიღებ ფანჯარას?“ მაშინღა უპასუხა აარონმა, მაგრამ მისი ხმა ამჯერად მწყრალად ჟღერდა: „ვინ ხარ, რომ შენს თავს „მეს“ უწოდებ, მხოლოდ ერთ ღმერთს რომ შეფერის სახელად?“ ამის გაგონებაზე მაგიდის მოწაფემ ჩაილაპარაკა: „ჯერ კიდევ ყველაფერი არ მისწავლიაო“ და დაუყონებლივ უკან, მეჟერიჩში, დაბრუნდა.

ჩურჩული

პარასკევ საღამოს მეჟერიჩელი მაგიდის სახლში ტრაპეზის შემდეგ რაბი აარონი ფუნდუკში დაბრუნდა და დაიწყო „ქებათა ქების“ ჩურჩულით კითხვა. მალე კარზე მაგიდის მსახურმა დააკაკუნა, აარონის მგრგვინავი ხმა მაგიდის ოთახამდე აღწევს და ძილს უფრთხობსო.

შეხვედრა

ქალაქი პინსკი და კარლინი ერთმანეთისგან შორს არ არიან: პინსკი მდინარის ჩრდილოეთ მხარეს არის, კარლინი – სამხრეთის მხარეს. ახალგაზრდობაში კარლინელი რაბი შლომო კარლინში პატარა ბავშვებს ასწავლიდა, რაბი ლევი-იცხაკი კი, შემდგომ ბერდიჩეველი რაბი, პინსკის რაბინი იყო. ერთხელ ლევი-იცხაკმა სთხოვა მსახურს, კარლინში მოეძებნა ვინმე შლომო ბენ იუტა და მოეწვია პინსკში. ბევრი ძებნის შემდეგ ქალაქგარეთ პატარა ქოხში მსახურმა იპოვა მელამედი შლომო და გადასცა რაბინის თხოვნა. „უსათუოდ ვეწვევი“, აღუთქვა მელამედმა.

რამდენიმე საათის შემდეგ რაბი შლომო შევიდა რაბი ლევი-იცხაკის სახლში. რაბინი წამოუდგა სტუმარს და თქვა: „კურთხეული იყოს შემომსვლელი“. მერე სტუმარს სავარძელი მიუჩოჩა. რამდენიმე ხანს მდუმარედ იყვნენ, გაბრწყინებული სახეებით შესცქეროდნენ ერთმანეთს. მერე წამოდგნენ და ხმამაღლა გაიცინეს. „რა აცინებთ?“ – გაიფიქრა კარს უკან მდგარმა მსახურმა. მერე რაბი შლომო წავიდა.

ხასიდები ამბობდნენ, რომ ამ ორი ცადიკის შეხვედრამ თავიდან ააცილა ადგილობრივ ებრაელებს დევნილება, რომელიც მათ ემუქრებოდათ და სწორედ ეს იყო მათი სიხარულის მიზეზი.

რა ბედენაა?

როცა ჯერ კიდევ არაფერი უწყოდა თავისი მოწოდების შესახებ, ნესხიჟელი რაბი მორდეხაი წვრილმან ვაჭრობას მისდევდა. ადგილიდან ადგილზე დაჰქონდა საქონელი და ფულს აგროვებდა ეთროგისთვის[1] კარვობის სადღესასწაულოდ. საკმარისი თანხა რომ შეაგროვა, ქალაქში წავიდა იმის მოლოდინით, რომ საუკეთესო ეთროგის ყიდვას მოახერხებდა. მოულოდნე-

---

[1] ძვირადღირებული, დიდი ლიმონის მსგავსი ციტრუსი.

ლად გზაზე წყლის მზიდავი დაინახა, რომელიც იქვე დაგდებულ მკვდარ ცხენს დასტიროდა. რაბი მორდეხაი ოთხთვალადან გადმოვიდა და წყლის მზიდავს დაუფიქრებლად მისცა მთელი ფული ახალი ცხენის საყიდლად. „რა ბედენაა? – ფიქრობდა გულში შინისკენ მიმავალი რაბი მორდეხაი. – კურთხევას ყველა ეთროგზე იტყვის, მე კი ცხენზე ვიტყვი კურთხევას!“

შინდაბრუნებულს სახლში მეგობრებისგან მოტანილი საუკეთესო ეთროგი დახვდა.

ფესი

მოგვითხრობენ:

ნესხიჟელ რაბი მორდეხაისთან ერთი დედაკაცი მივიდა და შესჩივლა, ჩემი ქმარი უცხო ქვეყანაში წავიდა და არ დაბრუნებულა. იქნებ გამაგებინო მისი ამბავიო. „აბა რა გითხრა? – თქვა რაბიმ. – აქ არის შენი ქმარი? ან იქნებ ამ კასრშია?“

რაკი ამ დედაკაცს ცადიკის დიდი რწმენა ჰქონდა, მივიდა კასრთან და ჩაიხედა. „აგერ ის! აგერ ყოფილა!“ – წამოიყვირა ქალმა. – „წყალში ვხედავ მისი ანარეკლს!“ რაბიმ ჰკითხა, ქუდი თუ ახურავსო, არა, მხოლოდ ფესიო. „აბა შეეხე ფესს“.

ქალმა წყალში ჩაყო ხელი და ფესს შეეხო. ამ დროს მისი ქმარი უცხო მხარეში ფანჯარასთან იჯდა და სახლის პატრონისთვის კერავდა. უცებ ქარმა დაქროლა და ფესი გადაუგდო თავიდან. კაცს გული აუთრთოლდა და გადაწყვიტა დაუყონებლივ შინ დაბრუნებულიყო.

ნაცრის გროვა

წმინდა მიწაზე გამგზავრებამდე ვიტებსკელმა რაბი მენახემ-მენდელმა გადაწყვიტა წვეოდა პოლონის მოხუც რაბის იაკობ-იოსეფს, ბაალ შემ ტოვის მოწაფეს. ფუნდუკში იგი სამცხენიანი ეტლით მოგრიალდა, რაც არ მოეწონათ პოლონის ხასიდებს, რომელთაც მათი მასწავლებელი მარტივი ცხოვრებისკენ მოუწოდებდა. მაგრამ როცა რაბი მენახემ-მენდელი თავ-

შიშველი და უსარტყლო, პირში ჩიბუხგაჩრილი გამოვიდა ფუნდუკიდან, ესეც არ მოეწონათ ხასიდებს, იფიქრეს, მათი სასტიკი ცადიკი კინწისკვრით გამოაგდებდა რაბი მენახემ-მენდელს. მაგრამ ცადიკმა გულთბილად მიიღო სტუმარი და რამდენიმე საათს ესაუბრა. და, ბოლოს, როცა რაბი მენახემ-მენდელი ცადიკისგან გამოვიდა, მოწაფეებმა ჰკითხეს რაბი იაკობ-იოსეფს: „რა ნახეთ ამ კაცში, თავშიშველამ, ვერცხლისღილებიან ჩექმებში და პირში ჩიბუხგაჩრილმა რომ გაბედა თქვენთან შემოსვლა?“

ცადიკმა თქვა: „როცა მეფე საომრად გავიდის, მთელ თავის განძეულს საიმედო ადგილზე მალავს. მაგრამ მარგალიტებს, ყველაზე ფასეულს რაც აქვს, ნაცრის გროვაში ჩაფლავს, რადგან იცის, რომ ნაცარში არავინ ძებნას არ დაიწყებს. ასე რაბი მენდელმა, რათა ბოროტი ძალები არ შეხებოდნენ მას, თავისი უდიდესი თავმდაბლობა პატივმოყვარეობის ნაცარში ჩაფლა“.

დოკუმენტი

დოკუმენტი, რომლითაც რაბი მენახემ-მენდელი მინსკის თემმა მაგიდად დანიშნა, ასე იწყებოდა: „წმინდა ცადიკს, ამაღლებულს და კურთხეულ მნათობს...“ დოკუმენტს ხელს ასზე მეტი ხასიდი აწერდა. როცა რაბიმ წაიკითხა ქების სიტყვები და საპატიო ეპითეტები, თქვა: „ეს ქაღალდი შესანიშნავი დოკუმენტი იქნებოდა, აქ რომ ლაპარაკი ჭეშმარიტების სამეფოს მკვიდრზე ყოფილიყო. და რამდენადაც ეს მე მეხება, ვისურვებდი, ჩემზე სიმართლე მომესმინა. სიტყვები თუნდაც ერთი ადამიანისა, რომელიც მე ბრალს მდებს, უფრო წონიანია, ვიდრე ასი კაცისა, რომელიც გაქებს. რა ბედენაა ჩემთვის ეს ქება-დიდება?“

ყველა თანასწორია

რაბი მენახემ-მენდელ ვიტებსკელმა თქვა:

„ღვთის უსასრულობის წინაშე უმაღლესი წმინდანი და უმდაბლესი ერისკაცი თანასწორნი არიან“.

ისრაელის მიწის ჰაერი

რაბი მენახემ-მენდელი ამბობდა: „მართალია, რომ ისრაელის მიწის ჰაერი ადამიანს ბრძენად ხდის. სანამ მის საზღვრებს გარეთ ვცხოვრობდი, მთელ ჩემი არსებით მწყუროდა სწორად მელოცა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ისრაელის მიწაზე ვიმყოფები, ჩემი ერთადერთი სურვილია, ერთხელ მაინც ისე წარმოვთქვა „ამენი“, როგორც შემოქმედის წინაშე უნდა წარმოითქმოდეს“.

ისრაელის მიწა

რაბი მენახემ-მენდელი აგრეთვე ამბობდა: „ისრაელი მიწაზე ამ სიბრძნეს ჩავწვდი: როცა ჩალის კონას ვხედავ ქუჩაში, ჩემთვის ღვთიური მყოფობის ნიშანია, როგორ დევს იგი, სიგრძეზე იგი თუ სიგანეზე“.

მიწის ამაღლება

თქვა ერთმა ცადიკმა:

„ერთ დროს მიწა ამაღლებული იყო და იქ მისულ ადამიანსაც ამაღლებდა. ახლა ის ჩაძირულია და ადამიანმა იგი ისევ უნდა აღამაღლოს. ამის მიღწევა მხოლოდ ისეთ ამაღლებულ პიროვნებას ძალუძს, როგორიც რაბი მენახემ-მენდელია“.

ფანჯრიდან

როცა რაბი მენახემი ისრაელის მიწაზე ცხოვრობდა, ვიღაც შეშლილი შეუმჩნევლად აიჭრა ზეთისხილს მთაზე და შოფარს ჩაჰბერა. საყვირის ხმაზე შეშფოთებული ებრაელები გარეთ გამოცვივდნენ, იფიქრეს მესია მოვიდაო. რაბი მენახემსაც მოესმა საყვირის ხმა, გამოაღო ფანჯარა, გახედა არემარეს და თქვა: „არა, ეს არ არის ხსნა“.

გზის დაბნევა

რაბი იეხიელ-მიხალი, შემდგომ განთქმული ზლოჩეველი მაგიდი[1], ახალგაზრდობაში ყოყმანობდა, დამოწაფებოდა თუ არა ბაალ შემ ტოვს. ერთხელ მასთან ერთად მოუხდა მგზავრობა. მცირე ხნის შემდეგ შეატყვეს, რომ სწორი გზით არ მიდიოდნენ. „რაო, რაბი, – უთხრა მიხალმა, – გზა არ იცი?“ ცადიკმა მიუგო: „მეცოდინება, როცა ამის დრო მოვა“. და მათ სხვა გზაზე გადაუხვიეს. მაგრამ ესეც არ აღმოჩნდა სწორი გზა.

„რაო, რაბი, – კვლავ ჰკთხა მიხალმა, – გზა სულ დაგებნა?“

„ნათქვამია, – მშვიდად მიუგო ბაალ შემ ტოვმა, – „სურვილი მოშიშთა მისთა შეისმინოს“ (ფსალმ. 144:19). ხომ ხედავ, შენი სურვილიც შეისმინა: მოგცა ნება, რომ დაგეცინე“.

ამ სიტყვებმა ისე გამსჭვალა ყრმა მიხალის გული, რომ იგი უყოყმანოდ დაემოწაფა ასეთ მოძღვარს. სრული გულით მიენდო.

პატივი

ერთხელ მეჟერიჩელმა მაგიდმა თავისი მოწაფე რაბი მენახემ-მენდელი თემის მოსახილველად გაგზავნა. რაბი მენახემს თავისი ქადაგებით სურვილი უნდა აღეძრა ხასიდებში, რათა თორა თავად თორის გულისთვის ესწავლათ. ერთ დაბაში, ფუნდუკში, რაბი მენახემთან მივიდნენ მუნებური სწავლულნი და დიდი პატივი მიაგეს მას. მათთან საუბრისას მენახემ-მენდელი შეეკითხა, თუ რატომ არის, რომ როცა ადამიანი გაურბის პატივს, პატივი მისდევს მის კვალს. „თუ პატივის მიღება კარგია, – თქვა მან, – რატომ არის, რომ, ვინც გაურბის პატივს, მას ეშინია, რომ პატივი უკან გაედევნება? და თუ პატივის მიღება არ არის კარგი, რატომ არის, რომ ის, ვინც პატივს გაურბის, ისჯება იმით, რომ პატივი ედევნება მას? რა თქმა უნდა, ღირ-

---

[1] „მოქადაგე“. მაგიდის საპატიო ტიტულით ხასიდობაში მხოლოდ რამდენიმე ცადიკია ცნობილი.

სეული კაცი უნდა გაურბოდეს პატივს. მაგრამ მას, რიგორც ყველას, პატივმოყვარეობა თანდაყოლილი აქვს და ის მოვალეა, დღენიადაგ ებრძოდეს მას. მხოლოდ თორის ხანგრძლივი და ბეჯითი შესწავლით თავად თორის გულისთვის წარმატება ექნება პატივმოყვარეობის დაძლევაში და მეტად აღარ აამებს რაბის სახელი ან სხვა რამ საპატიო წოდება. მაგრამ მისი სულის ფსკერზე მაინც იქნება შემორჩენილი პატივით ტკბობის სურვილი და, თუმცა მან იცის, რომ განთავისუფლდა მისგან, ეს სურვილი განაგრძობს მის დევნას და შეწუხებას, როგორც ხსოვნა, რომლისგანაც ძნელია თავის დაღწევა. ეს არის გველის კვალი მის სულში და ის მოვალეა, მისგან განიწმინდოს“.

სულის სამსჯავრო

თქვა ერთხელ რაბი შმელკემ:

„არჩევანი რომ მქონოდა, ვამჯობინებდი არ მოვმკვდარიყავი, რადგან საიქიოში ძრწოლის დღეები არ არსებობს და რა ქნას ადამიანის სულმა ამ დღეთა გარეშე?“

სხეული და სული

როცა რაბი შმელკე პირველად შეხვდა მეჟერიჩელ მაგიდს, შინ დაბრუნებისას ჰკითხეს, რა მოგცა ამ შეხვედრამო, რაბიმ მიუგო: „წინათ მე ვთრგუნავდი ჩემს სხეულს, რათა სულის საკადრისი გაგრძელება ყოფილიყო. ახლა კი დავინახე და მივხვდი, რომ თავად სულს შეუძლია იყოს სხეულის ღირსეული გაგრძელება და არც უნდა ცდილობდეს მისგან გამოყოფას. რადგან წმინდა თორაში ნათქვამია: „და დავიდებ ჩემს სავანეს თქვენს შორის და არ შეგიძულებთ ჩემი სული“ (ლევ. 26:11). ამიტომ სულს ნუ შესძაგდება სხეული“.

ლოცვათა მიზანი

თქვა ნიკოლსბურგელმა რაბი შმელკემ:

„როცა ვინმე ღვთის წინაშე ლოცულობს თავისი საკუთარი საჭიროებისთვის, სატანი ჩამოთვლის მთხოვნელის უკეთურე-

ბებს და ლოცვა არ შეისმინება. მაგრამ როცა ვინმე ლოცულობს შეხინას გამოსყიდვისთვის დევნილებიდან, მისი ლოცვა სატანის საუფლოზე მაღლა ადის და მას შეუძლია თავისი საჭიროებისთვისაც ილოცოს, რადგან სატანი მას ვერ დასდებს ბრალს“.

მზადება

ერთმა მოწაფემ სთხოვა რაბი შმელკეს, ესწავლებინა მისთვის, როგორ მომზადებულიყო ღვთის მსახურებისთვის. ცადიკმა იგი გაგზავნა რაბი აბრაამ-ხაიმესთან, რომელიც იმხანად ფუნდუკის მეპატრონე იყო. მოწაფემ შეასრულა მოძღვრის დავალება და რამდენსამე კვირას მასთან ცხოვრობდა, მაგრამ მეფუნდუკეში ღვთისმოსავობის ნასახიც ვერ დაინახა, რადგან იგი დილის ლოცვიდან დაღამებამდე ფუსფუსში იყო გართული. ბოლოს, მოწაფემ ჰკითხა რაბი აბრაამს, რას აკეთებს იგი მთელი დღის განმავლობაში.

„ჩემი მთავარი საზრუნავია, – უთხრა რაბი აბრაამმა, – ყველაფერი გავასუფთაო და გავრეცხო, რომ მაგიდაზე ერთი ნამცეცი პურიც არ დარჩეს, ხოლო ქოთნები და ქვაბები სულ ბზინავდნენ“.

შინ დაბრუნებულმა მოწაფემ ყველაფერი უამბო მასწავლებელს და რაბი შმელკემ თქვა:

„ახლა შენ უკვე იცი შენი კითხვის პასუხი“.

განსაცდელის ჟამი

ჰკითხეს რაბი შმელკეს: რისთვის აქებენ ასე ისაკის შეწირვისთვის აბრაამს? მას ხომ ისეთი სიმაღლისთვის ჰქონდა მიღწეული, რომ გასაკვირიც არ არის, უყოყმანოდ რომ შეუდგა უფლის სათხოვარის აღსრულებას.

ცადიკმა მიუგო: განსაცდელის ჟამს ადამიანს აყრილი აქვს ყველა ხარისხი და მთელი სიწმინდე. ყველა მიღწეული სათნოებისგან განძარცული დგას იგი გამომცდელის წინაშე.

როდის მოგვივლენს მესიას?

ახალი წლის მეორე დღეს რაბი შმელკემ ქადაგება წაიკითხა ამ სიტყვებზე: „რატომ არ მოვიდა იშაის ძე არც გუშინ, არც დღეს?“ რატომ არ მოვიდა მესია, იშაის ძე, არც გუშინ და არც დღეს, არც წინა თაობებში და არც ამ თაობაში? იმიტომ, რომ ჩვენ სულმუდამ პურს ვთხოვთ ჩვენი კეთილდღეობისთვის. თუ ჩვენ დავივიწყებთ ჩვენს კერძო გასაჭირს და სრული გულით შევევედრებით მესიისთვის, უფალი უეჭველად მოგვივლენს მესიას“.

სიყვარულის აღთქმა

ერთმა მოწაფემ ჰკითხა რაბი შმელკეს: „მოცემული გვაქვს აღთქმა, რომ გვიყვარდეს მოყვასი როგორც თავი ჩვენი. როგორ შემიძლია მიყვარდეს მოყვასი, თუ ის ბოროტად მექცევა?“

მიუგო რაბიმ: „შენ სწორად უნდა გესმოდეს ეს სიტყვები: გიყვარდეს მოყვასი ისე, როგორც გეყვარება ის, რაც შენივეა. რადგან ყველა სული ერთი სულია. ყოველი სული არის ნაპერწკალი, რომელიც ერთ საერთო სულს არის მოწყვეტილი, და მთლიანად მყოფობს ყველა სულში ისევე, როგორც შენი სული მთლიანად მყოფობს შენი სხეულის ყოველ ასოში. როცა შენი სული ცდება, შენი ხელიც ცდება, რომელიც ტკივილს გაყენებს. ხომ არ დაუწყებ შენს ხელს ცემა-ტყეპას, რომელმაც ვერ გაიგო რა გსურდა მისგან? ასევეა შენი მოყვასის მიმართ, რომელიც შენთან ერთად ერთ საერთო სულს შეადგენს, თუნდაც ბოროტად გექცეოდეს, არ ესმოდეს შენი. თუ შენ დასჯი მას ამისთვის, ტკივილს შენს თავსავე მიაყენებ“.

მოწაფე კვლავ შეეკითხა: „მაგრამ თუ ვხედავ ცოდვილს, ღვთის წინაშე დამნაშავეს, როგორ შევიყვარო იგი?“

„განა არ იცი, – მიუგო რაბი შმელკემ, – რომ დასაბამიერი სული ღვთის არსებიდან მოდის და რომ ყოველი ადამიანის სული ღვთის ნაწილია? განა არ გაიღვიძებს შენში სიბრალული, როცა დაინახავ, რომ ღვთიურ ნაპერწკალთაგან ერთ-ერთი ცოდვებში ჩაეფლო და დაღუპვის პირზეა?“

ქურდების ხვედრი

რაბი შმელკე განმარტავდა რაშის[1] სიტყვებს: „ყური კაცისა, რომელმაც მოისმინა სინაის მთაზე წარმოთქმული „არ იპარო“, წავა და იქურდებს, განიგმირება“.

რაბი შმელკემ თქვა: „ვიდრე ღმერთი ამ სიტყვებს წარმოთქვამდა სინაიდან, ყოველი კაცი თავად ზრუნავდა თავის ქონებაზე და დარაჯობდა, რომ არ მოეპარათ. და რაკი ქურდებმა ეს იცოდნენ, არც კი უცდიათ, მოეპარათ რამე. მაგრამ მას შემდეგ, რაც უფალმა წარმოთქვა „არ იპარო“, ხალხმა იგრძნო, რომ მათ ქონებას ღმერთი დარაჯობს და ქურდობაც აყვავდა“.

ძმები

ნიკოლსბურგელმა რაბი შმელკემ სტუმრად მოიწვია თავისი ძმა, ფრანკფურტის რაბინი რაბი ფინხასი, რომელიც ჭამაში თავშეკავებულობით გამოირჩეოდა, მოხუცობაში კი ძალიან ცოტას ჭამდა და მასაც მხოლოდ წყალს აყოლებდა. რაბი ფინხასს ძმა დიდი ხნის უნახავი ჰყავდა, და ეს თქვა: „აი, მამას და დედას ორი ვაჟი ჰყავს. ერთი კბეჩს და ყლაპავს როგორც გარეული ცხოველი, მეორე კი თითქოს ანგელოსია: არ საჭიროებს არც საჭმელს, არც სასმელს, მხოლოდ და მხოლოდ ღვთიური დიდების ნათელით კმაყოფილდება“.

პასუხად რაბი შმელკემ თქვა:

„აი, მამას და დედას ორი ვაჟი ჰყავს. ერთი თითქოს მღვდელმთავარია, მეორე კი უბრალოდ ოჯახის უფროსი. მღვდელმთავარი ჭამს და მისი საჭმელი მსხვერპლის ნაწილია, რომელსაც ღმერთს უბრალო ოჯახის უფროსი სწირავს“.

ორგვარი სინანული

თქვა რაბი შმელკემ: „ორგვარი სინანული არსებობს. ერთი, როცა ადამიანი ინანიებს სასჯელის შიშით. მეორე, როცა ადამია-

---

[1] წმინდა წიგნების ცნობილი კომენტატორი (1040-1105).

ნი წუხს, რომ თავის საყვარელ მამას ზეცაში აწყენინა. პირველ შემთხვევაში ცოდვა შენდობილია, მაგრამ ცოდვის ხსოვნა რჩება. მეორე შემთხვევაში ცოდვა მთლიანად წარხოცილია, არავითარი კვალი არ რჩება, თითქოს ცოდვა არც ყოფილიყო ჩადენილი“.

სატანჯველი

ერთხელ რაბი შმელკე თავის ძმასთან ერთად მეჟერიჩელ მაგიდს ეწვია და ასეთი კითხვა დაუსვა:

„ჩვენმა ბრძენებმა წარმოთქვეს აზრები, რომლებიც არ გვესმის და ამის გამო მოსვენებას არ გვაძლევენ. ამბობენ, რომ ადამიანმა მადლი უნდა მოახსენოს უფალს სატანჯველისთვის ისევე, როგორც წყალობისთვის, და სატანჯველი ისეთივე სიხარულით უნდა მივიღოთ. გვითხარი, რაბი, როგორ უნდა გავიგოთ ეს?“

მაგიდმა მიუგო:

„წადით სკოლაში. იქ ნახავთ ზუსიას, ყალიონი აქვს გაჩრილი პირში. ის განგიმარტავთ ამ სიტყვების აზრს“.

ძმები წავიდნენ სასწავლებელში და შეეკითხნენ ზუსიას. პასუხად მას გაეცინა: „ჩემთან რატომ მოხვედით? წადით ვინმე სხვასთან, რადგან მე არასოდეს განმიცდია ტანჯვა“.

ძმებისთვის კი კარგად იყო ცნობილი, რომ რაბი ზუსიას ცხოვრება დაბადებიდანვე ტანჯვა-წვალებით იყო სავსე. და მაშინ მიხვდნენ, რას ნიშნავს სატანჯველის მიღება სიყვარულით.

შეხინას დევნილება

თქვა რაბი შმელკემ:

„ფსალმუნში ვკითხულობთ: „იქმნნეს ცრემლნი ჩემნი პურად ჩემდა დღე და ღამე, რამეთუ მეტყვიედ მე მარადღე: სადა არს ღმერთი იგი შენი?“ (41:4). ჩვენ დღე და ღამე მხოლოდ პურისთვის ვღაღადებთ, ამიტომაც სულმუდამ დევნილებაში ვართ. ღმერთი კი ამბობს: „რომ შემოღაღადებდნენ, რატომ არ არის ჩვენი ღმერთი მის წმინდა ქალაქში? რატომ არის შეხინა კვლავ დევნილებაშიო?“ გამოსყიდვის ჟამი არ დააყოვნებდა“.

მორჩილი ცოლი

ერთხელ ლევი-იცხაკის, ბერდიჩეველ რაბის მისი მტრის ცოლმა შუა ქუჩაში ერთი სათლი ბინძური წყალი გადაასხა თავზე. რაბიმ სინაგოგას მიაშურა და ღმერთს შეევედრა: „უფალო, ნუ დასჯი ამ დედაკაცს. ალბათ ქმარმა უბრძანა ასე მოქცეულიყო. ქების ღირსია: ქმრის მორჩილი ცოლი ყოფილა“.

ბერდიჩეველი რაბის ცოლი

ამბობდნენ, ბერდიჩეველი რაბის ცოლი სიწმინდეში თავად რაბის ამეტებდაო. ერთხელ ყური მოკრეს, რომ ამბობდა: „უფალო, გამხადე იმის ღირსი, რომ ჩემს ლევი-იცხაკს ისეთივე წმინდა ფიქრები ჰქონდეს პურის კურთხევისას, როგორიც მე პურის ცხობისას მაქვს“.

„წმინდათა წმინდა“

„ყველა ქმედებაში, – თქვა ბერდიჩეველმა რაბიმ, – ადამიანმა თავისი სხეული წმინდათა წმინდად უნდა მიიჩნიოს, ნაწილად უმაღლესი ძალისა მიწაზე, რომელიც არის ადგილი ღვთის გამოცხადებისა. მაშინ განირიდებს იგი ბოროტ იმპულსს. ადამიანის ტვინი კიდობნისა და აღთქმის დაფების მსგავსია. ის ადამიანის კეთილშობილური ნაწილია. უწმინდური ფიქრების მფიქვრელი კერპებს დგამს წმინდათა წმინდაში. როცა ადამიანი ხელებს აღაპყრობს საქმის საკეთებლად, იფიქროს, რომ ეს ხელები ღვთის მაცნის ხელებია“.

დაფარული ნათელი

ამბობდა რაბი ელიმელეხი: „ვიდრე სული ამ სოფლად ჩამოვიდოდეს, სამყაროებს მოატარებენ. ბოლოს მას პირველქმნილ ნათელს დაანახვებენ, რომელიც ყველაფერს ანათებდა შესაქმისას. მაგრამ, როცა პირველმა ადამიანმა შესცოდა, ღმერთმა დაფარა მისგან ეს ნათელი. რისთვის აჩვენებენ სულს ამ ნათელს? იმისთვის, რომ სული ნაბიჯ-ნაბიჯ, თანდათან უახლოვ-

დებოდეს მას მიწიერ ცხოვრებაში. ეს ნათელი ავსებს მათ, ვინც მისი ღირსია, ანუ მართალთ, და მათი მეშვეობით იგი კვლავ ანათებს ამ სოფელს. ამისთვის არის იგი დაფარული“.

მარხვა

ერთხელ, როცა რაბი ელიმელეხმა თქვა, რომ მარხვა აღარ არის მსახურებაო, ჰკითხეს: „განა ბაალ შემ ტოვი ხშირად არ მარხულობდა?“

მიუგო რაბი ელიმელეხმა: „ახალგაზრდობაში ბაალ შემ ტოვი შაბათის გასვლისას აიღებდა ექვს პურს და ერთ დოქ წყალს და მთელი კვირით განმარტოვდებოდა. პარასკევს, შინ დაბრუნებისას, ასწევდა თავის აბგას, იგრძნობდა მის სიმძიმეს, გახსნიდა და შიგ ხელუხლებელ ექვს პურს ნახავდა. ეს აკვირვებდა ბაალ შემ ტოვს.

აი, ეს არის ნამდვილი მარხვა!“

სად არის სიმართლე

რაბი ელიმელეხ ლიზენსკელმა ერთხელ თქვა:

„მე ვიცი ჩემი ხვედრი საიქიოში. როცა ზეციურ სამსჯავროზე წარვდგები და შემეკითხებიან, თუ სწავლობდი მოვალეობისამებრო, მივუგებ, არა-მეთქი. კვლავ შემეკითხებიან, თუ ლოცულობდი მოვალეობისამებრო, კვლავ მივუგებ, არა-მეთქი. მესამე კითხვა იქნება: თუ იქმოდი სიკეთეს მოვალეობისამებრ? ამჯერადაც მივუგებ: არა. მაშინ განაჩენი ჩემს სასარგებლოდ იქნება გამოტანილი, რადგან სიმართლე მექნება ნათქვამი“.

სინაიზე

ამბობდა რაბი ელიმელეხი: „მე არა მხოლოდ ის მახსოვს, რომ ისრაელის ყოველი სული იდგა სინაის ძირში, არამედ ისიც, თუ რომელი სულები იდგნენ ჩემ გვერდით“.

გულმავიწყობა და სინანული

ლიზენსკელ რაბი ელიმელეხს ერთი მოსწავლე შეეკითხა, როგორ უნდა ავირიდო გულმავიწყობაო.

„მოინანიე, – უთხრა რაბიმ, – თალმუდი გვეუბნება, რომ სინანული დიდების ტახტამდე აღწევს და ჩვენც საახალწლო ლოცვაში ვამბობთ: არ არის გულმავიწყობა დიდების ტახტის წინაშე“.

სხვა დროს ერთმა ხასიდმა შესჩივლა გურელ რაბის, რომ მას დაავიწყდა ნასწავლი. „თუ გავიწყდება პირში საჭმლის ჩადება კოვზით?“ შეეკითხა რაბი. „არა, რადგან ვერ ვიცოცხლებ უჭმელად“, იყო პასუხი. „ვერც უსწავლელად შეძლებ სიცოცხლეს“, სიტყვა შეუბრუნა რაბიმ, – გახსოვდეს ეს და არაფერი დაგავიწყდება“.

რაბი ელიმელეხის შიში

ერთხელ უკვე ხანში შესულ ლიზენსკელ რაბი ელიმელეხს მგზავრობისას მხარზე აბგაგადაკიდებული ყმაწვილი შეხვდა. სად მიდიხარო, ჰკითხა რაბიმ. ზლოჩეველ წმინდა მაგიდთანო, მიუგო ყმაწვილმა. „ერთხელ, ახალგაზრდობაში, – თქვა რაბი ელიმილექმა, – შევიტყვე, რომ ლიზენსკთან ახლოს, დაბაში, ზლოჩეველი რაბი იეხიელ-მიხალი მისულიყო. დაუყონებლივ წავედი და ძებნა დავიწყე, სად გავჩერებულიყავი, მაგრამ ყველა სახლი ცარიელი დამხვდა. ბოლოს, ერთი დედაკაცი დავინახე, ბუხართან ფათურობდა. მითხრა, ყველანი სინაგოგაში არიან. იქ ვიღაც რაბინმა ეს დღე *იომ ქიფურის* დღედ აქცია. თითოეულს თავის ცოდვას უსახელებს და მერე ლოცულობს მათი მიტევებისთვისო. ეს რომ გავიგონე, შიშმა შემიპყრო და ლიზენსკში დავბრუნდი“.

ფარული ცადიკები

ერთხელ რაბი გაბრიელი რაბი ელიმელეხთან, თავის მოძღვართან მიდიოდა. ტლუ, გაუთლელი მეეტლე მთელ გზაზე სულელურ ამბებს უყვებოდა თავის მგზავრს. როცა ცადიკის სახლს მიუახლოვდნენ, ელიმელეხი გამოეშურა მათ დასახვედ-

რად და დაუფარავი სიხარულით მიესალმა მეეტლეს, რაბი გაბრიელისთვის კი ყურადღება არ მიუქცევია. უკანა გზაზე ელიმელეხის მოწაფე შეეცადა პატივი მიეგო რაბი ელიმელეხისგან ესოდენ პატივდებული მეეტლისთვის, მაგრამ მან არ ინება მისგან პატივი.

რამდენიმე თვის შემდეგ რაბი გაბრიელმა ქალაქში თვალი მოკრა ნაცნობ მეეტლეს, რომელიც ვიღაც ქვისმთლელს ელაპარაკებოდა. იგი შეუმჩნევლად აედევნა მათ და მოსმინა მათი საუბარი. ერთ-ერთმა თქვა: „მელეხისგან შენ ბევრი რამ არ გაგიგია, მაგრამ ახლა მეტს გაიგებ“. მეორემ მიუგო: „მელეხისგან შენ ბევრი რამ არ გაგიგია!“ და ამ დროს დაინახეს მათ ზურგს უკან ამოფარებული რაბი. „წადი აქედან! რა საქმე გაქვს ჩვენსავით გაუთლელ ადამიანებთან!“ ერთხმად შეყვირეს მეეტლემ და ქვისმთლელმა.

რაბი გაბრიელი იძულებული იყო, განშორებოდა მათ.

რაბი ელიმელეხის სიკვდილის შემდეგ რაბი გაბრიელს ტყეზე მოუხდა გავლა და შეხვდა იქ თავის მეგობარს, რაბი ურს. რაბი გაბრიელმა უამბო მას, რაც მეეტლისგან და ქვისმთლელისგან მოსმინა. მაშინ დაემხნენ ისინი მიწაზე და მოთქვამდნენ: „ბევრი რამ არ ვიცოდით ჩვენ ამ ქვეყანაზე, მაგრამ რაც ვიცოდით, ისიც დავკარგეთ!“

აკრძალული ხილი

შეეკითხა ჰანაპოლელი რაბი ზუსია თავის ძმას, ელიმელეხს:

„ძმაო, წმინდა წერილში წერია, ყველა კაცის სული პირველი კაცის, ადამის სულში იყო მოთავსებულიო და, თუ ასეა, მაშინ ჩვენც იქ ვყოფილვართ და ჩვენც გვიჭამია ის ნაყოფი ცნობადი ხისა. ვერ გამიგია, როგორ მივეცი თავს ჭამის ნება, ან შენ როგორღა მიეცი?“

მიუგო რაბი ელიმელეხმა:

„ჩვენ იძულებული ვიყავით, როგორც ყველა სხვა. რომ არ გვეჭამა, ჩვენში სამუდამოდ დარჩებოდა გველის შხამი და სულმუდამ ამ ფიქრში ვიქნებოდით: შევჭამ და ღმერთი გავხდები! შევჭამ და ღმერთი გავხდები!“

მიწის თელვა

რაბი ზუსია ჰანაპოლელი დააცქერდა მიწას და თქვა:

„მიწავ, მიწავ, შენ ჩემზე უკეთესად ხარ შექმნილი, თუმცა ჩემ ფეხქვეშ ითელები. მართალია, მსუბუქად, რადგან, ერთხელაც იქნება, შენს ქვეშ მოვხვდები შენი მდაბალი მსახური“.

სანთელი

ერთხელ რაბი ზუსია და რაბი ელიმელეხი ღამის გასათევად სოფლის ფუნდუკში დარჩნენ. ფუნდუკის პატრონი სანთლის შუქზე რაბი ზუსიას მოსასხამს კემსავდა. „დააჩქარე, – გამოსძახა მეპატრონეს მისმა ცოლმა. – დროზე მოათავე მოსასხამის კემსვა, თორემ სანთელი მალე ჩაქრება“.

„რა მართალია ეს გაფრთხილება ჩვენი ცხოვრების გამოსწორებასთან დაკავშირებით, – შენიშნა რაბიმ. „წმინდა წერილის მიხდვით, „უფლის სანთელია ადამიანის სული, ყოველი მისი შინაგანის გამომკვლეველი“ (იგავნი, 20:27). როცა ის ქრება, თვითგამოსწორების ყოველი შესაძლებლობა დაკარგულია“.

გზად, ფუნდუკში

ზუსიამ და ელიმელეხმა სამი წელი მგზავრობაში გაატარეს, სურდათ დევნილებაში მყოფი შეხინას ბედი გაეზიარებინათ და გზადაკარგული კაცობრიობა ღვთისკენ მიექციათ. ერთხელ ფუნდუკში ღამის გათევა მოუწიათ, სადაც ამ დროს მექორწილეები ღრეობდნენ. ხმაურიანები და აგრესიულები იყვნენ, ბევრი ღვინოც ჰქონდათ დალეული. შეამჩნიეს კუთხეში მიყუჟული მთვლემარე მწირები და გადაწყვიტეს თავი შეექციათ. ზუსია განაპირას იწვა, ელიმელეხი კი – კედელთან. სტაცეს ზუსია ხელი, გამოათრიეს და დაუწყეს ცემა, წიხლების კვრა და, ბოლოს, დააგდეს იატაკზე, თავად კი ცეკვა-თამაშს მოყვნენ. ელიმელეხს გაუკვირდა, რომ მას ხელი არ ახლეს, გულის სიღრმეში კი შეშურდა ძმისა. თქვა: „ძმაო, მოდი, გავცვალოთ ადგილები, რომ კარგად გამოიძინო“. ასეც მოიქცნენ. ამასობაში მექორწილეებს კიდევ მოუნდათ თავის შექცევა. განაპირას დაწოლილ ელიმელეხს სტაცეს ხელი,

მაგრამ ერთმა იყვირა: „ასე არ ივარგებს! ეს უსამართლობაა! ახლა მეორეს მივაგოთ პატივი!“ და გამოათრიეს ზუსია კუნჭულიდან და მაგრად დაბეგვეს, თან დაჰყვიროდნენ, აჰა, შენ საქორწინო საჩუქარიო!

როცა მოეშვნენ მას, ზუსიამ გაიცინა და უთხრა ელიმელეხს: „ასეა, ძმაო. თუ კაცს ცემა უწერია, ყველგან იცემება, სადაც არ უნდა იმყოფებოდეს“.

ზუსიას ერთგულება

ერთხელ რაბი ზუსია ნესხიჟელ რაბის სტუმრობდა. შუაღამისას მასპინძელს სტუმრის ოთახიდან უცნაური ხმები მოესმა. მივიდა კართან და მიაყურადა. ზუსია ოთახში დარბოდა და ბურტყუნებდა: „სამყაროს უფალო! მიყვარხარ! მაგრამ რისი გაკეთება შემიძლია შენთვის? არაფრის მაქნისი ვარ!“ კიდევ დიდხანს დარბოდა ოთახში და ისევ ბურტყუნებდა, ბოლოს, გაჩერდა და წამოიყვირა: „სტვენა შემიძლია! აბა, დავუსტვენ შენთვის!“ და როგორც კი ზუსიამ სტვენა დაიწყო, ნესხიჟელი რაბი გულის სიღრმემდე უდიდესმა ძრწოლამ მოიცვა.

ცოდვილი ფიქრები

ერთხელ რაბი ზუსიამ უთხრა რაბი ელიმეხს:

„მელეხ, ერთი ეს ამიხსენი. წმინდა წერილში ამოვიკითხე, რომ ყველა სული ადამის სულში იყო მოქცეულიო. მაშ, როგორ დართეს მას ნება, მათ შორის შენც, რომ ცოდვა ჩაედინა და ყველას სული, მათ შორის შენიც გაეწირა?“

ლიზენსკელმა რაბიმ ასე უპასუხა:

„ადამს რომ არ შეეცოდა, მის გონებაში მუდამ ეს ფიქრი იქნებოდა, რომ მისი სისუსტეები იმის ბრალია, რომ ღმერთს არ სურს მეტოქე ჰყავდეს და უკრძალავს ცნობადის ხის ნაყოფის ჭამას. რომ ჭამოს, ღმერთივით ძლიერი იქნება. და რაკი ცოდვილი ფიქრები თავად ცოდვაზე უარესია, მე ვამჯობინე, რომ ადამს ცოდვა ჩაედინა, ვიდრე ცოდვილი ფიქრებით ეცხოვრა“.

კურთხევა

რაბი ზუსია ამბობდა: „დედაჩემი მირლი, მშვიდობა სუფევდეს მასზე, წიგნის მიხედვით არ ლოცულობდა, რადგან არ იცოდა კითხვა. ერთი რამ იცოდა – კურთხევის წარმოთქმა. იქ, სადაც ის კურთხევას წარმოთქვამდა, მთელი დღე შეხინას ნათელი იდგა“.

ცოდვის გალობა

იომ ქიფურის (შენდობის დღის) წინადღით რაბი ზუსიამ კანტორის გალობა „და მიტევებულია“ მოისმინა. გალობა იმდენად ხმატკბილი იყო, რომ რაბის აღმოხდა: „ქვეყნიერების უფალო, ისრაელს რომ არ შეეცოდა, ასეთი გალობა თუ ავიდოდა შენამდე ქვემოდან?“

ჭეშმარიტი სიმდაბლე

რაბი ზუსია და მისი ძმა ელიმელეხი ერთხელ თავმდაბლობაზე შელაპარაკდნენ. ელიმელეხი ამბობდა, ადამიანმა ჯერ შემოქმედის სიდიადე უნდა განიცადოს, რომ ჭეშმარიტ სიმდაბლეს მიაღწიოსო.

ზუსია კი ამბობდა: „არა, ძმაო, ასე არ არის. ადამიანმა იმით უნდა დაიწყოს, რომ ჯერ სიმდაბლეს მიაღწიოს და მერეღა შეეძლება ღვთის სიდიადის შეცნობა“.

როცა თავიანთ მოძღვარს, მაგიდს, შეეკითხნენ, თუ რომლის მხარეზე იყო სიმართლე, მაგიდმა ასე გადაწყვიტა: „ესეც და ისიც ცოცხალი ღვთის სიტყვაა. მაგრამ შინაგანი მადლი იმისია, ვინც თავისი თავით დაიწყებს და არა შემოქმედით“.

მხოლოდ სიკეთე

ერთხელ, როცა ახალგაზრდა ზუსია თავის მოძღვართან რაბი დოვ-ბერთან, დიდ მაგიდთან, ცხოვრობდა, მოვიდა კაცი ვინმე შემწეობის სათხოვნად. ზუსია ანაზდად მიხვდა, რომ უცნობს ბევრი მოუნანიებელი ცოდვა ჰქონდა, და შერისხა:

„როგორ ბედავ შემწეობა სთხოვო წმინდა კაცს, როცა უსირცხვილოდ გაურბიხარ ჩადენილი ცოდვების მონანიებას?“

უცნობს ხმა არ ამოუღია, შეცბუნებული წავიდა, ზუსია კი, სირცხვილეული თავისი ნათქვამის გამო, სულ დაიბნა.

მაგიდმა ეს ამბავი რომ გაიგო, დალოცა ზუსია და მას შემდეგ იგი ადამიანებში მხოლოდ სიკეთეს ხედავდა მაშინაც კი, როცა ისინი მის თვალწინ სცოდავდნენ.

განჭვრეტის უნარი ზუსიას მაინც არ დაუკარგავს, მაგრამ ყველა ცოდვას, რომელთაც ადამიანებში ხედავდა, თავისად თვლიდა და თავს ადანაშაულებდა.

ზუსია და ცოდვილი

ერთხელ რაბი ზუსიამ ფუნდუკში შეიარა და მეფუნდუკის შუბლზე მრავალწლიანი ცოდვის ნიშნები ამოიკითხა. ერთხანს უხმოდ და უმოძრაოდ იყო. მაგრამ ოთახში მარტო რომ დარჩა, ფსალმუნების გალობისას აქვითინდა და აღმოხდა: „ზუსია, ზუსია! შე ცოდვილო ზუსია! ეს რა ჩაიდინე! სიცრუეში რომ არ ცხოვრობდე, ამდენ ცოდვას როგორ ჩაიდენდი!“ და დაიწყო ზუსიამ მეფუნდუკის ცოდვების ჩამოთვლა, რომელი როდის და სად ჰქონდა ჩადენილი. მეფუნდუკემ, რომელიც შეუმჩნევლად თვალყურს ადევნებდა მდგმურს, ყველაფერი გაიგონა. ჯერ შიშმა შეიპყრო, მერე კი აღიარა ცოდვები და ღვთისკენ მოიქცა.

გზაჯვარედინზე

ერთხელ, მგზავრობისას, რაბი ზუსია გზაჯვარედინზე აღმოჩნდა და დიდხანს ვერ გადაეწყვიტა, საით წასულიყო. ბოლოს, მან ცას მიაპყრო მზერა და დაინახა შეხინა, რომელმაც აჩვენა მას გზა.

ძნელი პასუხი

სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე რაბი ზუსიამ თქვა: „თუ სამსჯავროზე შემეკითხებიან, რატომ მოსე არ იყავიო, მე ვიცი,

რა ვუპასუხო. მაგრამ თუ მკითხეს ზუსია რატომ არ იყავიო, ვერაფერს ვუპასუხებ“.

ძნელი პასუხი (ვარ.)

სიკვდილის წინ რაბი ზუსიამ თქვა: „საიქიოში არ შემეკითხებიან, მოსე რატომ არ იყავიო? შემეკითხებიან, ზუსია რატომ არ იყავიო?“

სნეულება

სიბერეში რაბი ზუსია დასნეულდა და ბოლო შვიდი წელი საწოლს იყო მიჯაჭვული. როგორც ამბობენ, მან თავის თავზე იტვირთა სატანჯველი ისრაელის გამოსასყიდად.

ერთხელ სნეულს ეწვივნენ ლიუბლინელი წინასწარმეტყველი და ოლიკელი რაბი ჰირშ ლეიბი. როცა რაბი ზუსიასგან უკვე გადიოდნენ, ჰირშ ლეიბმა უსაყვედურა ლიუბლინელ რაბის: „რატომ არ მოიქეცი, როგორც რაბი იოხანანი იქცეოდა? იგი ხელს უწვდიდა თავის სნეულ მეგობრებს და ისინი იკურნებოდნენ“.

ამ სიტყვებზე ლიუბლინელი რაბი მწარედ ატირდა. ხოლო ოლიკელმა რაბიმ: „რა გატირებს? შენ გგონია, ის სხეულის უძლურების გამოა სნეული? იგი თავისი ნებით ითმენს სატანჯველს და, თუ ისურვებს გამოჯანმრთელებას, სხვისი ხელი არ დასჭირდება“.

სახე

დიდი მაგიდის შვილი რაბი აბრაამ-ანგელოსი ზოგჯერ ისე დიდებულად გამოიყურებოდა და ისეთ მოწიწებას იწვევდა, რომ ვერავინ ბედავდა მის შეხედვას. ერთ ცადიკს, რომელიც რაღაც უჩვეულოდ ამაღლებულ აღთქმას იცავდა, მისი შეხედვისას დაავიწყდა, წარმოთქვა თუ არა კურთხევა. შინ დაბრუნებულს საჭმელ-სასმელისთვის პირი არ მიუკარებია. მეორე ცადიკი რაბი აბრაამთან შეხვედრამდე ოთხი კვირის განმავლობაში

იკრებდა მხნეობას, მაგრამ როცა შევიდა მასთან და დაინახა, თუ როგორ იმოსებოდა იგი თეფილინით[1], შიშით აცახცახდა, გავარდა გარეთ და აღარასოდეს უცდია მასთან შეხვედრა.

რაბი ბარუხი და რაბი ეფრაიმი, ბაალ შემ ტოვის შვილიშვილები, დაინტერესდნენ, რატომ უწოდებს რაბი აბრაამს ეს ხალხი ანგელოსს და შეეცადნენ უფრო დაკვირვებით შეეხედათ მაგიდის შვილისთვის. იმ ქუჩაზე ჩავლისას, სადაც ის ცხოვრობდა, ფანჯარაში მათ მის სახეს მოკრეს თვალი და ისე სწრაფად გაიქცნენ, რომ ეფრაიმს ფსალმუნთა წიგნი გაუვარდა ხელიდან.

ქორწილი

როცა რაბი აბრაამ-ანგელოსი თავის საქორწინო ოთახში შევიდა, მისი სახე ისეთი შიშისმომგვრელი იყო, როგორც არასდროს, ბაგეები კი რაღაც შემაშინებელ სიტყვებს ჩურჩულებდნენ. საქმროს გამოჩენამ სულის სიღრმემდე შეაძრწუნა საცოლე და იგი უგრძნობლად დაეცა იატაკზე.

როცა მეორე ღამით რაბი აბრაამი საქორწინო ოთახში შევიდა, მისი საცოლის გული გმირული სიმხნევით აივსო და მან გაუძლო მის შემაძრწუნებელ დიდებულებას.

რაბი აბრაამს ორი ვაჟი შეეძინა, მაგრამ ქორწილის შემდეგაც ისევე განმარტოებით ცხოვრობდა, როგორც წინათ.

დღენიადაგ

თქვა აბრაამ-იეჰოშუა-ჰეშელმა, აპტელმა რაბიმ:

„ყოველმა ისრაელიანმა თავისი თავი სინაიზე მდგარი და თორის მომლოდინე უნდა დაინახოს, რადგან კურთხეული უფალი ხომ ადამიანი არ არის, რომ წარსული და მომავალი ჰქონდეს: იგი დღენიადაგ გასცემს თორას“.

---

[1] პერგამენტი, რომელზეც თორის ტექსტებია წარწერილი. დილის ლოცვის დროს იმაგრებენ თავზე, შუბლსა და კეფას შორის.

დღენიადაგ (ვარ.)

აპტელი რაბი იტყოდა:

„ყოველმა ისრაელიანმა იცის, რომ ის იმათ შორის იყო, ვინც სინაის მთაზე იდგა, როცა ღმერთი თორას გადმოსცემდა. მხოლოდ ადამიანისთვის არსებობს წარსული და მომავალი, არა ღმერთისთვის. ღმერთი დღენიადაგ გვაძლევს თორას“.

მაგიდა

ახალმთვარობის დღეს, როცა აპტელი რაბი აბრაჰამ-იეჰოშუა-ჰეშელი უნდა მომკვდარიყო, ის მაგიდას უჯდა და ფიქრობდა ცადიკების სიკვდილზე. როცა ტრაპეზის შემდეგ ლოცვა წაიკითხა, ადგა და ოთახში ბოლთის ცემას მოყვა, სახე უბრწყინავდა. მერე მაგიდასთან მივიდა და თქვა: „მაგიდავ, ჩემო უბრალო მაგიდავ, შენ ხარ მოწამე, რომ მე აქ ღირსეულად ვჭამდი საჭმელს და ღირსეულად ვასწავლიდი ჩემს მოწაფეებს“.

მერე ანდერძად დატოვა, რომ მაგიდის ფიცრებისგან მისთვის კუბო შეეკრათ.

ქვრივი

აპტელი რაბის მოწაფემ ასეთი ამბავი გვიამბო: „ერთხელ შევესწარი ჩემი მასწავლებლის საუბარს ქვრივ ქალთან. იგი ელაპარაკებოდა მას ქვრივობის შესახებ და კეთილი სიტყვებით ანუგეშებდა. ქალმა მთელი სულით მიიღო ნუგეში და გამხნევდა. უცებ მე დავინახე, რომ თავად რაბი ტიროდა და მეც ავტირდი, რადგან მივხვდი, რომ იგი შეხინაზე ლაპარაკობდა, რომელმაც მიგვატოვა“.

ჯოჯოხეთში

აპტელი რაბი ასე ევედრებოდა უფალს:

„უფალო, ღმერთო ჩვენო, სამყაროს მეუფევ, მე ვიცი, რომ ჯოჯოხეთის ღირსი ვარ. ვიცი, არ წამიყვან სამოთხეში მართლებთან, მაგრამ თუ ჯოჯოხეთში წამიყვან, არ დაგავიწყდეს, რომ ცოდვილებთან მე ვერ გავძლებ. ამიტომ გევედრები,

ვიდრე ჯოჯოხეთში მიკრავდე თავს, ყველა ცოდვილი გაიყვანე ჯოჯოხეთიდან“.

მომავლის ცოდნა

როცა ჭაბუკი ჰეშელი მინდვრად მიდიოდა ხოლმე, მომავალი მას ჯეჯილის შრიალში ესმოდა. როცა ქუჩაზე მიდიოდა, მომავალი ნაბიჯების ხმაში ესმოდა. ხოლო როცა სრულიად განერიდა გარესამყაროს და თავისი ოთახის მდუმარებაში ჩაიკეტა, მომავალზე მისი სხეულის ყოველი ნაკვთი უბნობდა. მაშინ იგი შიშმა შეიპყრო: როგორ დაადგეს ჭეშმარიტ გზას, როცა იცის, სად წაიყვანს მას მისი ფეხები. ძალა მოიკრიბა და შეევედრა უფალს, წაეღო მისგან ეს უნარი. და ღმერთმა მოწყალედ გადმოხედა მის ვედრებას.

ორგვარი სიყვარული

აპტელ რაბის კითხვა დაუსვეს: „ნათქვამია: „და შვიდი წელი ემსახურებოდა იაკობი რახელისთვის და ერთ დღედ მოეჩვენა ეს დრო, ისე უყვარდა იგი“ (დაბ. 29:20). როგორ უნდა გავიგოთ ეს? ხომ შეიძლება ვიფიქროთ, რომ დრო მეტისმეტად იწელება, შეყვარებულისთვის და ერთი დღე მთელ წელიწადად ეჩვენება“.

აპტელმა რაბიმ განმარტა: „ორგვარი სიყვარული არსებობს. პირველი, როცა შეყვარებული დაბმულია თავისი სიყვარულის საგანზე და ეს ორმხრივი სიყვარულია. ამ დროს განშორების ყოველი საათი უსასრულოდ გრძელდება, რადგან მეტრფე სატრფოსკენ მიისწრაფის. მაგრამ არის მეორეგვარი სიყვარული, ჭეშმარიტი სიყვარული, თუმცა იგი, შესაძლოა, უპასუხო იყოს. ამ დროს არა აქვს მნიშვნელობა, ორ ნაბიჯზე ცხოვრობს შეყვარებული თუ მათ ათასობით კილომეტრი შორავს. აი, რატომ არის ნათქვამი: „და შვიდი წელი ემსახურებოდა იაკობი რახელისთვის და ერთ დღედ მოეჩვენა ეს დრო, ისე უყვარდა იგი“. იაკობს უყვარდა რახელი, იგი მიეკრო მას, ორმხრივობაზე არც უფიქრია. იგი არ ფიქრობდა თავის თავზე ან თავის სურვილებზე. ეს ჭეშმარიტი სიყვარული იყო“.

სული

იომ ქიფურში (შენდობის დღეს), როცა რაბი აბრაჰამ-იეჰოშუა *სედერ-ჰა-ყავოდას* ანუ ამ დღის მსახურების განაწესს კითხულობდა, ნაცვლად დაწესებულისა „და მაშინ მან თქვა“, ამბობდა „და მაშინ მე ვთქვი“. იმეორებდა რა მღვდელმთავრის სიტყვებს, რაბი ამით მიანიშნებდა, რომ მას არ დავიწყებია ის დრო, როცა მისი სული იერუსალიმის მღვდელმთავრის სხეულში იმყოფებოდა და მას ახსოვდა, როგორ სრულდებოდა სამსახური ტაძარში.

ერთხელ მან იამბო: „ათგზის ვარ მოსული ამ სოფელში. მე ვიყავი მღვდელმთავარი, ვიყავი თავადი, ვიყავი მეფე, ვიყავი ექსილარხი, ვიყავი დიდმოხელეც. მაგრამ მე მაინც ვერა და ვერ შევიცანი მოყვასისადმი უსაზღვრო სიყვარულის საიდუმლო. ამიტომაც კვლავ და კვლავ მაგზავნიდნენ ამ მიწაზე. და თუ ამ ჯერზე მე ვისწავლი ადამიანების ნამდვილ სიყვარულს, მეტჯერ აღარ მომიხდება აქ დაბრუნება“.

დევნილების სიმწარეში

რაბი მეირ აპტელი და როპშიცელი რაბი ქორწილში იყვნენ. აპტელ რაბის არყის ბოთლი ეჭირა ხელში და ამბობდა: „როცა მესია მოვა, მაგარი სასმელით მივეგებებით. ამით მივანიშნებთ, თუ რა გვიღვივებდა რელიგიურ განცდებს დევნილების სიმწარეში“.

„არა, ჩემო მეგობარო, – მიუგო როპშიცელმა რაბიმ, – ჩვენ ერთად შევეგებებით მას და ვაჩვენებთ, როგორი წინამძღოლები ყავდა ისრაელს დევნილების სიმწარეში“.

ჟამის გარეთ

ლიადელი რაბი შნეურ-ზალმანი უამბობდა თავის ხასიდებს: „ერთ საღამოს ქუჩაში მივდიოდი და რაღაც უხამსობას წავაწყდი. შევწუხდი, რომ თვალი ვერ დავიცავი. სახით კედლისკენ მივბრუნდი და მწარედ ავტირდი, ხოლო როცა უკან გა-

ვიხედე, უკვე ბნელოდა და მე მივხვდი, რომ მწუხრის ლოცვა გამოვტოვე. მაგრამ მე გამოვედი ჟამიდან და შევასრულე მწუხრის ლოცვა.

სად ხარ?

რაბი შნეურ-ზალმანი, ჩრდილოეთ ბელორუსიის რაბინი პეტრეპავლეს ციხეში იჯდა, პეტერბურგში, და სასამართლოს ელოდა, რადგან *მითნაგიდებმა*[1] (ხასიდების მოწინააღმდეგეებმა) უჩივლეს, სექტანტი და ანტისახელმწიფოებრივი განწყობილების არისო. ერთხელ მასთან საკანში საიდუმლო კანცელარიის უფროსი შევიდა. დიდებული და მშვიდი რაბინი იმდენად იყო ფიქრებში ჩაფლული, რომ არც კი გაუგია მისი შემოსვლა. საიდუმლო კანცელარიის უფროსი გონიერი და დაკვირვებული კაცი იყო და იმწამსვე მიხვდა, რომ მის წინ უბრალო პიროვნება არ იყო. გაიმართა საუბარი და საიდუმლო კანცელარიის უფროსმა რამდენიმე კითხვა დაუსვა პატიმარს, რომელიც მას წმინდა წერილის კითხვისას დაებადა. ბოლოს ჰკითხა: „როგორც გავიგოთ, ყოვლისმჭვრეტელი ღმერთი რომ მიმართავს ადამს, სად ხარო?“ პასუხად რაბინმა: „თუ გწამთ, რომ წერილი მარადიულია და ჭეშმარიტი ყველა ეპოქისთვის, ყოველი თაობისთვის და ყველა ადამიანისთვის?“ „მწამს“, მიუგო საიდუმლო კანცელარიის უფროსმა. „თუ ასეა, განაგრძო რაბიმ, მაშინ ყოველ წამს ეკითხება ღმერთი ადამიანს: „სად ხარ ამქვეყნად? შენთვის განკუთვნილი ბევრი დღე და წელიწადი გავიდა, შენ კი რამდენად დაწინაურდიო?“ ღმერთი შენც გეუბნება: „ორმოცდაექვსი წელი გიცხოვრია და ახლა სად ხარ?“

როცა გაიგონა, რომ რაბინმა მისი ზუსტი წლოვანება დაასახელა, საიდუმლო კანცელარიის უფროსმა დაადო ხელი მხარზე პატიმარს და შესძახა: „ბრავო!“

---

[1] *მითნაგიდი* –„მოპირისპირე“. ხასიდობის მოწინააღმდეგე.

ნებართვა

რაბი შნეურ-ზალმანმა და მისმა ძმამ დააპირეს დიდ მაგიდთან მეჟერიჩში წასვლა. რაბიმ ცოლს სთხოვა წასვლის ნებართვა და ისიც დათანხმდა იმ პირობით, რომ წლინახევრის შემდეგ დაბრუნდებოდა. ცოლის დაგროვილი ოცდაათი მანეთით რაბიმ ცხენი და ოთხთვალა იყიდა. ძმამ კი თავის ცოლს ნებართვა არ გამოსთხოვა. როცა ორშამდე მივიდნენ, ცხენი მოკვდა.

„ეს იმიტომ მოხდა, რომ შენ უნებართვოდ წამოხვედი, – უთხრა რაბი ზალმანმა ძმას, – ზეგარდამო ნიშანი მოგეცა. გზას ვერ გააგრძელებ ცოლის უნებართვოდ. შინ დაბრუნდი, მე კი წავალ და, რასაც მაგიდისგან ვისწავლი, გაგიზიარებ“.

ასე დაშორდნენ ისინი ერთმანეთს. რაბი შნეურ-ზალმანმა ფეხით განაგრძო გზა მეჟერიჩისკენ.

მესიაზე

ვიღაცამ ხუმრობით ჰკითხა რაბი შნეურ-ზალმანს, ხასიდი იქნება მესია თუ *მითნაგიდიო*?

„ვფიქრობ, *მითნაგიდი*, – მიუგო რაბიმ, – რადგან თუ მესია ხასიდი იქნება, მითნაგიდები არ ერწმუნებიან მას. მაგრამ ხასიდები ერწმუნებიან, ვინც უნდა იყოს იგი“.

მოძღვრის მზერა

დიდი მაგიდის ოთახის გვერდით სენაკში მის მოწაფეებს ეძინათ ხოლმე. ხანდახან ღამით მაგიდი სანათურით ხელში შედიოდა მათთან და მძინარეთ სახეზე აკვირდებოდა. ერთხელ იგი დაიხარა საწოლზე, სადაც ძველი საბნის ქვეშ შნეურ-ზალმანს ეძინა. მაგიდი დიდხანს დასცქეროდა მას და ბოლოს თავისთვის ჩაილაპარაკა: „დიდება შენდა, ღმერთო, როგორ იტევს შენს დიდებას ეს მცირე ქმნილება!“

ზეაღსვლა

რაბი შნეურ-ზალმანი გვიამბობდა: „სანამ მეჟერიჩში მივიდოდი, ჩემი მსახურება უფლისადმი ეფუძნებოდა ფიქრებს, საიდანაც წარმოიშვა ჩემი სიყვარული და შიში ღვთისადმი. მეჟერიჩში მე შემდგომ საფეხურზე ავედი, სადაც თავად შემეცნება არის სიყვარული და შიში.

როცა მე პირველად მოვისმინე მაგიდის სიტყვები: „ღვთიური წყალობის საზომი არის ჩვენი სიყვარული უფლისადმი, ხოლო საზომი მისი მსჯავრისა – შიში მისდამი“, არ მიმიქცევია მათთვის დიდი ყურადღება. მერეღა მივხვდი, რომ ნამდვილად ასეა: ღვთის წყალობა მისადმი სიყვარულია, ღვთიური სამსჯავრო კი – შიში მის წინაშე“.

ერთი ჯამიდან

მეჟერიჩელი დიდი მაგიდის მოწაფეთა შორის იყო ერთი, რომლის სახელი დავიწყებულია. არავის ახსოვს ეს კაცი, მაგრამ მაგიდის სასწავლებელში იგი საუკეთესოდ მიაჩნდათ და ყველა, ვისაც სურდა მასწავლებლის სიტყვების გახსენება, მას მიმართავდნენ. გამოხდა ხანი და მოწაფეებმა შეამჩნიეს, რომ ამ კაცში რაღაც ცუდად შეიცვალა. მერე სულ გაქრა იგი. გავარდა ხმები, გალოთდაო. აბგით და არგნით ხეტიალობდა, დუქნებში შედიოდა, ჩუმ-ჩუმად სვამდა და ბრძნულ შეგონებებს წარმოთქვამდა. წლების შემდეგ ქალაქ ლიოზნოში მივიდა, სადა რაბი შნეურ-ზალმანი ცხოვრობდა. შევიდა სასწავლებელში სწორედ იმ დროს, როცა რაბი მოძღვრავდა მოწაფეებს. შემოსული არავის შეუმჩნევია, ერთხანს კარებთან იდგა და უსმენდა. მერე თქვა: „ჩვენ ერთი ჯამიდან ვიკვებებოდით, ახლა კი მთელი საკვები შენთვის გაქვს წაღებული“. და გარეთ გავიდა.

რაბი შნეურ-ზალმანს უამბეს ამის შესახებ და იგი მიხვდა, ვინ იყო ეს კაცი. რაბიმ ძებნა დაუწო მას. უნდოდა, ხეტიალისთვის დაენებებინა თავი და თავისთან დაეტოვებინა საცხოვრებლად. მაგრამ მოხეტიალის კვალს ვერავინ მიაგნო.

ბაყაყების სიმღერა

დიდი მაგიდის, მეჟერიჩელი რაბი დოვ-ბერის სიკვდილის შემდეგ მისი მოწაფეები შეიკრიბნენ და იხსენებდნენ მოძღვრის საქმეებს. როცა რაბი შნეურ-ზალმანის ჯერი დადგა, მან კითხვით მიმართა შეკრებილთ: „იცით თუ არა თქვენ, რომ ჩვენი მოძღვარი ყოველ დილას ტბორზე მიდიოდა და ერთხანს იქ ყოვნდებოდა?“ არავინ არაფერი იცოდა. რაბი შნეურ-ზალმანმა განაგრძო: „ის სწავლობდა სიმღერას, რომლითაც ბაყაყები ადიდებენ ღმერთს.

არარას ხილვა

სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე რაბი შნეურ-ზალმანმა შვილიშვილს ჰკითხა: „ხედავ რასმე?“ ბავშვმა გაკვირვებით შეხედა რაბის. მაშინ მომაკვდავმა თქვა: „ჯერჯერობით ვხედავ ღვთიურ არარას, რომელიც სიცოცხლეს ანიჭებს სამყაროებს“.

ჩვენება

კარლინელი რაბი შლომო, რომლის შვილი რაბი ბარუხის ქალიშვილზე იყო დაქორწინებული, ბარუხს ეწვია. მასპინძელი უკვე სახლის ზღურბლზე იდგა, კარი გაღებული ჰქონდა, მაგრამ ისევ მოხურა. მცირეხნის შემდეგ გაღება-მოხურვა განმეორდა. როცა რაბი შლომოს ჰკითხეს, რა ხდებოდაო, მიუგო: „რაბი ბარუხი იდგა ფანჯარასთან და ჩვენ გვიყურებდა. მის გვერდით კი წმინდა ბაალ შემ ტოვი იდგა და თავზე ხელს უსვამდა“.

შაქარი

ამბობენ, კარლინელ რაბი შლომოს ჩაის თუ ყავის სმის დროს შაქრის ნატეხი ეჭირა ხოლმე ხელში. ერთხელ შვილმა ჰკითხა: მამი, რატომ აკეთებ ასე? თუ შაქარი გინდა, ჩაიდე პირში, თუ არა და, ხელში რატომ გიჭირავს? სმას რომ მორჩა, რაბი შლომომ შაქრის ნატეხი შვილს გაუწოდა: აბა, გასინჯე! შვილმა გასინჯა და გაუკვირდა, რომ შაქარს არაფრის გემო არ ჰქონდა.

დიდი ხნის შემდგომ, როცა შვილი ყვებოდა ამ ამბავს, დასძენდა ხოლმე: ვინც ყველაფრის ერთიანობა შეიცნო, ხელითაც ისევე შეუძლია გემოსხილვა, როგორც ენით.

ყელს მიბჯენილი ხმალი

კარლინელი რაბი შლომო თავის მოწაფესთან ერთად მგზავრობდა. გაჩერდნენ ფუნდუკში, მიუსხდნენ მაგიდას და რაბიმ თბილი თაფლუჭი მოითხოვა, რომელიც ძალიან უყვარდა.

ამასობაში ფუნდუკს მოაწყდნენ ჯარისკაცები და, როცა მაგიდასთან მსხდარი ებრაელები დაინახეს, უბრძანეს, დაუყონებლივ გათრეულიყვნენ ფუნდუკიდან.

„არ გამთბარა თაფლუჭი?“ – იკითხა რაბიმ. გაბრაზებულმა ჯარისკაცებმა მაგიდას მუშტები დაცხეს და აყვირდნენ: „მოშორდით აქედან, თორემ!...“ „ჯერ კიდევ არ გამთბარა?“ – კვლავ მშვიდად იკითხა რაბიმ. მეთაურმა ხმალი იშიშვლა და ყელზე მიაბჯინა ცადიკს. „ხომ იცი, თაფლუჭი მეტისმეტი ცხელი არ უნდა იყოს“, თქვა რაბი შლომომ. და ჯარისკაცებმა დატოვეს ფუნდუკი.

უფლისწულობა

რაბი შლომო კარლინელმა იკითხა, რა არის ყველაზე ცუდი შედეგი ბოროტის მოქმედებისო და თავადვე გასცა პასუხი: როცა ადამიანს დავიწყებული აქვს თავისი უფლისწულობა.

უსიხარულოდ

ამბობდა კარლინელი რაბი შლომო: „კაცი, რომელიც თორის ყველა აღთქმას ასრულებს, მაგრამ ღვთიურ სიხარულს არ განიცდის, როცა საიქიოს მიდის და მის წინ სამოთხის კარი იღება, იმის გამო, რომ სააქაოში ჭეშმარიტი სიხარული არ განუცდია, ვერც სამოთხეში განიცდის სიყვარულს. თუ ის ბრიყვია, აბუზღუნდება: „ეს არის თქვენი სანაქებო სამოთხე?“ ხოლო თუ კაცი გონიერია, თავად დატოვებს სამოთხეს, წავა ცადიკთან და ის ასწავლის მას ჭეშმარიტი სიხარულის განცდას“.

კურნება

რაბი შლომოს შვილიშვილი ყვებოდა: „ერთ ცადიკთან მივიდა კაცი, რომლის სული ქვენა ვნებებით იყო მოცული. „მე ვერ გიშველი, – უთხრა ცადიკმა. – კარლინელ რაბი შლომოსთან წადი“.

ასე და ამრიგად, მივიდა ეს კაცი ჩემს პაპასთან სწორედ იმ დროს, როცა იგი სამადლობელო ფსალმუნს გალობდა. მთხოვნელი იდგა და ისმენდა. პაპა გალობდა ფსალმუნს, არც მარჯვნივ გაუხედავს, არც მარცხნივ. მაგრამ როცა მივიდა სიტყვებამდე „და მხსნელსა ჩვენსა შემავიწროებელთაგან ჩვენთა“, მოიხედა სტუმრისკენ, მხრებში ჩაავლო ხელი და ჰკითხა: „თუ გწამს, რომ უფალი გაგვათავისუფლებს სატანჯველისგან?“ – „მწამს“, მიუგო მთხოვნელმა. და წამსვე ქვენა ვნებებმა მიატოვა იგი“.

ღვთისმიერი სიყვარული

რაბი შლომო კარლინელი იტყოდა:

„ეჰ, ნეტავ ისე მიყვარდეს უდიდესი ცადიკი, როგორც ღმერთს უდიდესი ბოროტმოქმედი უყვარს!“

ლაფიდან ამოყვანა

თქვა რაბი შლომომ:

„თუ გსურს ამოიყვანო ლაფში და სიბინძურეში ჩაფლული კაცი, ნუ გგონია, რომ ხელის გაწვდენა საკმარისი იყოს. შენ თავად უნდა ჩახვიდე მასთან ლაფში და სიბინძურეში, მაგრად შემოაჭდო ხელები და შენს თავთან ერთად ამოათრიო სინათლისკენ“.

ცოდნა

ამბობენ.

ახალგაზრდობაში რაბი ისრაელ კოზნიცელმა კაბალის ოთხმოცი წიგნი შეისწავლა. მაგრამ როცა მეჟერიჩელი მაგიდი იხილა, მიხვდა, რომ არაფერი იცოდა.

ყოველდღე

თქვა კოზნიცელმა მაგიდმა: „ადამიანი ყოველდღე უნდა გამოდიოდეს ეგვიპტიდან“.

თვითგვემა

მივიდა კოზნიცელ მაგიდთან კაცი ვინმე, რომელიც ხორცის დასათრგუნავად შიშველ ტანზე ჯვალოს მეტი არაფერი ეცვა და შაბათიდან შაბათამდე მარხულობდა. მაგიდმა უთხრა: „შენ გგონია, ბოროტება გაგშორდა? არა, ის მაგ შენს ჯვალოს ქვეშ იმალება“.

ის, ვინც ამბობს, შაბათიდან შაბათამდე ვმარხულობო, მაგრამ ყოველდღე ჩუმ-ჩუმად ჭამს, სულიერად შენზე მეტია, რადგან ის მხოლოდ სხვებს ატყუებს, შენ კი საკუთარ თავს ატყუებ“.

მოძულებული

მივიდა კოზნიცელ მაგიდთან ვიღაც ქალი, მტირალი, და შესჩივლა, ქმარმა შემიძულა, მახინჯს მეძახისო. „იქნებ არცა ხარ ლამაზი?“ ჰკითხა რაბი ისრაელმა. „რაბი, შესტირა ქალმა, ქორწილზე ხომ ლამაზი და სანატრელი ვიყავი? ახლა რატომღა მომიძულა?“

რაბიმ ძლივს დაამშვიდა ქალი, შეპირდა, ვილოცებ თქვენთვის, ვინძლო ქმარს გული მოუბრუნდესო.

ქალი რომ წავიდა, მაგიდმა ღმერთს ასე მიმართა: „შეხედე ამ ქალს, სამყაროს უფალო, და შეხედე ისრაელს. როცა ისრაელიანებმა სინაისთან წარმოთქვეს: „ყველაფერს, რაც გვითხარი, უფალო, შევასრულებთო“, შენ აირჩიე ისრაელის საზოგადოება და დაწინდე იგი. განა მაშინ ის შენთვის ლამაზი და სანატრელი არ იყო? ახლა რაღატომ მოიძულე?“

გადავადება

მოხუცობაში კოზნიცელი რაბი ისრაელი ამბობდა: „არიან ცადიკები, რომლებსაც მიწიერი მოწოდების აღსრულების შემდეგ ღმერთი გაიხმობს ამ სოფლიდან. და არიან ცადიკები,

რომლებსაც, როცა აღასრულებენ თავიანთ მოწოდებას მიწიერ ცხოვრებაში, ღმერთი ახალ დავალებას აძლევს და ისინი განაგრძობენ ცხოვრებას, ვიდრე არ აღასრულებენ დავალებას“.

ხსნის ღმერთი

თქვა ლიუბლინელმა ცადიკმა, რაბი იაკობ-იცხაკმა: „დაწერილია: ჭეშმარიტად შენ ხარ ღმერთი, რომელიც დაფარულია, ღმერთი ისრაელისა, მხსნელი ღმერთი! იგი ისრაელის ღმერთია და ამიტომაც მისი მხსნელია. მაგრამ ის მხსნელი იმიტომ არის, რომ ფარავს თავის თავს. განკურნება მწიფდება უჩინრობაში და, რაც იქ ხდება, ფარული მუშაობაა“.

უკან აღარ მიაქვს

ერთხელ ლიუბლინელმა რაბი იაკობ-იცხაკმა ნესხიჟელ რაბი მორდეხაისთან საუბრისას თქვა: „მე ვხედავ ყველაფერს, რაც ადამიანს გაუკეთებია და აკეთებს. და ეს ამცირებს ჩემს სიყვარულს ისრაელისადმი. ამიტომაც მე გამუდმებით შევსთხოვ ღმერთს, რომ უკანვე წაიღოს ჩემგან ნათელხილვის უნარი“.

ნესხიჟელმა რაბიმ პასუხად უთხრა: „ცათა განგებაზე „*გემარაში*“ ნათქვამია: „ღმერთი იძლევა, მაგრამ უკან არ მიაქვს“.

არ დაიჯერო

ლიუბლინელი რაბი იაკობ-იცხაკი ამბობდა: „ისრაელის დიდმა კაცებმა რომ გითხრან, მართალი კაცი ხარო, არ დაიჯერო. ელიაც რომ მოვიდეს, კეთილი იყოს მისი ხსენება, და ცის ანგელოზიც, და გითხრან, მართალი კაცი ხარო, არ დაიჯერო. თავად უზენაესმაც რომ გითხრას, კურთხეული იყოს მისი სახელი, მართალი კაცი ხარო, იცოდე, რომ ეს მხოლოდ ამ წამს ეხება და არა შემდგომს“.

ერთმა ცადიკმა კი თქვა: „მესია რომ მოვიდეს დღეს და მითხრას, სხვებზე უკეთესი ხარო, მე ვეტყვი: შენ არა ხარ მესია“.

მიწის მორჩილება

უთხრა ლიუბლინელმა რაბიმ ჩერნობილელ რაბი მორდეხაის:

„როცა ჩემს უკეთურებებზე ვფიქრობ, სასოწარკვეთილება მიპყრობს. ერთადერთი ნუგეში ის არის, რომ მე ვიცი, მალე მივიქცევი მიწად, მიწა კი ღმერთს არასოდეს ეურჩება“.

სასწავლებელში

ერთი ცადიკი ყვებოდა:

„ნიკოლსბურგში რაბი შმელკესთან ვსწავლობდი და ჩემს ამხანაგთა შორის იყო ერთი ყმაწვილი, სახელად იაკობ-იცხაკი. ერთი წლის შემდეგ იგი ლიუბლინის რაბი გახდა. ისიც ჩემსავით უკვე ორ წელი სწავლობდა და უკვე დაქორწინებული იყო. სასწავლებელში იგი სულმუდამ შეუმჩნეველ ადგილზე იჯდა ხოლმე და, განსხვავებით სხვა მოწაფეთაგან, არასოდეს კითხვა არ დაუსვამს. არასოდეს არც ერთი ჩვენგანისთვის არ შეუხედავს. მხოლოდ მასწავლებელს უყურებდა, ან იატაკს ჩასცქეროდა. მისი პირისახე თითქოს შიგნიდან ანათებდა და მე ვამჩნევდი, რომ მასწავლებელი მისით აღფრთოვანებული იყო“.

კურთხეული სიხარული

როცა იაკობ-იცხაკი რაბი შმელკეს სასწავლებელში იმყოფებოდა, იგი ანგელოსს ჰგავდა, და ისე განშორებული იყო ყოველივე მიწიერს, რომ რაბი შმელკე, თავად მიდრეკილი განმარტოებისკენ, მიხვდა, რომ მოწაფემ გაუსწრო მასწავლებელს. მაშინ მან იაკობ-იცხაკი ჰანაპოლში რაბი ზუსიასთან გაეგზავნა, თან ასეთი წერილი გაატანა: „ცოტა გული გაუნათლე ჩვენს იცკელს“.

და ერთხელ, როცა რაბი ზუსიამ წმინდა ცრემლები მოადენინა იაკობ-იცხაკს, მასში კურთხეული სიხარული გააღვიძა.

ხილვის ძალა

ხასიდები მოგვითხრობენ:

როცა ლიუბლინელი *ნათელმხილველის*, რაბი იაკობ-იცხაკის, სული იქმნებოდა, მას მისცეს უნარი სამყაროს კიდით კიდემდე მოხილვისა. და სულმა მრავლი ბოროტება იხილა და მოითხოვა, რომ ეს უნარი უკანვე წაეღოთ მისგან, ამიტომაც ოთხი მილით შეეზღუდა სულს ჭვრეტის უნარი.

სიჭაბუკეში *ნათელმხილველს*, გარდა ლოცვისა და სწავლის დროისა, თვალი არ გაუხელია, რათა უხამსი რამ არ დაენახა, ამიტომაც მას თვალები დაუსუსტდა და ბეცი გახდა.

მაგრამ როცა *ნათელმხილველი* ადამიანს უყურებდა ან კითხულობდა ცოდვების ჩამონათვალს (*კვიტლს*), იგი ჭვრეტდა მის სულს თვით იმ ჟამამდე, როცა იგი ადამში იმყოფებოდა, იცოდა, კაენიდან იყო მისი სული წარმოშობილი თუ აბელიდან, რამდენი განსხეულება განიცადა და რას აკეთებდა თითოეული განსხეულების დროს, რამდენს სცოდავდა, რამდენს ინანიებდა, რომელი მცნება დაარღვია და რომელი მტკიცედ დაიცვა.

სიბრმავე

მოგვითხრობენ:

საღამოს ლოცვა, შაბათისაც კი, ლიუბლინში გვიანდებოდა. ლოცვის წინ რაბი ყოველთვის განმარტოვდებოდა ხოლმე თავის ოთახში და არავის ჰქონდა იქ შესვლის უფლება. მაგრამ ერთხელ ერთმა ხასიდმა, რომელსაც ძალიან უნდოდა, გაეგო, რას აკეთებდა რაბი იმ ოთახში, როგორღაც შეაღწია იქ. და მან დაინახა, რომ მაგიდაზე გადაშლილი წიგნის წინ იჯდა რაბი, მეზობელი ოთახიდან კი ძლიერი სინათლე გამოდიოდა.

ხასიდი უგრძნობლად დაეცა იატაკზე. როცა გონს მოვიდა, რაბი ოთახიდან უკვე გასული იყო. ხასიდი სინაგოგისკენ გაემართა. შესვლისას მოესმა მწუხრის ლოცვის ხმა, მაგრამ ვერაფერს ხედავდა. მან რაბის მიმართა შემწეობისთვის, რაბიმ კი იგი მეზობელ ქალაქში მკურნალთან გაგზავნა. მკურნალმა

გამოკითხა, როგორ დაკარგა თვალს ჩინი, და ხასიდმაც ყველაფერი უამბო.

„შენი განკურნება შეუძლებელია, – უთხრა მკურნალმა. – შენ იხილე დასაბამიერი ნათელი, შესაქმის დღეთა ნათელი, რომელმაც მისცა პირველ ადამიანს უნარი მთელი სამყაროს ხილვისა კიდით კიდემდე, მაგრამ ადამის შეცოდების შემდეგ მას საფარველი აქვს დადებული, მისი ხილვა მხოლოდ ჭეშმარიტი ცადიკების ხვედრია. ხოლო ვინც უკანონოდ იხილავს მას, სამუდამოდ ბრმავდება“.

ათი ხასიდის ძალა

ერთმა ახალგაზრდა კაცმა, რომელიც ცოლისა და მისი მშობლებისგან იყო უჩუმრად გაქცეული, გადაწყვიტა ლიუბლინელ რაბისთან გაეტარებინა შაბათი. მაგრამ, როგორც კი შევიდა რაბისთან, რაბიმ შეხედა თუ არა მას, უბრძანა დაუყონებლივ წასულიყო სახლში, რათა შაბათისთვის მიესწრო. ყმაწვილი დაბრუნდა უკან. გზაზე ფუნდუკში დარჩა დასაძინებლად, მაგრამ თვალს რული არ მიეკარა. ამავე ფუნდუკში ღამეს ათევდნენ ხასიდები, რომლებიც ლიუბლინელი რაბისთან მიდიოდნენ. გაიგონეს როგორ წრიალებდა ყმაწვილი კაცი საწოლში, ოხრავდა და კვნესოდა. გამოკითხეს ამბავი და მანაც უამბო. იმწამსვე მოიტანეს არაყი, ჩამოასხეს და ერთმანეთის სადღეგრძელო შესვეს. ყველამ ხელი ჩამოართვა ყმაწვილკაცს და უთხრეს: „შინ ნუ დაბრუნდები, წამოდი ჩვენთან ერთთან ერთად ლიუბლინელ რაბისთან და ნურაფრის დარდი ნუ გაქვს.“ დილამდე სვამდნენ, მერე ილოცეს, ერთხელ კიდევ შესვეს ერთმანეთის სადღეგრძელო და მალე ლიუბლინში გამოცხადნენ.

წავიდნენ რაბისთან და, როცა მან ყმაწვილი დაინახა, დიდხანს უყურებდა მას და დუმდა. მერე იკითხა, სად იყავი, რა მოხდაო? ყმაწვილმა ყველაფერი უამბო და *ნათელმხილველმა* თქვა: „ამ შაბათს შენ უნდა მომკვდარიყავი, მაგრამ შენი ხვედრი შეიცვალა. რაც ვერც ერთ ცადიკს ვერ ხელეწიფება, ათ ხასიდს ხელეწიფება“.

ცრემლიანი სიცილი

თქვა ლიუბლინელმა რაბიმ:

„ჭეშმარიტი ხასიდი ბავშვივით უნდა იყოს, რომელიც იცინის ტირილის დროს. ტირილს წუხილი მაქვს, სიცილი კი ადამიანს უფლის თაყვანისცემას ავიწყებს“.

ცეცხლოვანი სიტყვები

ლიუბლინელი რაბი შეეკითხა იუდს: „რატომ ლოცულობ ასეთი აჩქარებით?“

იუდმა მიუგო: „მე მიყვარს ლოცვის სიტყვები და ამიტომაც მათ სწრაფად ვყლაპავ“.

„მაგრამ, – შეეპასუხა ლიუბლინელი, – მეც მიყვარს ლოცვები, ამიტომ ნელა წარმოვთქვამ მათ“.

„შენი სიტყვები, – შესძახა იუდმა, – გავარვარებული ნაკვერცხლებია და შენ მათ გაგრილებას უცდი“.

ვინ უფროა სიყვარულის ღირსი?

თქვა ლიუბლინელმა რაბიმ:

„მე უკეთური კაცი უფრო მიყვარს, რომელმაც იცის, რომ უკეთურია, ვიდრე კეთილი, რომელმაც იცის, რომ კეთილია. პირველი გულწრფელია და უფალს უყვარს გულწრფელობა. მეორე ტყუის, რადგან არავინ არის უცოდველი, და უფალს ძულს მტყუანი ხალხი“.

ქალაქ ნეგარდეას ქუჩები

რაბი შალომ-შახნა პოგრებიშჩელი ყვებოდა: „თალმუდში ერთ ბრძენზეა ლაპარაკი, რომელმაც შეიცნო ვარსკვლავების საიდუმლო და ამბობდა, რომ ცაში ვარსკვლავების გზები ისევე ნაცნობია მისთვის, როგორც მისი მშობლიური ქალაქის ნეგარდეას ქუჩები. ოჰ, ნეტავ ჩვენი ქალაქის ქუჩებში ისევე ადვილად გაგვეგნო ჩვენი გზა, როგორც ცაზე! რადგან იმის მიღწევა, რომ უფლის საიდუმლო ცხოვრება ბრწყინავდეს ამ სოფელში, ამ მატერიალურ სამყაროში, უდიდესი გმირობა და ოსტატობაა.

ყველას თავისი ადგილი აქვს

ჰკითხა ერთმა სადაგორელ რაბი აბრაამ-იაკობს:

„ჩვენს ბრძენებს უთქვამთ, არ არის ნივთი, რომ თავისი ადგილი არ ჰქონდესო. ყოველ ადამიანსაც თავისი ადგილი აქვს. მაშ, რატომ არის, რომ ხშირად ვიწროდ არიან ადამიანები?“

რაბიმ უპასუხა:

„იმიტომ, რომ ყველას სხვისი ადგილის დაკავება სურს“.

ტანჯვა და ტკივილი

ერთხელ სადაგორელი რაბი აბრაამ-იაკობი სასადილო მაგიდას უჯდა, ნაღვლიანად სულთქმიდა და საჭმელს არ ეკარებოდა. დამ ჰკითხა რაბის, რა გჭირსო? რამდენჯერმე გაუმეორა კითხვა და, ბოლოს, რაბიმ კითხვაზე კითხვითვე უპასუხა: „გაიგე, რას ითმენენ ახლა ჩვენი ძმები რუსეთში?“

„მე მგონია, – თქვა დამ, – რომ ეს სატანჯველი სხვა არაფერია, თუ არა მშობიარობის ტკივილები, რომლებიც მესიის მოსვლას მიანიშნებენ“.

ცადიკი ჩააფიქრა ამ პასუხმა. „შესაძლოა, – თქვა მან, – შესაძლოა. მაგრამ, აი, როცა ტანჯვა და ტკივილი ზღვარს მიაღწევს, ისრაელის ხალხი შეღაღადებს ღმერთს, რომ აღარ შეუძლია ამის ატანა და მოწყალე ღმერთიც უმსუბუქებს სატანჯველს, რითაც გვშორდება გამოსყიდვის ჟამი“.

ახალი ცა

ერთხელ ბავშვობისას, პარასკევ საღამოს, რაბი აბრაამ-იაკობი ეზოში მიდი-მოდიოდა. ხასიდები სალოცავად ემზადებოდნენ და ერთმა ხასიდმა ჰკითხა, რატომ შინ არ შედიხარ, უკვე შაბათიაო? ჯერ შაბათი არ დამდგარაო, – მიუგო ბავშვმა, – შაბათობით სულმუდამ ახალი ცა მოდის, ახლა კი ახალ ცას ვერ ვხედავო.

არჩევანი

უთხრა ერთხელ რაბი ნახუმმა თავის გარშემო შემოკრებილ ხასიდებს:

„კაუჭებზე რომ ჩამოგვეკიდებინა ჩვენ-ჩვენი სატანჯველნი და მერე ნება მოგვცემოდა თავისუფალი არჩევანისა, თითოეული ჩვენგანი ისევ და ისევ თავის სატანჯველს აირჩევდა, რადგან სხვისას ვერ შეეგუება“.

ერთგული მსახური

აი, რა თქვა ერთხელ რაბი მენახემ-ნახუმ შტეპინეშტელმა თავის ძმაზე, დავიდ-მოშეზე, ჩორტკოველ რაბიზე:

„როცა ჩემი ძმა დავიდ-მოშე გადაშლის ფსალმუნების წიგნს და კითხულობს, უფალი მას ზეციდან ეუბნება: „დავიდ-მოშე, ჩემო შვილო, მე გაძლევ ხელში მთელ ქვეყნიერებას. მოექეცი მას, როგორც ინებებ“. ოჰ, ნეტავ ჩემთვის მოეცა ქვეყნიერება, მე კარგად მეცოდინებოდა, როგორ მოვქცეოდი მას. მაგრამ დავიდ-მოშე კი ისეთი ერთგული მსახურია, რომ ის იმავე სახით დააბრუნებდა სამყაროს, როგორიც მიიღო“.

ჰანგის დაბადება

ერთხელ დავიდ-მოშე ჩორტკოველმა რაბიმ თქვა:

„ხდება, რომ ორ სამეფოს შორის ატყდება ომი და ოცდაათ წელს გაგრძელდება. მერე კი მათი კვნესისგან, ვინც ომში დაეცა, და გამარჯვებულთა მხიარული ყიჟინისგან იბადება ჰანგი, რომელიც შეიძლება ცადიკის წინაშე იმღერო“.

უღმერთოების სიკეთე

თქვა სასოველმა რაბი მოშე-ლეიბმა:

„არც ერთი თვისება არ ეძლევა ადამიანს ამაოდ. ცუდი თვისებებიც კი ეხმარება მას ღვთის სამსახურში. მაგალითად, ამპარტავნება, როცა ის განიწმინდება, გულის სიამაყედ გადაიქცევა უფლის გზაზე. მაგრამ რისთვის არსებობს უღმერ-

თობა? ისიც სასარგებლოა, როცა ვისიმე დახმარებაა საჭირო. რადგან, როცა კაცი დახმარებას გთხოვს, საკმარისი არ არის, უთხრა, უფალს მიენდეო, არამედ უნდა იმოქმედო ისე, თითქოს ღმერთი არც კი არსებობს და მთელს სამყაროში შენს მეტი არავინ არის ამ კაცის შემწე“.

შინ დაბრუნებისას

როცა მოშე-ლეიბი ახალგაზრდობაში ცოლ-შვილთან ერთად დიდ გაჭირვებაში ცხოვრობდა, ერთმა კეთილისმყოფელმა მეზობელმა ფული შესთავაზა, რომ ბაზრობაზე წასულიყო, საქონელი შეეძინა და მერე თავის მშობლიურ ქალაქში გაეყიდა. და მოშე-ლეიბიც სხვებთან ერთად სავაჭროდ გაემგზავრა. როცა ბაზრობაზე მივიდნენ, ყველამ თავის საქმეს მიხედა, მოშე-ლეიბი კი სასწავლებელში წავიდა. ბოლოს, როცა ბაზრის მოედანზე მივიდა, უკვე გვიან იყო და ყველანი უკან გასამგზავრებლად ემზადებოდნენ. მოშე-ლეიბმა უთხრა თანასოფლელებს, რაღაც-რაღაცეები მინდა ვიყიდოო, მაგრამ მათ სასაცილოდ აიგდეს მოშე-ლეიბი და ისიც ხელცარიელი წაყვა მათ.

შინ მისვლისას ბავშვები ელოდნენ კართან, ჰკითხეს, რა მოგვიტანეო. ამის გაგონებაზე მოშე-ლეიბს გული წაუვიდა.

გონს რომ მოვიდა, ფულის მსესხებელი მეზობელიც გამოჩნდა ამბის გასაგებად. მოშე-ლეიბის გაუბედურებულ სახეს რომ შეხედა, ჰკითხა: „რა მოხდა, რაბი? ფული ხომ არ დაგეკარგა? ნუ დარდობ, კიდევ შემიძლია მოგცე...“

რაბი მოშე-ლეიბმა პასუხად მხოლოდ ამის თქმა შეძლო: „რა ვქნა, ბავშვები რომ შემეკითხებიან, რა მოგვიტანეო?“

„თუ ასეა საქმე, – თქვა მეზობელმა, – აჯობებს, სახლს მიხედო“.

ამის შემდეგ მან ყველას აცნობა, რაბი მოშე-ლეიბი ცადიკია.

რა უფლებით?

ერთხელ, შუაღამისას, როცა რაბი მოშე-ლეიბი წმინდა წერილის კითხვაში იყო გართული, ფანჯარაზე კაკუნი მოესმა. აღმოჩნდა, რომ მთვრალი გლეხი ღამის გათევას ითხოვდა. ერთწამს ცადიკი რისხვამ იტანა და თავისთვის თქვა: „რა თავხედობაა! რა უფლებით მეჭრება ეს მთვრალი კაცი სახლში?“ მაგრამ მეორე წამს ასეთი კითხვა დაებადა: „რა უფლებით არსებობს ეს კაცი ამ ქვეყანაზე? მაგრამ თუ ღმერთი ითმენს მის მყოფობას, მე რა უფლებით გავაგდო იგი?“ და ცადიკმა შინ შემოუშვა მთვრალი კაცი და საწოლი გაუშალა.

ღვთის მსგავსად

ერთხელ რაბი მოშე-ლეიბმა უკეთურ კაცს ყველაფერი მისცა, რაც ჯიბეში ებადა. მოწაფეებს გაუკვირდათ მისი საქციელი. რაბიმ კი თქვა: „განა შემიძლია მე უფრო მომთხოვნი ვიყო, ვიდრე უფალია, რომელმაც მომცა ეს ფული?“

შუაღამის მოთქმა იერუსალიმის ტაძარზე

რაბი მოშე-ლეიბი მაღალი ტანისა და ძლიერი აგებულების კაცი იყო, მაგრამ ხანგრძლივმა ავადმყოფობამ ძალზე დაასუსტა. თუმცა დიდი კვნესითა და ვაივაგლახით წვებოდა დასაძინებლად, არ ყოფილა შემთხვევა, რომ შუაღამისას არ წამომდგარიყო საწოლიდან, მტკიცე ნაბიჯით არ გასულიყო გარეთ და იერუსალიმზე გლოვის სიტყვები არ წარმოეთქვა. აი, რატომ ამბობდნენ ხასიდები, რომ ქებათა ქების სიტყვები – „აჰა, მესმის ხმა ჩემი საყვარლისა, რომ რეკავს“ (ქებ. 5:2) მასზეაო ნათქვამი. უეჭველი იყო, რომ ღვთიური მყოფობის ხმა ჟღერდა მის გულში და ძილისგან აღვიძებდა.

ჟიდაჩოველ რაბი ჰირშს გაგონილი ჰქონდა სასოველი რაბის შუაღამეული არაჩვეულებრივი ქმედების შესახებ. ერთხელ მას როგორღაც მოუხდა მის სახლში სტუმრობა. შუაღამისას მან დაინახა, როგორ გადაიცვა რაბიმ გლეხის ტანსაცმელი, გავიდა დათოვლილ ეზოში, აიღო რამდენიმე ნაკოდი, შეკრა ისინი და

ზურგზე მოიკიდა, და ეზოდან გავიდა. რაბი ჰირში მიყვა მას ამ ყიამეთში დაბის გარეუბნამდე. აქ რაბი მოშე-ლეიბი ერთი საცოდავი ქოხის წინ გაჩერდა და ჩამოიღო თავისი ტვირთი. მისი მოწაფე მიიპარა ფანჯარასთან და ოთახში შეიხედა. ღუმელი ჩამქრალიყო, საწოლში ქალი იწვა, გულზე ახლადშობილი ბავშვი ჰყავდა მიხუტებული.

ამ დროს ოთახში სასოველი რაბი შევიდა. რაბი ჰირშმა დაინახა, როგორ მივიდა რაბი მოშე-ლეიბი საწოლთან, და გაიგონა, როგორ უთხრა ქალს რუსინულ ენაზე, ერთი შეკვრა შეშა მაქვს გასაყიდი, შორს წაღება არ შემიძლია, იაფად მოგცემ, თუ იყიდიო. ქალმა, ერთი გროშიც არ გამაჩნია, როგორ ვიყიდოო. ამაზე რაბიმ უთხრა, ფულისთვის სხვა დროს შემოვივლი, შეშას დაგიტოვებ. ქალი შეეპასუხა: „რაში გამოვიყენო, ვერ დავჩეხავ, ნაჯახიც არა მაქვსო“. სასოველმა რაბიმ მიუგო, ამაზე მე ვიზრუნებო. რაბი გავიდა ოთახიდან, აიღო ნაჯახი და შეშის დაპობას შეუდგა.

და რაბი ჰირშმა გაიგონა, როგორ წარმოთქვამდა რაბი შეშის ჩეხვისას იერუსალიმზე გლოვის სიტყვებს ჩვენი დიდი დედის რახელის სახელით. მის ყურებამდე აღწევდა სიტყვები: „ჩამოიბერტყე მტვერი, ადექი, დატყვევებულო იერუსალიმო!“ მერე რაბიმ აკრიფა დაჩეხილი შეშა, ქედმოხრილი შევიდა დაბალი კარით ოთახში და ღუმელში ცეცხლი გააჩაღა. და სანამ შეშას ცეცხლს უკეთებდა, ნახევარ ხმაზე წარმოთქვამდა იერუსალიმზე გლოვის სიტყვებს ჩვენი დიდი დედის ლეას სახელზე, და ამ სიტყვებით დაასრულა: „აღდეგ და შეიწყალე სიონი, აღადგინე იერუსალიმის კედლები!“

ამის შემდეგ რაბი სწრაფი ნაბიჯით გაემართა შინისკენ.

ღამღამობით

სიყმაწვილეში მოშე-ლეიბს, მომავალ სასოველ რაბის, ჩვეულება ჰქონდა, ღამით, რომ ჩამობნელდებოდა, გადაეცვა უბრალო ტანისამოსი, შეუმჩნევლად გასულიყო შინიდან და თანატოლებთან ერთად ეცეკვა და ემღერა. ამხანაგებს უყვარდათ

იგი და მისი თუნდაც შემთხვევით წარმოთქმული სიტყვა კანონი იყო მათთვის, მაგრამ მოშე-ლეიბს არასოდეს ბოროტად არ გამოუყენებია თავისი ქარიზმა. მას შემდეგ, რაც მოშე-ლეიბი ნიკოლსბურგში გადავიდა რაბი შმელკესთან სასწავლებლად, მისმა ამხანაგებმა მიატოვეს ღამეული გასვლები, რადგან მოშე-ლეიბის გარეშე მხიარულებას მადლი არ ექნებოდა.

გამოხდა მრავალი ხანი და ერთი მისი ამხანაგთაგანი შორეული მგზავრობიდან მშობლიურ ქალაქში ბრუნდებოდა და გზად სასოვში გაჩერდა. ვისაც არ უნდა გამოლაპარაკებოდა, ფუნდუკში იქნებოდა თუ ქუჩაში, ყველას პირზე დიდი ცადიკის მოშე-ლეიბის სახელი ეკერა. ეს სახელი ძალზე გავრცელებული იყო და ამხანაგს აზრადაც არ მოსვლია, რომ ეს მოშე-ლეიბი მისი ყრმობის მეგობარი იქნებოდა. მაინც გადაწყვიტა მოენახულებინა ეს განთქმული ცადიკი. ეწვია რაბის და პირველსავე დანახვაზე იცნო იგი. პირველი, რაც გაიფიქრა ეს იყო: „აჰა! ეს მართლაც შეცდომაში შეიყვანს ადამიანს!“ მაგრამ, როცა დაუკვირდა მის სახეს, ასერიგად ნაცნობს და ძველებურად შთამბეჭდავს, გაახსენდა ძველი დრო და ისიც, თუ როგორც გრძნობდნენ, მათდა უნებურად, ყმაწვილური დროსტარებისას, მოშე-ლეიბის ქარიზმას და რომ მათ მხიარულებას და სიხალისეს ჰქონდა შთაგონების წყარო, რომლის არსს იმჟამად ვერ მიმხვდარიყვნენ.

მან თავი დახარა ცადიკის წინაშე, რომელიც კეთილგანწყობით უყურებდა მას, და თქვა: „მადლობელი ვარ შენი, მოძღვარო“.

შოლტი

მოშე-ლეიბის მამას ძალზე არ მოსწონდა, რომ მისი შვილი ხასიდობაზე მოექცა. როცა მოშე-ლეიბმა, მამისთვის სიტყვის უთქმელად, დასტოვა სახლი და ნიკოლსბურგში, რაბი შმელკეს სასწავლებელში დაიდო ბინა, მამა განრისხდა, მოჭრა შემზარავი შესახედაობის წკნელები და, შვილის მოლოდინში, თა-

ვის ოთახში ინახავდა. და ყოველთვის, დაინახავდა თუ არა, ხეზე შოლტის შესაფერის ტოტს, ახალი უკეთესი იქნებაო, და მოჭრიდა, ძველს კი გადააგდებდა. გადიოდა დრო, ერთი შოლტი მეორეს ცვლიდა. როგორღაც მსახურმა ქალმა ოთახის დალაგებისას აიღო შოლტი და სხვენზე შეაგდო.

ამასობაში მოშე-ლეიბი მასწავლებელს დაეთხოვა, მცირეხნით წავალ, მშობლებს მოვინახულებო. შვილის დანახვისთანავე მამა წამოხტა და რისხვამორეულმა ოთახში რაღაცის ძებნა დაიწყო. მოშე-ლეიბმა კი სხვენს მიაშურა, აიღო შოლტი და მამას მიუტანა. მამის დაჟინებულ მზერას შვილმა დინჯი და სიყვარულით სავსე მზერა მიაგება და მამა მიხვდა თავის შეცდომას.

სიცოცხლის გზა

თქვა რაბი მოშე-ლოებმა: „ამ წუთისოფლის გზა დანის პირივით არის. ერთ მხარესაც ქვესკნელია და მეორე მხარესაც, შუაში კი სიცოცხლის გზაა“.

ღმერთზე მინდობა

თქვა რაბი მოშე-ლეიბმა: „რა ადვილია უპოვარისთვის, რომ ღმერთს მიენდოს – აბა, სხვას რას უნდა მიენდოს? და რა ძნელია მდიდარი კაცისთვის, მიენდოს ღმერთს, როცა მთელი მისი ქონება ეძახის: მე მომენდეო!“

ხილვის გარეშე

თქვა სასოველმა რაბიმ:

„როგორც ჩვენ გვწამხარ, უფალო, თუმცა ვერ გხედავთ, ასევე შენც შეგვეწიე, თუმცა სიკეთეს ვერ ხედავ ჩვენში“.

საკურნებელი ცეკვა

შეიტყო რაბი მოშე-ლეიბმა, რომ მისი მეგობარი ბერდიჩეველი რაბი ავად გახდა. შაბათს მრავალჯერ გაიძახოდა თავისი მეგობრის სახელს და მისი გამოჯანმრთელებისთვის ლოცუ-

ლობდა. მერე ჩაიცვა ახალი საფიანის ფეხსაცმელები და ცეკვა დაიწყო.

იმ სახლში იმჟამად მყოფი ცადიკი ყვებოდა:

„მისი ცეკვა საოცარ ენერგიას ასხივებდა. ყოველი მისი მოძრაობა საიდუმლოთი იყო სავსე. უჩვეულო ნათელმა აავსო ოთახი და ყველა იქ მყოფმა დაინახა, როგორ ცეკვავდნენ მასთან ერთად ზეციური ძალები“.

ისრაელის სიყვარული

რაბი მოშე-ლეიბს სულით და გულით ეწადა, თავისი მასწავლებლის ნიკოლსბურგელი რაბი შმელკეს თუნდაც ერთი სიქველე – ისრაელის სიყვარული მოეპოვებინა. და მან მოიპოვა ეს სიქველე. როცა მძიმედ ავად გახდა და ტკივილებით გაწამებულმა საწოლში ორწელიწადნახევარი გაატარა, დარწმუნდა, რომ ისრაელის სახელით იტანჯება და, რაც უფრო ძლიერდებოდა ტკივილი, მით უფრო ემატებოდა ძალა.

საკუთარი სატანჯველი

ყოველთვის, როცა სასოველი რაბი მოშე-ლეიბი სულიერად თუ ფიზიკურად გატანჯულ კაცს დაინახავდა, ისეთი გულწრფელობით იზიარებდა მის ტკივილს, რომ სხვისი სატანჯველი მისი საკუთარი სატანჯველი ხდებოდა. ვიღაცამ, გაკვირვებულმა ჰკითხა, როგორ ახერხებ, რომ თავს იდებ სხვის უბედურებასო?

„რას ნიშნავს „თავს იდებ“? – გაიოცა რაბიმ. – როგორ არ ვიგრძნო, როცა ეს ჩემი საკუთარი სატანჯველია“?

ადამიანის ძალის მიღმა

რაბი მენახემ-მენდელ რიმანოველმა ჰკითხა თავის მასწავლებელს, რაბი შმელკე ნიკოლსბურგელს: „განა ადამიანის ძალას არ აღემატება უკეთურის სიყვარული?“

მოძღვარმა მიუგო: „ადამიანს ხომ უყვარს თავისი თავი?“

სხვა ცადიკს გულის სიღრმიდან აღმოხდა: „ნეტავ ისეთი გრძნობით მიყვარდეს ადამიანთაგან უკეთესი, როგორც ღმერთს ადამიანთაგან უარესი უყვარს!“

და მან მოზღვავებულ სიხარულში დამატებითი ლოცვა წაიკითხა.

გზები

რაბი მენახემ-მენდელ რიმანოველი ხშირად ჩიოდა: „აი, უგზოობისას, როცა ბნელდებოდა, ძალაუნებურად შევწყვეტდი მგზავრობას, ვჩერდებოდი სადმე ფუნდუკში. აქ არავინ გიშლიდა ხელს ლოცვაში. ფსალმუნებს იგალობებდი, წიგნს გადაშლიდი ან მგზავრს ვისმე გულითადად გამოესაუბრებოდი. დღეს კი სულმუდამ გზაშია კაცი და მოსვენება არა აქვს“.

ორი გზა

აპტელმა რაბიმ ასეთი იგავი იამბო:

„ორი კაცი გზაჯვარედინს მიადგა; ერთმა უსწომაწორო გზა აირჩია, მეორემ კი – სწორი გზა მიზნის მისაღწევად. პირველს ბევრი დაბრკოლება შეხვდა, მაგრამ ბოლოს მიაღწია ქალაქს, სადაც მიდიოდა. მეორე ჯერ გაუჭირვებლად მგზავრობდა, მაგრამ ბოლოს გზა აებნა და იძულებული შეიქნა, უკან დაბრუნებულიყო.

პირველი მგზავრი გონიერია: იგი ჯერ დიდ ძალას და ენერგიას ხარჯავს თავისი ცხოვრების გზის დასაწყისში, მაგრამ შეძლებს ბოლო დღემდე გზის განგრძობას.

მეორე მგზავრი ბრიყვია: იგი ესწრაფის სიმდიდრეს და სიამეთ. მაგრამ მოვა დღე, როცა იგი ვეღარ ისიამოვნებს დაგროვილი ოქროთი და არ ეცოდინება, როგორ გააგრძელოს არსებობა“.

მესიის მოსვლის იძულება

სიკვდილის წინ აპტელმა რაბიმ თქვა:

„ვიდრე „თავის სამყაროში“ გადავიდოდა, ბერდჩეველმა რაბიმ გამოაცხადა, რომ ცად მისვლისას იმწამიდანვე ილაპარაკებდა გამოსყიდვის შესახებ, სანამ მესიას არ გამოგზავნიდნენ. მაგრამ, როცა შევიდა ციურ სამკვიდრებელში, ანგელოზებმა სიბრძნე გამოიჩინეს და უმაღლეს ნეტარებათა დარბაზში მოათავსეს, ასე რომ ბერდიჩეველმა რაბიმ დაივიწყა თავისი პირობა. მე კი, ვდებ აღთქმას, რომ, როცა ციურ სიმაღლეებს მივაღწევ, სიამეებს არ მოვატყუებინებ თავს და ცას ვაიძულებ, დააჩქაროს მესიის მოსვლა“.

გამოცდა

მოგვითხრობენ:

როცა უშვილო თავადი ადამ ჩარტორიისკი, მეფე ალექსანდრეს მეგობარი და მრჩეველი, კოზნიცის მაგიდთან თხოვნით, ელოცა მისთვის, ლოცვამ გაჭრა და თავადს ვაჟი შეეძინა. ნათლობის დროს ბაშვის მამამ დამსწრეთ უამბო ღვთის წინაშე მაგიდის მეოხების შესახებ. ადამის ძმამ, რომელსაც თავისი მცირეწლოვანი ვაჟი ახლდა, დასცინა თავადის ცრუმორწმუნეობას. „მოდი, წავიდეთ შენს სასწაულმოქმედთან, – შესთავზა ძმას, – და გაჩვენებ, რომ მას არ შეუძლია მარჯვენის მარცხენისგან გარჩევა“.

ძმები გაემგზავრნენ კოზნიცში. „გთხოვ, – უთხრა ადამის ძმამ მაგიდს, – ილოცო ჩემი სნეული შვილისთვის“. მაგიდმა მდუმარედ დახარა თავი. „შეგიძლია ამის გაკეთება?“ – არ ეშვებოდა სტუმარი.

მაგიდმა თავი ასწია. „წადი, – თქვა მან და ადამმა შეამჩნია, რომ მაგიდი ძლივს გამოთქვამდა სიტყვებს. – სასწრაფოდ წადი, იქნებ ცოცხალს მიუსწრო“.

„აბა, რას გეუბნებოდი“, მხიარულად შესძახა ადამის ძმამ, როცა ისინი ეტლში სხდებოდნენ. ადამს მთელი გზა ხმა არ ამოუღია. დაბრუნდნენ სახლში და ბავშვი მკვდარი დახვდათ.

დუმილის ხელოვნება

როცა რაბი მენდელი, ვორკელი ცადიკის შვილი, და რაბი ელიეზერი, კოზნიცელი მაგიდის შვილიშვილი, ერთმანეთს პირველად შეხვდნენ, წამსვე განაპირა ოთახში განმარტოვდნენ და მთელი საათი ერთმანეთის ცქერაში მდუმარედ გაატარეს. მერე შეუერთდნენ შეკრებილთ. „ახლა ჩვენ მზადა ვართ“, თქვა რაბი მენდელმა.

რატომ?

შეეკითხნენ ერთხელ კოსოველ რაბი მენდელს, რატომ არ მოდის მესიაო?

და მიუგო რაბიმ: „ნათქვამია: „რატომ არ მოვიდა იესეს ძე არც გუშინ, არც დღეს?“ (1მეფ. 20:27). რატომ არ მოვიდა? იმიტომ, რომ დღეს ისეთნივე ვართ, როგორნიც გუშინ ვიყავით“.

ყოველ თაობაში

ერთ საღამოს კოსოველი რაბი ხაიმის ხასიდები სასწავლებელში ისხდნენ და ერთმანეთს ცადიკების ამბებს უყვებოდნენ. უფრო მეტად ბაალ შემ ტოვს ახსენებდნენ. რაკი ეს ამბები ყველასთვის საინტერესო და მიმზიდველი იყო, მათი საუბარი ნაშუაღამევამდე გაგრძელდა. აი, ერთი მათგანი მოყვა ბაალ შემ ტოვის მორიგ ამბავს და, როცა დაასრულა, ერთ-ერთმა მსმენელმა ღრმად ამოიხვნეშა და თავისთვის ჩაილაპარაკა: „ვაგლახ! განა შეგხვდება დღეს სადმე ასეთი ადამიანი?“

იმავე წამს მათ გაიგონეს ხის საფეხურების ჭრიალი, კარიც გაიღო და გამოჩნდა რაბი ხაიმი, საღამურად გამოწყობილი. „ბრიყვებო! – ხმადაბლა თქვა მან, – ის ხომ ყოველ თაობაში ცხოვრობს, ჩვენი ბაალ შემ ტოვი. თავის დროზე მას ყველა ხედავდა, ამჟამად კი ჩვენს თვალთაგან დაფარულია“. ეს თქვა და გააღო კარი და თავისთან წავიდა.

ხასიდები დიდხანს ისხდნენ და დუმდნენ.

„და დაცხრა ცეცხლი“

მოგვითხობენ:

კალოელი რაბი იცხაკ-აიზიკი ერთ პატარა სოფელში, ერთი ხასიდის სახლში შაბათს აცილებდა. როცა შაბათის გასვლის ჟამი დადგა, უცებ ყვირილი გაისმა, სახლში მსახური შემოვარდა, პურის ბეღელი იწვისო. პატრონი ის-იყო გაქცევას აპირებდა, რომ რაბიმ ხელი ჩაავლო და უთხრა: „მოიცადე, ერთ ამბავს მოგვიყვები“. და ხასიდი დარჩა მაგიდასთან.

„როცა ჩვენი მოძღვარი ზუსია ახალგაზრდა იყო, – დაიწყო ცადიკმა, – დიდი მაგიდის სახლში ღუმელს ანთებდა, რაც ჩვეულებისამებრ ახალგაზრდა მოწაფეებს ევალებოდათ. ერთხელ, შაბათის დადგომამდე, როცა იგი მხურვალედ და შთაგონებით კითხულობდა ფსალმუნებს, სახლში ყვირილი გაისმა. აღმოჩნდა, რომ მის მიერ გაჩაღებული ღუმელიდან ნაპერწკლები გამოცვივდა და, რაკი სახლში არავინ იყო, ოთახში ხანძარი გაჩნდა.

„ზუსია! ხანძარია!“ – დაუძახეს მას.

„საშიში არაფერია, – თქვა ზუსიამ, – განა ნათქვამი არ არის: „და დაცხრა ცეცხლი“ (რიცხ. 11:2). და იმწამსვე მართლაც ცეცხლი ჩაქრა“.

და კალოელი რაბი დადუმდა. ხასიდს, რომლის ხელი ჯერ კიდევ ეჭირა რაბის, ადგილიდან დაძვრა ვერ გაებედა. გაიარა რამდენიმე წუთმა და ვიღაცამ იყვირა ფანჯარაში, ბეღელში ხანძარი შეწყდაო.

როგორ გახდა ხასიდი

რაბი მენდელი ამბობდა:

„მე იმის წყალობით გავხდი ხასიდი, რომ ჩემს ქალაქში ცხოვრობდა მოხუცი, რომელიც ცადიკების ისტორიებს მიამბობდა. ის ყვებოდა იმას, რაც იცოდა, მე კი მესმოდა ის, რაც უნდა გამეგონა“.

აღთქმის კიდობანი და მისი მტვირთველნი

რაბი მენდელი ამბობდა:

„როცა ადამიანს უფლის საკადრისი სამსახური სწყურია, მაგრამ რაღაც აბრკოლებს, მის წინ კედელია აღმართული. მისი ლოცვები ფერმკრთალდება, სწავლა ზერელე ხდება. მაშინ უჯანყდება იგი საკუთარ თავს და თავის ცადიკთან მიდის, წარდგება მის წინაშე აკანკალებული, შეწევნის მოლოდინში. ამ დროს მისი თვინიერება თავად ცადიკსაც თვინიერს ხდის. რადგან ის, ვისაც შეწევნისთვის მიმართეს, ხედავს თვინიერ და მგზნებარე სულს, შეწევნისთვის შევრდომილს, და ფიქრობს: ეს კაცი ჩემზე უკეთესია. და ამის გაფიქრებისას ცადიკი სულიერად მაღლდება და იძენს ყოველგვარი დაბრკოლების დაძლევის უნარს. სწორედ ამას ეთანადება თალმუდში თქმული: აღთქმის კიდობანი ტვირთულობს თავის მტვირთველთ“.

უსაზღვრო სიხარული

ცოლის გარდაცვალების შემდეგ მოკლე ხანში რაბი მენდელს ქალიშვილი გარდაეცვალა. ახლობლებმა მალევე არ აცნობეს მას ეს ამბავი. რაბი მენდელი დილის ლოცვებს კითხულობდა, როცა სალოცავში მისი სიძე ტირილით შევიდა. რაბი მიხვდა, რაც მოხდა. მან დაასრულა ლოცვა და თქვა: „ქვეყნიერების უფალო, შენ ჯერ ჩემი ცოლი წაიყვანე. მაგრამ მე ქალიშვილი დამრჩა, ჩემი გულის სიხარული. ახლა ისიც წაიყვანე და მე არავინ დამრჩა შენ გარდა. ამიერიდან შენ ხარ ერთადერთი სიხარული ჩემს ცხოვრებაში“.

იქ და აქ

რაბი ური ასწავლიდა:

„ფსალმუნში ვკითხულობთ: „ზეცად რომ ავიდე, შენ იქა ხარ, ქვესკნელად ჩავიდე – შენ იქაც ხარ“ (138:8). როცა მე განვადიდებ თავს და მგონია, რომ ძალმიძს ცად ასვლა, აღმოჩნდება, რომ ღმერთი შორს არის და, რაც უფრო მაღლა ავდივარ, მით უფრო მშორდება. მაგრამ როცა სიკვდილის სამეფოში ჩავალ და ტანჯვაში ვიქნები, ის აქ იქნება, ჩემთან იქნება“.

ყველას თავისი ძალი შესწევს

რაბი ური ამბობდა: „დავითს შეეძლო ფსალმუნების შეთხზვა. მე რაღა შემიძლია? მე ამ ფსალმუნების გალობა შემიძლია“.

ასონიშნები და სულები

რაბი ური ამბობდა: „თორის მირიადი ასონიშანი ისრაელის მირიად სულს შეესაბამება. გამოტოვე თორაში ერთი ასონიშანი და თორა დაკარგავს თავის ძალას. დააკელი ისრაელს თუნდაც ერთი სული და ის დაკარგავს თავის თავში ღვთიურ მყოფობას. მსგავსად ასონიშნებისა, სულები ერთმანეთთან შეერთებით სხვადასხვა შეხამებას წარმოქმნიან. მაგრამ თორის ტექსტში სიტყვებს შორის ხანების არსებობა აუცილებელია. რატომ? იმიტომ, რომ ისრაელის ყოველ სულს უნდა ჰქონდეს თავის შემქმნელთან მარტო დარჩენის შესაძლებლობა.

სატანჯველი, რომელიც მან იტვირთა

თავისი ცხოვრების უკანასკნელ სამ წელიწადს რაბი იეჰუდა-ცვი მძიმე სნეულებით იტანჯებოდა, მთელი სხეული დაწყლულებული ჰქონდა. ექიმები, თავიანთი გამოცდილებიდან გამომდინარე ასკვნიდნენ, რომ ადამიანს არ ძალუძს ასეთი სატანჯველის ატანა.

ერთხელ, როცა რაბის ახლო მეგობარმა სიტყვა ამაზე ჩამოუგდო, მან უთხრა:

„როცა ახალგაზრდა ვიყავი, სულის მთელი ძალით ვლოცულობდი სნეულთათვის, რომლებიც ჩემთან მოდიოდნენ, რათა შემემსუბუქებინა მათთვის სატანჯველი. ხოლო როცა ჩემი ლოცვების ძალამ იკლო, მე თავად ვიტვირთე გატანჯულთა სატკივარი. ახლა უბრალოდ ვცდილობ როგორმე ავიტანო ეს სატანჯველი“.

მესია, ძე იოსებისა

ერთმა ხასიდმა ასეთი ამბავი იამბო:

„ერთხელ რაბი იეჰუდა-ცვიმ სუფრაზე თქვა: „დღეს მესია, ძე იოსებისა, უნგრეთში დაიბადება და ის ერთ-ერთი ფარული ცადიკთაგანი გახდება. თუ ღმერთი სიცოცხლეს გამიხანგრძლივებს, წავალ უნგრეთში და ვინახულებ მას“.

თვრამეტი წლის შემდეგ რაბი ქალაქ პეშტში გაემგზავრა და სხვა ხასიდებთან ერთად მეც წამიყვანა. პეშტში რამდენიმე კვირა დავყავით და მოწაფეთაგან ჩვენი მგზავრობის მიზანი არავინ იცოდა.

ერთხელ იმ ადგილას, სადაც ჩვენ ვიდექით, ერთი ყმაწვილი გამოჩნდა. მოკლე სერთუკი ეცვა და ანგელოზივით სახე ჰქონდა. ნებართვა არ უკითხავს და პირდაპირ რაბის ოთახში შევიდა და კარი მოიხურა. მე გამახსენდა თვრამეტი წლის წინ რაბის ნათქვამი და კართან დავდექი, რომ გამოსვლისას კურთხევა მეთხოვა მისგან. რამდენიმე საათის შემდეგ ისიც გამოჩნდა რაბის თანხლებით, რომელმაც იგი ჭიშკრამდე მიაცილა. მე ქუჩაში გავვარდი, მაგრამ იქ არავინ იყო. ახლაც კი, ამდენი წლის შემდეგ გული მეკუმშება, როგორც მაშინ, როცა მან გვერდით ჩამიარა“.

სიმღერის მიზეზი

რაბი მორდეხაი ლიახოვიჩელი დიდ სიღარიბეში იყო ადრეულ ყმაწვილობისას. ცოლ-შვილი სულ მშიერ-მწყურვალი დაუდიოდა. ერთმა ნათესავმა სინაგოგაში მღერალი რაბი რომ დაინახა, ჰკითხა: ცოლ-შვილი გიტირის, შენ კი მღერიო? რაბიმ მიუგო: „მათ სწორედ რომ სატირლად აქვთ საქმე, რაკი მოკვდავ კაცს არიან მინდობილი. მე კი ვმღერი, რადგან ღმერთსა ვარ მინდობილი“.

ჯაჭვი

რაბი მორდეხაი ლიახოვიჩელი ეუბნებოდა თავის მოწაფეებს:

„ცადიკს არ შეუძლია მოძღვრობა გასწიოს, ვიდრე მისი სული არ არის შეკავშირებული მის გარდაცვლილ მოძღვართან და მისი მოძღვრის მოძღვართან. მხოლოდ მაშინ ჯაჭვის რგოლი შეუერთდება სხვა რგოლს და მოძღვრება გადადის მოშედან იეჰოშუამდე, იეჰოშუადან ბრძენკაცებამდე, და ასე შემდეგ, ცადიკის მოძღვრამდე და ამ მოძღვრიდან თავად მისკენ“.

ნუ შფოთავ

რაბი მორდეხაი ლიახოვიჩელი ამბობდა: „არ უნდა შფოთავდეს კაცი. კაცი მხოლოდ მაშინ უნდა შფოთავდეს, როცა შფოთვის მიზეზი არა აქვს“.

სხვათა სიხარულისთვის

იყო შემთხვევა, როცა *მითნაგიდები* შეეცადნენ, დაეცინათ ლიახოვიჩელი რაბისთვის. ამაზე მას მხოლოდ გაეცინა და თქვა:

„ღმერთს ჯერ არც ერთი არსება არ შეუქმნია, რომელსაც გარშემო მყოფთათვის სიხარული არ მოეტანოს. აი, მეც სხვათა სიხარულისთვის ვარ გაჩენილი, ჩემი გულის ახლობელთათვის, რადგან ჩემი სიახლოვე ახარებს არა მხოლოდ მათ, არამედ თქვენც, რაკი იცინით ჩემზე“.

და *მითნაგიდები*, რომელთაც ეს მოისმინეს, გაყუჩდნენ და სახე მოეღრუბლათ.

ხასიდი და მითნაგიდი

ლიახოვიჩის თემის ცადიკის ერთ ხასიდს საქმიან პარტნიორად *მითნაგიდი* ჰყავდა. ხასიდი სულმუდამ ეპატიჟებოდა თავის კომპანიონს რაბისთან, მაგრამ ის ჯიუტად უარყოფდა მიწვევას. აი, ერთხელ ისინი საერთო საქმისთვის ლიახოვიჩში მოხვდნენ და *მითნაგიდი*, როგორც იქნა დაჰყვა მის ნებას და ეწვია რაბის შაბათის სადღესასწაულოდ.

ტრაპეზის დროს ხასიდმა შეამჩნია, რომ *მითნაგიდის* სახე სიხარულით ბრწყინავდა. როცა, მოგვიანებით, ჰკითხა მისი ამგვარი განწყობილების მიზეზი, *მითნაგიდმა* მიუგო: „ჭამის დროს ცადიკი ისეთი სიწმინდით იყო აღსავსე, როგორც მღვდელმთავარი მსხვერპლშეწირვისას“. რამდენიმე დღის მერე ხასიდი ეწვია რაბის და შეშფოთებულმა ჰკითხა, როგორ მოხდა, რომ რაც *მითნაგიდმა* პირველსავე შეხვედრისას იხილა, მე, რომელიც ამდენი ხანია ვიცნობ რაბის, ვერ დავინახეო.

„*მითნაგიდმა* უნდა იხილოს, ხასიდმა კი ირწმუნოს“, იყო რაბის პასუხი.

შენ წინაშე

ერთხელ რაბი მორდეხაი ლიახოვიჩელი ფსალმუნის კითხვისას, როცა მივიდა ამ ადგილამდე „უმეცარი ვიყავი და ვერ მივხვდი, პირუტყვი ვიყავი შენს წინაშე“ (72:22), უცებ შეწყვიტა კითხვა და თვალცრემლიანს აღმოხდა: „სამყაროს მეუფევ, დაე, უმეცარი ვიყო, დაე, პირუტყვი ვიყო, ოღონდ სულმუდამ შენ წინაშე ვიყო“.

ცოდნა

თქვა ბაალ შემ ტოვმა: „როცა ცოდნის მაღალ საფეხურზე ვარ, მე ვიცი, რომ ჩემში მოძღვრების ერთი ასოც არ არის და რომ ერთი ნაბიჯიც არ გადამიდგამს ღვთის სამსახურში“.

ბაალ შემ ტოვის ეს სიტყვები რაბი მოშე კობრინელმა ერთ ცადიკს უთხრა. ის შეეკითხა: „მიდრაშში ნათქვამია: ცოდნას მიაღწიე, რაღა გაკლია?“ კობრინელმა რაბიმ მიუგო: „ასეა სინამდვილეში. ცოდნას რომ მიაღწევ, მაშინ მიხვდები, რომ რაღაც გაკლია“.

ანგელოზი

რაბი მოშე კობრინელს აღმოხდა ერთხელ, მაღლისკენ პირშექცეულს: „ეჰ, ანგელოზო, ანგელოზო, დიდი ხელოვნება არ უნდა თქვენსავით ცხოვრებას ცაში. არ ჭამთ, არც სვამთ, არც

შვილებს აჩენთ და არც ფულის შოვნა გჭირდებათ. ჩამოდი ერთხელ მაინც მიწაზე და მიჰყავი ხელი ჭამა-სმას, შვილების გაჩენას და ფულის შოვნას და მერე ვნახოთ, როგორი ანგელოზი იქნები“.

სიტყვა და კაცი

რაბი მოშე კობრინელი ასწავლიდა: „როცა ღმერთზე სიტყვას ამბობ, მთელი შენი სხეულით უნდა შეხვიდე სიტყვაში“. ერთმა მსმენელმა ჰკითხა: „როგორ უნდა მოთავსდეს დიდი კაცი პატარა სიტყვაში?“ „მე იმაზე არ ვლაპარაკობ, – მიუგო ცადიკმა, – ვისაც სიტყვაზე დიდად მიაჩნია თავი“.

ჭეშმარიტი ღვთისმოშიშება

„მე რომ ნამდვილად ღვთის მოშიში ვიყო, – თქვა კობრინელმა რაბიმ, – გავიდოდი ქუჩაში და ვიყვირებდი: „თქვენ რჯულის წინააღმდეგ მიდიხართ, სადაც სწერია: „იყავით წმინდა!“

კიბე

რაბი მოშე კობრინელი ასწავლიდა:

„დაწერილია: „ესიზმრა: მიწაზე კიბე დგას და თავით ცას სწვდება, და უფლის ანგელოზები ადი-ჩამოდიან კიბეზე“ (დაბ. 28:12). ეს არის ყოველი ადამიანი. ყოველმა ადამიანმა უნდა იცოდეს: მე თიხა ვარ, მიწის ურიცხვ გოროხთაგანი, მაგრამ მისი თავი ცას სწვდება, ცამდე აღწევს მისი სული, და ღვთის მოციქულები ადიან და ჩამოდიან. ანგელოზთა ასვლა-ჩამოსვლაც კი ჩემს მოქმედებაზეა დამოკიდებული“.

ყველგან

კობრინელი რაბი ასწავლიდა:

„ღმერთი ელაპარაკება ადამიანს, როგორც მოსეს უთხრა: „გაიძრე ხამლები ფეხზე“, ანუ მოიშორე ყველაფერი, რაც ტვირთად აწევს შენს ფეხებს და მაშინ მიხვდები, რომ „ადგი-

ლი, სადაც შენ დგახარ, წმინდა მიწაა“ (გამ. 3:5). რადგან არ არის ისეთი ნაბიჯი ადამიანის ცხოვრებაში, რომ არ შეეძლოს ღვთიური სიწმინდის განცდა ყველგან და ყოველთვის“.

მგზავრობის ნაყოფები

როცა რაბი ნოახ კობრინელი, რაბი მოშე კობრინელის შვილიშვილი, სადაგორში იმყოფებოდა, გაიგონა, რომ ამბობდნენ: „ხასიდებს იქ ნახავთ, სადაც ორი ძმა, ზუსია და ელიმელეხი, მოგზაურობდა. სხვა ადგილებში ვერ ნახავთ ხასიდებს“.

გამართლება

რაბი ხაიმ-მეირ-იეხიელი ყვებოდა:

„დედაჩემი, მშვიდობა მის ნეშტს, ჩვილ შვილებს კარგავდა ერთმანეთის მიყოლებით. ბოლოს, მან შვა ვაჟი, რომელსაც მოსე დაარქვეს, და სრულიად ჯანმრთელად გამოიყურებოდა. შვიდი წლის იყო, რომ შაბათის მესამე ტრაპეზზე თავის პაპასთან, წმინდა მაგიდთან, ერთად დაჯდა. იმ დღეს თორის საკვირაო თავი იკითხებოდა, სადაც ღმერთმა უბრძანა მოსეს, „უთხრას კლდეს, რომ მოსცეს წყალი“ და „მოსემ დაჰკრა კლდეს თავისი კვერთხი ორჯერ და წამოვიდა უხვად წყალი“. მთელი ოჯახი სადილად იჯდა და ამ დროს ბავშვი მოსე შეხტა მაგიდაზე და იყვირა: „თორა მოსეს ცოდვაზე ლაპარაკობს, მაგრამ რა ცოდვაა იმაში, რომ სამგზის დაარტყა კლდეს კვერთხი? და განა თავად ღმერთმა არ უთხრა მას: „აიღე კვერთხი“?

და მან განაგრძო ლაპარაკი და ლოგიკური გამართლება მოუძებნა ჩვენი მოსეს საქციელს. მერე ბავშვი ჩამოვიდა მაგიდიდან და დედას უთხრა: „დედა, თავი მტკივა“. და წავიდა თავის ოთახში, დაწვა საწოლზე და მოკვდა. შემდგომ ამისა, ამ თაობის ცადიკები ლაპარაკობდნენ, რომ ბავშვში ჩვენი მოძღვრის მოსეს სული იყო ჩასახლებული და მხოლოდ იმისთვის დაიბადა, რომ მოსეს საქციელი გაემართლებინაო.

როცა ის მოკვდა, დედაჩემი შეევედრა მამას, წმინდა მაგიდს, ისე გაეკეთებინა, რომ მის თუნდაც ერთ შვილს მაინც

ეცოცხლა მოზრდილ ასაკამდე. მამამ უპასუხა: „შვილო, როცა ქმართან წვები, შენი სული მაღლა ცაში დაფრინავს სიხარულით და ამიტომაც თქვენს ბავშვები ნაკლებად მიწიერნი არიან. დააბრუნე შენი სული მიწაზე და შენი შვილი დიდხანს იცოცხლებს“. დედაჩემმა მთელი გულით მიიღო ეს რჩევა და მალე ამ ქვეყანას მე მოვევლინე.

ჩემი დაბადებს წინა ღამით დედას ესიზმრა, რომ იგი უზარმაზარ დარბაზში შეიყვანეს, სადაც გვირგვინოსანი და თეთრმანტიამოსხმული მოხუცებულნი გრძელ მაგიდას გარშემო უსხდნენ და უსმენდნენ ბავშვს, რომელიც ამ მაგიდას თავმჯდომარეობდა. ეს მისი შვილი მოსე იყო. ბავშვთან მივარდნა დააპირა, რომ მოხვეოდა და ეკოცნა, მაგრამ ბავშვმა თქვა: „არ მომეკარო!“ ამის შემდეგ მან კურთხევა მისცა თავისი შობის საათს“.

სხეულში

რაბი ხაიმ-მეირ-იეხიელი ყვებოდა:

„როცა მე ხუთი წლის ვიყავი, ჩემს პაპას, წმინდა მაგიდს, ვუთხარი: „პაპა, შენ რაბისთან დადიხარ, მამაჩემიც რაბისთან დადის. ერთი მე არ დავდივარ რაბისთან. მეც მინდა რაბისთან სიარული“. და ავტირდი.

მაშინ პაპამ ეს მითხრა: „მეც ხომ რაბი ვარ“.

მაშინ მე ვკითხე: „მაშ, რაღატომ დადიხარ რაბისთან?“

ის შემეკითხა: „რატომ გგონია, რომ მე რაბისთან დავდივარ?“

და მე ვთქვი: „იმიტომ, რომ ღამით ვხედავ, რომ შენ მოხუცთან ზიხარ. ისე ზიხარ, როგორც მოწაფეები მასწავლებლის წინ. ეს მოხუცი შენი რაბია“.

„შვილო, – თქვა მან, – ეს ხომ ბაალ შემ ტოვია, დაე, მისმა ღირსებამ დაგვიფაროს. როცა გაიზრდები, შენც შეგეძლება მისგან სწავლა“.

მე ვთქვი: „არა, მე არ მინდა მკვდარი რაბისგან სწავლა“.

და მე დღემდე ასე ვფიქრობ. მე არ მინდა სულიერი სრულყოფის საფეხურზე ასვლა უსხეულოდ. როცა მოწაფე რაბისთან

სწავლობს, იგი თავის მასწავლებელს უნდა ჰგავდეს ერთ რამეში მაინც: იყოს სხეულში. სწორედ ეს არის დევნილებაში მყოფი შეხინას საიდუმლო“.

დამოუკიდებლად

რაბი ხაიმ-მეირ-იეხიელი, კოზნიცელი მაგიდის შვილიშვილი, ყვებოდა:

„თერთმეტი წლის ვიყავი, რომ პაპაჩემმა თავისთან დამიძახა და მითხრა: „მოდი ჩემთან დილაადრიანად და კაბალის შესწავლას დავიწყებთ“. მე არ გავუგონე პაპას და მას შემდეგ სისხამ დილიდანვე დამოუკიდებლად დავიწყე სწავლა, რადგან არაფერი მინდოდა ისეთი, რასაც ჩემით არ გავაკეთებდი.

მცირე ხნის შემდეგ პაპამ კიდევ დამიძახა და მითხრა:

„ჯერ ვიფიქრე, არ გინდოდა ადრე ადგომა. მერე გავიგე, რომ შენ ძალიან ადრე დგები და მაინც არ მოდიხარ ჩემთან“. მაგრამ მიხვდა, რომ მე დამოუკიდებლად სწავლა მინდოდა და დასძინა: “მაინც ეცადე, რომ ყოველ დილით მოხვიდე ჩემთან, როცა მე ვლოცულობ, და ვიზრუნებ, რომ წმინდა გასხივოსნება გადმოვიდეს შენზე“.

მე მაინც არ მოვინდომე ვისიმე დახმარება, ამიტომ მხოლოდ ლოცვის დაწყებისას და მერე დასრულებისას მივდიოდი პაპასთან. გადიოდა დრო და, აი, ერთხელ ღამით ჩვენება მქოდა. ჩემი მასწავლებელი აპტელი რაბი, კურთხეული იყოს მისი ხსოვნა, გამომეცხადა და უშულოდ სამოთხიდან მოტანილი თეფილინი მომცა. და მე თავზე დავიდევი თეფილინი და მე ვიგრძენი წმინდა გასხივოსნება“.

სულის რჩევა

ერთხელ რაბი ხაიმ-მეირ-იეხიელმა უამბო თავის ხასიდებს:

„მე ვიცნობ ადამიანს, რომელიც თავისი სრულწლოვანების წინა ღამით აღმოჩნდა უზენაეს სამყაროებში, სადაც მას შესთავაზეს, თავისი სურვილით აერჩია სული. და მან დიდი

სული აირჩია. მაგრამ ამის შემდეგ მან ვერ მიაღწია ყოფიერების უმაღლეს საფეხურს, ისევ ჩვეულებრივ ადამიანად დარჩა“.

და ხასიდები მიხვდნენ, რომ რაბი თავის თავზე მოყვა ამ ამბავს.

სხვათა სიყვარული

რაბი დავიდ ლელოველმა თქვა:

„მე არ ვარ ღირსი ცადიკი მერქვას, რადგან ჩემი საკუთარი შვილები უფრო მიყვარს, ვიდრე სხვები“.

ამავე საკითხზე გასტინელ რაბის ნათქვამი აქვს:

„კოცკელმა რაბიმ, ჩემმა მოძღვარმა, კაცთა მოდგმის ისეთი ძლიერი სიყვარული ჩამინერგა, რომ მე შემიძლია ჩემი მტერი ჩემი უძვირფასესი მეგობარივით მიყვარდეს“.

რაბი დავიდი და ცხოველები

ერთხელ რაბი დავიდი თავისი მოწაფის რაბი იცხაკის თანხლებით ახალი წლის სადღესასწაულოდ თავის მასწავლებელს ლიუბლინელ *ნათელმხილველს* ესტუმრა. ასე იქცეოდა იგი ყოველწლიურად. ახალი წლის დღეს, როცა *შოფარის*[1] დაყვირების ჟამი დადგა, *ნათელმხილველმა* მიმოიხედა და ახლომახლო დავიდი ვერ დაინახა. რაბი იცხაკმა დაუყონებლივ დაუწყო ძებნა თავის მასწავლებელს და დაინახა იგი საჯინიბოს წინ, სადაც თავისი კარტუზიდან ცხენს ქერს აჭმევდა.

როცა ცხენის ჭმევა დაამთავრა, რაბი დავიდი სამლოცველოში დაბრუნდა. *ნათელმხილველმა* თქვა: „რაბი დავიდმა დაგვანახა, როგორ უნდა შოფარის დაყვირება“.

უკეთესი რაბი

ლიზენსკელი რაბის სიკვდილის შემდეგ მისმა მოწაფეებმა დატოვეს ლიზენსკი და ახალი მასწავლებლის საძებრად წავიდ-

---

[1] ვერძის რქის საყვირი, რომელსაც აყვირებენ ახალ წელს და *იომ ქიფურის* (შენდობის დღის) დასასრულს.

ნენ. ჟიდაჩოველმა რაბიმ, რომელსაც უფლის მსახურების თავისი მეთოდი ჰქონდა, მიიპატიჟა ისინი. მათ არ მოინდომეს დამოწაფებოდნენ მას და პრემისლანისკენ გაეშურნენ. პრემისლანელმა რაბიმაც მიიწვია ისინი, რომ მისი ხასიდები გამხდარიყვნენ, მაგრამ მან ვერ მოიპოვა მათი ნდობა.

მესამედ ისინი როპშიცელ რაბის შეხვდნენ. რაბიმ გულთბილად მიიღო ისინი, მაგრამ მოწაფეებად მიწვევისთვის ერთი სიტყვაც არ დასცდენია. ხასიდები დაინტერესდნენ რაბით და დარჩნენ მასთან შაბათის შესახვედრად. წვეულებმა მოიწონეს როპშიცელი რაბის წესი და მისი ხასიდები გახდნენ.

მიმბაძველი

ისახარ-ბერს, რადოშიცელ რაბის, ერთი მოწაფე ჰყავდა, რომელიც ზედმიწევნით ბაძავდა თავის მოძღვარს შაბათის ტრაპეზის დროს ღვინის კურთხევაში. და ამას ისე ოსტატურად აკეთებდა, რომ შორიდან მისი მაყურებელი და მსმენელი მას რაბისგან ვერ გაარჩევდა. ერთხელ ამ მოწაფის ყოფნისას რადოშიცში რაბიმ უთხრა მას: „ამბობენ მბაძავ შაბათის კიდუშის წარმოთქმაში ხმით და სხეულის მოძრაობით. აბა, ერთი მაჩვენე“.

„თუ რაბი პირობას მომცემს, რომ არ გამიწყრება, გაჩვენებთო“, უთხრა მოწაფემ.

„ნუ შიშობ“, დააიმედა რაბიმ.

მოწაფემ წარმოთქვა კურთხევა ღვინოზე რაბისებურად და იმავე მოძრაობით, როგორც რაბის სჩვეოდა. მაგრამ, როცა ერთ ადგილთან მივიდა, დადუმდა და გაირინდა, მერე კი დაასრულა კურთხევა, როგორც შეეძლო.

ცადიკმა ჰკითხა, რატომ გაჩერდიო იმ ადგილასო?

„რაბი, – მიუგო მოწაფემ, – თქვენ ამ ადგილას მსხვერპლად ეწირებით, მე კი ეს არ შემიძლია“.

მე და შენ

ერთხელ რადოშიცელ რაბის შეეკითხნენ:

„როგორ უნდა განიმარტოს თალმუდის ის ადგილი, სადაც შიმონ ბარ იოხაი თავის შვილს ეუბნება, შვილო ჩემო, შენ და მე – საკმარისია სამყაროსთვისო?“

რადოშიცელმა რაბიმ მიუგო:

„შექმნილი სამყაროს საზრისი იმაშია, რომ შექმნილი ამბობს: შენ ჩვენი ღმერთი ხარ, ხოლო შემოქმედი ამბობს: მე თქვენი უფალი ღმერთი ვარ. ეს *შენ* და *მე* საკმარისია სამყაროსთვის“.

რატომ?

როცა ცოლი მოუკვდა, ბელზელმა რაბი შალომმა თქვა:

„სამყაროს მეუფევ! მისი გაღვიძების ძალა რომ მქონდეს, არ ვიზამდი ამას? მაგრამ მე ეს არ შემიძლია. შენ კი, სამყაროს მეუფევ, შეგიძლია ამის გაკეთება. შენ ყოვლადძლიერი ხარ და რატომ არ აღვიძებ ისრაელს?“

ჭეშმარიტი სიბრძნე

ერთხელ ცანზელი რაბი ხაიმი ფანჯარასთან იდგა და ქუჩას გაჰყურებდა. გამვლელი შეამჩნია და შუშაზე დაუკაკუნა, ანიშნა, სახლში შემოდიო.

როცა უცნობმა ოთახის ზღურბლს გადააბიჯა, რაბი ხაიმმა ჰკითხა: „აბა, მითხარი, ოქროთი სავსე საფულე რომ იპოვო, დაუბრუნებ თუ არა პატრონს?“

„რაბი, – უპასუხა კაცმა, – თუ ვიცი, ვინ არის პატრონი, დაუფიქრებლად დავუბრუნებ საფულეს“.

„ბრიყვი ხარ!“ – თქვა რაბიმ. ისევ ფანჯარასთან მივიდა, გააჩერა ჩამვლელი და იგივე კითხვა დაუსვა. „ისეთი სულელი არა ვარ, – თქვა კაცმა, – საფულე ხელში ჩამივარდეს და ვინმეს მივცე!“

„ცუდი კაცი ხარ“, თქვა რაბიმ და ახლა მესამე გამვლელი მოიხმო.

„რაბი, – უპასუხა მესამემ, – საიდან უნდა ვიცოდე, რომელ საფუხურზე ვიდგები საფულის პოვნისას. არ ვიცი, შევძლებ თუ არა ცდუნების დაძლევას. იქნებ ცუდმა საწყისმა იმძლავროს ჩემში და სხვისი ქონება მივითვისო. მაგრამ, შესაძლებელია, უფალმა, კურთხეულია მისი სახელი, დამაძლევინოს ცუდი საწყისი და მაშინ ნამდვილად დავუბრუნებ ნაპოვნს მის კანონიერ პატრონს“.

„ოქროს სიტყვებია! – წამოიძახა რაბიმ. – შენ ნამდვილი ბრძენი ხარ!“

გულის სიღრმიდან

ამ აბავს ჟიდაჩოველი რაბი ცვი-ჰირში ყვებოდა:

„შაბათის წინადღით ქალაქ ბროდიდან გამომაძევეს, დიდად შერისხული ვიყავი. დავადექი გზას და გაუჩერებლად მივდიოდი და, როცა სახლს მივადექი, შინ არ შევსულვარ, გადაუცმელად სამლოცველი სახლისკენ გავწიე. ლოცვის გარდა, არაფრის ძალა არ მქონდა. მეორე დღეს, დილის ლოცვამდე მივმართე უფალს: „სამყაროს უფალო, შენ ხედავ მათ დამცირებებს, ვინც დაამცირეს, და შენ ხედავ ჩემს შემუსვრილ გულს. მომაფინე ნათელი, რომ შევძლო შენს წინაშე ლოცვა“. და იმ წამსვე ჩემი გული ცეცხლმა მოიცვა. ჩემი ლოცვა ჩირაღდანივით გიზგიზებდა. ადრე ასეთი რამ არ განმიცდია და ვერც ვერასოდეს განვიცდი“.

ორმაგი პასუხი

რაბი ცვი-ჰირშმა ერთხელ თავის ხასიდებს უთხრა:

„ხდება, როცა ადამიანი მოდის ჩემთან და მთხოვს, ვილოცო, რომ წარმატება ჰქონდეს საყოფაცხოვრებო საქმეში. ერთი არენდის გამო მთხოვს ლოცვას, მეორე – დუქნის გამო და, იმავდროულად, ამ კაცის სული მევედრება რომ მის ხსნაზე ვილოცო. ჩემი ვალია, ორივე თხოვნას ვუპასუხო“.

ხსოვნა და დავიწყება

ახალი წლის დღეს რაბი იეჰუდა როზდოლელმა თქვა:

„დღევანდელ ლოცვაში ნათქვამი იყო: „რადგან შენ იგი ხარ, ვისაც ახსოვს უხსოვარი დროიდან დავიწყებული“. რა არის ამ სიტყვების აზრი? აზრის ის არის, რომ ღმერთს მხოლოდ ის ახსოვს, რასაც ადამიანი ივიწყებს. როცა ვინმე კეთილ საქმეს აკეთებს და ეს უსხლტება მის მეხსიერებას, არ ახსოვს, რა გააკეთა, ღმერთი იმახსოვრებს მის ამაგს. მაგრამ, როცა ადამიანის სული იბერება სიამაყისგან და ამბობს, რა კარგად ვთქვი, რა ღრმაა ჩემი ცოდნაო! უფლის ხსოვნაში აქედან არაფერი რჩება. თუ ადამიანი ცოდვაში ჩავარდა, მაგრამ მერე გონს მოვიდა და მოინანია, ღმერთი დაივიწყებს მის შეცოდებებს. მაგრამ მას ყველა ცოდვა ახსოვს, რომელთაც ადამიანი ადვილად ივიწყებს“.

ქვეყნის გამოსყიდვა

როზდოლელმა რაბიმ ასე გარდათქვა იგავების მუხლი (31:30): „როცა სიყალბე მადლად იქნება მიღებული, როცა ამაოება სიმშვენიერის სახეს მიიღებს, და როცა ღვთისმოშიშ დედაკაცს დასცინებენ, მაშინ იქნება იძულებელი გამომსყიდველი, რომ იხსნას ქვეყანა გახრწნისგან და ასწიოს იგი, ვიდრე უფრო დაბლა არ დაცემულა“.

სამი ნიშანი

რაბი შალომ კამინკელმა ერთ-ერთი სტუმრობისას ცვი-ჰირშთან ჟიდაჩოვში თან თავისი ვაჟი იეჰოშუაც წაიყვანა. შუადღის ტრაპეზზე ბიჭმა შეამჩნია ხშირხუჭუჭთმიანი ახალგაზრდა კაცი, რომელიც ოთახში შემოვიდა. ერთ ხელში წყლიანი სურა ეჭირა, მეორეში პატარა ტაშტი და მხარზე პირსახოცი ჰქონდა გადაკიდებული. სათითაოდ ყველა მეტრაპეზეს ჩამოუარა და მომღიმარი სახით ხელს აბანინებდა. „მამა, – ჰკითხა იეჰოშუამ, – ვინ არის ეს ხუჭუჭთმიანი ყმაწვილი?“ რაბი შალომმა უთხრა: „კარგად დააკვირდი. ეს ისრაელის მომავალი მეფეა“.

გამოხდა ხანი, ჟიდაჩოველი რაბი ცვი-ჰირში აღესრულა და მისი ძმისწული იცხაკ-აიზიკი, სწორედ ის „ხუჭუჭთმიანი ყმაწვილი“, ჟიდაჩოვის რაბი გახდა, და ხასიდები მიაწყდნენ მას. მისი სახელი გაიგო რაბი იეჰოშუამაც, რომელსაც მამის ადგილი ეკავა კამინკაში. „ერთი, წავალ მასთან, – გადაწყვიტა რაბი იეჰოშუამ, – შევხედავ, რას წარმოადგენს ახლოდან და ღირს თუ არა, რომ დავემოწაფო. ამისთვის სამ ნიშანს დავთქვამ: ჯერ ერთი, თუ გამოვა ჩემს დასახვედრად, როცა მივალ; მეორე, მიმიწვევს თუ არა ტრაპეზზე; მესამე, მიხვდება თუ არა ჩემს ერთ ფიქრს მაინც“.

და გაემგზავრა რაბი იეჰოშუა ჟიდაჩოვში, მაგრამ მიუახლოვდა თუ არა ქალაქს უცებ ცუდად იგრძნო თავი და რაბის სახლში ციებ-ცხელებიანი შეიყვანეს, და საწოლში ჩააწვინეს. რაბი იცხაკმა მოინახულა იგი, დააიმედა, რომ საღამოსთვის გამოკეთდებოდა, და ტრაპეზზე დაპატიჟა. როცა გამოკეთებული რაბი იეჰოშუა რაბი იცხაკის გვერდით სუფრას უჯდა, მასპინძელმა ღიმილით უთხრა: „როგორ ჰგონია კამინკელ რაბის, თუ ადამიანს სხვისი ფიქრების ამოცნობა არ შეუძლია, რაბი ვერ იქნება?“

და რაბი იეჰოშუა რაბი იცხაკის საყვარელი მოწაფე გახდა.

ნების თავისუფლება

თქვა ერთხელ პშისხელმა რაბი იაკობ-იცხაკმა, იეჰუდიმ, „წმინდა ებრაელად“ წოდებულმა ცადიკმა: ღმერთი თავისუფლების ღმერთია. იგი, ვისაც ძალუძს ჩემი იძულება, ვერ მაიძულებს. მან მიწილადა რაღაც ნაწილი თავისი თავისუფლებიდან და მე მისი მოღალატე ვიქნები, თუ სხვას ვისმე დავუთმობ ჩემს ნებას.

შეთხელება

ერთხელ იეჰუდის და მის მოწაფეს, რაბი ბუნიმს, ერთ ოთახში მოუხდათ ღამის გათევა. იეჰიდუმ, რომელსაც ადრე დაძინება სჩვეოდა, ვერაფრით დაიძინა, საწოლში წრიალებდა და ოხრავდა.

რაბი ბუნიმმა ოხვრის მიზეზი ჰკითხა.

იეჰუდიმ მიუგო:

„სულ იმაზე ვფიქრობ, რომ მოსეს შემდეგ ჩვენ მსაჯულები გვყავდა, მსაჯულთა შემდგომ – წინასწარმეტყველნი, მერე დიდი საკრებულოს კაცები, მერე *თანაები* და *ამორაები*[1] და ასე შემდეგ ზნეობის მოძღვრებამდე და, როცა ისინი შეთხელდნენ და ზნეობის ცრუმოძღვარნი გამრავლდნენ, ცადიკები გამოჩნდნენ. ვოხრავ იმის გამო, რომ ვხედავ მათ შეთხელებასაც. რა ეშველება ამის შემდეგ ისრაელის ხალხს?“

ყანჩა

ერთხელ იეჰუდის შეეკითხნენ: „თალმუდში ნათქვამია: ყანჩას ებრაულად ხასიდა ეწოდება, რადგან ის ერთგული და მოყვარული ფრინველია, თავის შთამომავლობაზე მზრუნველი. მაშ, რატომ მიიჩნევს მას წმინდა წერილი უსურმაგად?“

იეჰუდიმ მიუგო: „იმიტომ, რომ ყანჩა მხოლოდ თავისიანებზე ზრუნავს“.

ყველაზე ძვირფასი

იეჰუდი ხშირად იტყოდა: „მე მზად ვიქნებოდი, გამეცა მთელი ჩემი წილი სააქაოში და საიქიოშიც იერუსალიმის ერთი ბეწო წილის სანაცვლოდ“.

ანგელოზის ბედი

იეჰუდი ასეთ ამბავს მოყვა:

„ერთი ხასიდი სიკვდილის შემდეგ ცის სამსჯავროზე წარდგა. გავლენიანი დამცველები ჰყავდა და თითქოს განაჩენი მისთვის სასარგებლო უნდა ყოფილიყო, მაგრამ გამოჩნდა ციური მოციქული, რომელმაც რაღაც დანაშაულში დასდო ბრალი. – რამ გაიძულა, ეს ჩაგედინაო? – ჰკითხეს ხასიდს და მან

---

[1] თანაები და ამორაები – რჯულის მოძღვარნი; წმინდა წიგნების, შესაბამისად, I-III სს-ისა და III-V სს-ის ავტორები.

ცოლს გადააბრალა ყველაფერი, ცოლმა მაიძულაო. ციურმა მოციქულმა საცინლად აიგდო ხასიდი: ეს არის გამართლება? ვერ შეეწინააღმდეგე ქალის ხმას?“

განაჩენი ასეთი იქნა გამოტანილი: ხასიდი დასაჯეს დანაშაულისთვის, ზეციერი მოციქული კი მიწაზე ჩამოგზავნეს, რომ ადამიანის სხეულში ეცხოვრა და ანჩხლი დედაკაცის ქმარი გამხდარიყო.

ეს ამბავი რომ მოისმინეს, ხასიდებმა იფიქრეს, რომ რაბიმ მათ თავისი ცხოვრების შესახებ უამბო.

ელია

ამბობენ:

იეჰუდი ჩაიცვამდა ხოლმე გლეხის ქურქს, დაიხურავდა კარტუზს და ამგვარადვე გადაცმულ მსახურთა თანხლებით წავიდოდა ბაზარში ელია წინასწარმეტყველის მოსაძებნად, რომელიც ასევე გლეხურ ტანსაცმელში გამოწყობილი დახეტიალობდა.

ერთ დღესაც მან გლეხი დაინახა, რომელსაც ბაწრით ძროხა მიყავდა. იეჰუდიმ მსახურს სახელოზე მოქაჩა და იყვირა: „აჰა, ისიც!“ უცნობმა ბრაზით შეხედა რაბის. „ჰე, ებრაელო! – დაუყვირა. – თუკი იცი, რაღას ატარტალებ ენას!“ და ერთ წამში გაუჩინარდა.

ამბობენ, რომ სწორედ ამის შემდეგ შეერქვა პშისხელ რაბის „იეჰუდი“, ანუ ებრაელი.

აბრაამი და მისი სტუმრები

აი რას ამბობდა იეჰუდი წმინდა წერილის იმ ადგილზე, სადაც წერია: „ხოლო ის თავს ადგა მათ ხის ქვეშ, და ჭამდნენ ისინი“ (დაბ. 18:8):

„რატომ არის ასე ნათქვამი წერილში? განა ეკადრება მასპინძელს, იმის ნაცვლად, რომ თავის სტუმრებთან ერთად იჯდეს სუფრასთან, თავზე ედგას მათ, როცა ისინი ჭამენ? აი,

როგორი აზრი აქვს ამ სიტყვებს: ანგელოზებს აქვთ თავიანთი ღირსებანი და ნაკლოვანებანი და ადამიანსაც აქვს თავისი ღირსებანი და ნაკლოვანებანი. ანგელოზთა ღირსება ის არის, რომ მათ არ შეუძლიათ უარესნი გახდნენ, ნაკლოვანება კი ის არის, რომ სრულყოფა არ ძალუძთ. ჭეშმარიტად სტუმართმოყვარე ადამიანს შეუძლია თავისი სტუმრების ღირსებანი შეითვისოს. ამგვარად, აბრაამმა გადაიღო ანგელოზების ღირსება, ანუ გაუარესების უუნარობა. ამიტომ თავს ადგას მათ და მათზე მაღლაა“.

ის, ვინც ადრე წავიდა

როცა მისი ჭაბუკი მოწაფე პერეცი სიკვდილის პირას იყო, მის საწოლთან მჯდარმა იეჰუდიმ ჰკითხა:

„პერეც, შენი ჟამი ჯერ არ დამდგარა“.

მან მიუგო:

„ვიცი, რაბი... მაგრამ ნება მომეცი, ერთი რამ ვთქვა“.

„თქვი“, ნება დართო იეჰუდიმ.

„მე ვხედავ, – თქვა პერეცმა, – რომ რაბი მალე დატოვებს ამ სოფელს და მე არ მსურს უმისოდ აქ დარჩენა“.

იეჰუდი რამდენიმე კვირის შემდეგ გარდაიცვალა.

საათი, რომელიც მან დაშალა

ერთხელ რაბი ერახმიელმა, იეჰუდის უფროსმა შვილმა, რომელიც სანამ რაბი გახდებოდა, მესაათე იყო, ასეთი ამბავი უამბო სასწავლო სახლში შეკრებილთ:

„როცა ჯერ კიდევ მესაათის ოსტატობას ვეუფლებოდი, ჩემი სიმამრის სახლში მომიხდა ცხოვრება. ერთხელ დიდ ცადიკთან უდა წავსულიყავი, მაგრამ გზის ფული არ მქონდა. სიმამრს ვუთხარი, თუ ათ ოქროს მომცემ, საათს შეგიკეთებ, ამდენ ხანს გაჩერებული რომ არის და ვერ გააკეთე-მეთქი. იგი დამეთანხმა. როცა საათი დავშალე და შიგ ჩავიხედე, ვნახე, რომ მექანიზმი წესრიგში იყო, ოღონდ წვრილი ზამბარა იყო

დაზიანებული. საათი შევაკეთე და იგი ამუშავდა.ზუსტ დროს აჩვენებდა.

როცა იერახმიელმა დაასრულა თავისი ამბავი, დამსწრეთა-გან ყველა ატირდა.

ნუ ეძებ მართალთ

ვიღაც კაცმა, ცუდი საქმე რომ ჩაიდინა და ამისთვის იტან-ჯებოდა, რჩევისთვის ტურიისკელ მაგიდს მიმართა. მაგრამ მან დახმარებაზე უარი უთხრა, რჩევა მანამდე უნდა გეკითხა, ვიდრე ამ საქმეს ჩაიდენდიო.

მაშინ კაცი იაკობ-ცვისთან, რაბი იეჰოშუა აშერის ძესთან, პარიჩელ რაბისთან მივიდა. „ეგების შენი დახმარება, – თქვა იაკობ-ცვიმ, – ჩვენ მართალნი კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ ცოდვილთათვის უნდა ვილოცოთ. აბრაამი მართალს ეძებდა, მაგრამ ამაში წარმატება ვერ მიაღწია. მაგრამ მოშე ევედრე-ბოდა უფალს: „აპატიე დანაშაული ამ ხალხს შენი დიდი მადლი-სამებრ...“ და თქვა უფალმა: „მიპატიებია შენი სიტყვისამებრ“ (რიცხვ. 14:19-20).

მამის კვალზე

როცა რაბი ნოახმა, რაბი მორდეხაის ძემ, მამის სიკვდილის შემდეგ მისი ადგილი დაიკავა, ისე არ იქცეოდა, როგორც მა-მამისს სჩვეოდა. როცა მიზეზი ჰკითხეს, მიუგო:

„მე ზუსტად ისე ვიქცევი, როგორც მამაჩემი იქცეოდა: ის არავის ბაძავდა და მეც არავის ვბაძავ“.

მოწაფის მოწმობა

ერთხელ კალეველმა რაბიმ სთხოვა რაბი იეჰუდა-ცვის, გაეცნო მისთვის მისი მასწავლებლის რაბი ურისგან გაგო-ნილი სიტყვები. „ჩემი მასწავლებლის მოძღვრება, – თქვა იეჰუდა-ცვიმ, – მანანასავით იყო, მას მთლიანად, უნაშთოდ ინელებდა ადამიანი“. „მაინც, მაინცო“, როცა არ მოეშვა კალე-

ველი რაბი, რაბი იეჰუდა-ცვიმ გული გადაიღეღა და შეყვირა: „ჩაიხედე ჩემს გულში და იქ დაინახავ, რა მასწავლა ჩემმა მოძღვარმა“.

დაეჭვების ჟამი

მოგვითხრობენ:

ქალაქ სატანოვში ცხოვრობდა ერთი სწავლული კაცი, რომელიც სულმუდამ ფიქრობდა, თუ რატომ არსებობს არსებული და, საერთოდ, რატომ არსებობს რაიმე. ერთხელ პარასკევს, ლოცვის შემდეგ ის დარჩა სასწავლებელში, რათა თავის საფიქრალზე ეფიქრა, მაგრამ ფიქრები აერია და, რამდენსაც არ ეცადა, მწყობრში მოეყვანა ისინი, ვერაფერს გახდა. წმინდა ბაალ შემ ტოვმა შორიდან იგრძნო ეს, ჩაჯდა ეტლში და, თავისი სასწაულებრივი ძალის წყალობით, ერთ წამში აღმოჩნდა სატანოვის სასწავლებელში, სადაც ის სწავლული თავს იტეხდა აუხსნელ საკითხებზე. ბაალ შემ ტოვმა უთხრა მას: „შენ თავს იტეხ, არსებობს თუ არა ღმერთი, მე კი, ბრიყვს, მწამს“. იმ ამბავმა, რომ აღმოჩნდა ადამიანი, რომელმაც უწყის მისი იდუმალი მტანჯველი ფიქრის შესახებ, ააღელვა იჭვნეული სწავლული და მისი გული გაიხსნა უდიდესი საიდუმლოსთვის.

წამალი

ერთხელ რაბი ბარუხმა თავისი სნეული ქალიშვილისთვის ქალაქში წამალი იყიდა. მსახურმა ეს წამალი ფუნდუკში ბარუხის ოთახის რაფაზე დადო. ბარუხი ოთახში ბოლთას სცემდა, თან წამალს დახედავდა და თავისთვის ჩაილაპარაკებდა: „თუ ღვთის ნებაა, რომ ჩემი ასული რეიზელი განიკურნოს, ეს წამალი არ უნდა სჭირდებოდეს. თუმცა ღმერთს თავისი ძალა სასწაულქმედებისა ყველასთვის ცხადად რომ გამოეჩინა, ადამიანს აღარ ექნებოდა თავისუფალი არჩევანის უნარი: ყველა შეიცნობდა ღმერთს. მაგრამ რაკი ღმერთს სურდა, რომ ადამიანებს ჰქონოდათ არჩევანი, მან თავისი საქმე ბუნების ქმედებებით შემოსა. ამისთვის შექმნა მან სამკურნალო მცენარეები“.

რაბი ბარუხმა განაგრძო ბოლთის ცემა და ასეთი კითხვა დაუსვა თავს: „და მაინც რატომ აძლევენ ავადმყოფს წამალს?“ და გასცა პასუხი: „ნაპერწკლებმა, რომლებიც მოწყდნენ დაუსაბამო ნათელს და ნაჭუჭებში დატყვევდნენ, შეაღწიეს ქვებში, მცენარეებში, ცხოველებში და კვლავ უბრუნდებიან თავიანთ წყაროს ცადიკის კურთხევით. მაგრამ როგორ გადარჩებიან ის ნაპერწკლები, რომლებიც სამკურნალო მწარე მცენარეებში მოხვდნენ? რათა ისინი სამუდამო დევნილებაში არ დარჩნენ, ღმერთმა ისინი სნეულ ადამიანებს განუჩინა: თითოეულს – მისი სულის ფესვის შესატყვისი ნაპერწკალი. ამგვარად, სნეულნი, თავის მხრივ, შხამიან მცენარეთა მკურნალნი არიან.

დავა

ერთხელ ლიუდმირელი რაბი მოშე, კარლინელი რაბი შლომოს ვაჟიშვილი, რაბი ბარუხს თავისი პატარა ბიჭითურთ ეწვია. ოთახში შესვლისას მათ დაინახეს, რომ ცადიკი ცოლს ედავებოდა. სტუმრებისთვის არც კი მიუქცევია ყურადღება. პატარა ბიჭი შეცბა, ასე უპატიოდ რომ მიიღეს მამამისი. რაბი მოშემ ეს შეატყო ვაჟს და უთხრა: „შვილო, დამიჯერე! რაც შენ ახლა მოისმინე, ეს იყო ღმერთისა და მისი შეხინას დავა სამყაროს ბედის გამო“.

ლამაზად ლაპარაკი

ერთ შაბათ დღეს ერთმა სწავლულმა, რომელიც რაბი ბარუხს სტუმრობდა, სთხოვა რაბის, მომასმენიე შენი ქადაგება, ასე ლამაზად ლაპარაკობო. ბაალ შემ ტოვის შვილიშვილმა მიუგო: „ლამაზად ლაპარაკს სიყრუეს ვამჯობინებ“.

მამათა მიბაძვა

შეეკითხა ზლოჩევის მაგიდს ერთი მისი მოწაფეთაგანი: „როგორ გავიგოთ „ელიაჰუს სახლის მოძღვრებაში“ ნათქვამი: „ყოველი ისრაელიანი მოვალეა ამბობდეს: „როცა ჩემი საქმენი გაუსწორდება ჩემი მამების – აბრაამის, ისაკისა და იაკობის

საქმეებს“. განა შეგვიძლია იმის ფიქრიც კი, რომ შევძლებთ იმის გაკეთებას, რასაც ჩვენი მამები აკეთებდნენ?“

რაბიმ განუმარტა:

„ჩვენმა მამებმა მსახურების ახალ-ახალ გზებს მიაგნეს, თითოეულმა თავისი ბუნების შესატყვისად: ერთმა – მსახურება სიყვარულით, მეორემ – მსახურება ურყევი სამართლიანობით, მესამემ – მსახურება სიმშვენიერით. თითოეულ ჩვენგანს ძალუძს აღმოაჩინოს სწავლებასა და მსახურებაში რაღაც ისეთი, რაც მხოლოდ მისი ხვედრია, და აღასრულოს ის, რაც სხვას არ აღუსრულებია“.

„თან“

რაბი მიხალი ასე განმარტავდა ფსალმუნის ამ მუხლს „სიტკბოებაჲ ჰყავ მონისა შენისა თანა, უფალო, სიტყვისაებრ შენისა“ (118:65): „ყველაფერი, რასაც შენ აკეთებ, უფალო, შეიძლება „თან“ თანდებულით გამოითქვას. როცა შენი მსახური იცავს შენს ცნებებს, შენ თანამოქმედებ მასთან ერთად. მაგრამ შენ ისე ახერხებ, თითქოს ის, შენს გარეშე, დამოუკიდებლად მოქმედებდეს“.

წარმოშობა

ამბობენ, რომ დიდი მაგიდი ისე ბეჯითად ასუფთავებდა თავის სულსა და სხეულს და ისე განუყოფლად აერთებდა მათ, რომ მისი სხეული თითქოს სული იყო, სული კი – სხეული. ამიტომაც, როცა მისი ვაჟი ჩაისახა, ანგელოსური სული შევიდა მისი ცოლის საშოში და კაცად ქცეული მოევლინა ადამიანთა სამყაროს.

დამალობანა

ერთხელ რაბი ბარუხის შვილიშვილი იეხიელი დამალობანას თამაშობდა. ბავშვი კარგად დაიმალა და იცდიდა, რომ ამხანაგს მოეძებნა იგი. დიდხანს იყო სამალავში და, როცა გამოვიდა, იქ

არავინ დახვდა. მაშინ იეხიელი მიხვდა, რომ ამხანაგს იგი არც კი უძებნია. ბავშვი ატირდა და ბაბუასთან გაიქცა საჩივლელად. რაბი ბარუხს ცრემლი მოუვიდა და თქვა: „ღმერთიც ასე ამბობს: „მე დამალული ვარ, მაგრამ არავინ მეძებს“.

საკუთარ თავს

ქადაგება, რომელიც რაბი მიხალმა ბევრი ხალხის გასაგონად წარმოთქვა, ამ სიტყვებით დაასრულა: „ჩემს ნალაპარაკევს ყურადღებით უსმენენ“. და დასძინა: მე არ ვამბობ, „ჩემს ნალაპარაკევს ისმენთ-მეთქი“. მე ვამბობ: „ჩემს ნალაპარაკევს ისმენენ“. ასე ვამბობ, რადგან მე ჩემს თავსაც მივმართავ! რადგან მეც ყურადღებით უნდა ვუსმენდე ჩემს სიტყვებს!“

შლაპის წიაღ

ერთხელ რაბი მიხალი ერთ ქალაქს ეწვია, სადაც არასოდეს ყოფილა ნამყოფი. მალე მასთან ადგილობრივი თემის ხელისუფალნი მივიდნენ. რაბი დიდხანს უყურებდა თითოეული მათგანის შუბლს, მერე კი ილაპარაკა თითოეულის მანკიერებაზე და იმაზე, თუ როგორ შეიძლებოდა მათი განკურნება. სწრაფად გავრცელდა ხმა, რომ ქალაქში იმყოფება ცადიკი, რომელიც ადამიანის შუბლზე მის აზრებს კითხულობსო. ამიტომაც ყველას, ვინც მასთან მიდიოდა, შლაპა შუბლზე წარბებამდე ჰქონდა ჩამოფხატული. „თქვენ ცდებითო, უთხრა მათ რაბიმ, თვალი, რომელსაც ხორცის წიაღ ჭვრეტა შეუძლია, შლაპის წიაღაც ხედავს“.

არა სასყიდლისთვის

შეეკითხნენ ზლოჩეველ მაგიდს, თუ რას ნიშნავს სიტყვები: „თუ ივლით ჩემს წესზე და შეინახავთ ჩემს მცნებებს და შეასრულებთ მათ, თავის დროზე მოგცემთ წვიმას და მიწაც მოგცემთ თავის მოსავალს, და მინდვრის ხეები მოგცემენ თავიანთ ნაყოფს“ (ლევ. 26:3-4). ნიშნავს ეს იმას, რომ ღმერთი გვპირდება სამაგიეროს მსახურებისთვის? ხომ უთქვამთ ჩვენს

ბრძენებს, რომ ჩვენ არ უნდა დავემსგავსოთ მსახურთ, რომლებიც სასყიდლისთვის ემსახურებიან თავიანთ პატრონს?“

ცადიკმა მიუგო: „ჭეშმარიტად ის, ვინც ინახავს მცნებებს სამაგიეროს მოლოდინში, თუნდაც ეს იყოს საზღაური საიქიო ცხოვრებისთვის, სულაც არ ემსახურება უფალს, რადგან ერთადერთი, რასაც ის აკეთებს, საკუთარი თავის სამსახურია. მაგრამ იმ კაცის საქმენი, რომელიც ინახავს მცნებებს ღვთის შიშით და მისი ჭეშმარიტი სიყვარულით, ასხივოსნებს სოფელს და უხვი სიკეთეებით ავსებს მას. ცისა და მიწის მოწყალება ღვთისადმი უსასყიდლო სამსახურის ნიშანია. აი, ამიტომ არის ნათქვამი: „სიცოცხლე და სიკვდილი დაგიდევი წინ, კურთხევა და წყევლა. და აირჩიე სიცოცხლე, რომ იცოცხლოთ შენ და შენმა შთამომავლობამ“ (რჯლ. 30:19).

მლოცველი რაბი

ლოცვის დაწყებამდე რაბი მიხალი ჩვეულებრივ ამბობდა ხოლმე: „მე ვაკავშირებ ჩემს თავს ყველა ისრაელიანთან, მათთან, ვინც ჩემზე მაღლა დგას, რათა მათი წყალობით ავამაღლო ჩემი ზრახვები, და მათთან, ვინც ჩემზე დაბლაა, რათა ისინი ავამაღლო ჩემი ზრახვების მეოხებით“.

ერთხელ ლოცვისას ბოროტება მიადგა რაბი მიხალს. „გასწი აქედან, თქვა მან, და დაბრუნდი, როცა ჭამას დავიწყებ. ლოცვის დროს არ შემიძლია შენთან ბრძოლა“.

თასმები

ჟეიბ სორესი, მოხეტალე ცადიკი, ამბობდა: „მე მხოლოდ იმისთვის კი არ ვწვევივარ რაბი ბერ მეჟერიჩელს, რომ მისი მოძღვრება მომესმინა, არამედ იმისთვისაც, რომ მეყურებინა, როგორ იხსნიდა იგი თავისი ფეხსაცმლის თასმებს, რადგან ასეთ წვრილმანებში ჩანს მისი სიწმინდე“.

ღვთის შვილად გახდომა

როცა მეჟერიჩელი მაგიდი წერილის ამ მუხლს „დაუწყებ იქიდან ძებნას უფალს, შენს ღმერთს, იპოვნი მას, თუკი მთელი შენი გულითა და მთელი შენი სულით ეძიებ“ (რჯლ. 4:29) უხსნიდა მოწაფეებს, თქვა: „შენ სულმუდამ უნდა უხმობდე მამობით უფალს, ვიდრე ნამდვილად მისი შვილი არ გახდები“.

სასჯელი

როცა მეჟერიჩელმა მაგიდმა შეიტყო, რომ ფართოდ იყო განთქმული მისი სახელი, ლოცვით მიმართა ღმერთს, გამაგებინე, რომელი ცოდვისთვის დამაკისრე ეს სასჯელიო?

მარცხი

ერთხელ მეჟერიჩელი მაგიდი მთელი თავისი არსებით დაიძაბა ხსნის მოლოდინში. და ამ დროს ზეციდან ხმა გაისმა: „ვინ ხარ, რომ ხსნის ჟამი მოახლოვდეს?“

მაგიდმა მიუგო: „მე ჩემი თაობის მეთაური ვარ და ჩემი მოვალეობაა მთელი ძალა მოვახმარო ამ მიზანს“.

კვლავ მოესმა ხმა ზეციდან: „როგორ დაამტკიცებ ამას“?

„მთელი ჩემი კრებული დამემოწმება, – მიუგო მაგიდმა, – რომ თაობის მეთაური ვარ“.

„მაშ, დაგემოწმოს!“ – გაისმა ხმა.

რაბი დოვ-ბერი წავიდა თავის მოწაფეებთან და შეეკითხა: „მართალია თუ არა, რომ მე თაობის მეთაური ვარ?“ მაგრამ მოწაფეები თავ-თავიანთ ადგილზე ისხდნენ და დუმდნენ. მაგიდმა გაუმეორა შეკითხვა, მაგრამ არავის უთქვამს, დიაღ, ასეაო. სანამ მაგიდი მათთან იყო, მოწაფეების ცნობიერება დაბინდული იყო, მათ ბაგეებს კლიტე ედო. ყველა გაოგნებული იყო.

დამალული ღმერთი

რაბი რაფაელ ბერშადელი, რაბი ფინხასის საყვარელი მოწაფე, ამბობდა:

„ხანუკის პირველ დღეს შევჩიოდი რაბის, რომ უკიდურესი გასაჭირის ჟამს ძნელია კაცმა შეინარჩუნოს პიროვნული განგების რწმენა. მას ეჩვენება, რომ შემოქმედი ნამდვილად უმალავს მას თავის სახეს. რა უნდა ვქნა, რომ რწმენა განმიმტკიცდეს?“

„თუკი იცი, – მომიგო რაბიმ, – რომ სახეს გიმალავს, ეს უკვე აღარ არის დამალვა“.

სწავლა ყველაფრისგან

„სწავლა ყველაფრისგან შეიძლება, – ეუბნებოდა სადიგორელი რაბი თავის ხასიდებს, – ამ ქვეყნად ყველაფერი იმისთვის არსებობს, რომ დაგვმოძღვროს. არა მხოლოდ ის, რაც კურთხეული უფლის შექმნილია, არამედ ისიც, რაც ადამიანმა თავისი ხელით გააკეთა“.

„აბა, რას გვასწავლის რკინიგზა?“ – ჰკითხა ერთმა ხასიდმა დაეჭვებით.

„იმას, რომ წამის დაგვიანებით ყველაფერს კარგავ“.

„ტელეგრაფი?“

„რომ ყოველი სიტყვა დაანგარიშებულია“.

„ტელეფონი?“

„რომ *იქ* ესმით, რასაც *აქ* ვლაპარაკობთ“.

ორი ხედვა

ერთი ხელმწიფე ღარიბ-ღატაკს მის ქოხში ეწვია. ღარიბ-ღატაკი ხელმწიფის ბრწყინვალე სამოსელმა და ამალამ, ამ სიმდიდრემ და აქამდე უნახავმა ფუფუნებამ გააოგნა. სხვა ღატაკი კი, რომელიც შეესწრო ამ სტუმრობას, რაკი მან იცოდა, რომ ეს გარეგნული ბრწყინვალება მეფისთვის ჩვეულებრივი რამ იყო და არაფერს ნიშნავდა, სხვა რამემ გააოგნა: როგორ ეწვია ღარიბ-ღატაკის ქოხს ესოდენ ბრწყინვალე და ძლიერი ხელმწიფე, როგორ გაუტოლა თავი ამ უსუსურ არსებას, რომ მისი ყოფა-ცხოვრებით დაინტერესდა.

მოხეტიალე ნათელი

შეეკითხა ერთი მეგობარი აბრაამ-იაკობს, სადიგორელ რაბის:

„რატომ ხდება ასე? ბევრი წმინდა კაცი, ჩვენზე ადრე, დიდი ხნის წინათ რომ ცხოვრობდნენ, გამოსყიდვის ჟამს ასახელებდნენ. ეს ჟამი მოვიდა და კიდეც გავიდა, მაგრამ გამოსყიდვა არა და არ ჩანს?“

ცადიკმა მიუგო:

„მამაჩემი, კურთხეულ იყოს მისი ხსენება, იტყოდა: უკვე გემარაშია ნათქვამი: „დასრულდა ყოველი დასასრული“. მაგრამ როგორც შორდებოდა შეხინა ტაძარს ათ-ათი გადასასვლელით, ასევე თანდათან ბრუნდება უკან. ამიტომაც გამოსყიდვის ნათელი აგვიანებს ცასა და დედამიწას შორის. ყოველ დაწესებულ ვადაში იგი ერთი საფეხურით ეშვება დაბლა. ამჟამად გამოსყიდვის ნათელი იმყოფება ქვედა ცაზე, რომელსაც ფარდა ეწოდება“.

ასე თქვა მამაჩემმა. მე კი დავსძენ, რომ გამოსყიდვის ნათელი დაღვრილია ჩვენ გარშემო ჩვენი თავების სიმაღლეზე. ჩვენ ამას ვერ ვგრძნობთ, რადგან ჩვენი თავები დაწონილია დევნილების სიმძიმით. ღმერთმა ქნას, ავწიოთ თავები!“

მოლოდინი

რაბი მოშე სულმუდამ მესიის მოლოდინში იყო.

გაიგონებდა ქუჩაში ხმაურს და შემკრთალი ხმით იკითხავდა: „რაო, მოციქული მოვიდა?“

დაწოლისას საწოლთან თავის საშაბათო სამოსელს და მწირის არგანს აწყობდა. დარაჯს ევალებოდა, მესიის მოსვლის პირველ ნიშანზევე გაეღვიძებინა რაბი.

ერთხელ რაბის შესთავაზეს, სამლოცველო სახლის მახლობლად მშვენიერი სახლი ეყიდა. „რად მინდა? – თქვა რაბიმ. – მალე მესია მოვა და იერუსალიმში გავემგზავრები“.

დიდი ცადიკები ამბობდნენ, რაბის სულში წინასწარმეტყველ იერემიას სულის ნაპერწკალი აკიაფდაო. როცა დანგრე-

ული ტაძრის გლოვის დღეს რაბის ჰკითხეს მისი უზომო მწუხარების გამო, მიუგო: „რა გაკვირვებთ? *მე ვარ კაცი, მისი წყრომის კვერთხისაგან ჭირის მნახველი* (გოდება იერემ. 3:1), მაგრამ უფალი მახილვინებს აღდგენილ ტაძარსაც“.

რაბი მოშე ამ დროს ძალზე მოხუცებული იყო, მაგრამ არც უფიქრია, რომ შეიძლება მესიის მოსვლამდე მომკვდარიყო.

გაბრიყვებული მოხუცი

ოთხმოცდაორი წლისა იყო რაბი მოშე, ასე რომ ლოცულობდა *იომ ქიფურის* წინადღით:

„სამყაროს უფალო, შენ იცი, რომ მე დიდი ცოდვილი ვარ, მაგრამ ისიც იცი, რომ ტყუილი არასოდეს მითქვამს. არ ვტყუი და სწორედ ამიტომ გეტყვი სიმართლეს, როგორც არის. მე მოშეს, ხანას ძეს, რომ მცოდნოდა, მესიის მოსვლამდე გამომერეოდა ჭაღარა, ნამდვილად ვერ ავიტანდი ამას. მაგრამ შენ, სამყაროს უფალო, დღითი დღე მაბრიყვებდი და, აჰა, ახლა მე სულმთლად ჭაღარა ვარ. თავს გეფიცები, ყოვლადძლიერო, რომ შენ შეძელი, ბოლომდე გაგებრიყვებინა სულელი მოხუცი! გევედრები, სამყაროს უფალო, ისე გააკეთე, რომ ახლა მაინც მოვიდეს მესია! მოვიდეს არა ჩვენთვის, არამედ შენი გულისთვის, შენი სახელის გულისთვის – წმინდა იყოს მრავალთა შორის!“

სიკვდილის წინ

სიკვდლის წინ რაბი მოშემ თქვა: „მე ვფიქრობ ჩემს წმინდა მოძღვრებზე, სამოთხეში რომ განისვენებენ. რატომ დუმან ისინი? რატომ ისე არ შეარყევენ სამყაროებს, რომ მესია მოვიდეს მიწაზე?“ რამდენიმე ხნის შემდეგ დასძინა: „სიამეთა სასუფეველში არიან ისინი და, ჩანს, ისეთ სიხარულს განიცდიან, რომ დაივიწყეს ჩვენი მიწა და მესია მოსული ჰგონიათ“.

და სულის უკანასკნელ ამოხდომამდე თქვა: „მე კი... ეს სხვა საქმეა. მე არ მივატოვებ ჩემს ხალხს“.

კაცი მიწაზე

შეეკითხნენ რაბი ფინხასს: „რატომ წერია „როცა ღმერთმა შექმნა კაცი“ და არა „როცა ღმერთმა შექმნა კაცობრიობა“?

მიუგო რაბი ფინხასმა: „შენ ისე უნდა ემსახურო შენს შემქმნელს, თითქოს ამქვეყნად ერთადერთი კაცი იყოს და ეს კაცი შენ იყო“.

ენათა ენა

შეეკითხნენ რაბი ფინხასს: „როგორ უნდა გავიგოთ, რომ ბაბილონის გოდლის შენებამდე ყველა ხალხს ერთი ენა ჰქონდა, მას შემდეგ კი, რაც ღმერთმა აღრია მათი ენა, ყოველი ხალხი თავის ენაზე ალაპარაკდა? როგორ მოხდა, რომ ხალხებმა თავ-თავიანთ ენაზე დაიწყეს ლაპარაკი, თუმცა მანამდე ყველა ერთ ენაზე ლაპარაკობდა?“

რაბი ფინხასმა ასე უპასუხა: „ბაბილონის გოდლის შენებამდე ყველა ხალხი წმინდა ენაზე ლაპარაკობდა, თუმცა ყოველ მათგანს თავისი საკუთარი ენაც ჰქონდა. ამიტომ ნათქვამია: „მთელ ქვეყანას ერთი ენა ჰქონდა“ (დაბ. 11:1), ანუ წმინდა ენა. ყოველი ხალხი ერთმანეთში საკუთარ ენაზე ლაპარაკობდა, წმინდა ენაზე კი ხალხები ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ. რა იყო ღვთის სასჯელი? მათთვის წმინდა ენის წართმევა“.

დანგრევის დღეს

შეეკითხნენ რაბი ფინხასს: „რატომ უნდა დაიბადოს მესია ტაძრის დანგრევის სწორს, როგორც ამას გადმოცემა გვეუბნება?“

„მარცვალი, – მიუგო რაბიმ, – რომელიც მიწაშია ჩაგდებული, უნდა განადგურდეს, რომ მისგან ყლორტი აღმოცენდეს. ძალა ვერ აღორძინდება, თუ იგი ჯერ ღრმა საიდუმლომ არ მოიცვა. ფორმისგან განძარცვა და ფორმით შემოსვა – ეს ყველაფერი სრული არარას მდგომარეობაში ხდება. დავიწყება აძლიერებს მახსოვრობას. ასეთივეა ნაცვალგების ძალა. დანგრევის დღეს

ნათელი უფსკრულში ეშვება და მერე ძლიერდება. აი, რატომ მივდივართ ამ დღეს სასაფლაოებზე. აი, რატომ იბადება ამ დღეს მესია“.

ნათლის სასწაული

ამბობდა რაბი ფინხასი: „მისმინეთ და მე გეტყვით ხანუკაში აღსრულებული ნათლის სასწაულის შესახებ. მაშინ გამოჩნდა შესაქმის პირველი დღის დაფარული ნათელი. და ყოველ წელიწადს, როცა ხანუკაში ანთებენ სანთლებს, თავს იჩენს დაფარული ნათელი. ეს მესიის ნათელია“.

ყველა ხუმრობა

ამბობდა რაბი ფინხასი: „ყველა ხუმრობა და დაცინვაც კი სამოთხიდან მოდის, თუკი ისინი წმინდა გულით არის წარმოთქმული“.

მოწმობა

ბერშადელი რაბი რაფაელი განთქმული იყო თავისი პატიოსნებით. ერთხელ, მოხდა ისე, რომ მისი მოწმობა გადამწყვეტი უნდა ყოფილიყო ერთი ებრაელის გასამტყუნებლად. რაბი რაფაელმა იცოდა, რომ ეს კაცი დამნაშავე იყო. სასამართლოს წინა ღამით რაბის არ დაუძინია, დილამდე ებრძოდა თავს. დილით იატაკზე დაწვა, თვალები დახუჭა და აღესრულა.

მტერი ჩვენ ხელშია

თქვა სასოველმა რაბიმ: „ჩვენ ვკითხულობთ: „როცა გახვალ შენს მტრებთან საომრად და ხელში ჩაგიგდებთ მათ უფალი“ (რჯლ. 21:10). ეს სიტყვები გვასწავლის, რომ როცა გავალთ ჩვენს ვნებებთან და გულისთქმებთან საომრად, ღმერთი ჩაგვიგდებს მათ ხელში. უფალი ასე შეგვეწევა ამ ბრძოლაში“.

ვიცი, რომ არაფერი ვიცი

ამბობენ, რომ რაბი ისრაელ კოსნიცელს ახალგაზრდობაში კაბალის რვაასი წიგნი ჰქონდა შესწავლილი. მაგრამ როგორც კი პირველად წარდგა მესრიჩელი მაგიდის წინაშე, ერთ წამში მიხვდა, რომ არაფერი სცოდნია.

ხსნის მოლოდინი

კოსნიცელი რაბი შესთხოვდა ღმერთს: „სამყაროს უფალო, გევედრები, შენ შეგიძლია ისრაელის ხსნა და, თუ არ გსურს, მაშინ სხვა ხალხები იხსენი!“

რა მოსწონს უფალს

ერთმა მძიმედ დასნეულებულმა კაცმა შესჩივლა რაბი ისრაელ რუჟინელს: სნეულებამ სულ ჩამიშალა სწავლა და ლოცვაო. რაბიმ მხარზე ხელი დაადო მას და უთხრა: „რა იცი, ჩემო კარგო, რა უფრო მოსწონს ღმერთს – შენი სწავლა თუ შენი სნეულება?“

ცად ამაღლებული ძროხა

ვიდრე *რებე* გახდებოდა, პრემისლელი რაბი მეირი უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობდა. მისი ერთადერთი ქონება ძროხა იყო, რომლის რძეს იგი სამეზობლოში ყიდდა. რაბი, უცვლელი ჩვეულებისამებრ, ყოველკვირეულად გადაინახვდა ფულს, რათა შაბათისთვის ღარიბ-ღატაკებისთვის გაენაწილებინა.

ერთხელ მან ვერ შეძლო ფულის გადანახვა, უყოყმანოდ დაკლა ძროხა და მისი ხორცი ღარიბებს დაურიგა. ძროხის მოსაწველად დილაადრინად ამდგარმა ცოლმა ძროხა რომ ვერ დაინახა, შეიცხადა, მოუპარავთო.

რაბი მეირმა კი თქვა: „არ მოუპარავთ. ჩვენი ძროხა ცაში წავიდა“.

თეთრი ცხენი

ახალგაზრდა კაცი მივიდა რუჟინელ რაბისთან და სთხოვა, რაბიდ ეკურთხებინა. რუჟინელმა გამოკითხა მისი ყოველდღიური ქცევის შესახებ, რაზეც ახალგაზრდამ უთხრა: „სულმუდამ თეთრები მაცვია; წყლის გარდა არაფერს ვსვამ; ფეხსაცმელში ლურსმნები მაქვს; შიშველი თოვლში ვგორაობ; სინაგოგის მზრუნველს ყოველდღე ორმოცჯერ ვარტყმევინებ შოლტს შიშველ ზურგზე“.

სწორედ ამ დროს ეზოში თეთრი ცხენი შემოვიდა, წყალი დალია და თოვლში გაგორდა.

„შეხედე, – უთხრა რაბიმ, – ეს ცხოველი თეთრია; მხოლოდ წყალს სვამს; მასაც ლურსმნები აქვს ჩლიქებში; თოვლში გორავს; ორმოც დარტყმაზე მეტს იღებს ყოველდღიურად. მაგრამ ის მხოლოდ ცხენია და მეტი არაფერი“.

გიყვარდეს მტერი შენი...

ასე არიგებდა რაბი მიხალი შვილებს: „ილოცეთ, შვილებო, თქვენი მტრებისთვის. თქვენ გგონიათ, ეს ღვთის სამსახური არ არის? ეს არის ყველაზე უკეთესი ღვთის სამსახური“.

ცოდვა მოყვასის წინაშე

თქვა ამშინოველმა რაბიმ: „ცოდვა მოყვასის წინაშე უარესია, ვიდრე ღვთის წინაშე. შენგან შეურაცხყოფილი ადამიანი შეიძლება უცნობ ადგილას წავიდეს და შენ დაკარგავ შესაძლებლობას, რომ პატიება გამოსთხოვო მას. უფალი კი ყველგან არის და შენ ყოველთვის იპოვი მას, თუკი ეძებ“.

ჭამა-სმის საზრისი

თქვა მიკოლაეველმა რაბიმ: „ჭამე და სვი, რადგან ჯანმრთელობის შენახვა გებრძანა (რჯლ. 4:15). სათნო საქმეა ასეთი ჭამა-სმა. მხოლოდ სურვილის დასაკმაყოფილებლად ჭამა კი შეცოდების ერთ-ერთი სახეა“.

სამოთხე

ოჰელელ რაბის ესიზმრა, თითქოს სამოთხეში მოხვდა და თანაების ოთახში მიიყვანეს. იქ ერთი თანა დაინახა, რომელიც თალმუდს ჩაღრმავებოდა. „სულ ეს არის სამოთხე?“ – აღმოხდა რაბის. პასუხად ხმა მოესმა: „მოსე, შენ გგონია თანაები არიან სამოთხეში? ცდები. თავად თანაებშია სამოთხე“.

ძვირფასი ბეჭედი

მათხოვარი მიადგა რაბი შმელკეს. სახლში რომ არაფერი ჰქონდა, გამოიღო ბეჭედი და მისცა მათხოვარს. ეს რომ მისმა ცოლმა გაიგო, უსაყვედურა შმელკეს, ასეთი ძვირფასთვლიანი ბეჭედი როგორ მიეცი შემთხვევით გამვლელსო. მაშინ რაბიმ დაუძახა მათხოვარს და უთხრა: „ახლა გავიგე, რომ ეგ ბეჭედი, მე რომ მოგეცი, ძალზე ძვირფასი ყოფილა. იაფად არ გაყიდო“.

მდიდარი და ღატაკი

რაბი შმელკე ამბობდა: „ღატაკი უფრო მეტს აძლევს მდიდარს, ვიდრე მდიდარი ღატაკს. ასე რომ, მდიდარს უფრო სჭირდება ღატაკი, ვიდრე ღატაკს მდიდარი“.

ლოცვა მესიის მოსვლისთვის

ახალწლის მეორე დღეს რაბი შმელკემ იქადაგა ტექსტზე (1 მეფ. 20:27): „რატომ არ მოდის იშაის ძე პურობაზე არც გუშინ, არც დღეს?“

„რატომ არ მოვიდა მესია, იშაის ძე, გუშინ ან დღეს, წინა თაობებში და ამ თაობაში? იმიტომ რომ ჩვენ უფლისგან მოვითხოვთ მხოლოდ პურს, ჩვენს ნივთიერ კეთილდღეობას. სრული გულით რომ შევსთხოვოთ უფალს, გამოგვიგზავნოს გამომსყიდველი და დავივიწყოთ ჩვენ-ჩვენი პირადი გასაჭირი, უფალი უეჭველად გამოგვიგზავნის მესიას“.

სამყაროდან სამყაროში

სიკვდილიდან მრავალი წლის შემდეგ რაბი მიხალი სიზმრად გამოეცხადა ჟიდაჩოველ რაბი ცვი-ჰირშს და უთხრა: „იცოდე, რომ სიკვდილის დღიდან მე გადავდივარ სამყაროდან სამყაროში და სამყარო, რომელიც გუშინ ჩემს ზემოთ ცად ვიხილე, დღეს არის მიწა ჩემს ფეხქვეშ, ხოლო დღევანდელი ცა ხვალინდელი მიწაა. და ყოველი ახალი სამყარო უფრო წმინდაა და მშვენიერი, ვიდრე წინანდელნი“.

ასეა, გზნება (*ჰითლაჰავუთ*) არ არის მყისიერი ჩაძირვა მარადისობაში. ეს არის დაუსრულებელი აღსვლა საფეხურიდან საფეხურამდე. ღვთის მოძებნა სხვა არაფერია, თუ არა უბოლოო გზის მოძებნა. ხასიდობა საიქიოს ამ გზის სახით ხედავს და ამიტომაც არასოდეს უწოდებს იმ სამყაროს მიღმიერს.

ლოცვათა დასასრული

72-ე ფსალმუნის ბოლოს ნათქვამია: „და აღივსოს დიდებითა მისითა ყოველი ქვეყანა. იყავნ. დასრულდა ლოცვები დავითისა, იშაის ძისა“.

ამაზე რაბი ლევი-იცხაკმა თქვა:

„ყველა ჩვენი ლოცვა და საგალობელი იხვეწება, რომ ცის დიდება გამოეცხადოს ქვეყანას და, მართლაც, როცა ეს მოხდება და მთელი დედამიწა აივსება მისი დიდებით, მაშინ ლოცვა აღარ იქნება საჭირო“.

სიკვდილის წამს

სიკვდილის წამის მოახლოება რომ იგრძნო, აპტელმა რაბიმ წამოიძახა: „რატომ იგვიანებს იშაის ძე? ბერდიჩეველმა რაბიმ სიკვდილის წინ აღთქმა დადო, მოსვენებას არ მივცემ წმინდანებს, სანამ მესია არ მოვაო. მაგრამ მათ ისე ჩაძირეს იგი ნეტარებაში, რომ დაავიწყდა აღთქმა. მაგრამ მე არ დამვიწყებია“.

ცადიკი და მისი ხასიდები

სკვირელი რაბი იცხაკი, რაბი მენახემ-ნახუმ ჩერნობილელის შვილიშვილი, მიამბობდა:

„ჩერნობილთან ახლოს, ერთ პატარა დაბაში, შაბათის გასვლის ჟამს პაპაჩემის რამდენიმე ხასიდი შეიკრიბა – ყველანი ღირსეულნი და ღვთისმოშიშნი იყვნენ. ტრაპეზზე „შაბათის დედოფლის გასტუმრებისას“ აღსარებას ამბობდნენ. უდიდესმა სიმდაბლემ და ღვთის შიშმა აიძულა ისინი, თავი უდიდეს ცოდვილებად შეერაცხათ და გადაწყვიტეს, რომ ხსნის ერთადერთი იმედი დიდ ცადიკთან, რაბი ნახუმთან ერთობა იყო, რომ მხოლოდ მას შეეძლო, აღემაღლებინა ისინი და ცოდვათა გამოსყიდვაში შეწეოდა.

ტრაპეზის შემდეგ ხასიდები დაუყონებლივ გაემართნენ თავიანთ მასწავლებელთან ჩერნობილისკენ. ამავე დროს, შაბათის გასვლისას, პაპაჩემი შინ იჯდა და თავის ცოდვებზე ფიქრობდა. სიმდაბლემ და ღვთის შიშმა აიძულა, თავი უდიდეს ცოდვილად შეერაცხა. მოეჩვენა, რომ ხსნის ერთადერთი იმედი მის ერთგულ და ღვთის მოშიშ ხასიდებში იყო, რომ ისინი არ მიატოვებდნენ მას. რაბი მივიდა ფანჯარასთან და იმ მხარეს გაიხედა, სადაც მისი მოწაფეები ცხოვრობდნენ. გაიხედა და თავისი ხასიდები დაინახა.

„მაშინ კი, – დაასრულა რაბი იცხაკმა, – ორივე ნახევარწრე ერთ წრედ შეიკრა.

ნაყოფი თესლში

თქვა იცხაკ-მეიერმა, გურელმა რაბიმ: „დევნილება თავის თავში შეიცავს გამოსყიდვას, როგორც თესლი – ნაყოფს. რიგიანი შრომა და სიბეჯითე მოიტანს დაფარულ ჯილდოს“.

პატიება მოყვასისგან

თქვა ამშინოველმა რაბიმ:

„ცოდვა მოყვასის წინაშე უარესია, ვიდრე ღვთის წინაშე. შენგან შეურაცხყოფილი ადამიანი შეიძლება უცნობ ადგილას

წავიდეს და შენ დაკარგავ შესაძლებლობას, რომ პატიება გამოსთხოვო მას. უფალი კი ყველგან არის და შენ ყოველთვის იპოვი მას, თუკი ეძებ“.

ღვთის შეწევნა

თქვა ბერშიდელმა რაბიმ: „თუ ადამიანი სწუხს, რომ შესცოდა, უფალი შეეწევა მას სინანულში. უნდა გახსოვდეს: ადამიანის ხელთ მხოლოდ თავისუფალი არჩევანია, სხვა ყველაფერი ღვთის ხელთაა. ამიტომაც თუ კაცი სინანულს აირჩევს, ღმერთი თავად იზრუნებს, რომ კაცმა თავისი არჩევანი სრულყოფილად შეასრულოს. ადამიანის თავისუფალ ნებასაც კი ესაჭიროება ღვთის შეწევნა განსამტკიცებლად, რათა არ დაძაბუნდეს“.

უკეთურის სიყვარული

თქვა ბერშიდელმა რაბიმ: „შეიყვარე უკეთური კაცი. რატომ? იმიტომ, რომ ისიც შეგიყვარებს შენ და სიყვარული თქვენს სულებს გააერთიანებს. საბოლოოდ, რამდენადაც შენ გძულს უკეთურება, შენს სიძულვილს მასზე გადაიტან და ასე და ამგვარად სინანულში ჩააგდებ მას და ბოროტებისგან სიკეთისკენ მიაბრუნებ“.

ჭურჭელი

თქვა აპტელმა:

„ადამიანი არ უნდა ეძებდეს სახეს, როგორ ემსახუროს ღმერთს, არამედ მან ისეთნაირად უნდა აღასრულოს სამსახური, როგორც შემთხვევა მისცემს ამის საშუალებას. იგი ჭურჭელივით უნდა იყოს, რომელშიც ყველაფერი შეიძლება ჩაისხას – ღვინოც, რძეც და წყალიც“.

სმა-ჭამა ჯანმრთელობისთვის

თქვა მიკოლაეველმა რაბიმ:

„ჭამე და სვი, რადგან ჯანმრთელობის შენახვა გებრძანა (რჯლ. 4:15). სათნო საქმეა ასეთი სმა-ჭამა. მაგრამ მხოლოდ

სურვილის დასაკმაყოფილებლად ჭამა შეცოდების ერთ-ერთი სახეა“.

ყოველდღიური ლოცვა

კორეცელი რაბი შეახსენებდა თავის ვაჟიშვილებს, ყოველ-დღე შეეწირათ ეს ლოცვა: „უფალო, დამაყენე ჭეშმარიტების გზაზე“.

არაცნობიერი ჩვევა

ამბობდა კორეცელი რაბი: „ნამდვილი ცადიკი ყოველთვის ხედავს თვალების გარეშე და ისმენს სასმენელთა გარეშე. კაცი მოდის ჩემთან რჩევის საკითხავად და მე მესმის, რომ იგი გულ-ში თავისდა უნებურად მეუბნება, რა უნდა ვურჩიო მას“.

არის სხვა გზაც

როცა ებრაელებს მძიმე დღეები დაუდგათ, აპტელმა რაბიმ, რომელიც მთელი თაობის უხუცესი იყო, მარხვა გამოაცხადა, რათა ღვთის წყალობით მოეხედა მათთვის. მაგრამ რაბი ის-რაელმა თავი მოუყარა საუკეთესო მუსიკოსებს მახლობელი ქალაქებიდან და ყოველ საღამოს მისი სახლის აივნიდან მშვე-ნიერი ჰანგები მოისმოდა. როცა კლარნეტის ხმები და ზარების გადაძახილი მოედო ქალაქს, რაბი ისრაელის ბაღს ხასიდებმა მიაშურეს და მალე აივსო ბაღი. მუსიკამ ძლია ნაღვლიანო-ბას და ხასიდებმაც ჩააბეს ფერხული, ტაშისცემაც გაისმა. ვი-ღაც-ვიღაცებს ეს არ მოეწონათ და აპტელ რაბისთან უჩივლეს რაბი ისრაელს, მარხვის დღე მხიარულების დღედ გადააქციაო. ამაზე აპტელმა რაბიმ მიუგო:

„როგორ ვაგებინო პასუხი, როცა სწორედ მან გაგვახსე-ნა წმინდა წერილის ნაანდერძევი: „და როცა გახვალთ ჩვენს ქვეყანაში მომხდურ მტერთან საბრძოლველად, ასტეხეთ გან-გაში საყვირებით და გახსენებული იქნებით უფლის, თქვენი ღმერთის წინაშე და გადაურჩებით თქვენს მტერს“ (რიცხ. 10:9).

მესია ჩვენშია

თქვა სტრეტინელმა რაბიმ: „ყოველი ებრაელი თავის თავში ატარებს მესიის ნაპერწკალს, რომელიც განწმენდას და მომწიფებას საჭიროებს. მესია მოვა, როცა მთელი ისრაელი მოამწიფებს მას და განწმენდს თავის თავში“.

სამოთხის გაშენება

თქვა მეჟერიჩელმა მაგიდმა:

„ადამიანის კეთილ საქმეებს უფალი იყენებს, როგორც თესლს – ხეების გასაშენებლად ედემის ბაღში. ასე რომ, ყოველი ადამიანი თავის სამოთხეს ქმნის. პირუკუ ხდება, როცა ცოდვას სჩადის“.

დაბაღთა ქუჩაზე

ერთხელ ლევი-იცხაკი მოგზაურობისას ერთ პატარა ქალაქში მოხვდა, სადაც არავის იცნობდა და დასაძინებელი ადგილის პოვნა გაუძნელდა, ვიდრე რომელიღაც დაბაღმა თავისთან არ მიიწვია. დაბაღის სახლში ტყავის მძაფრი სუნის გამო მწუხრის ლოცვის წარმოთქმა ვერ შეძლო და სასწავლებელში წავიდა სალოცავად. იქ არავინ დახვდა და ცარიელ სასწავლებელში შეუდგა ლოცვას და, აჰა, მოულოდნელად ზეგარდამო ეცნობა, რომ დევნილებაში მყოფი შეხინა ამ წამებში თავჩაქინდრული დგას არა შორს სადმე, არამედ ამავე ქალაქში, დაბაღთა ქუჩაზე. ლევი-იცხაკს ცრემლები წასკდა და ატირდა. ტიროდა, ვიდრე ძალა არ გამოეცალა. ძირს დაეცა და მაშინ იხილა ღვთის დიდება მთელი მისი ბრწყინვალებით და მოესმა ხმა: „გამაგრდი, შვილო! მოგიწევს დიდი სატანჯველის გადატანა, მაგრამ ნუ გეშინია, მე შენთანა ვარ!“

მარადი დასაწყისი

ერთმა მოწაფემ ჰკითხა ბერდიჩეველ რაბის:

„თალმუდი გვასწავლის, რომ „ცადიკებიც კი ვერ მაღლდებიან ისე, როგორც მონანულნი“. ნუთუ ის, ვინც სიყრმიდანვე სიმართლეში ცხოვრობს, მასზე დაბლა დგას, რომელიც მრავალგზის განდგომია ღმერთს?“

ცადიკმა მიუგო: „ის, ვინც ჭეშმარიტი მსახურებისკენ მიილტვის და დღე ცისმარე ახალ ნათელს ხედავს, მან თვისი გუშინდელი მსახურება არასრულყოფილად უნდა მიიჩნიოს, გამოისყიდოს იგი და ყველაფერი თავიდან დაიწყოს. ხოლო ის, ვინც დარწმუნებულია, რომ ყოველთვის სწორად იქცევა და არასოდეს ეჭვდება თავის საქციელში, ვერ იხილავს ახალ ნათელს. ამიტომაც ის იმაზე დაბლა დგას, ვინც სულმუდამ თავიდან იწყებს ღმერთთან ურთიერთობას“.

ღმერთს ესმის

ბერდიჩეველმა რაბიმ ყური მოჰკრა ერთი ახალგაზრდა კაცის გაუგებარ ბუტბუტს ლოცვისას. მოიხმო იგი რაღაცის შეკითხვის მიზეზით და, როცა ახალგაზრდა კაცი წარუდგა, რაბიმ ბუტბუტით დაუწყო ლაპარაკი. ვერაფერი გავიგეო, მოახსენა ახალგაზრდამ. „შენც ასე გაუგებრად არ ლოცულობდიო?“ – მიუგო რაბიმ.

„მართალია, – უთხრა ახალგაზრდამ, – მაგრამ მეჩქარებოდა და გარკვევით ვერ ვამბობდი ლოცვის სიტყვებს. იმედი კი მაქვს, რომ ღმერთი გამიგებს, როგორც მამას ესმის თავისი ბავშვის ბუტბუტი“.

რაბის მოეწონა ეს განმარტება და მრავალგზის გამოუყენებია იგი სხვათა დამოძღვრისას.

„რას ნიშნავს ჩემთვის ეს ყველაფერი?“

ლევი-იცხაკ ბერდიჩეველმა თქვა ერთხელ:

„მე შენი შვილი ვარ, უფალო, მაგრამ მე მაინც არ გთხოვ შენ, რომ გამიმჟღავნო შენი გზების საიდუმლო, რადგან მე

ამის ცოდნას ვერ ავიტან. მაგრამ გთხოვ, მაცოდინო მე ღრმად და ცხადად, რას ნიშნავს ჩემთვის ეს ყველაფერი, რაც ჩემს გარშემოა, რას მოითხოვს ის ჩემგან და რა გსურს, რომ მითხრა ამ ყველაფრით...“

წმინდათა წმინდა

ამბობდა ბერდიჩეველი რაბი ლევი-იცხაკი: „ჩვენ აკრძალული გვაქვს ბოროტი ფიქრები, რადგან ადამიანის გონება – ეს წმინდათა წმინდაა. მასში ინახება კიდობანი აღთქმის დაფებითურთ და, თუ იქ ბოროტმა ფიქრებმა დაისადგურეს, ეს ნიშნავს, რომ ადამიანმა თავის ტაძარში კერპები აღმართა. მაგრამ როცა ლოცვისას ებრაელს მოიცავს დიდი შური, როცა ის რწმენის ცეცხლით აინთება და ცისკენ ხელებს აღაპყრობს, მის წმინდათა წმინდას ქერუბიმი თავის ფრთებს გადააფარებს“.

„მხოლოდ შენ!...“

რაბი ლევი-იცხაკი ხშირად მღეროდა სიმღერას, რომელშიც ეს სიტყვები იყო:

„ყველაფერი, რაზეც ვოცნებობ, – შენ ხარ!
ყველაფერი, რაზეც ვფიქრობ, – შენ ხარ!
შენ ხარ! შენ! შენ!
როცა მიხარის – შენ ხარ!
როცა ვმწუხარებ – შენ ხარ!
მხოლოდ შენ, კვლავ შენ, მარად შენ!
შენ! შენ! შენ!
ცა შენ ხარ! მიწა შენ ხარ!
ზემოთ შენ ხარ! ქვემოთ შენ ხარ!
ყოველ დასაწყისში, ყოველ დასასრულში,
მხოლოდ შენ ხარ, კვლავ შენ, მარად შენ!
შენ! შენ! შენ!“

მიწაზე

მივიდა რაბი ლევი-იცხაკთან კაცი ვინმე და დაიწყო ჩივილი: „რაბი, რა ვუყო ტყუილს, გული რომ შემიბორკა?“ და უეცრად ატირდა: „აი, ახლაც მტყუანია ჩემი სიტყვები! ვაი ჩემ თავს, ვერასოდეს შევძლებ სიმართლის ლაპარაკს“. და სასოწარკვეთილი მიწაზე დაემხო.

დაბაღთა ქუჩაზე

ერთხელ ლევი-იცხაკი მოგზაურობისას ერთ პატარა ქალაქში მოხვდა, სადაც არავის იცნობდა და დასაძინებელი ადგილის პოვნა გაუძნელდა, ვიდრე რომელიღაც დაბაღმა თავისთან არ მიიწვია. დაბაღის სახლში ტყავის მძაფრი სუნის გამო მწუხრის ლოცვის წარმოთქმა ვერ შეძლო და სასწავლებელში წავიდა სალოცავად. იქ არავინ დახვდა და ცარიელ სასწავლებელში შეუდგა ლოცვას და, აჰა, მოულოდნელად ზეგარდამო ეცნობა, რომ დევნილებაში მყოფი შეხინა ამ წამებში თავჩაქინდრული დგას არა შორს სადმე, არამედ ამავე ქალაქში, დაბაღთა ქუჩაზე. ლევი-იცხაკს ცრემლები წასკდა და ატირდა. ტიროდა, ვიდრე ძალა არ გამოეცალა. ძირს დაეცა და მაშინ იხილა ღვთის დიდება მთელი მისი ბრწყინვალებით და მოესმა ხმა: „გამაგრდი, შვილო! მოგიწევს დიდი სატანჯველის გადატანა, მაგრამ ნუ გეშინია, მე შენთანა ვარ!“

რიოში საუბრები

რაბი ლევი-იცხაკი ნიკოლსბურგში ესტუმრა რაბი შმელკეს, რომელიც მას ახალგაზრდობაში მსახურების გზებს ასწავლიდა. სტუმრად მყოფი ლევი-იცხაკი შეიმოსა სამლოცველო სამოსელით, მოისხა ერთი წყვილი თეფილინი, წავიდა სამზარეულოში და შეეკითხა რაბი შმელკეს ცოლს, რა კერძები იქნებოდა სადილად. ყველა გააოცა ამ კითხვამ. ამას არ დასჯერდა და ახლა კერძების ავკარგიანობაზე გამოკითხვას შეუდგა. რაბი შმელკეს მოწაფეებმა ეს რომ მოისმინეს, ლევი-იცხაკი ღორმუცელად

მიიჩნიეს. ამის შემდეგ რაბი ლევი-იცხაკი სინაგოგაში წავიდა და, სანამ მთელი ჯამაათი ლოცულობდა, იგი ყველასთვის საძულველ უმაქნის კაცს ეფუჭსიტყვავებოდა. ყველას ესმოდა მათი ლაყბობა. რაბი შმელკეს ერთმა მოწაფემ მკაცრად შეუყვირა სტუმარს: „დააყენე ენა! ლაყბობის ადგილი აქ არ არის!“ მაგრამ ბერდიჩეველმა რაბიმ ყურიც არ გააბარტყუნა და განაგრძო რიოში ლაპარაკი.

სადილზე რაბი შმელკე გულითადად მიესალმა რაბი ლევი-იცხაკს, გვერდით მოისვა და საერთო ჯამიდან შეუდგა მასთან ერთად ჭამას. რაბი შმელკეს მოწაფეები პატივისცემისა და მეგობრობის ამ ნიშნებმა, რომელიც მათმა ცადიკმა ამ უცნაური ადამიანის მიმართ გამოიჩინა, დიდად განაცვიფრა. ტრაპეზის შემდეგ ერთმა მათგანმა აღშფოთებით ჰკითხა მოძღვარს, ასეთი პატივით რატომ მიიღე ეს ჩურჩუტი და უგვანი ადამიანიო.

ცადიკმა მიუგო: „*გემარაში* ვკითხულობთ: „რავის, აბა არიხად წოდებულს, თავის სიცოცხლეში რიოშად არასდროს უსაუბრია“. უცნაურად არ გეჩვენება ეს ფრაზა? განა ეს არ გვეუბნება, რომ სხვა მოძღვართ სჩვეოდათ რიოში საუბარი? ნუთუ რავიზე სხვა უფრო ღირსეული რამის თქმა არ შეიძლებოდა? მაგრამ ამ სიტყვების ნამდვილი აზრი ეს არის: რა რიოშადაც უნდა ელაპარაკა რაბის დღის განმავლობაში, ყოველი მისი სიტყვა სავსე იყო საიდუმლო მნიშვნელობით და აზრით, რომელიც მხოლოდ მაღალ სამყაროშია გაცხადებული. ამასთან, მისი სული შეურყეველი რჩებოდა. სწორედ ამიტომ ჩვენი ბრძენკაცები აქებენ მას იმისთვის, რისთვისაც სხვა მოძღვარნი არ იმსახურებენ ქებას. ამ უკანასკნელთ მხოლოდ სამ საათს თუ შეეძლოთ ასეთ მაღალ დონეზე ყოფნა, რავი კი მთელი დღე ინარჩუნებდა ამ სიმაღლეს. ამასვე ვიტყვი ლევი-იცხაკზე: მე თუ მხოლოდ სამ საათს ვძლებ ამ სიმაღლეზე, ლევი-იცხაკი მთელი დღე უძლებს. იგი ისე ძაბავს სულს, რომ მუდამ გრძნობს თავს მაღალ სამყაროში, მაშინაც კი, როცა უმაქნის ხალხთან ლაპარაკობს“.

დღითი დღე

ლევი-იცხაკი, ბერდიჩეველი რაბი, ყოველ საღამოს იხსენებდა დღის განმავლობაში ჩადენილს და ინანიებდა თავის ყოველ საქციელს. ამბობდა: „ლევი-იცხაკი მეტჯერ არასოდეს ჩაიდენს ამას“, მერე კი მიაყოლებდა: „ლევი-იცხაკი გუშინაც ასე ამბობდა!“ ბოლოს კი დასძენდა: „გუშინ ლევი-იცხაკი მართალს არ ამბობდა, მაგრამ დღეს სიმართლე თქვა“.

ბერდიჩეველი რაბი სულმუდამ ამბობდა: „როგორც სამშობიარო ტკივილებით გატანჯული დედაკაცი ამბობს, რომ არასოდეს დაწვება ქმართან, მაგრამ მერე ივიწყებს პირობას, ჩვენც ყოველ *იომ ქიფურზე* (შენდობის დღეს) ვაღიარებთ ცოდვებს და ვდებთ აღთქმას, რომ გამოვსწორდებით, მაგრამ კვლავ და კვლავ განვაგრძობთ ცოდვებში ცხოვრებას. შენ კი, უფალო, განაგრძობ ჩვენი ცოდვების მიტევებას“.

მარადი დასაწყისი

ერთმა მოწაფემ ჰკითხა ბერდიჩეველ რაბის:

„თალმუდი გვასწავლის, რომ „ცადიკებიც კი ვერ მაღლდებიან ისე, როგორც მონანულნი“. ნუთუ ის, ვინც სიყრმიდანვე სიმართლეში ცხოვრობს, მასზე დაბლა დგას, რომელიც მრავალგზის განდგომია ღმერთს?“

ცადიკმა მიუგო: „ის, ვინც ჭეშმარიტი მსახურებისკენ მიილტვის და დღე ცისმარე ახალ ნათელს ხედავს, მან თვისი გუშინდელი მსახურება არასრულყოფილად უნდა მიიჩნიოს, გამოისყიდოს იგი და ყველაფერი თავიდან დაიწყოს. ხოლო ის, ვინც დარწმუნებულია, რომ ყოველთვის სწორად იქცევა და არასოდეს ეჭვდება თავის საქციელში, ვერ იხილავს ახალ ნათელს. ამიტომაც ის იმაზე დაბლა დგას, ვინც სულმუდამ თავიდან იწყებს ღმერთთან ურთიერთობას“.

შური

ერთხელ ბერდიჩეველი რაბი ქუჩაში შეხვდა კაცს, რომელსაც მაღალი თანამდებობა ეკავა და ამით მეტისმეტად ამაყობდა. რაბი მოეჭიდა მის სამოსელს და უთხრა: „ბატონო, მე მშურს შენი! როცა შენ მოინანიებ და ღვთისკენ მიიქცევი, თითოეული შენი შეცოდება გაბრწყინდება და შენ მთლიანად ერთ დიდ ჩირაღდნად გადაიქცევი. ბატონო, მე მშურს ამ ნათლის ნაკადისა!“

შვიდი მწყემსის წმინდა ტრაპეზზე

რაბი ლევი-იცხაკი ხშირად პატიჟებდა ხოლმე თავის სუფრაზე ერთ გულწრფელ, პატიოსან, მაგრამ უსწავლელ კაცს, რომელიც მის მოწაფეებს ათვალწუნებული ჰყავდათ, ზოგს სძულდა კიდეც – ფიქრობდნენ, რომ მას არ შეეძლოთ რაბის სიტყვების გაგება. ასე ხდება: ვინ ხარშავს ფისს და ვინ სურნელოვან მალამოებს ამზადებს! მაგრამ რადგან ეს კაცი კეთილი და პატიოსანი იყო, ვერც კი ამჩნევდა, როგორ უყურებდნენ მას რაბის მოწაფეები. ბოლოს, მოწაფეებმა სთხოვეს ცადიკის ცოლს, გაეგდო ეს კაცი სახლიდან. ქალმა ქმარს გადასცა მოწაფეების ნაუბარი და მათი თხოვნა. რაბიმ უთხრა:

„როცა შვიდი მწყემსი დაჯდება წმინდა ტრაპეზზე – მარჯვნივ: ადამი, შეთი და მათუსალა, და მარცხნივ: აბრაამი, იაკობი და მოსე, ხოლო დავითი შუაში, საბრალო ბერდიჩეველი ლევი-იცხაკი მივა მათთან, ისინი თითს გაიშვერენ ამ კაცისკენ, როგორც მსახურების მაგალითისკენ“.

მეეტლე

ერთხელ ბერდიჩეველმა რაბიმ დაინახა, რომ ვიღაც მეეტლემ გადაიცვა დილის ლოცვის ტალითი, მოიხურა *თეფილინი* და თავისი ეტლის ბორბლების გაზეთვას შეუდგა.

„სამყაროთა მეუფევ! – სიხარულით აღმოხდა რაბის, – შეხედე ამ ადამიანს! შეხედე შენი ხალხის ღვთისმოსაობას! მაშინაც კი, როცა ეტლის ბორბლებს ზეთავს, შენზე ფიქრობს!“

მიწიდან

მივიდა რაბი ლევი-იცხაკთან კაცი ვინმე და შესჩივლა: „რაბი, რა ვუყო სიცრუეს, გული რომ შემიბორკა!“ და უცებ ატირდა: „აი, ახლაც მართალი არ არის ჩემი სიტყვები! ვაიმე, ვერასოდეს ვიპოვი ჭეშმარიტებას!“ და სასოწარკვეთილი მიწაზე დაემხო.

„როგორი შურით მიილტვის ეს კაცი ჭეშმარიტებისკენ!“ – თქვა რაბიმ. მერე ფრთხილად წამოაყენა იგი და წარმოთქვა: „ნათქვამია: „ჭეშმარიტება მიწიდან აღმოცენდა“ (ფსალმ. 84:11).

ფარული მოძღვრება

ესაიას სიტყვეზე – „რადგან ჩემგან გამოვა რჯული“ (ეს. 51:4) – ფიქრისას რაბი ლევი-იცხაკი ამბობდა: „როგორ გავიგოთ ეს? რადგან ჩვენ გვწამს, რომ სინაიზე მოსეს მიერ მიღებული რჯული შეუცვლელია და რომ მის ნაცვლად სხვა გამოცხადება არ იქნება. რჯული შეუცვლელია და მისი ყველა ასონიშანი უღრმეს აზრს შეიცავს. არა მხოლოდ სიტყვები, არამედ მათ შორის ხანებიც კი მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენ არ ძალგვიძს მათი წაკითხვა. თუმცა დადგება ჟამი და ღმერთი გაგვიცხადებს რჯულის სიტყვათა შორის ხანების მნიშვნელობას“.

ცრუმესია

ერთი ვინმე უღვთო კაცი უმტკიცებდა ბერდიჩეველ რაბის, რომ ძველი დროის დიდი მოძღვარნიც კი ცდებოდნენ: რაბი აკიბამ ხომ აღიარა ბარ-კოხბა მესიად და მისი დროშის ქვეშ დადგაო?

ბერდიჩეველმა რაბიმ პასუხად ეს იგავი უამბო: „ერთხელ იმპერატორს ერთადერთი შვილი გაუხდა ავად. ერთმა ექიმმა ურჩია, მწარე სალბუნით გაეჟღინთად სახვევები და ბავშვი გამოეხვიათ მათში. სხვა ექიმმა, ბავშვი სუსტია და ვერ გაუძლებს ამგვარ სალბუნსო. მესამემ ურჩია, მიეცათ ბავშვისთვის ძილის მომგვრელი წამალი, მეოთხემ კი – წამალმა არ ავნოსო. მაშინ

მეხუთემ, ეს წამალი მაშინ მიეცით, როცა უფლისწული აუტანელ ტკივილს იგრძნობსო. ცოტ-ცოტა აძლიეთ, თითო კოვზი რამდენიმე საათშიო. ასეც მოიქცნენ.

ასე იქცევა უფალიც: როცა დაინახა, რომ ისრაელის სული ავად არის სასიკვდილოდ, გაახვია იგი სიდუხჭირისა და დევნილების მწარე სახვევებში, მაგრამ სულს რომ ეს გადაეტანა, დამაყუჩებელი ძილი მოჰგვარა მას. მაგრამ სული რომ საბოლოოდ არ ჩამკვდარიყო, ჟამიდან ჟამზე უფალი აღვიძებდა მას მესიის ცრუ იმედით, მერე კვლავ აძინებდა და ასე გაგრძელდება, ვიდრე არ გაივლის დევნილების ღამე და არ გამოჩნდება ჭეშმარიტი მესია. ამის გამოა, რომ ებინდებათ თვალები ბრძენკაცებს“.

საუკუნო ცხოვრებისთვის

რაბი მოშე-სოფერმა თქვა:

„ბევრი ჩივის, რომ არაფერი აბადია ცხოვრებისთვის. უფრო გონივრული იქნებოდა, ეჩივლათ, რომ არაფერი აბადიათ სიკვდილისთვის“.

ადამიანთა სახეები

ჰკითხა რაბი რაფაელმა რაბი ფინხასს, რატომ არ ჰგვანან ერთმანეთს ადამიანებიო?

მიუგო რაბი ფინხასმა:

„იმიტომ არ ჰგვანან, რომ ადამიანი ღვთის ხატად არის შექმნილი და ადამიანები სხვადასხვა მხრიდან ეწაფებიან ცხოველმყოფელ ძალას. ამიტომაც ყოველი სახე განსაკუთრებულია“.

ისრაელის ქვეყნის ჰაერი

რაბი მენახემი ამბობდა: ისრაელის ქვეყნის ჰაერიც კი განაბრძნობს ადამიანს. ვიდრე სხვა ქვეყნებში ვცხოვრობდი, სულმუდამ ვცდილობდი, ერთხელ მაინც მელოცა სწორად. მაგრამ იმ დღიდან, რაც ამ ქვეყანაში ვარ, ერთი სურვილი მაქვს, ერთხელ მაინც წარმოვთქვა სწორად „ამინი“.

იგივე ყვებოდა: „აი, რას მივაღწიე ისრაელის მიწაზე: იმაშიც კი, თუ როგორ გდია ბლის ყუნწი ქუჩაში – გასწვრივ თუ განივ, ღვთის მყოფობის გამოცხადებას ვხედავ“.

მესიის საყვირი

რაბი დავიდ-მოშე იხსენებდა:

„სიკვდილის მიახლოების ჟამს მამაჩემს აღარ შეეძლო საძინებელში ლოცვა და მე მასთან ერთად მიხდებოდა ლოცვა მის სამუშაო ოთახში. ერთხელ, ლოცვისას, ისე საკვირველად გამოიყურებოდა, როგორც არასდროს. ამაზე მითხრა, დღეს მე მესიის საყვირის ხმა გავიგონეო“.

არასასურველი თვისებები

უთქვამს ერთხელ გურელ რაბის:

„ყოველ ებრაელს რაღაც ერთი კარგი თვისება აქვს, ღვთისთვის მოსაწონი, მაგრამ ვერც ერთი ჩვენგანი ვერ ხვდება, რომელია ეს თვისება. ეს კი ცხადია, რომ სწორედ ის თვისებები არ მოსწონს ღმერთს, რომლებიც ჩვენს თვითკმაყოფილებას იწვევს“.

მდუმარება და იდუმალება

ამბობდა ბერდიჩეველი რაბი:

„ორი რამ გავიგე ჩემი მოძღვრისგან, როცა უკანასკნელად მოვინახულე იგი. ერთი, რაც ნაკლებს ლაპარაკობს კაცი, მით უფრო ახლოს არის სიწმინდესთან და, მეორე, მხოლოდ ის საქმეა ღირებული, რომლის შესახებაც არავინ არაფერი იცის“.

ბერდიჩეველის სიწმინდე

რაბი მოშე ზლოჩოველი ეწვია რაბი ბარუხ მეძიბოჟელს. პურობაზე მან შეამჩნია, ერთი ხასიდი ბაძავდა ბერდიჩეველი რაბის ლოცვის მანერას, მისებურად იხრებოდა და მოძრაობდა. ნაცვლად იმისა, რომ გაეკიცხა ხასიდი, რაბი ბარუხი გულიანად

იცინოდა. რაბი მოშემ უსაყვედურა ხასიდს ასეთი წმინდა კაცის დაცინვის გამო.

რაბი ბარუხმა ამაზე უპასუხა:

„მე კარგად ვიცი მისი დიდი სიწმინდე, მაგრამ სწორედ ამიტომ მეცინება მასზე. სატანი ხშირად ამბობს: „რად გინდათ მესია და ტაძარი, როცა ბერდიჩეველის საღვთო მსახურება უსწორდება მღვდელმთავრის მსახურებას ტაძარში“.

ამიტომ დავცინი მე მის მსახურებას სატანის არგუმენტის წინააღმდეგ“.

მცირე სამყარო

რაბი ნოა ლეხვიცელმა თქვა:

„ადამიანს ხშირად „მცირე სამყაროს“ უწოდებენ. ეს წოდება ამგვარად განიმარტება: თუ ადამიანს თავისი თავი ეპატარავება, მაშ, თავად დიდი „სამყარო“ ყოფილა. მაგრამ თუ კაცს თავისი თავი დიდ „სამყაროდ“ ეჩვენება, ის ნამდვილად მცირე ყოფილა“.

ღვთის ნება, არა ადამიანისა

გურელი რაბი ახალგაზრდობაში დუხჭირად ცხოვრობდა. მისი სიმამრის საქმეები ცუდად მიდიოდა. ცოლი საყვედურობდა რაბის და მოითხოვდა მისგან, ღვთისგან გამოელოცა ფული. რაბი უარზე იყო, ამბობდა, ჩემი სურვილია, ღვთის ნებას ვასრულებდე და არა ღმერთი ჩემს ნებასო.

ოჯახის ღერო

ერთი კაცი მივიდა გურელ რაბისთან და რჩევა სთხოვა, დააქორწინოს თუ არა თავისი ვაჟი ქალიშვილთან, რომლის ბიძა რჯულისგან განმდგარია. რაბიმ უპასუხა: „ნუ შიშობ, მიიღე ასული რძლად. რაკი ოჯახის ზრო ჯანმრთელია, მის შტოს ნუ მიაქცევ ყურადღებას“.

სხვისი მწუხარების გახსენება

გურელ რაბის ცამეტი ვაჟი დაეხოცა. როცა უმცროსი მოუკვდა, დედას არ სურდა ნუგეში. ქმარმა უთხრა:

„ჩვენი ვაჟები ამაოდ არ დახოცილან. თუ ასეთი უბედურება სხვასაც დაემართება, გაახსენდება, რომ იცხაკ-მეიერმა ცამეტი უმანკო შვილი დაკარგა და არ განურისხდება ღმერთს“.

ქადაგება

იომ ქიფურის წინადღით გურელმა რაბიმ ასე მიმართა თავისი მაგიდის გარშემო შემოკრებილთ:

„ჰილელი, ჩვენი მოძღვარი, ამბობდა: „თუ მე არა ვარ ჩემი თავისთვის, მაშ, ვინ იქნება ჩემთვის? თუ მე არ ვიხდი ჩემს ვალს, ვინ გადაიხდის ჩემ მაგივრად? ყველამ თავისი ვალი უნდა მოიხადოს“. და კვლავ იგივე ამბობს: „თუ არა ახლა, მაშ, როდის?“ როდის დადგება ეს „ახლა“? ეს „ახლა“ სწორედ ახლა არის; ეს სწორედ ის წამია, რომელიც არ დამდგარა არასოდეს ქვეყნის გაჩენიდან და მეტად არასოდეს დადგება. ადრე სხვა „ახლა“ იყო, და მერე კიდევ სხვა „ახლა“ იქნება, და ყოველ „ახლას“ თავისი საკუთარი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, მსგავსად იმისა, როგორც ვკითხულობთ ზოჰარის წიგნში: „დილის ტანსაცმელი არ არის ის, რაც არის საღამური ტანსაცმელი“.

მიისწრაფოდე თორისკენ მთელი შენი ძალით და შენ მიეკრობი თორას, და რამდენადაც მისი ექვსასი ათასი სიტყვა შეეფარდება ისრაელის ხალხის ექვსასი ათას სულს, რომელზედაც ლაპარაკობს თორა, შენ ამგვარად მთელ ხალხთან კავშირში აღმოჩნდები. და თუ შენ სთავაზობ შენს თავს მთელ მთლიანობას, შენც იღებ მთელი მთლიანობისგან; შენ იღებ უფრო მეტს, ვიდრე გაიღებ. და ამიტომაც შენს საკუთარ „ახლას“ შეგიძლია შეჰმატო რაღაც ნაწილი შენი მოყვასის „ახლასი“, ნაწილი იმ კეთილი საქმეებისა, რასაც ის ამ „ახლას“ განმავლობაში აკეთებს. მერმე, ჩვენი მოძღვარი ჰილელი ამბობს: „მაგრამ თუ მე

მხოლოდ ჩემი გულისთვის ვარ, რის მაქნისი ვარ?“ თუკი მე – ღმერთმა დამიფაროს – მოწყვეტილი ვიქნები კრებულს, მაშინ როდისღა დავეწევი ჩემს „ახლას?“ ვერავითარი სხვა „ახლათი“ ვერ შევცვლი ამ „ახლას“, რადგან ყოველ წამს თავისი კონკრეტული „ახლა“ აქვს.

ადამიანი, რომელმაც უხამსი საქციელი ჩაიდინა, სულმუდამ ფიქრობს მასზე, ვერა და ვერ იშორებს თავისი საქციელის სიმდაბლეს ფიქრებიდან, და რაზეც უნდა ფიქრობდეს იგი, მისი ფიქრები სულმუდამ უბრუნდებიან ამ საქციელს, მისი სული მთლინად და სავსებით შთანთქმულია ამით, ის მთლიანად დაუნჯებულია თავისი საქციელის სიმდაბლეზე. მას, ნამდვილად, არ ძალუძს ჭეშმარიტ გზაზე დაბრუნება, რადგან მისი სული გაუხეშებულია, გული კი ჯიუტი და დაუყოლიებელია, თავად კი სავსეა სევდით და მწუხარებით. როგორ მოვიქცეთ? მივხვეტოთ ნაგავი ერთ მხარეს, მივხვეტოთ მეორე მხარეს, ნაგავი კი ნაგვად რჩება. ვცოდე თუ არ ვცოდე – ცას რა ესაქმება? ჩაიდინე ცუდი საქციელი? ნუღარ იწვალებ თავს მისი გახსენებით და აკეთე სიკეთე. კეთილი საქმეებით გააწონასწორე ჩადენილი.

ამიტომაც *იომ ქიფურის* წინადღით განვერიდოთ ბოროტებას და სულს სიმხნევე შევმატოთ, დაე, იყოს ჩვენი სიხარული სულის სიღრმიდან ამომავალი, ნუ იქნება ხელოვნული და ძალდატანებული. წავიკითხოთ ჩვენი ცოდვების ჩამონათვალი სწრაფად, რამდენადაც კი შესაძლებელია, ნუ გავიტანჯავთ თავს მოგონებებით, არამედ მივმართოთ ლოცვის სიტყვებს: „და შენ გარეშე უფალი არავინ გვყავს...“

სწორი ლოცვა

ჰკითხა ცანცელ რაბის ერთმა ხასიდმა: რას აკეთებ, რაბი, ლოცვის წინო? მე ვლოცულობო, – მიუგო რაბიმ, – ვლოცულობ, რომ შევძლო სწორად ლოცვა.

შეურაცხყოფილი სტუმარი

უთქვამს ტარნიგრადელ რაბის:

„ის, ვისაც ფიქრები ეფანტება ლოცვისას, ჰგავს იმ კაცს, რომელმაც მეფე მოიწვია ნადიმზე, თავად კი სახლიდან წავიდა“.

ნებაყოფლობითი გალუთი

უთქვამს კომარნელ რაბის:

„ვინც ნებაყოფლობით სტოვებს სახლს და მათხოვარივით სახეტიალოდ მიდის, განიცდის გასაჭირს, მაგრამ მუდამ ღმერთს ესავს, ის გალუთში მყოფი შეხინას ამხანაგია. მისი ცოდვები მიტევებულია და მას შეცნობილი აქვს თორის საიდუმლო. სანატრელია გალუთში მიმავალის ხვედრი“.

სული მოძღვრავს

რაბი ფინხასი ხშირად იმოწმებდა სიტყვებს, ადამიანს თავისი სული მოძღვრავსო და დასძენდა: „არ არსებობს ადამიანი, რომელსაც სული განუწყვეტლივ არ მოძღვრავდეს“.

ერთხელ მოწაფეები შეეკითხნენ: „თუ ასეა, ადამიანი რატომ არ დაასრულებს სწავლას?“

„განუწყვეტლივ მოძღვრავს სული, – მიუგო რაბი ფინხასმა, – მაგრამ ის არასოდეს იმეორებს“.

ყური, რომელიც არ არს ყური

თქვა რაბი ფინხასმა:

„გულთა მოვალეობაში“ ნათქვამია: „ის, ვინც მართალ ცხოვრებას ეწევა, ხედავს თვალით, რომელიც არ არის თვალი, და ისმენს ყურით, რომელიც არ არის ყური. ეს ნამდვილად ასეა! რადგან ხშირად, როცა ვინმე რჩევისთვის მოდის ჩემთან, მე ვგრძნობ, როგორ პასუხობს ის თავის თავს“.

წყევლა

ახალგაზრდობაში მეჟერიჩელი რაბი აუტანელ სიღარიბეში ცხოვრობდა. ცოლთან ერთად ალიზის ქოხში ბინადრობდა ქალაქგარეთ და ქირასაც კი ვერ იხდიდა. ამ ქოხში დაბადა მისმა ცოლმა პირველი ვაჟი. ქალი მეტისმეტად თვინიერი იყო და არასდროს არაფერზე ჩიოდა. ერთხელ ერთმა დედაკაცმა ფული სთხოვა შვილისთვის გვირილის ჩაის საყიდლად, მას გროშიც კი არ აღმოაჩნდა და ვერაფერი მისცა. მაშინ რაბის ცოლმა უსაყვედურა ქმარს: „აი, რა მოაქვს შენს მსახურებას!“

მაგიდმა ამ სიტყვებზე ცოლს უთხრა: „რა ვქნა, წავალ და დავწყევლი ისრაელის ხალხს, რომ ასეთ სიღატაკეში ჩაგვაგდო“. დადგა ზღურბლზე, თვალები ცისკენ აღაპყრო და წარმოთქვა: „ისრაელიანებო! დაე, გარდამოავლინოს თქვენზე ღმერთმა სიუხვე და კეთილდღეობა!“ და შებრუნდა სახლში. და როცა კვლავ მოისმინა ცოლის საყვედური, თქვა: „ახლა მათ ნამდვილად დავწყევლი!“ გავიდა გარეთ, თავი ცისკენ აღმართა და წარმოთქვა: „დაე, გარდამოუვლინოს ისრაელიანებს ღმერთმა ყოველი სიკეთე, ოღონდ იმ პირობით, რომ ფული დაურიგონ ეკლესიასა და ქვებს!“

ფინიკი და კედარი

„მართალი ვითარცა ფინიკი აღყუავნეს და ვითარცა კედარი ლიბანისა ამაღლდეს“ (ფსალმ. 91:13). ამ მუხლის განმარტებისას, მეჟერიჩელმა მაგიდმა თქვა: „არსებობს ორი გვარის მართალი (ცადიკი). ერთნი ცხოვრებას ადამიანთა შორის ატარებენ, მოძღვრავენ მათ და აწუხებთ მათი ბედი. მეორენი კი მხოლოდ საკუთარი თავის სრულყოფაზე ზრუნავენ. პირველთ უხვი ნაყოფი მოაქვთ, მსგავსად ფინიკისა; მეორენი კი კედარს გვაგონებენ: ისინი მაღლები არიან და ნაყოფი მათი მიუწვდომელია“.

განადგურების დღე

შეეკითხნენ რაბი ფინხასს:

„რატომაა, როგორც გადმოგვცემენ, რომ მესია ტაძრის განადგურების დღეს უნდა დაიბადოს?“

„მარცვალი, – თქვა მან, – რომელიც ყანაში ითესება, უნდა დაიშალოს, რათა ახალი თავთავი აღმოცენდეს. ძალა არ აღდგება, თუ იგი დიდ დაფარულობაში არ შევიდა. სახე იძარცვება, სახე იმოსება – ეს წმინდა არარას წამისყოფაში ხდება. დავიწყების თასში იზრდება გახსენების ძალა. ეს არის ძალა ხსნისა. განადგურების დღეს ეს ძალა საფუძველშია და იზრდება. ამიტომ ვსხედვართ ჩვენ ამ დღეს მიწაზე, ამიტომ მივდივართ ამ დღეს საფლავებთან, ამიტომ იბადება ამ დღეს მესია“.

შოფარის დაყვირებამდე

ერთხელ, ახალ წელს, სანამ შოფარს ჩაბერავდა, რაბი ფინხასმა თქვა:

„სიზმარში ყოველი ქმნილება განახლებას განიცდის, ქვებიც და ნაკადულებიც კი. და თუ ადამიანს სურს, კვლავ და კვლავ განიახლებდეს სიცოცხლეს, ძილის წინ უნდა შემოიძარცვოს გარსი და ღმერთს გაშიშვლებული სულით ეჩვენოს. ასეთი სული ცად ამაღლებისას სიცოცხლეს განიახლებს. მაგრამ დღეს დიდი განახლების დღეა და სულიერი ქმილებანი ღრმა ძილში არიან ჩაძირულნი – ანგელოსებიც და წმინდა სახელებიც, და თორის ასონიშნებიც. ასეთია აზრი დიდი სამსჯავროსი, რომელიც განაახლებს სულს. ასე რომ, დღეს ადამიანი მიეცემა ღრმა ძილს და ღვთის განმაახლებელი ხელი შეხება მას“.

ეს თქვა და შოფარი ბაგეებზე მიიდო.

სიზმრები

ამბობდა რაბი ფინხასი:

„სიზმრები ჩვენი ფიქრების ნარჩენებია, ისინი ტვინს ასუფთავებენ. სამყაროს მთელი სიბრძნე თორის ნარჩენებია. ისინი ასუფთავებენ თორას. ამიტომაც არის ნათქვამი: „რაჟამს

მოაქცევს უფალი სიონის ტყვეს, მაშინ როგორც სიზმარში, ისე ვიქნებით“ (ფსალმ. 125:1). რადგან მაშინ გაცხადდება, რომ სიბრძნე არსებობს მხოლოდ იმისთვის, რომ თორა სუფთავდებოდეს, და დევნილება – რათა ისრაელი გასუფთავდეს და ყველაფერი სიზმარივით იყოს“.

მისიის მოლოდინში

თქვა ერთხელ კოსნიცელმა მაგიდმა:

„მე ვდგავარ შენ წინაშე, ღმერთო, როგორც შიკრიკი ბიჭი და ველოდები, საით გამგზავნი“.

სიწმინდის ნაპერწკლები

მეჟერიჩელი რაბი ამბობდა, რომ ცადიკი მიწის თესლივით მოქმედებს. თესლი, რომელიც მიწაში ითესება, ნიადაგიდან იღებს თავის საზრდოს, რათა ნაყოფი გამოსცეს. ასევე ამოკრებს ცადიკი წმინდა ნაპერწკლებს ყოველი სულიდან და აღავლენს მათ მაღლა, როგორც მსხვერპლს, შემოქმედისადმი.

ჭეშმარიტი და ყალბი თავმდაბლობა

თქვა ბელზელმა რაბიმ:

„არსებობს ჭეშმარიტი თავმდაბლობა და არსებობს ყალბი თავმდაბლობა. ყალბი თავმდაბალი ფიქრობს, რომ თვითონაც უღირსია და სხვებიც ყველანი უღირსნი არიან. ასეთი ადამიანი იმაზე უარესია, ვინც ფიქრობს, რომ თვითონაც ღირსეულია და სხვებიც ღირსეულნი არიან. ჭეშმარიტად თავმდაბალი ის არის, ვინც დარწმუნებული თავის უღირსობაში, მაგრამ ფიქრობს, რომ ყოველი ადამიანი მასზე ღირსეულია“.

თქვა სუდულკოველმა რაბიმ:

„სტუმრებს იმისთვის იწვევენ ქორწილზე, რომ აამონ სიძე-პატარძალს. მაგრამ არიან ისეთი სტუმრებიც, რომლებიც მხოლოდ თავიანთი სიამოვნებისთვის ზრუნავენ და ყურადღებას არ აქცევენ ახალგაზრდა წყვილს.

ასევე, მიზანი ჩვენი ცხოვრებისა ამქვეყნად ის არის, რომ ყოველმხრივ ვესწრაფოდეთ ღვთისა და ისრაელის, მისი სასძლოს, შეერთებას კეთილ საქმეთა და სიწმინდის აქტების აღსრულებით. მაგრამ ბევრი ჩვენგანი უგულებელყოფს ამ მოვალეობას და მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისთვის იღვწის“.

ბუნება და მისი ნაპერწკლები

თქვა მეძიბოჟელმა რაბიმ:

„უფალმა სიწმინდის ნაპერწკლები ყოველ ნივთში ჩადო, ორგანულშიც და არაორგანულშიც. მას სურს, რომ ადამიანმა გამოაკვესოს ეს ნაპერწკლები თავისი წმინდა საქმეებით და მათ პირველწყარომდე აიყვანოს ისინი.

ამიტომ არის, რომ ადამიანს ნებადართული აქვს ცოცხალ არსებათა ხორცის ჭამა ისევე, როგორც მცენარეულობისა. მათზე კურთხევის წარმოთქმით ადამიანს მაღლა აჰყავს ისინი.

მაგრამ როგორღა გამოვუტევოთ წმინდა ნაპერწკლები მწარე და საჭმელად უვარგისი ნივთიერებიდან? ეს მოხდება, თუ მათ წამლად გამოვიყენებთ სნეულთათვის. თუ სნეული ღირსეული ადამიანია, იგი აღასრულებს ამ მიზანს და განიკურნება კიდეც თავისი სენისგან“.

შეფერხება

იომ ქიფურზე (შენდობის დღეს) ხასიდები სამლოცველო სახლში იყვნენ შეკრებილნი რაბის მოლოდინში, რომელსაც *ქოლ-ნიდრეის* ლოცვა უნდა წაეკითხა. დრო გადიოდა, მაგრამ რაბი არ ჩანდა. იქ მყოფმა ერთმა ქალმა თავისთვის ჩაილაპარაკა: „როგორც ჩანს, კიდევ დიდხანს არ დაიწყება ლოცვა. ბავშვი დავტოვე სახლში. წავალ, მივხედავ, ხომ არ გაღვიძებია... სულ ორი წუთი მინდა...“

ქალი შინისკენ გაიქცა. სახლში სიწყნარე იყო, ფრთხილად შეაღო კარი და რას ხედავს: რაბის ხელში უჭირავს ბავშვი და ანანავებს. სამლოცველოსკენ მიმავალს ბავშვის ტირილი გაუგონია, შესულა სახლში, ხელში აუყვანია ბავშვი და სიმღერით აწყნარებდა.

ნორჩი ნარგავები

სტოპნიცელი რაბი მეირი სულმუდამ ეწინააღმდეგებოდა რაბი ბუნიმს და მის მოძღვრებას. ერთხელ მან როგორღაც დააფიცა თავისი ორი ხასიდი, რომ ისინი მის ნებისმიერ დავალებას შეასრულებენ. როცა მათ სიტყვა მისცეს, უბრძანა, წასულიყვნენ პშისხაში და რაბი ბუნიმისთვის გადაეცათ: „როგორ მოხდა, რომ რაბი გახდი? განა შესაძლებელია დანციგში ხე-ტყით ვაჭრობით გახდე რაბი?“

ხასიდები გულსუწადინოდ ჩავიდნენ პშისხაში. პირველ ყოვლისა, მათ პატიება სთხოვეს რაბი ბუნიმს იძულებითი შეურაცხყოფისთვის და მერეღა მოახსენეს რაბი მეირის დანაბარები.

„გადაეცით თქვენს მასწავლებელს, – თქვა ცადიკმა, – თუ რომ ახალგაზრდობაში მეცოდინებოდა, რა მელოდა, იმავე ცხოვრებით ვიცხოვრებდი, როგორც თქვენი რაბი მეირი ცხოვრობს. მაგრამ ჩემთვის უცნობი იყო ჩემი მომავალი და – კიდევ კარგი“.

მოგვიანებით რაბი ბუნიმი ეუბნებოდა თავის მოწაფეებს: „მეირი ღვთის კაცი იყო ახალგაზრდობიდანვე და მას წარმოდგენაც არ ჰქონდა, თუ როგორ შეუძლია ადამიანს შესცოდოს. მაშ, საიდან უნდა იცოდეს მან, რა დღეში არიან ადამიანები, რომლებიც მასთან შემწეობისთვის მიდიან? მე დავდიოდი დანციგში, ვყოფილვარ თეატრებში, მაქვს წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა არის ცოდვა, აი, ყოველივე ამის შემდეგ ვისწავლე, როგორ უნდა გამართო ნორჩი ნარგავი, რომ მრუდედ არ გაიზარდოს“.

ანდერძი

სიკვდილის წინ რაბი ელიმელეხმა ხელები დაასხა თავის ოთხ საყვარელ მოწაფეს და გაუყო მათ ყველაფერი, რაც გააჩნდა. ლიუბლინელ *ნათელმხილველს* თავისი მზერის ძალა მისცა, აბრაამ-იეჰოშუას – თავისი ბაგეების ძალა სარწმუნოდ ლაპარაკისთვის, კოზნიცელ ისრაელს – თავისი სამშვინველის ძალა სალოცავად, ხოლო მენდელს სულიერი ძალა უბოძა ხასიდების თემის განსაგებლად.

მახილვინე ქვეყნის დასასრული

ერთხელ სუქოთის მეშვიდე დღეს ამბიონის შემოვლისას რაბი მოშე ტეიტელბოიმი ევედრებოდა უფალს:

„სამყაროს უფალო, მოგვანიჭე ქვეყნის დასასრული. არ იფიქრო, რომ ჩემი კეთილდღეობისთვის ვზრუნავდე. დაე, მე ვერ ვეღირსო განთავისუფლებას და გამოსყიდვას. მზად ვარ, ვიყო შურდულიდან გატყორცნილი ქვა და ბევრი წამება გადამხდეს, ოღონდ შეხინას დევნილება და სატანჯველი დასრულდეს“.

მხურვალე მოწინააღმდეგე

ახალგაზრდობაში რაბი მოშე ტეიტელბოიმი ხასიდობას არ სწყალობდა, მწვალებლობად მიაჩნდა. ერთხელ იგი თავის მეგობარ რაბი იოსებ-აშერთან სტუმრობდა, რომელიც ასევე მტრულად იყო განწყობილი ამ სიახლისადმი. სწორედ ამ დროს დაიბეჭდა რაბი იცხაკ ლურიას ლოცვანის წიგნი. როცა მეგობრებს ეს წიგნი მიუტანეს, რაბი მოშემ ხელიდან გამოგლიჯა წიგნი მომტანს და იატაკზე მოისროლა. ხოლო რაბი იოსებ-აშერმა აიღო იგი: „ეს ხომ ლოცვანია და მას პატივით მოპყრობა ეგების“.

როცა ეს ლიუბლინელ რაბის უამბეს, მან შენიშნა: „რაბი მოშე ხასიდი გახდება, რაბი იოსებ-აშერი კი ჩვენს მოწინააღმდეგედ დარჩება, რადგან მხურვალე მოძულეს ღვთისადმი მგზნებარე სიყვარული შეუძლია, მაგრამ ცივი მტრობა სამუდამოდ ასეთად დარჩება“.

და მართლაც ასე მოხდა.

სამოთხე

ჩანაწერებში რაბი მოშე ტეიტელბოიმი ასე ამბობს თავისი სიზმრების შესახებ:

„მე ვყოფილვარ თანაების სამოთხეში“. ჩანაწერების სხვა გვერდზე წერია: „ანგელოსები ჩაგაყვინთინებენ შენ და ზიანი არ გექნება“. სიზმარში იგი მთასთან იმყოფებოდა, თანაების

სამოთხეში შესვლა სურდა. მაგრამ მას უთხრეს, რომ ჯერ მირიამის ჭაში უნდა ჩაეყვინთა. როცა ჭის სიღრმეს ჩახედა, შიშმა შეიპყრო. მაგრამ ანგელოსებმა ხელში აიყვანეს, ჩააყვინთინეს ჭის წყალში და ამოიყვანეს. და მაშინ შევიდა იგი თანაების სამოთხეში. იქ მან ბრძენი დაინახა, რომელიც კითხულობდა ტრაქტატს „პირველი კარიბჭე“. და აქ შეწყდა ბილიკი, რომელზედაც მიდიოდა. გაკვირვებულ რაბი მოშეს აღმოხდა: „არა, ეს არ იქნება სამოთხე!“ მაგრამ ანგელოსებმა უთხრეს: „გვისმინე, ბავშვო, შენ კი ფიქრობ, რომ თანაები იმყოფებიან სამოთხეში, მაგრამ ეს ასე არ არის: სამოთხე თავად თანაებშია“.

წამალი

ერთმა განათლებულმა, მაგრამ სულმოკლე ადამიანმა რაბი აბრაამ სტრეტინელს ასე მიმართა: „ამბობენ, სასწაულმოქმედი წამლები გაქვს, რომლებიც ყველა სნეულებას შველისო. მომეცი მეც რაიმე, იქნებ ღვთის შიში მოვიპოვო“.

„ასეთი წამალი ჩემთვის უცნობია, – თქვა რაბი აბრაამმა, – მაგრამ თუ გინდა, მოგცემ წამალს ღვთის სიყვარულის მოსაპოვებლად“.

„ეგ კიდევ უკეთესი! – გაუხარდა კაცს. – მომეცი ეს წამალი“.

„ეს წამალი მოყვასის სიყვარულია“, მიუგო ცადიკმა.

ანგელოზები და ადამიანები

ერთხელ კობრინელმა რაბიმ თვალები ცად აღაპყრო და შესძახა:

„ანგელოზო, პატარა ანგელოზო! სულაც არ არის ძნელი ანგელოზი იყო იქ, ზეცაში. შენ არც საჭმელი გესაჭიროება, არც სასმელი, არც შვილების გაზრდა გევალება და არც ფულის შოვნა. აბა, მიწაზე ჩამოდი და, ვნახოთ, როგორ იცხოვრებ ანგელოზურად. როცა ამას შეძლებ. მაშინ დაიქადე. ახლა არაფერი გეთქმის!“

ეს სოფელი

რაბი მოშე კაბრინელს ერთი ძალზე გაჭირვებული ხასიდი ჰყავდა. ერთხელ შესჩივლა თავის ცადიკს, ცხოვრების აუტანელი სიდუხჭირე ლოცვაში და თორის სწავლაში მიშლისო ხელს.

„ჩვენს დროში, ჩვენს დღეებში, – მიუგო რაბი მოშემ, – ღვთისმოსავობა არა ლოცვასა და თორის შესწავლაში მდგომარეობს, არამედ იმაში, რომ მიიღო ეს სოფელი, როგორიც არის“.

სიტყვის შიგნით

რაბი მოშე კაბრინელმა თქვა: „როცა ღვთის მიმართ სიტყვას წარმოთქვამ, მთელი შენი სხეულით შედი ამ სიტყვაში“.

ერთმა ხასიდმა ჰკითხა: „კი მაგრამ, როგორ უნდა მოთავსდეს ადამიანი პატარა სიტყვაში?“

ამაზე ცადიკმა უპასუხა:

„მე იმ ადამიანზე არ ვლაპარაკობ, ვისაც თავი სიტყვაზე მეტი ჰგონია“.

გადმოცემა და მიღება

კაცკელ რაბის ჰკითხეს: „რატომ ეწოდება *შებუოთს* „ჟამი თორის გადმოცემისა“ და არა ჟამი, როცა მივიღეთ თორა?“

რაბიმ მიუგო: „თორის გადმოცემა მოხდა იმ ერთადერთ დღეს, რომელსაც ვდღესასწაულობთ, მაგრამ თორას ვიღებთ ყოველ ჟამს. მაშინ მოგვეცა თორა ყველას თანაბარწილად, მაგრამ ხალხი თანაბარწილად ვერ იღებს თორას“.

ადამი და ევა

ცანზელ რაბი ხაიმს ბელზში რაბი შალომთან სტუმრობისას თან თავისი შვილი ბარუხი ახლდა. რაბი შალომმა და მისმა ცოლმა ისინი ჯარგვალის ოთახში მიიღეს. სტუმრებმა იქ მცირე ხანი დაყვეს და უკან გაბრუნდნენ. გზაში რაბი ხაიმმა ჰკითხა შვილს, რას ფიქრობ წმინდა რაბიზე და მის ცოლზეო?

„როცა ოთახში შევედით, – თქვა ბიჭმა, – ცოდვამდელი ადამი და ევა გამახსენდა“.

„მეც ასე ვიფიქრე, – დაეთანხმა მამა, – იმ ოთახზე რაღას იტყვი?“

„სამოთხეს ჰგავდა“, მიუგო ბარუხმა.

„ზუსტად“, თქვა რაბი ხაიმმა.

სამყაროს საფუძველი

რაზდოლელ რაბი იეჰუდა-ცვის, რომლის ბიძა რაბი ჰირში იყო, ცოლმა უთხრა: „რატომ სამაგიეროს არ მიაგებ შენს მტრებს, განუწყვეტლივ რომ გესხმიან თავს, და რატომ უკეთებ მათ სიკეთეს? ლოცვის ძალით მაინც მოაწიე მათზე ცათა რისხვა“.

რაბიმ მიუგო:

„არასოდეს გიფიქრია, თუ რატომ მიდის ამდენი ხალხი ცადიკთან და მიაქვთ ძღვენი, ასობით და ათასობით ძღვენი ერთ კაცთან? გეტყვი. იმიტომ, რომ ყოველ შენობას საძირკველი უნდა ჰქონდეს და უსაძირკვლოდ ვერც ერთი შენობა ვერ იდგება. სამყაროს შენობა ცადიკების წყალობით დგას, რადგან ნათქვამია: „მართალი სამყაროს საძირკველია“ (იგავ. 10:25). ამიტომაც ყველა ესაძირკვლება იმას, ვინც ყველას საძირკველია. მაგრამ რატომ მოდიან ჩემთანაც და მოაქვთ ძღვენი, როცა მე ცადიკი არ ვარ? მე ბევრი ვიფიქრე ამაზე და უცებ მივხვდი: სამყაროს კიდევ ერთი საძირკველი ესაჭიროება. რადგან ნათქვამია: „არარაზე დაჰკიდა მიწა“ (იობ. 26:7), თალმუდშიც ამაზეა ნათქვამი: „სამყარო მათი წყალობით არსებობს, ვინც კამათში თავს იკავებს და თავის თავს არარად მიიჩნევს“. აი, ხედავ, ცადიკების გარდა, ადამიანებს ესაჭიროებათ ეს „არარა“ და ამიტომაც მასაძირკვლებენ მე“.

მშვიდობისმყოფელი

იაკობ-იცხაკის (მომავალი პშისხელი რაბის, იეჰუდიდ წოდებულის) მამას ჟამიდან ჟამზე სტუმრობდა ძმა, რომელიც ერთ მიყრუებულ დაბაში ცხოვრობდა, სადაც გროშის ფასად

ემსახურებოდა სამლოცველო სახლს, სინამდვილეში კი იგი იმ ოცდათექვსმეტ ფარულ ცადიკთაგანი იყო, რომლებზეც მთელი მსოფლიო დგას. ესტუმრებოდა ძმა ძმას და ორივენი გავიდოდნენ ველად სასაუბროდ თორის იდუმალებათა შესახებ. ერთხელაც ბავშვიც წაიყოლეს სასეირნოდ. და უკან მიჰყვებოდა ბავშვი მოსაუბრე უფროსებს. როცა მდელოს მიუახლოვდნენ, სადაც ცხვრის ფარა ძოვდა, დაინახეს, რომ ცხვრები ერთმანეთს ეძიძგილავებოდნენ უკეთესი საბალახოსთვის. ერთმანეთს ახტებოდნენ, რქენდნენ და არც მწყემსი იყო ახლომახლო, არც ძაღლები, რომ დაეშოშმინებინა ისინი. ამ დროს ბავშვი შევარდა შუაგულ საძოვარზე და დაამშვიდა ატროვებული ცხოველები. ერთ წამში თითოეულმა ცხვარმა და ბატკანმა მიიღო თავისი ადგილი საძოვარზე. მაგრამ მათ თითქოს დაავიწყდათ ძოვა და შეჯგუფდნენ ბავშვის გარშემო, რომელიც ზურგზე ეფერებოდა პირუტყვს და ესაუბრებოდა.

„იცი, ძმაო, – თქვა სამლოცველოს მსახურმა, – მოვა დრო და ეს ბავშვი ფარის მწყემსი გახდება“.

კუთხე

ნათქვამია: „ზღვარი მიუჩინა სიბნელეს“ (იობი, 28:3). ყოველთვის, როცა რაბი მენდელი ამ სიტყვებს კითხულობდა, ამბობდა: „მხოლოდ ერთი პატარა კუთხე-კუნჭული... ღმერთმა დატოვა ერთი პატარა კუთხე ბნელში, რათა ადამიანს დამალვა შეძლებოდა“.

ღამე მდუმარებაში

ერთხელ მენდელმა მთელი ღამე გაატარა ხასიდებთან ერთად. ყველა დუმდა, იმდენად აღსავსენი იყვნენ სულიერი აღმაფრენით და ერთმანეთისადმი პატივისცემით. დილას რაბიმ თქვა: „კარგად მიდის ებრაელის საქმე, რომელმაც იცის, რომ „ერთი“ ერთია“.

საუბარი მდუმარებაში

ერთხელ რაბი მენდელთან მისი ხასიდები სრულ მდუმარებაში მაგიდას უსხდნენ. მდუმარება იმდენად ღრმა იყო, რომ ბუზის ზუზუნიც კი ისმოდა ჭერიდან. როცა კურთხევა ითქვა, ბიალელმა რაბიმ მის გვერდით მჯდომს გადაულაპარაკა: „როგორი სადილი გვქონდა დღეს! სულ მეკითხებოდნენ და მეკითხებოდნენ და შიში მიპყრობდა, დაძაბულობისგან ძარღვები არ გამსკდომოდა, მაგრამ ბოლომდე გავუძელი – ყველა კითხვას, რასაც მეკითხებოდნენ, პასუხი გავეცი“.

მდუმარების ხელოვნება

როცა რაბი მენდელი, ვორკელი ცადიკის შვილი, და რაბი ელიეზერი, კოზნიცელი მაგიდის შვილიშვილი, პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, იმწამსვე განმარტოვდნენ ცალკე ოთახში, სადაც ერთმანეთის ცქერაში მთელი ღამე მდუმარედ გაატარეს. მერე შეუერთდნენ დანარჩენებს. „ახლა კი მზად ვართ“, თქვა რაბი მენდელმა.

მდუმარების ხელოვნება

როცა რაბი მენდელი კოცკს ესტუმრა, ქალაქის რაბიებმა ჰკითხეს: „სად ისწავლე მდუმარების ხელოვნება?“ მენდელმა პასუხი დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა და სანაცვლოდ აჩვენა, თუ რაოდენ სრულყოფილად ფლობს ამ ხელოვნებას.

ქება გრამატიკას

გურელი რაბი იცხაკ-მეირი ყვებოდა:

„ბავშვობაში გრამატიკა არ მიყვარდა, უმნიშვნელო საგნად მიმაჩნდა. მაგრამ მერე როცა ჩავუღრმავდი, მივხვდი, რომ გრამატიკა თორის ბევრ საიდუმლოს ინახავს“.

მაპატიე

როცა რაბი იცხაკ-მეირს დედა გარდაეცვალა, მისდევდა კუბოს და ცხარე ცრემლით პატიებას სთხოვდა. როცა მიწა მიაყარეს, კვლავ ცრემლმორეული ამბობდა: „ამ სამყაროში ადამიანები პატივს მცემენ და რაბის მიწოდებენ. ახლა შენ ჭეშ-მარიტების სამყაროში შედიხარ და დაინახავ, რომ ყველაფერი ისე არ არის, როგორც ეს ხალხი ფიქრობს. ამიტომ მაპატიე და ჩემზე ცუდს ნუ იფიქრებ. მე რა შემიძლია გავაკეთო, თუ ეს ხალხი ჩემ გამო ცდება“.

თორა და სამოთხე

თქვა მეციბოჟელმა რაბიმ:

„სიკვდილის შემდეგ სამოთხეში მოხვედრას მოველი. და თუ არ შემიშვეს, ხმამაღლა დავიწყებ ახალი თორის განმარტებებს და სამოთხის ყველა ცადიკი ჩემთან მოვა. სადაც მე ვიქნები, სამოთხეც იქ იქნება“.

რაბი ნახმან ბრაცლაველის თქმანი

„ჩემი გულისთვის“

თქვა რაბი ნახმან ბრაცლაველმა:

„სულმუდამ აცხადებდე: „სამყარო ჩემი გულისთვის შეიქ-მნა“. ნუ იტყვი: „რა არის ჩემთვის იგი?“ ეცადე, შენი წვლილი შეიტანო მის გასაუმჯობესებლად, შეავსე მისი ნაკლულება, რომ მცირედ მაინც უკეთესი გახადო საცხოვრებლად“.

ახალი, ძველი გზა

როგორ შეიძლება, რომ ჩემ წინააღმდეგ არ ამხედრდნენ? მე ხომ სრულიად ახალი გზით მივდივარ, რომლითაც აქამდე არავის უვლია. და თუმცა ეს ძალზე ძველი გზაა, მაგრამ ამავე დროს სრულიად ახალია.

სიხარულის იგავი

ზოგჯერ, როცა ხალხი მხიარულობს და ცეკვავს, გამოიტაცებენ ადამიანს, შავნაღვლიანობაში მყოფს და მოწყენილს, მისი ნების წინააღმდეგ ჩაითრევენ მროკველთა წრეში და მათთან ერთად მხიარულებას აიძულებენ. ასეა სიხარულიც: როცა ადამიანი ხარობს, შავნაღვლიანობა უკან იხევს. მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, გამოიტაცო შავნაღვლიანობა და აიძულო მხიარულება, რათა თავად შავნაღვლიანობა სიხარულად გარდაიქმნას...

ნუ მბაძავთ ნაღვლიანობაში

ბრაცლაველი ცადიკი ეუბნებოდა თავის ხასიდებს:

„თქვენ არ უნდა ბაძავდეთ ჩემს გარეგნულ სახეს, უფრო ხშირად ნაღვლიანი რომ გეჩვენებათ. თქვენც ნუ დანაღვლიანდებით, არამედ სიხარულში იყავით. სინამდვილეში მე მხიარული ვარ, მაგრამ მე სულმუდამ მიხდება გზის გაკვალვა „გატიალების სიბილწეში“[1]; გზის გაკვალვა დაბრკოლებათა და ყოველგვარი საცთურის ამოძირკვით“.

ჭეშმარიტი სიმარტოვე

„როდის აღწევს კაცი ჭეშმარიტ სიმარტოვეს? როცა მის გარშემო მთელი სოფელია, თავად კი მათ შორის ზის, აი, მაშინ არის ის მარტოობაში. რადგან მას შეუძლია მდუმარების ოდნავი ჩქამით ღაღადყოს და მისი ღაღადი მოივლის ცისკიდეებს, მაგრამ მის ირგვლივ მყოფთაგან ვერავინ მოისმენს“.

დანაკარგის ძიება

ოცოდე, რომ ცადიკს დაკარგულის ძიება მართებს. რადგან სანამ ადამიანი ამ ქვეყანას მოევლინებოდეს, მოძღვრავენ მას, ყველაფერს აჩვენებენ, რასაც უნდა მიაღწიოს და აღასრულოს, მაგრამ, როგორც კი დღის სინათლეზე გამოდის, ყველაფერი

---

[1] „...იქნება გატიალების სიბილწე ვიდრე აღსასრულამდე...“ (დანიელის წ. 9:27).

ავიწყდება, რასაც ჩვენი ბრძენები ასწავლიდნენ, დავიწყება კი დაკარგვაა. ყველა უნდა ეძებდეს თავის დანაკარგს და, როცა იპოვის, ახლა სხვის დანაკარგს დაუწყებს ძებნას და, როცა იპოვის, მთელი ქვეყნის დანაკარგის ძებნას იწყებს.

ფარული ცადიკი და ქებათა ქება

იცოდე, რომ არსებობს იმდენად დიდი ცადიკი, რომ მთელ სამყაროს არ ძალუძს მისი სიწმინდის ატანა და იგი უნდა მალავდეს და არ აჩენდეს სიწმინდეს და ასკეტობას. ეს ყველაფერი უდიდესი სიწმინდის გამოა. ამაზეა ნათქვამი: „ყველა ქება წმინდაა, მაგრამ ქებათა ქება წმინდათა წმინდაა“. ამგვარად, ქებათა ქება თავისი სიწმინდით ყველა წიგნზე უპირატესობს. აი, მეფე სოლომონმა სამი წიგნი შეთხზა: იგავნი, ეკლესიასტე და ქებათა ქება. ჭეშმარიტად, იგავნი და ეკლესიასტე სავსეა ზნეობით და ღვთისმოშიშობით, მასში ბევრ წმინდა და ამაღლებულ სიტყვებს ვკითხულობთ, ქებათა ქებაში კი ვერც ერთ წმინდა და ამაღლებულ სიტყვას ვერ იპოვით. შეამოწმე და დარწმუნდი, რომ ქებათა ქებაში არ იპოვება განსაკუთრებულად წმინდა სიტყვები. ეს იმიტომ არის, რომ მისი უდიდესი სიწმინდის გამო მასში სიწმინდე შეუმჩნეველია.

სამყაროს ხილვა

როგორც თვალთან მიტანილი ხელი ფარავს უზარმაზარ მთასაც კი, ისე ერთიბეწო მიწიერი ცხოვრება ფარავს ადამიანის მზერსგან იმ ნათელსა და იდუმალებას, რომლითაც სავსეა სამყარო. ხოლო ვისაც ძალუძს თვალი მოწყვიტოს ამ მიწიერ ცხოვრებას, თითქოს ხელი მოეშორებინოს თვალიდან, იგი სამყაროთა წიაღის დიად ნათელს იხილავს.

ღმერთი და კაცი

ადამიანის ყველა გასაჭირი თვით მისგან მომდინარეობს, და თუმცა ღვთიური ნათელი მარადჟამს გადმოდინდება მასზე, კაცს თავისი სხეულებრივი ცხოვრებით ისეთი ჩრდილი ეფინება, რომ ღვთის ნათელი ვერ აღწევს მასთან.

სამყაროს მიზანი

სამყარო მხოლოდ არჩევანისა და ამრჩევის გულისთვის არის შექმნილი.

ადამიანი, არჩევანის უფალი, უნდა ამბობდეს: „მთელი სამყარო ჩემი გულისთვის შეიქმნა“. ამიტომ ყოველი ადამიანი უნდა ცდილობდეს, რომ ყოველ ჟამს და ყველგან სამყარო იხსნას და მისი ხარვეზები შეავსოს.

ჩემი ხალხი

თქვენ ჯერ კიდევ არ ხართ ჩემი ხალხი. დადგება ჟამი, როცა მთელი სოფელი ჩემს წინააღმდეგ ამხედრდება და ყველა კიცხვას დამიწყებს. და მაშინ ის, ვინც თავის თავში ძალას ჰპოვებს ჩემთან დასარჩენად, ჭეშმარიტად ჩემი კაცი იქნება.

რწმენა

„არსი დაფარულია და გამოცხადებული“. იგი „დაფარულია“, რადგან თუ სთხოვ მორწმუნეს რამენაირ განმარტებას რწმენისა, ის, რა თქმა უნდა, ვერაფერს განგიმარტავს, რადგან რწმენა ისეთი რამაა, რომელსაც განმარტება არა აქვს. თუმცა ამავე დროს არსი „გაცხადებულია“, რადგან მორწმუნისთვის იგი სრულიად ცხადია, თითქოს იგი საკუთარი თვალებით ხედავს იმას, რაც სწამს, – თავისი რწმენის სიდიადისგან. „რადგან ვუწყი მე, რომ დიდია უფალი, და უფალი ჩვენი ყველა ღმერთზე ამაღლებულია“ (ფსალმ. 134:5). თქვა დავითმა, დაე, განისვენოს მან მშვიდობაში: „რადგან ვუწყი მე“, დიახ, „ვუწყი მე“, რომ შემოქმედის დიდებულებაზე შეუძლებელია სხვას მოუთხრო რაიმე. საკუთარ თავსაც მეორე დღეს ვერ აღუწერ, რაც იმ დღეს გაბრწყინდა. ხვალ უკვე ვეღარ გადმოსცემ მისი კურთხეული დიდების ბრწყინვალებას, რომელიც გუშინ იყო, და ამიტომ თქვა დავითმა: „რადგან მე ვუწყი“, დიახ, „მე ვუწყი“, რომ ამის აღწერა შეუძლებელია“.

წარმოსახვის ძალა

წინასწარმეტყველების გავრცელების წყალობით სუფთავდება და სწორდება წარმოსახვის ძალა, რადგან ნათქვამია: „მე ველაპარაკებოდი წინასწარმეტყველთ და მე გავამრავლე ხილვები“ (ოსია, 12:11). გასუფთავება და გამოსწორება ხომ მხოლოდ წინასწარმეტყველს ხელეწიფება. და როცა წარმოსახვა სწორდება, ჭეშმარიტი წმინდა რწმენაც სწორდება და ყალბი წარმოდგენები გაიხვეტება. რწმენა ხომ წარმოსახვის ძალაზეა დამოკიდებული, ხოლო მას, რაც გონებისთვის მისაწვდომია, რწმენა არ მიეყენება. რწმენის არსი იქ არის, სადაც გონება მთავრდება. როცა რაღაც მიუწვდომელია გონებისთვის, მხოლოდ წარმოსახვის ძალა რჩება და სწორედ მაშინ წარმოიშვება რწმენის მოთხოვნილება. ამგვარად, რწმენა, თავისი არსით, წარმოსახვის მსგავსია, და წარმოსახვის განმასუფთავებელი და განმასწორებელი წინასწარმეტყველების გავრცელებით ჭეშმარიტი რწმენაც სწორდება.

ცარიელი სივრცე

აი, რწმენის შემწეობით – მწამს, რომ კურთხეული უფალი ავსებს სამყაროებს და მოიცავს ყველა სამყაროს და, რაკი მოიცავს სამყაროებს, თუ ასეა, თავად ცარიელი სივრცე მისი სიბრძნისგან არის წარმოშობილი. მაგრამ, ეჭვს გარეშეა, რომ ჭეშმარიტად იქაც არის მისი ღვთიურობა, მაგრამ ამის გაგება და იქ უფლის ძებნა შეუძლებელია. უფლის იქ მოძებნა რომ შესაძლებელი იყოს, ასე რომ იყოს – მაშინ სივრცე ცარიელი არ იქნებოდა და ქმნილება ვერ წარმოიშვებოდა. მაგრამ წინასწარ არის პასუხი, წინასწარ არის იქ მისი ღვთიურობა. განსჯისაგან იქ მხოლოდ იკარგებიან, რადგან იქ ვერ მოიძებნება კურთხეული უფალი, რადგან ეს ცარიელი სივრცეა. მხოლოდ უნდა გვწამდეს, რომ კურთხეული უფალი მოიცავს მასაც (ცარიელ სივრცეს) და რომ ჭეშმარიტად არის იქ მისი ღვთიურობა.

დროჟამი და გონება

კურთხეული უფალი დროჟამზე მაღლაა. ეს ჭეშმარიტად რაღაც საკვირველი და იდუმალი რამ არის, ადამიანის გონებისთვის მიუწვდომელი. უწყოდე, რომ დროჟამის საფუძველში გაუგებრობაა, ე. ი. დროჟამი ჩვენი გონების შეზღუდულობისგან წარმოიშვება. რაც უფრო ფართეა გონება, მით უფრო მცირეა და უმნიშვნელო დროჟამი. სიზმარში ხომ, როცა გონება ქრება და მხოლოდ წარმოსახვის ძალა რჩება, ნახევარი საათში შეიძლება სამოცდაათი წელი გავიდეს. უმცირეს წამში სიზმრად ბევრი დრო გადის. გაღვიძებისას ადამიანს უბრუნდება გონება, ხოლო გონებისთვის სიზმრად გასული მთელი სამოცდაათი წელი მხოლოდ ერთი წამია.

მდუმარება

უწყოდე, რომ მდუმარების ჩქამით დიდ ხმაზე ყვირილი შეიძლება, რომელსაც ვერავინ მოისმენს. იგი არავითარ ხმას არ გამოსცემს, არამედ ყვირის მდუმარების ხმით, ეს ყველას შეუძლია. ოღონდ ფიქრში წარმოიდგინე ყვირილი და მიუშვი ყვირილის ხმა შენს ფიქრებში.

ზეაღსვლა

ადამიანისთვის ზეაღსვლას საზღვარი არა აქვს, და ყველასთვის გახსნილია უზენაესი. აქ მხოლოდ შენი არჩევანი ბატონობს.

თავის მართვა

როცა ადამიანი თავის თავს არ მართავს, მას ყველა საგანი მართავს და ყველა საგანი ღვთის მაცნეა.

განსრულება

ადამიანი მარადღე უნდა განახლდებოდეს, რათა სრულყოფილებას (განსრულებას) მიაღწიოს.

ადამიანთა შორის

არიან ადამიანები, რომლებიც საშინელი გასაჭირით იტანჯებიან და არ შეუძლიათ იმის მოთხრობა, რაც მათ გულშია, და მიდიან ასე გასაჭირით სავსენი. ხდება, რომ შეხვდება მათ ვინმე მოცინარი სახით, და ის შეძლებს თავისი სიხარულით გამოაცოცხლოს იგი. და ეს არ არის უმნიშვნელო რამ: ადამიანის გამოცოცხლება.

დაფარულში

არიან ადამიანები, რომელთაც სიცხადეში არავითარი ძალაუფლება არა აქვთ, მაგრამ დაფარულში მართავენ კაცთა მოდგმას.

არის *ერთი*, რომელსაც არავითარი ნიშანი ცხადი ძალაუფლებისა არ გააჩნია, მაგრამ იდუმალად და უდიდეს დაფარულობაში ძალაუფლობს მთელ თაობაზე, მეტიც, თაობის ცადიკებზე, რადგან ყველა მათგანის სული მისი ძალაუფლებისა და განმგებლობის ქვეშ არის და ყველა მას ემორჩილება.

სიტყვების გაბრწყინება

არიან ადამიანები, რომელთაც ძალუცთ, ლოცვის სიტყვები ჭეშმარიტებაში აამეტყველონ და სიტყვები ისე გაბრწყინდნენ, როგორც ძვირფსი ქვა, თავისი ბრწყინვალებით რომ ბრწყინავს.

ერთადერთხელ

ღმერთი არასოდეს იმეორებს ერთსა და იმავეს. როცა სული უკან ბრუნდება, სხვა გონი ხდება მისი ამხანაგი.

როცა სული ამქვეყნად მოდის, მისი საქმე იდუმალი სამყაროდან ამოიზიდება.

ლოცვის ენა

ღმერთთან გულითადი საუბარი მხოლოდ მშობლიურ ენაზეა შესაძლებელი. ჩვენ არ ვართ მიჩვეული ებრაულ ენაზე ლაპარაკს. აშქენაზური ენით (იდიშით) უფრო ადვილია გულის

გახსნა ღვთის წინაშე. გულთან ახლოს არის აშქენაზური ენა, რომლითაც ყველაფრის გამოხატვა შეიძლება ამქვეყნად, ყველაფრისა, რაც გულშია დაგროვილი.

ახალი ცა

ერთხელ, როცა რუჟინელი რაბი ისრაელი ჯერ კიდევ პატარა ბიჭი იყო, პარასკევ საღამოს ეზოში მიდი-მოდიოდა, ხასიდები კი უკვე შაბათის შესახვედრად ემზადებოდნენ. ერთი ხასიდი ბიჭთან მივიდა და ჰკითხა:

– შინ რატომ არ შედიხარ? შაბათია უკვე.

– ჯერ არ დამდგარა.

– საიდან იცი? – ჰკითხა ხასიდმა.

– შაბათობით, – მიუგო ბიჭმა, – ყოველთვის ახალია ცა. ჯერ ვერ ვხედავ ახალს.

ცადიკები და ხასიდები

ამბობდა რუჟინელი რაბი:

„როგორც წმინდა ასონიშნები გახმოვანების გარეშე დუმან, ხმოვნები კი არაფერს ნიშნავს უასონიშნებოდ, სწორედ ასე არიან ერთმანეთთან გადაბმულნი ცადიკები და ხასიდები. ცადიკები ასონიშნებია, ხასიდები კი – მათი გახმოვანება. ხასიდებს ესაჭიროებათ ცადიკი, ცადიკსაც არ შეუძლია არსებობა უხასიდოდ. ცადიკი ხასიდის წყალობით არის აღზევებული. ხასიდებივე, ღმერთმა დაიფაროს, შეიძლება გახდნენ ცადიკის დაცემის მიზეზი. ხასიდებს გააქვთ ცადიკის ხმა, ავრცელებენ მათ სიტყვებს ქვეყანაში.

მოიქეც, ისრაელ

აი, რას ამბობდა რუჟინელი რაბი „მოქცევის შაბათს“: „ოსია ამბობს: „მოიქეც, ისრაელ, უფლისაკენ, შენი ღმერთისაკენ“ (ოსია, 14:2). ეს ითქვა მთელი სამყაროს მიმართ და ყველა ქმნილების მიმართ ცაზე და მიწაზე, რადგან ყოველი დაბადებული ცაზე და მიწაზე უზენაესის მსახურები არიან, ანგელოზები, სე-

რაფიმები, ზეციური ქმნილებანი, წმინდა სფეროები, ყველაფერი თავად ღმერთის ტახტამდე, ყველაფერი უნდა მოიქცეს“.

ეს რომ თქვა, რაბი ისრაელი თავის თავს მიუბრუნდა: „ო, ისრაელ, მოიქეცი, ისრაელ, უფლისაკენ, შენი ღმერთისაკენ“.

ღვთის სამსახური

რუჟინელი რაბი ამბობდა: „აჰა, მსახურებანი, რომელთაც ადამიანი უნდა ასრულებდეს მთელი თავისი სიცოცხლე: სახეს ანიჭებდეს მატერიას, სრულყოფდეს ადამიანის ბუნებას და ანიჭებდეს გზას ნათელს, რათა ბნელში შეაღწიოს, ვიდრე თავად ბნელი გაბრწყინდებოდეს და მათ შორის ზღვარი წაიშლებოდეს. რადგან ნათქვამია: „და იყო საღამო, და იყო დილა, დღე ერთი“.

და კიდევ ამბობდა რუჟინელი რაბი: „არა ხამს ამაყობა ღვთის სამსახურით. განა თავს უნდა იქებდეს ხელი, როცა ის გულის ნებას ასრულებს?“

ორი გვარის ცადიკი

რუჟინელი რაბი ყვებოდა, როგორ დასცინოდნენ იასაში აპტელ რაბის მისი ქადაგების შემდეგ. და დასძინა: „ყოველ თაობაში იყვნენ თავიანთი ცადიკების უკმაყოფილო ადამიანები; იყვნენ ისეთნიც, რომლებიც მოსეზეც ბუზღუნებდნენ. მაგრამ აპტელი რაბი თავისი თაობის მოსე იყო“. მცირე ხნის შემდეგ რაბი ისრაელმა განაგრძო: „არის ღვთისმსახურების ორი გვარი და ცადიკების ორი გვარი. ერთნი სწავლობენ და ლოცულობენ ღვთის მსახურებისთვის, მეორენი კი ჭამენ, სვამენ და ეძლევიან მიწიერ სიამეთ, აჰყავთ ეს ყველაფერი სიწმინდის სიმაღლეებამდე. ბევრის უკმაყოფილებას სწორედ ეს იწვევს. მაგრამ ასეთებად შექმნა ისინი ღმერთმა, რომელსაც სურდა, რომ ადამიანი თავის ხორციელ ვნებათა მონა არ ყოფილიყო, არამედ მათი თავისუფალი პატრონი. ეს არის ცადიკების მოწოდება, თავისუფალი გახადონ ადამიანი. ესენი ცხადის მბრძანებლები არიან, ისინი კი ფარული სამყაროს მბრძანებლები. სწორედ

ამათ წინაშე იხსნება საიდუმლოებანი, სწორედ მათ ეძლევათ სიზმრების იდუმალებათა ხილვა, როგორც იოსებს, რომელსაც ლამაზი ხვეული თმა ამშვენებდა და ღმერთს ამქვეყნიერი სიხარულით ემსახურებოდა“.

სხვა დროს რუჟინელმა რაბიმ ფსალმუნის ამ სიტყვებზე – „ცანი ცათანი უფლისანი არიან, ხოლო ქვეყანა მოსცა ძეთა კაცთასა“ (113:24) – ეს თქვა: „არის ცადიკთა ორი გვარი. ერთნი სწავლობენ და ლოცულობენ დღენიადაგ, დაბალ მატერიებს განრიდებულნი, რათა სიწმინდეს მიაღწიონ. სხვანი კი საკუთარ თავზე არ ზრუნავენ, არამედ – როგორ დაუბრუნონ ღმერთს ის წმინდა ნაპერწკლები, რომლებიც ყოველ საგანშია ჩამალული. ამის გამო თავიანთი ზრუნვის საგნად ხდიან ყოველივე ყოფითს, დამიწებულს. პირველნი მუდამ წარმოიდგენენ, როგორ წარდგებიან ისინი ცათა წინაშე. „ცანია“ მათი სახელი ამ ფსალმუნში, მაგრამ ისინი უფლისგან შორს არიან. მეორენი კი „მიწად“ არიან მოხსენიებულნი, რომელიც მოსცა ღმერთმა ადამის ძეთ“.

თაობათა გზით

რუჟინელი რაბი გვიამბობდა:

„ბაალ შემ ტოვს მძიმედ ავად გაუხდა საყვარელი შვილი. ჩამოაქნევინა წმინდა ცვილის სანთელი, წაიღო ტყეში, ხეზე მიამაგრა და აანთო. და შეუდგა ლოცვას. დილით ბავშვი გამოკეთდა. როცა ჩემმა პაპისპაპამ, მეჟერიჩელმა მაგიდმა, ბაალ შემ ტოვის მოწაფემ, იგივე მოინდომა, არკი იცოდა, როგორ განაწყო თავი ლოცვისას ბაალ შემ ტოვმა, თუმცა ყველაფერი თავისი მოძღვრისამებრ გააკეთა და ახსენა მისი სახელი. ბავშვი განიკურნა. ხოლო როცა რაბი მოშე-ლეიბ სასოველმა, მაგიდის მოწაფემ, მოინდომა მსგავსადვე მოეხდინა განკურნება, თქვა: ჩვენ ესეც არ შეგვიძლია, მაგრამ მე მოვყვები ამ ამბავს და კურთხეული უფალი განკურნავსო. და განკურნება მოხდა.

ალმასი

რაბი ისრაელ რუჟინელმა ამგვარად განმარტა ეს მუხლი: „მაგრამ ყველა ისრაელიანს ჰქონდა სინათლე თავის სადგომში“ (გამ. 10:23) – თქვა: „ყოველი ჩვენგანი შეიცავს წმინდა ნაპერწკალს, მაგრამ ყველას არ შეუძლია მისი გამოსხივება. ეს ჰგავს ალმასს, რომელიც ვერ ასხივებს, თუ მიწაშია ჩამარხული. მაგრამ თუ გამოაჩინე და სათანადო ადგილზე დასვი, ის ალმასივით გაბრწყინდება ყოველ ჩვენგანში“.

არა ერთი და იგივე აზრი

ერთხელ ხასიდები მაგიდას უსხდნენ და სვამდნენ. ამ დროს ოთახში რაბი შემოვიდა. ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს რაღაც არ მოეწონა. „რამეს ხომ არ ვაშავებთ, რაბი? – ჰკითხეს. – ხომ ნათქვამია, ხასიდებს გინდა ხელში ჭიქა ეჭიროთ, გინდა თორის სწავლაში იყვენ“.

„თორაში ბევრი სიტყვებია, – მიუგო რუჟინელმა რაბიმ, – რომელთა აზრი წმინდაა ერთ ფრაზაში, მეორეში კი – უკეთური. აი, მაგალითად, ნათქვამია: „და უთხრა უფალმა მოსეს: გამოთალე შენთვის ორი ქვის დაფა“ (გამ. 34:1), მაგრამ ესეც ნათქვამია: „არ გააკეთო კერპი და არც რაიმე ხატება“ (გამ. 20:4). რატომ არის, რომ ერთსა და იმავე სიტყვას პირველ ფრაზაში წმინდა მნიშვნელობა აქვს, მეორეში – უკეთური? იმიტომ ხომ არა, რომ პირველი ფრაზა ბრძანებაა, მეორე კი – აკრძალვა? ასე ხდება ჩვენს ცხოვრებაშიც: აზრი შეიძლება იყო წმინდა ან უკეთური, იმისდა მიხდვით, თუ როგორ არის ნათქვამი“.

გზამკვლევნი

რაბი ისრაელ რუჟინელი ამბობდა:

„რაბი მენახემ-მენდელის გამგზავრება წმინდა მიწაზე ჩვენი წინაპრის, აბრაამის მგზავრობას ჰგავს: რაბი მენდელი და აბრაამი ორივენი ესწრაფოდნენ, გზა გაეხსნათ ღვთისთვის და ისრაელისთვის“.

ჭეშმარიტი სიმდაბლე

როცა რაბი მენახემ-მენდელი ისრაელიდან წერილებს იწერებოდა, ასე აწერდა ხელს: „ჭეშმარიტად მდაბალი“.

ერთხელ რუჟინელ რაბის ჰკითხეს: „თუ რომ რაბი მენდელი ნამდვილად მდაბალი ყოფილიყო, განა ასე მოაწერდა ხელს?“

„იგი იმდენად მდაბალია, – მიუგო რუჟინელმა რაბიმ, – რომ სიმდაბლე მისი არსება გახდა და მან აღარ მიიჩნია იგი სათნოებად“.

მესიის მსჯავრი

ბერდიჩევში ბევრი ოჯახის მამა შესჩიოდა რუჟინელ რაბის, რომ მათი სიძეები ტოვებენ ცოლებსა და ბავშვებს და მასთან დასამოწაფებლად გარბიან. როცა ისინი რაბის სთხოვდნენ, შინ დაებრუნებინა ახალგაზრდები, რაბი ერთი ახალგაზრდა კაცის ამბავს უყვებოდა, რომელიც დიდი მაგიდის დროს ცხოვრობდა. ამ ახალგაზრდამ მიატოვა სიმამრის სახლი და დიდ მაგიდთან წავიდა სასწავლებლად. სახლში დააბრუნეს და სიტყვა ჩამოართვეს, რომ ასე არასოდეს მოიქცეოდა. მაგრამ რამდენიმე ხნის შედეგ ის კვლავ წავიდა სახლიდან. მაშინ სიმამრმა სთხოვა ქალაქის რავის, გამოეცხადებინა, რომ სიტყვის გატეხა განქორწინების საკმარისი საბუთია. განაქორწინეს და, ასე და ამრიგად, სრულიად უსახსროდ დარჩენლი ახალგაზრდა კაცი დასნეულდა და მალევე გარდაიცვალა.

ყოველთვის, როცა ამ ამბავს ყვებოდა, რუჟინელი რაბი ამით ამთავრებდა:

„როცა მესია მოვა, ახალგაზრდა კაცი სამართლიან სამსჯავროს მოითხოვს. მისი სიმამრი ქალაქის *რავის* დაიმოწმებს, რომელიც *შულხან არუხის*[1] შესაბამის კომენტარებს წაიკითხავს.

---

[1] „გაშლილი სუფრა“, ზეპირი კანონი: საყოფაცხოვრებო, საოჯახო და საკულტო ქცევათა წესების კრებული.

მაშინ მესია შეეკითხება ახალგაზრდას, რატომ გატეხა სიტყვა. ახალგაზრდა მიუგებს, რომ მას არ შეეძლო რაბისთან არ წასულიყო. ბოლოს, მესია გამოაცხადებს მსჯავრს. სიმამრს ეტყვის: „რავის სიტყვა შენთვის ავტორიტეტი იყო, ამიტომაც გამართლებული ხარ“. რავის ეტყვის: „წმინდა წიგნი შენთვის ავტორიტეტი იყო, ამიტომაც გამართლებული ხარ“.

ბოლოს, მესია იტყვის: „მაგრამ მე ხომ გამტყუნებულთათვის ვარ მოსული“.

ორი ფესი

რაბი დავიდ-მოშემ, რუჟინელი რაბის შვილმა, უთხრა ერთხელ ხასიდებს:

„თქვენ იცნობდით მამაჩემს, როცა ის სადაგორში ცხოვრობდა და უკვე მწუხარების შავ ფესს ატარებდა. მაგრამ თქვენ ის არ გინახავთ, როცა რუჟინში ცხოვრობდა და ოქროსფერ ფესს იხურავდა“.

ხასიდები განცვიფრდნენ: „განა დასაჯერებელია, რომ რუჟინელი წმინდა კაცი ოდესმე ნაღველს ყოფილიყო მიცემული! მისგან არ გვსმენია, რომ ნაღვლიანობა სულის ყველაზე ცუდი მდგომარეობაა?

„და მაინც ამ ცოდვის უფსკრულში ვარდებოდა იგი ყოველთვის, როცა სათნოების მწვერვალს იყო მიღწეული, – მიუგო რაბი დავიდმა, – რათა ჯოჯოხეთში ჩაცვივნული სულები გამოესყიდა“.

უფალი მეფობს

თქვა რაბი შმელკემ:

„დილის ლოცვაში ჩვენ ვამბობთ: „უფალი მეფეა, უფალი მეფე იყო, უფალი მეფე იქნება მარად და მარად“. ეს რიგი არ არის სწორი. ასე უნდა დაეწყოს: „უფალი მეფე იყო“, შემდეგ: „უფალი მეფეა“. ამ წყობას ასეთი ახსნა აქვს: თუ ადამიანს უცაბედი სიკვდილი ეწვია და ლოცვაში პირველად „უფალი

მეფე იყო“ წაიკითხა, მას სიკვდილის ჟამს არ ეცოდინება, რომ უფალი მეფეა“.

შეხინას დამკვიდრება

მეძიბოჟელმა რაბიმ ასე განმარტა ეს მუხლები: „არ მივცემ ძილს ჩემს თვალებს და რულს ჩემს წამწამებს, ვიდრე არ ვიპოვი ადგილს უფლისათვის, სადგომებს იაკობის ძლიერისათვის“ (ფსალმ. 141:4-5). მან თქვა: „მე არ დავისვენებ, ვიდრე არ მოვაწყობ ღვთის სამკვიდრებელს ჩემში; ვიდრე არ ვიქნები მზად და ღირსი იმისა, რომ შეხინა ჩემს არსებაში დავაბინავო“.

სიკეთე ბოროტში

მეძიბოჟელმა რაბიმ ასე განმარტა ეს მუხლი: „კიდევ ცოტაც და აღარ იქნება ბოროტი; დახედავ მის ადგილს და – სადღა არის“ (ფსალმ. 31:5). მან თქვა: „ბოროტი კაციც კი არ არის მთლიანად ბოროტი. არის მასში რაღაც მცირედი ნაწილი, რომელსაც სიბოროტე არ შეხებია. კარგად დააკვირდი სიკეთეს მასში და აღმოაჩენ, რომ ის ნამდვილად არ არის ბოროტი“.

ღმერთი აკეთებს დანარჩენს

თქვა ბერშიდელმა რაბიმ:

„ნუ გაიცხავ თავს, თუ ბოლომდე ვერ გამოიჩინე სიკეთის ქმნის უნარი. ოღონდ აირჩიე და ღმერთი იქმს დანარჩენს. აქვს საზღვარი ღმერთის უნარს?“

ბერშიდელი რაბი იტყოდა:

იმუშაკე მშვიდობისთვის შენს სახლ-კარში, მერე შენს ქუჩაზე, მერე შენს ქალაქში.

ნუ ხედავ სხვაში ბოროტებას და შენში – სიკეთეს, არამედ ხედავდე სიკეთეს სხვაში და ბოროტებას – შენში. ნუ კიცხავ სხვის საქციელს, შენი საქციელი გაიცხე.

ნაყოფი თესლში

თქვა გურელმა რაბიმ:

„დევნილება შეიცავს გამოსყიდვას თავის თავში, როგორც ნაყოფს შეიცავს თესლი. სწორი მოქმედება და სიბეჯითე მოიტანს დაფარულ ჯილდოს“.

მწყემსის ხმა

ასე განმარტა მეძიბოჟელმა რაბიმ ეს მუხლი: „გზა ამებნა როგორც დაკარგულ ცხვარს; მოძებნე შენი მსახური, რადგან არ დამვიწყნია შენი მცნებები“ (ფსალმ. 118:176). მან თქვა: „როცა ცხვარი დაიკარგება, მწყემსი მისდევს მის ნაკვალევს და გამუდმებით ეძახის მას, რათა ცხვარს არ დაავიწყდეს მისი ხმა. მეფსალმუნე ამბობს: „უფალო, მოგვძებნე, ვიდრე შენი მცნებები არ დაგვიწყებია. თუ დააგვიანებ, ვაითუ, დაგვავიწყდეს შენი ხმა და ყური ვეღარ დავუგდოთ“.

უსიტყვო მეტყველება

თქვა მეძიბოჟელმა რაბიმ:

„ვკითხულობთ: „მაშინ უფლის მოშიშნი ლაპარაკობენ ერთმანეთში“ (მალ. 3:26). როცა ორი ცადიკი ერთმანეთს ხვდება, ეს შეხვედრა მეტყველებაა თავისთავად, თუნდაც ერთი სიტყვაც არ წარმოითქვას“.

მამის ძიება

თქვა მეჟერიჩელმა რაბიმ:

„მამა თავის პატარა შვილს დამალობანას ეთამაშებოდა. მამა იმალებოდა, ბიჭი ეძებდა და, ბოლოს, პოულობდა. ეს პოვნა მამას მეტი სიყვარულით ავსებდა. მსგავსადვე, ღმერთი მალავს თავს და, როცა მოვძებნით, უფრო მეტად ვუყვარდებით მას“.

„ესეც ჩემი სიკეთისთვის არის“

თქვა ბელზელმა რაბი იოშუამ:

„როცა გასაჭირი დაგვატყდება თავს, იცოდე, ღმერთს შენი გამოცდა სურს, როგორ დაითმენ ამ ყველაფერს. თუ დარტყმას გაუძლებ და *ნაჰუმ იშ-გამზუს* სიტყვებს წარმოთქვამ „ესეც ჩემი სიკეთისთვის არისო“, შენი გასაჭირი განქარდება“.

მთელი ბუნება ღმერთშია

კობრინელი რაბი მიუბრუნდა თავის ხასიდებს და თქვა:

„თუ იცით, სად არის ღმერთი?“ მან აიღო პურის ნაჭერი, აჩვენა მათ და განაგრძო: „ღმერთი ამ პურის ნაჭერშია. უფლის ძალა მთელ ბუნებაში რომ არ იყოს გაცხადებული, ეს პურის ნაჭერი არ იარსებებდა“.

შორს და ახლოს

მეძიბოჟელმა რაბიმ ამგვარად განმარტა ეს მუხლი: „მე შენდამი, უფალო, ხმა-ვყო და ღმრთისა ჩემისა მიმართ ვილოცო“ (ფსალმ. 29:8). მან თქვა: „როცა მე ახლოს ვარ შენთან, მხოლოდ გიხმობ იმისათვის, რომ მისმინო. მაგრამ როცა შორს ვარ შენგან, უნდა შეგევედრო პასუხის მისაღებად“.

მსახური და ბატონი

თქვა გურელმა რაბიმ:

„ჩვენ მოვიხმობთ ლოცვის სამსახურს იმის ნიშნად, რომ უფლის მსახურები ვართ. მსახურს ხომ იმის მეტი არაფერი აქვს, რასაც ბატონი აძლევს. მას არ აწუხებს მომავალი, რადგან იმედი აქვს, რომ მიიღებს შრომის საზღაურს. ასეთია ჩვენი დამოკიდებულება შემოქმედისადმი: არ ვიკვეხნით ჩვენი ქონებით და არ ვწუხვართ, როცა არა გვაქვს“.

ყველა გარემოებაში

თქვა პორისოველმა რაბიმ:

„ნუ გაამართლებთ ღვთის სამსახურის ჩაგდებას თქვენი გასაჭირით და გაჭირვებით. გაიხსენეთ, რომ დავითს საუკეთესო ფსალმუნები დალხინების ჟამს არ დაუწერია“.

და კიდევ თქვა:

„გსურთ მიაღწიოთ უმაღლეს საფეხურს უფლის სამსახურში? ყველაფერი თქვენი შეძლებისდაგვარად აკეთეთ და გარწმუნებთ, რომ უფრო მეტს მიაღწევთ“.

უკუსვლა

იეჰუდი ამბობდა, რომ თუ კაცი არ გრძნობს წინსვლას სიწმინდეში დღის განმავლობაში, უკან წასულა. ერთი დღის წინ ის უკეთესი იყო. ადამიანი მუდამ მოძრაობს, გაჩერებული არასოდეს არის. სადაც წინსვლა არ არის, იქ უკუსვლაა.

რაც უფრო ღრმად ვეცემით

სტრეტინელი რაბი სინანულის ღირსებაზე ლაპარაკობდა. თქვა: „კაბალა ალეგორიულად გვასწავლის, რომ ჩვენს ზემოთ სიწმინდის ორმოცდაათი რეგიონია და ჩვენს ქვემოთ ორმოცდაათი უწმინდურების რეგიონი. როცა უკეთური კაცი ჩადის ქვემო რეგიონში და გაივლის სიბინძურის კუთხე-კუნჭულებს და გულწრფელად მოინანიებს, იმავე რაოდენობის სიწმინდის რეგიონით ამაღლდება. და რაც უფრო ღრმად ეცემა, მით უფრო მაღლა ადის მონანიების წყალობით...“

ქება-დიდება ამ თაობას

ერთხელ *კარვობის დღესასწაულიდან* მერვე დღეს დიდი მხიარულება იყო ჩორტკოველი რაბის სახლში. რაბი სიცილით კითხულობდა: „ხალხო, რატომ ხართ ასე მხიარულები? ნასვამები ხომ არ ხართ?“

„ამის დრო არ გვქონია, – მიუგეს სტუმრებმა, – ჩვენ რამდენიმე საათი სამლოცველოში გავატარეთ, მერე აქ მოვედით, ჩვენი რაბის სუფრაზე. ჩვენ უბრალოდ ბედნიერი ვართ იმიტომ, რომ დღესასწაულია და იმიტომაც, რომ ჩვენს რაბისთან ვარ“.

„მართლაც, – თქვა ჩორტკოველმა რაბიმ, – როგორც კი ისრაელიანებს გამოცხადების ჟამი დაუდგებათ, უსაზღვრო სიხარულით ივსებიან“. მცირედი დუმილის შემდეგ დასძინა: „მე ვიტყოდი, რომ ჩვენი თაობა, რომლისგანაც ღმერთი თავის სახეს მალავს, უდაბნოს თაობაზე უკეთესია. ისინი უდიდესი გამოცხადების ღირსნი შეიქნენ და დიდი სულიერი ძალით აღივსნენ და მათი მასწავლებელი მოსე იყო. დღეს კი ღმერთი დაფარულია და ჩვენი ძალები უმნიშვნელოა, მაგრამ მაინც, როგორც კი გამოცხადების ჟამი დგება, ჩვენ ვგრძნობთ სულიერ აღმავლობას და სიხარულით ვივსებით. აი, რატომ ვამბობ, რომ ჩვენი თაობა უდაბნოს თაობაზე უკეთესია“.

სიწმინდის ნაპერწკლები

მეჟერიჩელმა რაბიმ ცადიკის ქცევა ქვეყნის თესლს შეადარა: „მიწაში ჩამარხული თესლი მიწით იკვებება და გამოაქვს ნაყოფი. ასევე ცადიკს გამოაქვს სიწმინდის ნაპერწკლები ყოველი სულიდან და მიაქვს მსხვერპლად შემოქმედისადმი“.

უანგარო მომსახურება

ბერდიჩეველი რაბის ჩვევად ჰქონდა, თავად მომსახურებოდა სტუმრებს. თავად უშლიდა სუფრასაც და საწოლსაც. როცა ჰკითხეს, რატომ მსახურს არ ავალებ ამ საქმესო, მიუგო:

„მასპინძლობას მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როცა უსასყიდლოა. მსახური ამაში გასამრჯელოს იღებს, რის გამოც კეთილი საქმის სიკეთე იკარგება“.

გულმავიწყობა და სინანული

ლიზენსკელ რაბი ელიმელეხს ერთი მოსწავლე შეეკითხა, როგორ უნდა ავირიდო გულმავიწყობაო.

„მოინანიე, – უთხრა რაბიმ, – თალმუდი გვეუბნება, რომ სინანული დიდების ტახტამდე აღწევს და ჩვენც საახალწლო ლოცვაში ვამბობთ: არ არის გულმავიწყობა დიდების ტახტის წინაშე“.

სხვა დროს ერთმა ხასიდმა შესჩივლა გურელ რაბის, რომ მას დაავიწყდა ნასწავლი. „თუ გავიწყდება პირში საჭმლის ჩადება კოვზით?“ შეეკითხა რაბი. „არა, რადგან ვერ ვიცოცხლებ უჭმელად“, იყო პასუხი. „ვერც უსწავლელად შეძლებ სიცოცხლეს, – სიტყვა შეუბრუნა რაბიმ, – გახსოვდეს ეს და არაფერი დაგავიწყდება“.

ციური ცოდნა

ისრაელის გაუსაძლისი ტანჯვისას რაბი ელიმელეხს სულ უფრო და უფრო ეძალებოდა მწუხარება მის თავს დატეხილ უბედურებათა გამო. და ერთხელაც გამოეცხადა თავისი გარდაცვლილი მოძღვარი, მეჟერიჩელი მაგიდი. და შესჩივლა მას ელიმელეხმა: „რატომ დუმხარ, როცა ჩვენ ასეთ სატანჯველში ვართ?“ მიუგო მაგიდმა: „ზეცაში ჩვენ ვუწყით, რომ ყველაფერი, რაც წუთისოფელში ბოროტებად ჩანს, სინამდვილეში უდიდესი წყალობაა“.

შთაგონება გამოსწორებისთვის

თქვა რაბი ბუნიმმა:

„ნათქვამია: თუ კაცი შინ დარჩება, სინდისის ქენჯნის შემთხვევა არ მიეცემაო. ეს ნათქვამი ასე უნდა გავიგოთ, რომ როდესაც ხასიდი შინიდან რაბის სანახავად მიდის, იქ ბევრ პიროვნებას ხვდება. როცა სხვების ღირსებებს შეამჩნევს და თავის ნაკლოვანებებს მიხვდება, ის სინდისის ქენჯნას იგრძნობს და გამოსწორების სტიმული მიეცემა. მაგრამ როცა ხასიდი შინ ზის, თვითგაკიცხვისთვის ვერავითარ საბაბს ვერ იპოვის“.

რაბის გული

ჰკითხეს ერთხელ რაბი ბუნიმს: „თუ იცნობდით ვინმე ცადიკს, რომლის გატეხილი და შემუსვრილი გული მაინც საღი და მთლიანი იყო? რაბი ბუნიმმა მიუგო: „ვიცნობდი ერთ ასეთ ცადიკს. ეს რაბი მოშე-ლოებ სასოველი იყო“.

ყველაზე საშინელი დანაშაული

რაბი ბუნიმი ეუბნებოდა თავის ხასიდებს:

„ადამიანის ჩადენილ ცოდვათაგან ყველაზე საშინელი ეს არის: მას სურს და ძალუძს, ყოველ ჟამს დაადგეს ჭეშმარიტ გზას, მაგრამ არ აკეთებს ამას. ცდუნება ძლიერია, კაცი კი უძლური!“

საიდუმლო

რაბი ბუნიმი ამბობდა:

„საიდუმლო იმგვარად ნათქვამი სიტყვაა, რომ ყველა ისმენს, მაგრამ გარეშე კაცს არ შეუძლია მოსმენილის გაგება“.

ხოლო რაბი ხანოხმა, მისმა მოწაფემ, დასძინა:

„თორის საიდუმლოები ისე ღრმად არის დაფარული, რომ ყოვლად შეუძლებელია მათი გაგება. ხომ ნათქვამია: „საიდუმლო უფლისა – მოშიშთა მისთა“ (ფსალმ. 24:14). ამ საიდუმლოთა გაგება მხოლოდ ღვთისმოშიშებს ძალუძთ, სხვებისთვის მათი გაგება შეუძლებელია“.

მკვდარი სოფელი

თქვა რაბი ბუნიმმა: „როცა ამ სოფელს ვუყურებ, ხშირად მეჩვენება, რომ მკვდარია იგი მთელ სამყაროსთან ერთად და მე მარტო ვარ დარჩენილი, ერთადერთი ცოცხალი ადამიანი. ვინ არის ჩემი შემწე, თუ არა ისევ და ისევ ღმერთი?

ბჭე უფლისა

თქვა რაბი ბუნიმმა: ევედრე ღმერთს, რომ მიგამთხვიოს სიკეთეს და ის უეჭველად შეგეწევა. მეფსალმუნე გვეუბნება, რომ თუ შევღაღადებთ – „განმიხვენით მე ბჭენი სიმართლისანი, შევიდე მათ შინა და აღუვარო უფალსა“, უეჭველად მივიღებ პასუხს: „ესე არს ბჭე უფლისა და მართალნი შევლენ მას შინა“.

ელია ღუმლის უკან

ერთხელ იეჰუდიმ თავისი მოწაფე რაბი ბუნიმი გზად გაისტუმრა. ბუნიმს არაფერი უკითხავს მოძღვრისთვის და ხასიდების ჯგუფთან ერთად დაადგა გზას. შუადღისას ერთ დაბაში აღმოჩნდნენ და დუქანს მიაშურეს. მედუქნემ სიხარულით მიიღო ღვთისმოსავი სტუმრები და სასადილოდ მიიწვია. რაბი ბუნიმი მაგიდას უჯდა საპატიო ადგილას, მოუსვენარი ხასიდები კი გადი-გამოდიოდნენ, დაღალეს მედუქნე კითხვებით ხორცის შესახებ, რომელიც სადილად უნდა მიერთმიათ: ხომ არ ჰქონდა რაიმე ნაკლი ცხოველს, რა კაცი იყო, ვინც დაკლა, საკმარისად დაამარილეს თუ არა. ამ დროს კაცმა, ღუმლის უკან რომ იჯდა, ძველმანები ეცვა და ჯოხს არ უშვებდა ხელიდან, ხმამაღლა თქვა: „ოჰ, ეს ხასიდები! ძალიან გაწუხებთ იმის სიწმინდე, რაც თქვენს პირში უნდა ჩავიდეს! ერთი, იმის სიწმინდეზეც იფიქრეთ, რაც თქვენი პირიდან გამოდის!“

ბუნიმი წამოდგა საპასუხოდ, მაგრამ მწირი თვალის დახამხამებაში გაუჩინარდა, სწორედ ისე, როგორც ელია წინასწარმეტყველს სჩვევია.

და მაშინ მიხვდა რაბი, რა მიზნით გაისტუმრა ისინი გზად იეჰუდიმ.

სიზმარი

რაბი ბუნიმს ერთმა ხასიდმა სიზმარი უამბო, გარდაცვლილი მამა მირჩევდა, რაბი გახდიო.

რაბი მუნიმმა შენიშნა: „კიდევ დაგესიზმრება მამა და სთხოვე, ახლა ხასიდებს გამოეცხადოს სიზმრად და ურჩიოს, რომ შენი მიმდევრები გახდნენ“.

დაუმთავრებელი ჭურჭელი

თქვა რაბი ბუნიმმა:

„უფალმა ეს სოფელი საწყის მდგომარეობაში შექმნა. სამყარო სულმუდამ დაუმთავრებელ მდგომარეობაშია, როგორც დასაწყისში იყო. ის არ ჰგავს ჭურჭელს, რომელის კეთებასაც იწყებს ოსტატი და ბოლოს დაამთავრებს. სამყარო მოითხოვს განუწყვეტელ შრომას და გამუდმებულ განახლებას შემოქმედებითი ძალებისგან. საკმარისია, ერთ წამს შეისვენონ ძალებმა, რომ სამყარო *თოჰუ-და-ბოჰუს* დაუბრუნდება.

პატივი

ერთმა ვინმემ შესჩივლა რაბი ბუნიმს: „თალმუდი გვეუბნება, რომ კაცი, რომელიც პატივს გაურბის, პატივი მისდევს მას. მე ახლა გავურბივარ პატივს, მაგრამ პატივი არ მომდევს მე“.

„ეს იმიტომ, რომ, – მიუგო რაბიმ, – უკან იხედები, როცა გარბიხარ“.

განუსაზღრელი გონება

თქვა რაბი ბუნიმმა:

„დაწერილია: „დიდია უფალი და დიდძალოვანი; მისი გონება განუზომელია“ (ფსალმ. 146:5). მე ასე განვმარტავ: „ღმერთი უმნიშვნელო ფაქტს იწვევს მოსახდენად იმისათვის, რომ მან თავის მხრივ სხვა ხდომილება მოიტანოს; და ეს სხვა მესამეს იწვევს და ასე გრძელდება მირიადგზის. ყველა ხდომილება იმ პირველი უმნიშვნელო ხდომილებიდან მოდის. როცა ღმერთმა პირველი ხდომილება მოახდინა, მან იცოდა, რა მოხდებოდა ჟამთა დასასრულამდე, იცოდა, რა ხდომილებებს გამოიწვევდა პირველი ბიძგი“.

გულის სამსახური

ერთმა ხასიდმა შესჩივლა რაბი ბუნიმს, ზოგჯერ საშინელი თავის ტკივილი დამჩემდა ლოცვის მერეო. „რა საერთო აქვს ლოცვას თავის ტკივილთან! – წამოიძახა რაბიმ, – თაყვანისცემა გულის სამსახურია, არა თავის“.

ნუ მოატყუებ

რაბი ბუნიმი შეეკითხა ერთ თავის მოწაფეს: „ვინ არის ხასიდი?“ მოწაფემ მიუგო, რომ ხასიდი ის არის, ვინც იმაზე მეტს აკეთებს, რასაც რჯული მოითხოვს.

„სწორია, – უთხრა რაბიმ, – რჯული გვეუბნება: ნუ მოატყუებთ ერთმანეთს (ლევ. 25:27). და ხასიდიც ეცადოს და ასევე ნუ მოატყუებს საკუთარ თავსაც“.

კაცის ღირსება

თქვა რაბი ბუნიმმა:

„სწავლულნი ხშირად მწვალებლები არიან, კეთილი გულის ადამიანები ხშირად გულისთქმას მიყვებიან, ღვთისმოსავნი კი, ჩვეულებრივ, ეგოისტები არიან“.

„აბა, ვისშია ღირსეული კაცის თვისება?“ ჰკითხეს რაბის.

„ამ სამივეში ერთდროულად“, იყო პასუხი.

ნიშნები

თქვა რაბი ბუნმმა: „მესიის მოსვლამდე რაბიები თორის გარეშე იქნებიან, ხასიდები ხასიდების გარეშე იქნებიან, ადამიანები დოვლათის გარეშე იქნებიან, ზაფხულები სიცხის გარეშე იქნებიან, ზამთრები სიცივის გარეშე იქნებიან, თავთავები ხორბლის გარეშე იქნებიან“.

მნიშვნელოვანი სიზმარი

ვიღაც კაცი, პატივმოყვარე, მივიდა რაბი ბუნიმთან და უამბო, რომ წინა ღამით მამა გამოეცხადა და უთხრა: „შენი ბედი გადაწყვეტილია: თავში დაჯდები“. ცადიკმა მდუმარედ მოისმინა ეს ამბავი. მცირე ხნის შემდეგ ეს კაცი მეორედ მივიდა და თქვა, რომ კვლავ იგივე სიზმარი იხილა.

„როგორც მე გავიგე, – უთხრა მას რაბი ბუნიმმა, – შენ თანახმა ხარ, რომ თავში დაჯდე. თუ მამაშენი კიდევ გამოგეცხადება, უთხარი, რომ შენ მზადა ხარ, რომ თავში იჯდე და

რომ ახლა ბარემ გამოეცხადოს ყველა იმ ადამიანს, რომელთა თავშიც უნდა დაჯდე“.

ანდაზის საწინააღმდეგოდ

ვიღაც კაცი მივიდა რაბი ბუნიმთან დ უთხრა: „რაც თავს გადამხდა, უარყოფს ცნობილ ანდაზას იმის თაობაზე, რომ დიდება იმისკენ მიისწრაფვის, ვინც მას გაურბის, და გაურბის მათ, ვინც მისკენ მიისწრაფვის. საქმე ის არის, რომ მე, რაც შემიძლია, ვცდილობ, გავექცე მას, მაგრამ იგი სულაც არ აპირებს დადევნებას“.

„როგორც ჩანს, – თქვა რაბიმ, – მან შეამჩნია, რომ გაქცეული სულმუდამ უკან იხედები და ამიტომ დაკარგა შენ მიმართ ყოველგვარი ინტერესი“.

ბრიყვი და ბრძენი

რაბი ბუნიმმა ერთხელ თქვა: „თუ შემომთავაზეს წმინდა წერილის საფუძვლიანი და ყოველმხრივი განმარტება, მე შემეძლება ბევრი საყურადღებო რამის თქმა. თუმცა ბრიყვი ამბობს იმას, რაც იცის, ხოლო ბრძენმა იცის ის, რასაც ამბობს“.

აბრაამი და იცხაკი

რაბი ბუნიმი განმარტავდა ტრადიციას, რომლის თანახმად, აბრაამი მოწყალების სიმბოლოა, იცხაკი კი – პირქუშობის.

„აბრაამის სახლი ღია იყო ყოველი მომსვლელისთვის. ის სტუმართმოყვარე იყო და მზად იყო ყოველივე გაეცა, რაც კი ებადა. თავისი თვისებების წყალობით მას ეცნობა ღვთის დიდი სახელი და განუცხადა სოფელს. მაგრამ როცა აბრაამი იცხაკმა შეცვალა და რაბი გახდა, დუქანში წავიდა და იყიდა რკინის ურდულები, და თავისი სახლის ყველა კარი ჩაკეტა. თავად შიდა პალატებში დასახლდა, განერიდა ადამიანებს და თორის შესწავლას მიუძღვნა თავი. შიშმა და ძრწოლამ აიტანა მისი ხასიდები და ყველა, ვინც მასთან რჩევისთვის მიდიოდა. აი, ამგვარად აუწყა სოფელს, თუ

რა არის „პირქუშობა“. როცა არცთუ ხშირად მისი სახლის კარი იღებოდა მომსვლელთათვის, მისი მზერა ყველას ეუბნებოდა ჭეშმარიტ გზაზე მოქცევის გარდაუვალობაზე.

ფუჭი საუბრები

დანციგში სავაჭროდ მიმავალი რაბი ბუნიმი გზად წმინდა იეჰუდის შეუვლიდა ხოლმე.

ერთხელ იგი პირდაპირ დანციგიდან ეწვია იეჰუდის. ახალი რა მოისმინეო, ჰკითხა მასპინძელმა. ბუნიმმა რაღაც უმნიშვნელო ამბების მოყოლა დაიწყო. იერახმიელმა, იეჰუდის შვილმა, გაღიზიანება ვერ დაფარა, რა არის, ფუჭი ამბებით აცდენენო მამაჩემს. მაგრამ, როცა სტუმარი წავიდა, იეჰუდიმ შვილს უთხრა:

„იცი შენ, რომ მთელი მისი მონათხრობი უფსკრულიდან დიდების ტახტის კვარცხლბეკამდე ადის?“

შოფარის ხმა

რაბი ბუნიმმა ასეთი ამბავი მოუთხრო ხასიდებს:

„ამსტერდამელი რაბი ელიეზერი ხომალდით წმინდა მიწისკენ მიემგზავრებოდა. და, აჰა, ახალი წლის წინადღით ძლიერმა ქარიშხალმა ხომალდი კინაღამ ზღვის ფსკერისკენ გააქანა. განთიადისას ელიეზერმა ხასიდებს უბრძანა, გემბანზე ასულიყვნენ და შოფარისთვის ჩაებერათ. და ჩაბერეს შოფარს და ზღვაც დაწყნარდა.

ოღონდ არ უნდა იფიქროთ, – დასძინა რაბი ბუნიმმა, – რომ რაბი ელიეზერს ამ გზით ხომალდის გადარჩენა სურდა. პირიქით, იგი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ყველანი იღუპებოდნენ, და სიკვდილის წინ მას სურდა წმინდა ვალი მოეხადა და შოფარი აეხმიანებინა. მისი სურვილი ხომალდის გადარჩენა რომ ყოფილიყო, ამას ვერ მოახერხებდა“.

ყელსახვევი

ბუნიმის საყვარელმა მოწაფემ ყელსახვევი დაკარგა. ყველგან ეძებდა, თავს მოსვენებას არ აძლევდა. ამხანაგები დასცინოდნენ. „ის სწორად იქცევა, – თქვა ცადიკმა, – თუ ასე ძვირფასად რაცხს ნივთს, რომელიც მას ერთგულად ემსახურებოდა. სწორედ ამიტომ ეძებს სიკვდილის შემდეგ სული თავის სხეულს და, როცა იპოვის, გადაემხობა მას“.

ყველა და ყოველი

რაბი ბუნიმმა ერთხელ თქვა:

„შაბათს, როცა ჩემი სახლი სავსეა სტუმრებით, მე მიჭირს „თორის კითხვა“. ყოველ ადამიანს ხომ თავისი თორა სჭირდება და ყოველი ცდილობს პირადი სრულყოფილების მიღწევას. ამიტომაც ის, რასაც ყველას ვაძლევ, სწორედ ის არის, რასაც ყოველ მათგანს ვაკლებ“.

ქვიშის მარცვლები

ერთხელ რაბი ბუნიმი თავის მოწაფეებთან ერთად ქალაქგარეთ სეირნობდა. უცებ ჩაიმუხლა, ერთი ფინჩხა ქვიშა აიღო, ერთხანს აკვირდებოდა ქვიშის მარცვლებს, მერე კი იმავე ადგილას დააბრუნა, საიდანაც აიღო. და თქვა: „ვისაც არ სწამს, რომ ღმერთისთვის სულერთი არ არის, სად იდება ქვიშის ეს მარცვლები, მას არაფერი სწამს“.

სწავლების დასაწყისი

რაბი ბუნიმი ასე იწყებდა თავის სწავლებას:

„გმადლობთ შენ, რომელიც კურთხეულია და რომელიც კურთხევის წყაროა – ცხადი და ფარული“. მერე განაგრძობდა: „მგრძნობიარე ადამიანი უნდა გრძნობდეს მის ღვთიურობას ზუსტად ისევე, როგორც ის გრძნობს ადგილს, სადაც იმყოფება. და ზუსტად ისე, როგორც მას არ შეუძლია წარმოიდგინოს თავისი თავი ამ ადგილის გარეშე, ასევე უნდა გააცნობიეროს

იგი, ვინც არის *ადგილი* ამ სამყაროსი, ცხადი შუაგული ამ სოფლისა. და ამავე დროს მან უნდა იცოდეს, რომ იგი არის ფარული ცხოვრება, რომელიც ავსებს ამ სამყაროს“.

ორი ჯიბე

რაბი ბუნიმი ეუბნებოდა თავის მოწაფეებს:

„ყოველ თქვენგანს ორი ჯიბე უნდა ჰქონდეს, რათა შეეძლოს ხელის ხან ერთში ჩაყოფა, ხან მეორეში, კონკრეტულ საჭიროებათა კვალობაზე. მარჯვენა ჯიბეში უნდა იყოს სიტყვები – „ჩემ გამო შეიქმნა სამყარო“, მარცხენაში კი – „მე ფერფლი და ნაცარი ვარ“.

მასწავლებელი და მოწაფე

ეს ამბავი რაბი ხანოხმა უამბო ხასიდებს:

„მთელი წელი ძალიან მინდოდა მომენახულებინა ჩემი მასწავლებელი რაბი ბუნიმი და მესაუბრა მასთან, მაგრამ არასოდეს მყოფნიდა კადნიერება მის სახლში შესვლისა. ერთხელ, როცა მისი სახლისკენ მინდვრით მივდიოდი, მწარედ ავტირდი, რადგან მივხვდი, რომ ამ დღეს იგი უსათუოდ უნდა მენახა და, რაც შეიძლება მალე.

– რატომ ტირიო, – მკითხა რაბიმ.

მე ვუპასუხე: „ამ სამყაროში ვცხოვრობ და ვარ არსება, რომელიც დაჯილდოებულია ხუთი გრძნობით, მაგრამ არ ვიცი, რისთვის გავჩნდი და რისი მაქნისი ვარ ამ სამყაროში“.

– შე სულელო, – თქვა რაბიმ, – მეც ხომ ეს კითხვა მაწუხებს მთელი ჩემი ცხოვრება. წამოდი ჩემთან და ერთად ვისაუზმოთ“.

მარტოხე

რაბი ბუნიმმა თქვა ერთხელ:

„როცა მე ამ სამყაროს ვუყურებ, ხანდახან მეჩვენება, რომ ყოველი ადამიანი უდაბნოში მდგარი ხეა და არავინ ჰყავს ამ სამყაროში თავისი თავის მეტი და ის ვერავის მიმართავს, თუ არა ღმერთს“.

მარადი შესაქმე

რაბი ბუნიმი ასწავლიდა:

„აი, როგორ უნდა გავიგოთ წმინდა წერილის პირველი სიტყვები: „დასაწყისში ყოვლადძლიერის მიერ ცისა და მიწის შესაქმისა“ – სამყარო ჯერ კიდევ ქმნადობის მდგომარეობაშია. როცა ოსტატი რაიმე ნივთს აკეთებს და ამთავრებს მასზე მუშაობას, მისი ძალისხმევა აღარ არის საჭირო. მაგრამ ეს ჩვენს სამყაროზე არ ითქმის! ყოველდღე, ყოველ წამს ჩვენს სამყაროს ესაჭიროება იმ პირველთქმული სიტყვის ძალის განახლება. რითაც იგი შეიქმნა და, თუ ამ ძალის მოქმედება თუნდაც წამიერად შეწყდა, მიწა კვლავ „უსახური და უდაბური“ გახდება“.

ისაკის მსხვერპლშეწირვა

ერთხელ რაბი ბუნიმს შეეკითხნენ:

„რატომ არის საგანგებოდ ნათქვამი ისაკის მსხვერპლშეწირვის ამბავში: „და მიდიოდნენ ორნი“, განა ეს ისედაც ცხადი არ უნდა ყოფილიყო?“

ამაზე რაბი ბუნიმმა უპასუხა:

„განსაცდელი, რომელსაც გაურბოდა ისაკი, უფრო ძლიერი იყო, ვიდრე აბრაამის განსაცდელი. აბრაამმა ხომ ბრძანება ღვთის პირიდან გაიგონა. მაგრამ, როცა ისაკმა მოისმინა მამამისის ნათქვამი, რომ „ღმერთი გამოაჩენს თავისთვის აღსავლენ კრავს“ (დაბ. 22:6), ის ყველაფერს მიხვდა, თუმცა ეს სიტყვები ადამიანის ბაგეთაგან ესმა. აბრაამი ასე ფიქრობდა: „საიდან აქვს ჩემს შვილს ასეთი ძალა? ეს ალბათ მისი სიყმაწვილის ძალაა!“ და მაშინ აბრაამმა მოიხმო სულის სიღრმიდან თავისი სიყმაწვილის ძალა. და მხოლოდ ამის შემდეგ მიდიოდნენ ორნი ერთად“.

ნუ შეიქმნი კერპს

ამბობდა კოცკელი რაბი მენახემ-მენდელი:

„თორა გვაფრთხილებს, არ შევქმნათ კერპი ღვთის ბრძანებისგანაც კი“.

ჭეშმარიტება – როგორც ბეჭედი

თქვა რაბი ბუნიმმა:

„უფალმა ჭეშმარიტება თავის ბეჭდად აირჩია, რადგან ყველაფრის ჭკვიანური მიბაძვა შეიძლება, მაგრამ ჭეშმარიტების ყოველი მიბაძვა სიცრუეა“.

მოძღვარნი და მათი თაობები

ერთმა ხასიდმა რაბი ბუნიმს ჰკითხა:

„თალმუდში რომ წერია, ღმერთმა ადამს ყველა თაობა და მათი მოძღვრები აჩვენაო, რატომ აჩვენა ჯერ თაობები და მერე მათი მოძღვრები?“

რაბი ბუნიმმა მიუგო:

„ღმერთს რომ მისთვის ჯერ მოძღვარნი ეჩვენებინა, ადამი წამოიძახებდა, ასეთი კაცი, როგორიც ბუნიმია, მოძღვარი უნდა იყოსო?! მაგრამ ადამს ჯერ თაობები რომ ენახა, იტყოდა, ასეთ თაობებში ბუნიმი ღირსეული მოძღვარიაო“.

ყველაფერი მეორდება

რაბი ბუნიმმა უთხრა ერთხელ მენდელს, თავის მოწაფეს:

„რად მინდა ამდენი ხასიდი? ვამჯობინებდი – ცოტანი მყოლოდნენ, ოღონდ ჭეშმარიტნი“.

„ასეთი რამ წინა ცადიკებისგან რატომ არ გვსმენია?“ – ჰკითხა თავის მხრივ რაბი მენდელმა.

მრავალი წლის შემდეგ, როცა მისი მასწავლებელი უკვე გარდაცვლილი იყო, თავად მენდელი კი კოცკელი რაბი გახდა, შეეკითხა იგი თავის მოწაფეს, ტომაშოველ რაბი ჰირშს: „რად მინდა ამდენი ხასიდი? ვამჯობინებდი, ცოტანი მყოლოდნენ, ოღონდ ჭეშმარიტნი“.

„ასეთი რამ წინა ცადიკებისგან რატომ არ გვსმენია?“ – ჰკითხა პასუხად რაბი ჰირშმა.

მეორე წყალობა

ერთი უპოვარი მივიდა რაბი ბუნიმთან წყალობისთვის. რაბიმ რამდენიმე მონეტა უწყალობა, რისთვისაც მათხოვარმა გულითადი მადლობა მოახსენა. როცა წასასვლელად გაბრუნება დააპირა, რაბიმ უკან მოიხმო და კიდევ ერთი მონეტა მისცა. როცა გაოცებულმა მათხოვარმა მიზეზი ჰკითხა, რაბიმ მიუგო:

„პირველად, როგორც ებრაელს, გიწყალობე. მეორედ იმიტომ, რომ უფლისგან უპოვარის შეწევნა მაქვს ნაბრძანები“.

ცრემლი ქრთამია

ერთმა ქვრივმა ქალმა საჩაცოველ რაბისთან საჩივარი შეიტანა იჯარის გადასახადის გამო. იდგა მის წინაშე და ცხარე ცრემლებად იღვრებოდა. რაბიმ არ მიიღო მისი სარჩელი, რადგან კოცკელი რაბისგან იცოდა, რომ ცრემლები ქრთამის ერთ-ერთი სახეობაა.

ხუმრობა და ხსნა

ერთხელ რაბი ბუნიმმა დაინახა, რომ დანციგთან ზღვაში ებრაელი იხრჩობოდა. როცა შეამჩნია, რომ სასოწარკვეთილს თავის გადასარჩენად ბრძოლა შეეწყვიტა, შეყვირა: „მოკითხვა გადაეცი ლევიათანს[1]“. კაცს უნებურად გაეღიმა ამ ხუმრობაზე, გონს მოვიდა და ხელები გამალებით აამოძრავა, თავად უშველა თავს, ვიდრე მის გადასარჩენად მეგობრები მივიდოდნენ. ამ ამბავს რომ ყვებოდა, რაბი ბუნიმი დასძენდა: „მხიარული გულით და ხალისიანი გამომეტყველებით წარმოთქმული ლოცვა აღწევს უფალს, კვნესითა და გოდებით წარმოთქმული კი ფუჭია“.

---

[1] ზღვის ურჩხული, გველვეშაპი.

კლიტეები

ეს ამბავი გურელმა რაბიმ იამბო:

„რაბი ბუნიმს ცის კლიტეები ჰქონდა. რატომაც არა? ადამიანს, რომელიც არ ფიქრობს თავის თავზე, ის კაცია, რომელსაც ყველა კლიტეს ანდობენ. მას შეეძლო მკვდრების გაცოცხლება, მაგრამ ღირსეული ადამიანი იყო და არ აკეთებდა იმას, რისი უფლებაც არ ჰქონდა“.

გულითადი მტერი

რაბი ბუნიმს და სტოპნიცელ რაბი მეირს მრავალი წელი ერთმანეთში შუღლი ჰქონდათ. როცა რაბი მეირი გარდაიცვალა და რაბი ბუნიმს მისმა ხასიდმა ეს ამბავი ამცნო, ცადიკი წამოიჭრა და თავში ხელი იტაცა: „წასულია ჩემი საქმე, – შესძახა მან, – რადგან ის ჩემი ჭეშმარიტი საყრდენი იყო“.

რაბი ბუნიმი იმავე წლის ზაფხულში მოკვდა.

სიცოცხლის საზრისი

რომ შეატყო, რაბი ბუნიმი კვდებოდა, ცოლი აქვითინდა.

რაბიმ კი თქვა: „რა გატირებს? მთელი სიცოცხლე ხომ იმის სწავლას მოვანდომე, როგორ მოვმკვდარიყავი“.

ღამით

ყოველღამ, ორი საათის განმავლობაში, უკვე საწოლში მწოლ ბუნიმს მისი მოწაფე მენახემ-მენდელი, შემდგომ კოცკელი რაბი, *ზოჰარის* წიგნს უკითხავდა. ხანგამოშვებით რაბი ბუნიმი ჩათვლემდა და კითხვაც წყდებოდა. გამოერკვეოდა და მენდელიც იმ ადგილიდან განაგრძობდა კითხვას, სადაც შეწყვიტა.

მაგრამ ერთხელ, როცა გაიღვიძა, უთხრა მოწაფეს:

„მენდელ, სულ ამას ვფიქრობ და ვფიქრობ: რატომ ვცხოვრობ ასე, როგორც ვცხოვრობ? ჩემთან უამრავი ხალხი მოდის და უფლის მსახურებაში მიშლიან ხელს. აღარ მინდა, რომ რაბი ვიყო, მსურს მთელი არსებით ვემსახურო ღმერთს“.

მან რამდენიმეგზის გაიმეორა ეს ფრაზა. მოწაფე უსმენდა და არაფერს ამბობდა.

ამ სიტყვებზე რაბი ბუნიმმა ისევ ჩათვლიმა, თუმცა იმწამსვე გამოერკვა, საწოლზე წამოჯდა და თქვა:

„მენდელ, არც ერთ რაბის არა აქვს ასე მოქცევის უფლება. არც მე მაქვს ამის უფლება“.

შორიდან და ახლოდან

აი, როგორ განმარტავდა კოცკელი რაბი მენახემ-მენდელი წმინდა წერილის ამ მუხლს: „მხოლოდ ახლოდანა ვარ ღმერთი, შორიდან კი ღმერთი არა ვარ?“ – „შორიდან“ ეხება ცოდვილთ, „ახლოდან“კი – მართალთ. ღმერთი ამბობს: „განა მე მხოლოდ ისინი მსურს, ვინც ჩემთან ისედაც ახლოს არიან, განა მე მხოლოდ მართალნი მსურს? არა, მე ისინიც მსურს, ვინც ჩემგან შორს არიან, მე ცოდვილნიც მსურს!“

სიღარიბე და სიხარული

თქვა კობრინელმა რაბიმ:

„ღარიბ-ღატაკმა რომ გაიაზროს, თუ რა დოვლათს იძენს იგი თავისი სიღატაკისგან, სიხარულით აცეკვდებოდა“.

ადამის ცოდვა

შეეკითხნენ ვორკელ რაბი იცხაკს: „რა იყო სინამდვილეში ადამის ცოდვა?“ რაბიმ უპასუხა: „მისი შეცოდება ის იყო, რომ მან ხვალინდელზე იზრუნა. გველი აცდუნებდა მას, როცა ეუბნებოდა: უხეირო მსახური ხარ, ავისა და კარგის გარჩევა რომ არ იცი. შეჭამე ეს ხილი და კარგი სამსახური შეგეძლება ავ-კარგის გარჩევითო. და ადამმაც, ხვალინდელით დაინტერესებულმა, დაუჯერა გველს და სცოდა. იგი არ ჩაიდენდა ცოდვას, მხოლოდ აწმყო ჟამის მოვალეობაზე რომ ეზრუნა, ანუ: დამორჩილებოდა ღვთის მცნებას და წინააღმდეგობა გაეწია გველისთვის“.

შეცდომა

ასეთ ამბავს მოყვა ვორკელი რაბი იცხაკი:

„ერთხელ ჩემს წმინდა მოძღვართან, ლელოველ რაბი დავიდთან ერთად ვმგზავრობდი. გზად ერთ დაბაში გავჩერდით ღამის გასათევად. უცებ ვიღაც ქალი გამოვარდა ქუჩაში და ლანძღვა-გინებით და მუშტების ცემით ეცა რაბი დავიდს. ქალს ეგონა, თავისი ყოფილი ქმარი დაინახა, რომელმაც მრავალი წლის წინათ მიატოვა. როცა მიხვდა თავის შეცდომას, ტირილი მორთო.

– ნუ ტირი, – დაამშვიდა რაბიმ. – შენ ხომ მე არ მცემდი, არამედ შენს ქმარს“.

ცილისმწამებელი

ერთი კაცი ყოველმხრივ ცდილობდა, რომ ვორკელი რაბი იცხაკის ხასიდები თავიანთი მასწავლებლის წინააღმდეგ აემხედრებინა. არ ერიდებოდა ურცხვ ცილისწამებას, რაც აშფოთებდა მის ხასიდებს და მათ გადაწყვიტეს ცადიკისთვის ეცნობებინათ ყველაფერი.

რაბი იცხაკმა მოიხმო ეს კაცი და პირისპირ ელაპარაკა. „შე ბრიყვო, – უთხრა მან, – რატომ ავრცელებს ჩემ შესახებ ცრუ ხმებს, რისთვისაც ცრუპენტელას გეძახიან? გინდა, გაგიმხილო ჩემ შესახებ სიმართლე? მაშინ შეგეძლება ჩემზე ყველაფრის თქმა, რასაც კი ისურვებ, და არავინ დაგიძახებს ცრუპენტელა ცილისმწამებელს“.

მარადიული სიყვარული

მაგელნიცელმა რაბიმ შეიტყო, რომ ვორკელი რაბი ხშირად სტუმრობს კოცკელ რაბის. მაგელნიცელს ცუდი წარმოდგენა ჰქონდა კოცკელზე და ჰკითხა ვორკელ რაბის, რა მოგწონს კოცკელისო?

„მე ის არაფრის გამო მიყვარს, – მიუგო ვორკელმა, – და, როგორც იცი, ასეთი სიყვარული მარადიულად გასტანს“.

ორი სახლი

თქვა კოცკელმა რაბი მენახემ-მენდელმა:

„სიკვდილი სხვა არაფერია, თუ არა გადასვლა ერთი სახლიდან მეორე სახლისკენ. თუ გონიერება გვაქვს, უნდა ვიზრუნოთ, რომ ახალი სახლი უფრო მშვენიერი იყოს“.

სასწაული

კოცკელ რაბი მენახემ-მენდელს უამბეს კაცზე, რომელიც *გოლემის*[1] შექმნის საიდუმლოს ფლობდა. „ეს არაფერია, – თქვა რაბიმ, – აბა, თუ ფლობს იგი ხასიდების შექმნის საიდუმლო ხელოვნებას?“

სად მკვიდრობს უფალი

ჰკითხა ერთხელ მენახემ-მენდელმა, კოცკელმა რაბიმ მასთან სტუმრებულ სწავლულ კაცებს, სად მკვიდრობს უფალიო? მათ გაეცინათ: რას ამბობთ? განა მთელი სამყარო მისი დიდებით არ არის სავსე?

მაშინ რაბი მენდელმა თავად გასცა პასუხი კითხვას: „ღმერთი იქ მკვიდრობს, სადაც შეუშვებენ“.

სიწმინდე

ნათქვამია: „წმინდა ერი იქნებით ჩემთვის“ (გამ. 22:30).

კოცკელმა რაბიმ განმარტა: „წმინდა იქნებით ჩემთვის, მაგრამ ადამიანები წმინდა იქნებით ადამიანურ შესაძლებლობებში“.

---

[1] ხელოვნური ადამიანი. გოლემის შექმნა კაბალის ერთ-ერთი მაგიური ქმედებაა, როგორც კაბალისტის სრულყოფილი ცოდნისა და ხელოვნების ნიშანი.

გარეშე თვალი

ჰკითხა ერთმა ხასიდმა კოცკელ რაბის, წუთისოფლის საქმეებს თუ განერიდე, როგორღა მისცემ კაცს რჩევას ასეთ საქმეებშიო?

რაბიმ მიუგო: „ზოგჯერ გარეშე კაცი უფრო ნათლად ხედავს, ვიდრე შინაური“.

სასწაულმოქმედი

ერთი ხასიდი ელაპარაკებოდა კოცკელ რაბის სხვა რაბის შესახებ, რომელსაც სასწაულმოქმედის სახელი ჰქონდა გავარდნილი.

„მინდა ვიცოდე, – თქვა კოცკელმა რაბიმ, – თუ შეუძლია მას, მოახდინოს ერთი ნამდვილი ხასიდის შექმნის სასწაული“.

ქურქი

კოცკელმა რაბი მენახემ-მენდელმა ერთხელ ერთ ცნობილ რაბიზე თქვა:

„ეს არის ცადიკი ქურქში“. მოწაფეებმა სთხოვეს, განემარტა ნათქვამის აზრი. რაბიმ განმარტა: „ზამთარში ერთი კაცი ქურქს ყიდულობს, მეორე კი – შეშას. რა განსხვავებაა მათ შორის? პირველს სურს, მარტო თვითონ გათბეს, მეორე სხვებსაც ათბობს“.

აღთქმული წამი

კოცკელმა რაბიმ თქვა:

„თაობიდან თაობამდე ძალისხმევა არ შეწყვეტილა, რათა მესიის მოსვლა მოახლოებულიყო. თითოეული თაობა აკეთებდა ყველაფერს, რაც მასზე იყო დამოკიდებული, მაგრამ ამაოდ. აღმოჩნდა, რომ არავის არასდროს ძალუძდა მესიის მოსვლის მოახლოება. მაგრამ დადგება დღე, როცა მთელი ებრაელობა იძულებული იქნება იშრომოს არსობის პურის მოსაპოვებლად და მათ სულებს შეშფოთება მოიცავს – აი, მაშინ მოვა მესია“.

ყველა მნიშვნელოვანი

ჰკითხა კოცკელმა რაბი მენდელმა რაბი მოშეს სიკვდილის შემდეგ მის ერთ მოწაფეს:

„რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი შენი მოძღვრისთვის?“

მცირეხნის ფიქრის შემდეგ მოწაფემ მიუგო:

„ის, რასაც სწორედ იმ დროს აკეთებდა“.

მონადირე

კოცკელი რაბი გვიამბობდა მონადირეზე, რომელსაც ელიაჰუ შეეყარა უდაბნოში და ჰკითხა, რატომ ცხოვრობდა ამ უდაბნოში თორისა და მცენებათა გარეშე. მონადირე შეეცადა, თავი ემართლებინა, ვერასდროს შევძელი ღვთისკენ მიმავალი გზა მეპოვაო.

„მაგრამ შენ ხომ მონადირედ არ დაბადებულხარ, – თქვა ელიაჰუმ. – მაშ, მითხარი, როგორ ისწავლე ეს ხელობა?“

„გაჭირვებამ მასწავლა“, მიუგო მონადირემ.

ამაზე წინასწარმეტყველმა თქვა: „ღმერთის საჭიროება რომ გქონოდა, როგორ ფიქრობ, მისკენ გზას ვერ იპოვიდი?“

განსხვავება

ამბობდა კოცკელი რაბი: „რა განსხვავებაა ჩემს მოწაფეებსა და სხვის მოწაფეებს შორის? სხვა ხასიდები მცნებებს დასანახად ასრულებენ და ჩუმ-ჩუმად არღვევენ. ჩემები კი დასანახად არღვევენ და ჩუმად ასრულებენ“.

ორგვარი შიში

კოცკელ რაბის ასეთი კითხვა დაუსვეს: „როცა ხალხი სინაის ძირში იდგა, მოსეს უთხრეს: „შენ გველაპარაკე და მოგისმენთ, ოღონდ ღმერთი ნუ დაგველაპარაკება, თორემ დავიხოცებით“ (გამ. 20:10). მოსემ კი მიუგო: „ნუ გეშინია“. მერე დასძინა: „ღმერთი გამოცხადდა, რათა აღგამაღლოთ და მისი შიში გქონდეთ, რომ არ შესცოდოთ“. არ არის აქ წინააღმდეგობა?“

რაბიმ თქვა: „ნუ გეშინიათ“ ნიშნავს: ეს თქვენი შიში სიკვდილის შიშია და არა ის შიში, რომელიც ღმერთს სურს თქვენგან. მას სურს, რომ გეშინოდეთ მისი, რომ მისი სიშორის შიში გქონდეთ და არ ჩაცვივდეთ ცოდვაში, რომელიც გაშორებთ ღმერთს“.

რისი გაყალბებაც შეუძლებელია

კოცკელმა რაბიმ თქვა: „ყველაფრის გაყალბება შეიძლება ამ ქვეყანაზე, გარდა ერთი რამისა – ჭეშმარიტების! რადგან ყალბი ჭეშმარიტება უკვე აღარ არის ჭეშმარიტება“.

ნუ შეიძულებ

თქვა კოცკელმა რაბიმ:

„ნუ შეიძულებ შენს მოყვასს, რომელმაც გიბოროტა. იცოდე, მასში მყოფმა ბოროტმა წილმა მოგაყენა ზიანი, მაგრამ იქნებ მისი კარგი წილი შენში არსებულ სიკეთეზე მეტია“.

შენთვის და სხვისთვის

თქვა კოცკელმა რაბიმ:

„იზრუნე შენ სულზე და სხვის სხეულზე, არა შენს სხეულზე და სხვის სულზე“.

მშვენიერი სიკვდილი

სულ მალე ვორკელი რაბი მენახემ-მენდელის მეგობარი ცადიკის სიკვდილის შემდეგ მოვიდა ხასიდი, რომელიც შეესწრო მაგიდის აღსასრულს.

„გვიამბე, როგორ იყო“, სთხოვა რაბი მენდელმა.

„ეს მშვენიერი სიკვდილი იყო, – თქვა ხასიდმა, – თითქოს იგი ერთი ოთახიდან გავიდა და მეზობელ ოთახში შევიდა“.

„მეზობელ ოთახშიო? არა, უბრალოდ, ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში“, დასძინა რაბი მენდელმა.

სად ცხოვრობს ღმერთი?

გურელი რაბი იცხაკ-მეირი ბავშვობისას დედამ კოზნიცელ მაგიდთან წაიყვანა. იქ ერთმა ხასიდმა უთხრა: „იცხაკ-მეირ, ერთ ოქროს მოგცემ, თუ მეტყვი, სად ცხოვრობს ღმერთი“.

იცხაკ-მეირმა მიუგო: „მე ორ ოქროს მოგცემ, თუ მეტყვი, სად არ ცხოვრობს იგი“.

მსგავსად ხარისა

ერთი ხასიდი შესჩიოდა გურელ რაბის: „მე ვმუშაობ, ვშრომობ, მაგრამ ჩემი შრომისგან კმაყოფილებას ვერ ვგრძნობ, განსხვავებით ხელოვანი ოსტატისგან, რომელიც ოცი წლის შრომის შემდეგ ხედავს მიღწეულ შედეგს – ან წინანდელზე უკეთ მუშაობს, ან უფრო ნაყოფიერად. მე კი შედეგს ვერ ვხედავ. როგორც ოცი წლის წინათ ვლოცულობდი, ახლაც ზუსტად ისე ვლოცულობ“.

ამაზე ცადიკმა უპასუხა: „ელიაჰუს სახელით ნათქვამია: „ადამიანმა თორა ზურგზე უნდა მოიკიდოს, როგორც ხარმა უღელი და როგორც სახედარმა ტვირთი“. აი, უყურე: ხარი დილით სადგომიდან ყანაში გაყავთ, მთელი დღე ხნავს, საღამოთი კი უკან მიყავთ სადგომში. ხარისთვის ერთი დღე მეორისგან არ განირჩევა, მაგრამ მოხნული მიწა მოსავალს იძლევა“.

მტვერი

ერთხელ გურელ რაბის ჰკითხეს: „რატომ ტირიან ადამიანები ლოცვის ამ სიტყვებზე: „მტვერი ხარ და მტვრად იქცევი?“ უფრო მაშინ არ უნდა გვეტირა, თუ რომ ოქროდან წარმოშობილნი მტვრად ვიქცეოდით? ახლა ხომ იმად მივიქცევით, საიდანაც მოვდივართ?“

ცადიკმა უპასუხა: „ქვეყანა მტვრიდან არის წარშობილი, ადამიანი კი ამქვეყნად იმისთვის არსებობს, რომ მტვერი სულის მწვერვალებამდე აიყვანოს. მაგრამ ბოლოს ადამიანი სუსტდება და ყველაფერი მტვრად იქცევა“.

სიკვდილის შიში

ერთხელ გურელმა რაბიმ თქვა: „რატომ ეშინია სიკვდილის ადამიანს? სიკვდილის შემდეგ ის ხომ თავის მამასთან მოხვდება? არა, ადამიანს იმ წამის ეშინია, როცა საიქიოდან მთელი თავისი განვლილი მიწიერი ცხოვრება გადაეშლება თვალწინ“.

გამქრალი სიხარული

თქვა ბელზელმა რაბიმ:

„როცა უფლის ტაძარი ჯერ კიდევ იდგა, ღვთისმოსავი ებრაელები სადღესასწაულოდ იერუსალიმში იკრიბებოდნენ, ერთად ჭამდნენ სამშვიდობო მსხვერპლს. ყველანი თავ-თავიანთ საზოგადოებებში სიხარულით იყვნენ აღსავსენი. მაგრამ ახლა მორწმუნენი ვეღარ მხიარულობენ, რადგან გაჭირვება ბევრია, სიხარული კი – მცირე.

მხოლოდ უკეთურნი თუ ხარობენ სადღესასწაულო შეკრებებზე. ისინი მხოლოდ ღრეობისთვის იკრიბებიან და ამაში ჰპოვებენ კმაყოფილებას, ღვთისმოსავნი კი ღირსეული მიზნით იკრიბებიან, მაგრამ ლაზღანდარა ხალხს აწყდებიან, რომელთა სატანური ქცევა ძლევს მათ საუკეთესო განზრახვებს“.

ორგვარი ცადიკი

თქვა ლიზენსკელმა რაბიმ:

„ცადიკები ორგვარნი არიან. ერთი ჭეშმარიტი წმინდანია, და მან იცის, რომ ეს ასეა და სწამს, რომ მას სინანული არ ესაჭიროება, რადგან ცოდვა არ ჩაუდენია. ასეთი ცადიკი გავლენას ვერ ახდენს სხვის სინანულზე, რადგან თავად არ ეკუთვნის მონანიეთ.

მეორენიც მსგავსადვე წმინდანნი არიან, მაგრამ უფრო მაღალი რანგისანი. ისინი მუდამ მსჯავრში ატარებენ თავიათ ქმედებებს, თუ როგორი მოტივით აქვთ ჩადენილი, – მხოლოდ იმ მოტივით, რომ აამონ უფალს, თუ იმ მიზნით, რომ სარგებლობა მოუტანონ თავის სულს. როცა ის ანგარებიან მოტივს

აღმოაჩენს თავის საქციელში, მხურვალედ ინანიებს. ასეთ ცადიკს შეუძლია გავლენა მოახდინოს სხვის სინანულზე, რადგან თავად მიდრეკილია სინანულად. ეს აზრია თალმუდში გამოთქმული: „მონანული ცადიკი სრულყოფილზე უფრო დიდია“.

მოძღვრის მოვალეობა

„მოშეს ლოცვის“ ავტორმა თქვა:

„თუ ღმერთმა ინება და ისრაელის მოძღვარი გახდი, რისხვით ნუ გაკიცხავ შენს ხალხს, არამედ ტკბილი ენით ელაპარაკე. რადგან ისრაელი წმინდა კრებულია, უფლის კურთხეული. ყოველი ადამიანი მნიშვნელოვანი იყოს შენს თვალში, არა შემთხვევითი. რადგან შენ არ შეგიძლია, გამოიცნო, ვინ არის ღირსეული და ვინ არა. კაცი ხშირად ადამიანებს ზერელედ აფასებს და უღირსად მიიჩნევს, ღმერთი კი მათ გულებს ხედავს“.

გაიხარე შენს ძმასთან ერთად

თქვა რადვილელმა რაბიმ:

„მცნება, რომ შენი მოყვასი უნდა გიყვარდეს, როგორც საკუთარი თავი, სულაც არ გულისხმობს იმას, რომ როცა შენთვის ყიდულობ შესამოსელს, სხვასაც უყიდო. ბევრ ჩვენგანს ამის საშუალება არა აქვს და თორა არ გვავალებს იმას, რისი აღსრულება მხოლოდ მდიდრებს შეუძლიათ. რისი შესაძლებლობაც ყველას გვაქვს, მდიდრებს თუ ღარიბებს, ეს არის ჩვენი ახლობლის ლხინსა და ჭირში მონაწილეობა. თუ შევიტყობთ ვინმეს წარმატებას, უნდა გვიხაროდეს მასთან ერთად, როგორც ჩვენი წარმატება გაგვიხარდებოდა; თუ ვინმეს ჭირს შეიტყობ, მისი ჭირის მონაწილე გახდი, როგორც შენს ჭირში სხვის მონაწილეობას მოითხოვდი. გვახსოვდეს, რომ ყველანი ღვთის შვილები ვართ და ის წუხს თითოეული ჩვენგანის გაჭირვების გამო“.

ერთმანეთისგან

ალექსანდროველ ცადიკთან დაახლოებულმა ერთმა ხასიდმა ჰკითხა მას, თუ რატომ არ მიიღო მან ხასიდები, რომლებიც მასთან იყვნენ მისულნი, მას შემდეგ, რაც დიდხანს აცდევინა.

ცადიკმა მიუგო: „იმდენხანს ისაუბრეს მათ ერთმანეთთან და იმდენი რამე ისწავლეს ერთმანეთისგან, რომ მე აღარაფერი დამრჩა მათთვის სასწავლებელი“.

აბრაამის ქვეყანა

კოზმირელმა რაბიმ თქვა:

„ღმერთმა ქანაანის ქვეყანა აბრაამს იმ პირობით მისცა, თუ მისი მემკვიდრეები მის კვალს გაჰყვებოდნენ. როცა ისმაელმა არ შეისმინა მამის შეგონებები, ისაკმა მიიღო მისი მემკვიდრეობა. როცა ესავმა ჭეშმარიტ ტრადიციას გადაუხვია, ისრაელს (იაკობს) მიეცა მემკვიდრეობა. როცა ისრაელი განუწყვეტლივ არღვევდა რჯულს, ყველაფერი ედომს [რომს და ქრისტიანობას] დაუბრუნდა. როცა ედომის შთამომავლები გადაგვარდნენ, იძულებული გახდნენ, ქანაანი ისმაელისთვის [მუსლიმისთვის] დაემორჩილებინათ. ამჟამად კი უკუპროცესი ხდება: ქვეყანა დაკარგა ისმაელმა და ედომს დაუბრუნდა, მაგრამ მალე ედომისგან მის კანონიერ პატრონს, ისრაელს გადაეცემა“.

იერუსალიმის შენება

თქვა როპშიცელმა რაბიმ:

„ღვთისადმი ჩვენი სამსახურით ჩვენ ყოველდღიურად ვაშენებთ იერუსალიმს. ერთს ბზე და ჩალა მიაქვს, სხვას – მხოლოდ აგური. როცა იერუსალიმი დასრულდება, მაშინ გამოსყიდვის ჟამიც დადგება“.

წმინდა და არაწმინდა

თქვა სარვანელმა რაბიმ:

„ვინც უფალს ერთგულად და თავდადებით ემსახურება და მთლიანად მოძულებული აქვს ეს სოფელი, უნდა წავიდეს წმინ-

და მიწაზე, თუკი ამის შესაძლებლობა აქვს. იქ ყოფნისას ის სიწმინდის უფრო მაღალ საფეხურს მიაღწევს.

მაგრამ ის, ვინც ჯერ კიდევ მიწებებულია ამ სოფელს და მთელი გულისყურით არ არის მიქცეული ღვთის სამსახურისკენ, მისთვის უმჯობესია, პალესტინის გარეთ დარჩეს. ღმერთმა დაუშვა, რომ არაწმინდა ძალები წმინდა ძალებთან ყოფილიყო გაწონასწორებული. ხოლო წმინდა მიწაზე, სადაც სიწმინდე უფრო ძლიერია, ბოროტი იმპულსიც ასევე ძლიერია და წინააღმდეგობის გაწევაც არ არის ადვილი.

მოწოდება

რამდენიმე ხასიდი ბელორუსიიდან დიდ მაგიდთან მივიდა და შესჩივლეს – მეჟერიჩამდე დიდი მანძილია და ხშირად ვერ მივდივართ მაგიდთან, და მოძღვრის გარეშე ვრჩებითო. მაშინ მაგიდმა მათ თავისი სარტყელი და ხელჯოხი მისცა და უთხრა: „წადით და ვიტებსკში ცადიკს, სახელად მენდელს, მიეცით“.

ვიტებსკში ხასიდებმა მოიკითხეს ცადიკი, სახელად მენდელი, მაგრამ, სადაც არ იკითხეს, ყველგან უთხრეს, ასეთი ადამიანი აქ არ ცხოვრობსო. ბოლოს, მათთან მივიდა ერთი დედაკაცი და ჰკითხა, ვის ეძებთო. რაბი მენდელსო, მიუგეს ხასიდებმა. ქალმა უთხრა, ამ სახელის რაბი აქ არავინ არის, მენდელები კი ჩვენს ქალაქში ბევრნი არიანო. ჩემს სიძესაც მენდელი ჰქვიაო.

ხასიდები იმწამსვე მიხვდნენ, რომ სწორედ ამ მენდელთან გამოგზავნა ისინი მაგიდმა. გაჰყვნენ დედაკაცს და გადასცეს მის სიძეს სარტყელი და ხელჯოხი. მენდელმა სარტყელი წელზე შემოირტყა და ხელთ იპყრა ხელჯოხი. შეხედეს მას ხასიდებმა და ვერ იცნეს. მათ წინ სხვა კაცი იდგა, ღვთიური ძალით შემოსილი, და ღვთის შიშმა შეიპყრო მათი გულები.

სიონის სიყვარული

რაბი შნეურ-ზალმან ლადიელმა თქვა:

„სიონის სიყვარული ებრაელის გულში ცეცხლად უნდა ენთოს. მას, ვისაც სურს ჭეშმარიტი ებრაელი იყოს, პალესტინაში უნდა წავიდეს; თუ დაბრკოლებები დახვდა გზაზე, ყველა უნდა გადალახოს და მივიდეს იქ“.

კითხვა და პასუხი

ჰკითხა ლადიელმა რაბიმ თავის ახალბედა მოწაფეს:

„მოსე, რას ვგულისხმობთ, როცა ვამბობთ „ღმერთი“?“ მოწაფე დუმდა. რაბი შეეკითხა მეორეგზის და მესამეგზის. დაბოლოს, ვეღარ მოითმინა და აღმოხდა: „რატომ დუმხარ?“ „იმიტომ, რომ არ ვიცი“, მიუგო მოწაფემ. „შენ გგონია, მე კი ვიცი? – თქვა რაბიმ. – მაგრამ მე უნდა ვამბობდე, რადგან ეს ნამდვილად ასეა: ის არსებულია და დაუსრულებელი და, მის გარეშე, არ ჰგიეს რაიმე არსებული და დაუსრულებელი – აი, რა არის ღმერთი“.

შრომა ჭეშმარიტებისთვის

თქვა ლადიელმა: „ოცდაერთი წელიწადი მოვანდომე ჭეშმარიტებისთვის შრომას: შვიდი წელი ჭეშმარიტების შეცნობას, შვიდი წელი სიცრუის განდევნას და შვიდიც, რომ ჭეშმარიტება ჩვევად მექცია“.

მუდმივი სახლი

რაბი ელიაკიმ გეცელი, რაბი იაკობ ოსტროელის ძე, ერთ პატარა ოთახში ქირით ცხოვრობდა. ქალაქის მცხოვრებთ მისთვის სახლის ყიდვა სურდათ, მაგრამ ის უარზე იყო: „მე არ მინდა ისრაელის მიწის გარეთ მუდმივი საცხოვრებელი მქონდეს“.

მდუმარება და საიდუმლო

თქვა ბერშიდელმა რაბიმ:

„ორი რამ ვისწავლე ჩემი მოძღვრისგან ბოლო სტუმრობის დროს: „რაც ნაკლებს ლაპარაკობ, მით უფრო ახლოს ხარ სიწმინდესთან“ და „მხოლოდ ის კეთილი საქმეა დასაფასებელი, რომელიც არავინ უწყის“.

ფარული სიწმინდე

კოზნიცელი მაგიდის სიკვდილის შემდეგ მისი მოწაფეები ყოყმანობდნენ, აერჩიათ თუ არა თავიანთ მოძღვრად მისი შვილი რაბი მოსე, რადგან მის ხასიათსა და ქცევაში რაიმე განსაკუთრებულს ვერ ხედავდნენ. მას მიიჩნევდნენ საშუალო დონის სწავლულად და ფსალმუნთა მგალობლად. ხასიდებმა მაინც გადაწყვიტეს მის გამოსაცდელად მასთან სამი სწავლული გაეგზავნათ. როცა მასთან შევიდნენ, რაბი მოსე ფსალმუნის ამ მუხლს კითხულობდა: „რამეთუ მაღალ არს უფალი და მდაბალთა ხედავს; და მაღალნი იგი შორით იცნის“ (137:6).

წარგზავნილები მიხვდნენ, რომ რაბი მოსე მამამისის სიცოცხლეში თავისი სიმდაბლით თავის სწავლულობას და სიწმინდეს მალავდა“.

შოფარის დამყვირებელი

ბერდიჩეველი რაბი შოფარის დამყვირებელს ეძებდა. მსურველი ბევრი იყო და რაბი თითოეულ მათგანს ეკითხებოდა, თუ რა მისტიკური ფიქრები მოსდიოდათ მათ თავში შოფარის დაყვირებისას. რაბის არავის პასუხი არ მოეწონა. ბოლოს ერთმა თქვა:

„რაბი, უსწავლელი კაცი ვარ და მისტიკური ფიქრებისა არაფერი გამეგება. მაგრამ ოთხი გასათხოვარი ქალიშვილი მყავს და მზითევისთვის ფული არ მაქვს. ამიტომ როცა შოფარს ჩავბერავ, ვიფიქრებ: „სამყაროს უფალო, მე ვასრულებ ჩემს მოვალეობას და ვემორჩილები შენს ბრძანებას. მაშ, შენც

შეასრულე შენი მოვალეობა და გამოუგზავნე ღირსეული საქმროები ჩემს ქალიშვილებს“.

და ბერდიჩელმა რაბი დანიშნა იგი შოფარის დამყვირებლად.

მინა და ვერცხლი

ერთი მდიდარი, მაგრამ ძუნწი ხასიდი რაბის ესტუმრა. რაბიმ ხელი მოკიდა და ფანჯარათან მიიყვანა.

გაიხედე გარეთ, რას ხედავო? ჰკითხა რაბიმ.

ხალხსო, – მიუგო მდიდარმა. კვლავ მოკიდა ხელი რაბიმ და ახლა სარკესთან დააყენა.

ახლა რას ხედავო, – ჰკითხა. ახლა ჩემ თავსო, – მიუგო მდიდარმა.

მაშინ რაბიმ უთხრა:

„უყურე, ფანჯარა მინის არის და სარკეც მინისაა. მაგრამ სარკის მინას ვერცხლის თხელი ფენა აკრავს. და სანამ ასეა, შენი თავის გარდა სხვას ვერავის დაინახავ“.

მიწის ცად გარდაქმნა

თქვა ალექსანდერელმა რაბიმ:

„ფსალმუნის სიტყვები „ცანი ცათანი უფლისანი არიან, ხოლო მიწა მოსცა ძეთა კაცთასა“ (ფსალმ. 113:24) ამგვარად ითარგმანება: ცა უკვე ციურია, ხოლო მიწა იმისთვის მისცა ღმერთმა ადამიანებს, რომ ცად გარდაქმნან“.

მორიას მთაზე

ერთმა რაბინმა ჰკითხა ცანცელ რაბის, თუ რატომ აშენდა ღვთის სახლი მორიას მთაზე და არა სიონზე, სადაც რჯული იქნა გადმოცემული. რაბიმ მიუგო:

„ადგილი, სადაც ადამიანი უფლის სამსახურისთვის მზად იყო, სასიკვდილოდ გაეწირა თავი, უფრო ძვირფასია ღვთისთვის, ვიდრე თუნდაც ის ადგილი, სადაც თორა იქნა მიღებული“.

სიწმინდე ცოდვაში

თქვა როპშიცელმა რაბიმ:

„უზენაესის წინაშე ბოროტება ვერ იქნება მიტანილი. მაშ, როგორღა მიაქვს სატანს უფლის წინაშე ჩვენი ცოდვები? პასუხი ის არის, რომ მას მხოლოდ სიწმინდე ააქვს, რომელიც ცოდვას შეიცავს, რადგან ცოდვაში დევს სინანულის თესლი, რომელიც შეცოდებას სიკეთედ გარდაქმნის. სატანი აცხადებს: „ამ ადამიანს სინანული მართებს“. თუ ადამიანმა არ მოინანია, ვალში დარჩება და ვერ წარდგება წმინდის წინაშე, კურთხეულ იყოს მისი სახელი“.

გამხმარი ხე

ერთხელ რამდენიმე ხასიდი დიდ მაგიდს, დოვ-ბერს, ეწვია და დიდად შეაღონეს შეკითხვებით. წაართვეს მას დრო, რომელსაც ის, ჩვეულებისამებრ, სწავლასა და ლოცვაში ატარებდა. ბოლოს, უთხრა მათ:

„დავით მეფე ცადიკს ფინიკის ხეს უწოდებს (ფსალმ. 91:13). თუ თქვენ დროს არ მომცემთ რჯულის შესასწავლად, თქვენ წინაშე ფინიკის ხე კი არ ვიქნები, არამედ გამხმარი ღერო“.

ამის შემდეგ ხასიდებს რჯულის სწავლისა და მედიტაციების საათებში თავიანთი ცადიკი აღარ შეუწუხებიათ.

წარსული და აწმყო

გურელი რაბი განმარტავდა განსხვავებას აწინდელი და წარსული დროის ებრაელ ფილოსოფოსთა შორის. ძველ ფილოსოფოსებს სწამდათ თორის სიწმინდისა და მასში თავიანთი კვლევების დასტურს ეძებდნენ. აწინდელთ თავიანთი კვლევების ჭეშმარიტებისა სწამთ და მით თორის ჭეშმარიტებას ამოწმებენ. მაგრამ თუ მათი კვლევები თორისთვის ამ საყრდენს არ იძლევიან, მათთვის თორის დებულებები არაფერს ნიშნავს.

სატანჯველის ზომა

უსაზღვრო იყო აპტელი რაბის, აბრაჰამ-იოშუას სიყვარული ისრაელისადმი. ერთხელ აუტყდა ტირილი და ნახევარი დღე განუწყვეტლივ მოთქვამდა.

სწორედ ამ დღეს რაბი ზუსია ჰანაპოლელი აპტში იმყოფებოდა და პირდაპირ რაბი აბრაჰამ-იოშუას ეწვია. „რა არის შენი ამგვარი ტირილის მიზეზი, – ჰკითხა რაბი ზუსიამ. – განა კურთხეულმა ბაალ შემ ტოვმა არ გვიბრძანა, ყოველთვის მხიარულები და ხალისიანები ვიყოთ?“

აპტელმა რაბიმ ნაღვლიანი მზერა მიაპყრო თავის მეგობარს და წამოიძახა: „ზუსია, ზუსია, რა დაგემართა? განა ვერ ხედავ, როგორ საშინელ ტანჯვასა და დევნილებაშია ისრაელი?“

„ვხედავ, – მიუგო რაბი ზუსიამ, – მაგრამ ზოჰარის წიგნში წერია, რომ ღმერთი იმზომის გასაჭირს მოუვლენს ხოლმე კაცთა მოდგმას, რამდენის ატანაც მას შეუძლია“.

ერთობა ისრაელთან

ლოცვის წინ ზლოჩოველი რაბი მიხაელი, ჩვეულებისამებრ, ამბობდა:

„მე ვაერთიანებ ჩემს თავს მთელ ისრაელთან, მათთან, ვინც ჩემზე დიდია, და მათთან, ვინც ჩემზე მცირეა. ჩემზე დიდებთან იმის გამო, რომ ჩემი ლოცვა მათი მეშვეობით მაღლა წავიდეს; ჩემზე მცირეებთან იმის გამო, რომ მათი ლოცვა ცას მისწვდეს“.

ნებაყოფლობითი გალუთი

თქვა კომარნელმა რაბიმ:

„ვინც ნებაყოფლობით ტოვებს თავის სახლს და მათხოვარივით დაწანწალებს, ყველგვარ უსიამოვნებას იტანს, მაგრამ ყოველთვის უფალს ესავს, ის *გალუთში* მყოფი შეხინას ამხანაგია. მისი ცოდვები მიტევებულია და მან უწყის რჯულის საიდუმლოებანი. ნეტავ მის ბედს, ვინც დევნილებაში მიდის“.

ორგვარი ცადიკი

თქვა ლიზენსკელმა რაბი ლევი-იცხაკმა:

„ორგვარი ცადიკი არსებობს. ერთი ნამდვილად წმინდაა და მან იცის ეს, და არ გრძნობს მონანიების საჭიროებას, რადგან ცოდვა არ ჩაუდენია. ასეთ ცადიკს არ შეუძლია ვინმე აღძრას სინანულად, რადგან თავად არ იცის, რა არის სინანული.

მეორეგვარი ცადიკი ასევე ნამდვილად წმინდაა, მაგრამ უფრო მაღალ საფეხურზეა. ის განუწყვეტლივ განსჯის თავის საკუთარ ქმედებებს, რათა გაარკვიოს, რა მოტივით არის ჩადენილი ესა თუ ის ქმედება – მხოლოდ წმინდა მოტივით და ღვთის საამებლად თუ საკუთარი სულის სასარგებლოდ. თუ იგი უკეთურ მოტივს აღმოაჩენს თავის საქციელში, გულმხურვალედ ინანიებს. ასეთ ცადიკს ძალუძს სხვაში სინანულის გამოწვევა, რაკი თავად არის მიდრეკილი სინანულად. ამას გულისხმობს თალმუდის ეს გამონათქვამი: „მონანიე უფრო დიდია, ვიდრე სრულყოფილი ცადიკი“.

მოჩქარე

ერთხელ რაბი ლევი-იცხკმა დაინახა კაცი, რომელიც აჩქარებული გარბოდა ქუჩაში, არც გვერდზე, არც უკან არ იხედებოდა. „რატომ გარბიხარ?“, ჰკითხა რაბიმ. „საზრდოს ვეძებ“, მიუგო კაცმა. „საიდან იცი, – ეუბნება რაბი, – რომ შენი საზრდო შენ წინ გარბის? იქნებ, ის შენ უკანაა და შენ უნდა შეჩერდე და დაელოდო. შენ კი გარბიხარ მისგან!“

არა ხარ მესია

„დღეს მესია რომ მოვიდეს, – თქვა ერთმა ცადიკმა, – და მითხრას, შენ ყველაზე უკეთესი ხარო, ვეტყვი, შენ მესია არა ხარ-მეთქი“.

გამოცხადება

გოსტინინელი რაბი იეხიელ-მეირი ახალგაზრდობისას როგორღაც ქორწილში მოხვდა, პშისხაში. ფუნდუკში მის ოთახში

ალექსანდროველი რაბი ხანოხი აღმოჩნდა. ქორწილის წინა საღამოს რაბი ხანოხი მეტისმეტად მხიარულობდა, ყირაზე გადადიოდა, რაც იეხიელ-მეირს არ მოსწონდა. მაგრამ ნაშუაღამევს მან შეამჩნია, რომ ხანოხი, დარწმუნებული იმაში, რომ არავინ უყურებდა, უხმაუროდ გამოძვრა თავისი საწოლიდან და დერეფანში გავიდა. იეხიელ-მეირმა მიაყურადა და გაგონილმა გულის სიღრმემდე შეძრა. მისი მეზობელი ფსალმუნებს კითხულობდა, მაგრამ ისე ამაღელვებლად, როგორც იეხიელ-მეირს არასოდეს მოუსმენია. როცა ხანოხი თავის საწოლში დაბრუნდა, იეხიელ-მეირმა თავი მოიმძინარა.

საქორწილო ზეიმის დროს, როცა შვიდ კურთხევას კითხულობენ, რაბი ხანოხმა კვლავ თავი აიშვა. აცინებდა და ახარხარებდა ხალხს თავის ხუმრობებზე. იეხიელ-მეირი განცვიფრებული უყურებდა მას: ნუთუ ეს ის კაცია, რომლის ლოცვამ წუხელ შეძრა მთელი მისი არსება? და ამ დროს, მოულოდნელად, თავაწყვეტილი მხიარულების მწვერვალზე, ხანოხმა თვალი თვალში გაუყარა მას. იეხიელ-მეირს ისეთივე განცდა დაეუფლა, როგორიც წუხელ ფსალმუნების კითხვისას, და თავით ტერფამდე ჟრჟოლამ დაუარა.

ამაო მუქარა

ვიღაც დიდი კაცი ემუქრებოდა ალექსანდროველ რაბი ხანოხს, ერთი მოქნევით ჩამოგაგდებ ყოფიერების იმ საფეხურიდან, სადაც იმყოფებიო. ხანოხმა კი, ამაზე ქვემოთ, სადაც ვიმყოფები, ვერ ჩამომაგდებო.

ცა და მიწა

როცა რაბი ხანოხმა წაიკითხა ფსალმუნიდან ეს მუხლი – „ცანი ცათანი უფლისანი არიან, ხოლო მიწა მოსცა ძეთა კაცთასა“ (ფსალმ. 113:24), ცოტა შეყოვნდა და მერე თქვა: „ცა ხომ უკვე ღვთის არის; მიწა კი ადამიანებს იმისათვის მიეცათ, რომ ციური გახადონ“.

ორი სოფელი

რაბი ხანოხი ამბობდა:

„სხვა ხალხებსაც სწამთ ორი სოფლის არსებობა. ისინიც ამბობენ – სხვა სოფელიო. განსხვავება კი ის არის, რომ ყველას ჰგონია, თითქოს ეს ორი სოფელი ერთმანეთისგან განცალკევებულნი არიან, მაგრამ ყოველ ისრაელიანს სწამს, რომ ეს ორი სოფელი არსებითად ერთია და რომ საბოლოოდ ერთი გახდება“.

ერთგული ხასიდი

ერთხელ ტალნელი რაბი დავიდი ერთ ქალაქში მოხვდა, რომელიც რეჟიჩოველი რაბის გავლენის ქვეშ იყო. ამ უკანასკნელის ხასიდები რისხვით შეხვდნენ მათი ცადიკის ტერიტორიაზე რაბი დავიდის შემოჭრას. ერთმა მათგანმა თავი ვერ დაიოკა და ქვა ესროლა მის ეტლს.

ტალმელმა რაბიმ ქვა აიღო მიწიდან და თავის თანამგზავრს უთხრა: „მე შევინახავ ამ ქვას ერთგული ხასიდის თვითშეწირვის სიმბოლოდ“.[1] და ეს ქვა თავის განძეულთა შორის მოათავსა.

მისი წერილები

ტალნელი რაბი, ჩვეულებისამებრ, ყოველ დილით ნახევარ საათს მიღებული წერილების კითხვაში ატარებდა. დაახლოებულმა პირმა ჰკითხა, რატომ აკეთებდა ამას ლოცვამდე. რაბიმ მიუგო: „მე მინდა დღე მართებულად დავიწყო. შენ იცი, რომ რაც უფრო მნიშვნელოვანია კაცი, მით უფრო სასტიკია მისი ბრძოლა ბოროტ ფიქრებთან, რადგან სატანი უსისტიკესად ცდილობს მის გამოცდას. ამიტომ, როცა მე ჩემს წერილებს ვათვალიერებ და მისალმებებში ვკითხულობ, რომ მე ვარ

---

[1] ხასიდების რწმენით ცადიკის შეურაცხმყოფელი სიკვდილის თანამდებია.

ცადიკი, წინამძღოლი, წმინდა კაცი და სხვა მისთანები, მე ვე-ვედრები უფალს: მე და შენ ვიცით, რომ მე არ ვიმსახურებ ამ ტიტულების პატივს. მაგრამ რაკი ამდენ ადამიანს ეს სჯერა მთელი გულწრფელობით, გევედრები, შემეწიო, რომ არ გავება სატანის ხაფანგში და ამ ხალხს რწმენა არ გავუმტყუნო“.

შექმნა არარადან

თითქოს რა კავშირი უნდა იყოს სამყაროს არარადან შესაქმესა და ხასიდობას შორის, რომ ჩვენს წიგნში საგანგებო ესე ეძღვნება ამ პრობლემას. კაბალის სიღრმეშიც რომ არ შევიდეთ, რასაც ჩვენი კომპეტენცია არც ეყოფა, ხასიდური „ანეკდოტებიც“ კმარა იმისათვის, რომ ცხადი გახდეს ექსნიჰილური კოსმოგონიის (crteatio ex nihilo) ეკსისტენციალური ასპექტი. ძნელად მოიძებნება, შესაძლოა, არც არსებობდეს, რელიგიური მიმდინარეობა, სადაც მაკროკოსმოსი და მიკროკოსმოსი (ადამიანური სამყარო) ისე სიღრმისეულად ეხმიანებოდნენ ერთმანეთს, როგორც ამას ხასიდობაში ვაკვირდებით. კერძოდ, გვიანდელი, ე. წ. ლურიანული კაბალა ხასიდობამ აიტაცა და თავისი მიმდევრების ესქატოლოგიურ მიზნად აქცია, ჩართო რა მათი ყოველდღიურობა კოსმოგონიურ პროცესში. კოსმოგონიის დასამაბიერი აქტი აქტუალობას ინარჩუნებს აწმყოში, თითოეული ხასიდის ცხოვრებაში. სამყარო თითოეული ხასიდის გულში ხელახლა იბადება, მასშივე იმსხვრევა და მისგანვე მოელის ხსნას. უდიდესი ცადიკის, ბრაცლაველი რაბი ნახმანის თქმით, ადამიანი, არჩევანის უფალი, უნდა გრძნობდეს, რომ სამყარო მხოლოდ მისი გულისთვის შეიქმნა...

„რატომ არსებობს რაიმე და არა არარა?“ (ლაიბნიცი)
„რა საოცარია, რომ რაღაც არსებობს!“ (ვიტგენშტაინი)
„უცნაურია არსებობა – ის არსებობს!“ (ერლომ ახვლედიანი)

უფრო მეტად საოცარი იქნებოდა, თუკი დამკვირვებელი იარსებებდა, რომ ეს „რაღაც“, რომელიც არსებობს, საერთოდ არ არსებულიყო, ანუ, უკიდურესი ფიქრით, თავად არსებობა, როგორც ასეთი, არ არსებულიყო. მაგრამ როგორ უნდა წარმოვიდგინოთ და მერე გამოვთქვათ ადამიანური ენით არსებობის არარსებობის არსებობა, მოკლედ, არარას არსებობა? აქვს არარას რაიმე ონტოლოგია? მიუხედავად იმისა, რომ ყოველი სიტყვა, რომლითაც ადამიანს სურს არარას, არარსებობის, უარსობის, უმყოფობის გადმოცემა, წინააღმდეგობას აწყდება, მაინც დამკვიდრებულია რელიგიურ თუ მეცნიერულ კოსმოგონიაში სიტყვა nihil „არაფერი“. თვით ისეთი ათეისტი, მეტიც: ათეიზმის აპოლოგეტი, როგორც ფიზიკოს-ქიმიკოსი პიტერ ატკინსია (Peter W. Atkins), აღიარებს, რომ მეცნიერებამ უნდა შეძლოს, რადგან მას შესწევს უნარი, ახსნას ყოველი არსებულის წარმოშობა არარასგან. არათუ თითქმის არაფრისგან, დასძენს იგი, არა სუბატომური მტვრისგან, არამედ აბსოლუტური არარასგან, ყოვლად არაფრისგან, არათუ ცარიელი სივრცისგან...[1] ეს სიტყვები ეკუთვნის ადამიანს, რომლის რწმენით, რელიგია და მეცნიერება ურთიერთშეუთავსებელია, და რომ რელიგია ფანტაზიის სფეროს ეკუთვნის და მოკლებულია რაიმეს ახსნის უნარს. ჩანს, მორწმუნე ათეისტის და რელიგიური კაცის ცნობიერება შეიძლება თანხვდებოდეს იმაში, რომ არარასგან წარმოიშვა ყოველი არსებული. მაშასადამე, *არარა არსებობდა*... არსებობამდე. მეცნიერების სხვა ადეპტი, ასევე ათეისტი ფიზიკოსი, ცნობილი სტივენ ჰოკინგი (Stephen Hawking) წერს: „ისეთი სხეულები, როგორნიცაა ვარსკვლავები და შავი ხვრელები, ვერ წარმოიშვებოდნენ არარასგან. მაგრამ მთელი სამყარო წარმოიშვებოდა... რამდენადაც არსებობს გრა-

---

[1] Уильям Кэррол, Творение и наука в Средние века, წიგნიდან: Богословие творения, ББИ, М., 2013, стр. 86.

ვიტაციის კანონი, სამყაროს შეუძლია შექმნას და მუდამ შექმნის თავის თავს არარადან“.[1]

არც ერთი კოსმოგონიური ნარატივი, ბიბლიურის გარდა, არარადან შექმნას არ იცნობს. წარმართული, პოლითეისტური კოსმოგონიით, არსებობა (მყოფობა) და არსებული (მყოფი) მარადიულია. შექმნილია მხოლოდ ამ სამყაროს უკეთესი სახე უკვე არსებულისგან, რომელიც შეუქმნელია და დაუსაბამო. წარმართული შესაქმე დემიურგული მოქმედებაა, უფრო სწორად, კეთება, როგორც ხელოვნების საგანი კეთდება. ბაბილონური კოსმოგონია, რომელიც ამ მატერიალურ და იმ სულიერ სამყაროს შემოქმედს მარად არსებული წყლებიდან დაბადებულად მიიჩნევს, იწყება სამი სიტყვით, რომელთაგან ერთი დროის კატეგორიის აღმნიშვნელია (*ênū-ma* „ოდეს“), ორი – სივრცის (*êliš* „ზემოთ“, *šapliš* „ქვემოთ“). ასე რომ, ბაბილონური კოსმოგონია დასაბამს ისევ და ისევ დროისა და სივრცის კატეგორიებით ჭვრეტს, ანუ არსებულით. უძველეს ტექსტებს შორის ინდურ ვედებში იპოვება მცდელობა – განჭვრეტილ იქნას ის „რეალობა“, რომელიც არსებობას უძღოდა წინ. X მანდალის 129-ე ჰიმნში, რომელიც სამყაროს შექმნას ეძღვნება, დასმულია კითხვა უმყოფობა-მყოფობის შესახებ, მაგრამ კითხვა უპასუხოდ არის დატოვებული. ჰიმნის დასაწყისში ავტორი ტოტალურ, აბსოლუტურ ნეგაციას მიმართავს: „არ იყო არც არარსებული (asat) და არც არსებული (sat) მაშინ“ (სტრ. 1), ან ამგვარად: „საიდან წარმოიშვა ეს ქმნილება? იქნებ თავად წარმოშვა თავი, ან იქნებ – არა“ (სტრ. 7). ასეთი უნდა ყოფილიყო კითხვაზე პასუხი იმის დასტურად და საჩვენებლად, რომ სამყაროს წარმოშობა პრინციპულად აუხსნელია...

კოსმოგონიას შემდგომ ეპოქებში და ისეთ ინტელექტუალურ ხალხში, როგორიც ბერძნები იყვნენ, პროგრესი არ განუცდია: მათს განჭვრეტაში ყოველთვის რჩება „რაღაც“, საი-

---

[1] იქვე, გვ. 89. „თავისი თავიდან“ შექმნა ვედური შესაქმის ერთ-ერთი ალტერნატივაა (იხ. ქვემოთ).

დანაც სამყარო შექმნა დემიურგმა ან თავისთავად შეიქმნა. პლატონისთვის და არისტოტელესთვის უცნობია აბსოლუტური შესაქმე. სამყარო შეუქმნელია, არც დასაწყისი აქვს, არც დასასრული. არისტოტელეს „მეტაფიზიკიდან“ მომდინარეობს გამოთქმა nihil ex nihilo fit – „არაფრისგან არაფერი იქმნება“.

ბიბლიური კრეაციონისტული თვალთახედვით, ეს სამყარო – ხილული და უხილავი – ღმერთმა ex nihilo შექმნა და, ამდენად, მისი ბუნების ზიარი ვერ იქნება, განსხვავებით პლოტინის ემანაციის თეორიისგან, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა მარადარსებული *ერთიდან*, როგორც გადავსებული ჭურჭლიდან, სამყაროს გადმოღვრა, ვულკანიდან ლავის გადმოფრქვევის მსგავსად. ეს იმას ნიშნავს, რომ სამყარო, რამდენადაც ის იმ *ერთის* წიაღიდან მოედინება, მისი ბუნების თანაზიარი უნდა იყოს, მაგრამ ქვემო სფეროებში ეს თანაზიარობა სუსტდება და, საბოლოოდ, უქვემოესში მის საპირისპირო ბუნებად – მატერიად გარდაიქმნება. სამყარო ემანაციის პროცესში თანდათან განემსგავსება თავის წყაროს, რათა ემანაციის დასასრულს აბსოლუტურად განემსგავსოს მას. მაგრამ ქმნილება, როგორც შესაქმის პროდუქტი და არა სისავსისგან გადმოღვრილი რამ, აბსოლუტურად განსხვავდება მისი შემოქმედისგან, რომელიც ქმნის არა თავისი სიღრმიდან, არა თავისი სუბსტანციისგან, ან არა უნებურად ემანაციის (გადმოღვრის) გზით, არამედ ნებით თავის გარეშე „არსებული“ არარადან. არარადან შესაქმე ქრისტიანული რწმენის დოგმატია, თუმცა ბიბლიაში ეს კონცეფტი ექსპლიციტურად არ არის წარმოდგენილი. ბიბლიის ერთადერთი წიგნი, სადაც უმყოფობიდან შესაქმე არაორაზროვნად არის გაცხადებული, მოგვიანო, მე-2 მაკაბელთა წიგნია: „...შეხედე ცასა და დედამიწას და ყოველივეს, რაც მასზეა, და მიხვდები, რომ არსებულისგან არ შეუქმნია[1] ეს ყველაფერი ღმერთს...“

---

[1] ουκ εξ οντων εποιεσεν. ეს ფრაზა ასეც შეიძლება ითარგმნოს: „არარსებულიდან შექმნა“, როგორც ეს ესმის ვულგატას: ex nihilo fecit.

(7:28). შევადაროთ მას ტექსტი ქრისტიანული ხანის (II ს-ის) ჰერმას „მწყემსიდან“: „ღმერთი, რომელიც ცაშია დამკვიდრებული და არარსებულიდან შექმნა ყოველი არსებული“ (პირველი ხილვა, I). ცხადია, ბერძნული ἐκ და მისი ლათინურ შესატყვისი ex არ ნიშნავს *გან*-ს: „არარასგან“, როგორც მასალისგან, რადგან არარა არ შეიძლება მასალა იყოს, არამედ იმას, რომ ღმერთმა ყოველივე არსებული შექმნა არარა*დან* ან *არარაში*. იგივეა ნათქვამი, თუმცა „არარას“ მოუხსენიებლად 32-ე ფსალმუნში (9): „მან თქვა და იქმნა, ბრძანა და დგას“. თქმას და ბრძანებას – სიტყვას არ დახვედრია მასალა, თუნდაც „განუმზადებელი და უხილავი“ (დაბ. 1:2). ქმნილება უბრალოდ არარაში გაჩნდა.

საიდან *გაჩნდა* ეს nihil – არარა, რომლიდანაც თუ რომელშიც ყოველი არსებული შეიქმნა? ამაზე პასუხი ბიბლიურ კომენტარებში არ ჩანს. ქრისტიანული ეგზეგეტიკა ამ nihil-ის, ამ არარას არსებობის – ამ პარადოქსული დაშვების – პრობლემას არ უღრმავდება, იგი არ არის თემატიზებული ქრისტიანულ საღვთისმეტყველო ტექსტებში. ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ „ადამიანის ბუნებას არ ძალუძს ღვთის შემოქმედების შეცნობა“, მაგრამ სიგიჟეა იმის უარყოფა, რომ სამყაროს შემოქმედმა ყველაფერი არაფრიდან შექმნა და ადამიანს მართებს, „მორჩილად ერწმუნოს თქმულს“ (იოანე ოქროპირი). ეს იმას ნიშნავს, რომ არარას პრობლემა არ არის რაციონალური გააზრების საგანი.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, იოანე ოქროპირი ცდილობს გონებისმიერად და ცდისეულად დაუმტკიცოს არარადან შექმნაში დაეჭვებულს, რომ შესაძლებელია „არარსებულიდან არსებულის შექმნა“:

> „შევეკითხოთ მათ, – ამბობს ოქროპირი, – საიდან შეიქმნა პირველი კაცი – მიწისგან თუ რაღაც სხვა რამისგან? უეჭველად ისინი დაგვეთანხმებიან და იტყვიან, მიწისგანო. მაგრამ გვითხრან, როგორ წარმოიქმნა მიწისგან ხორცი?

> მიწისგან მხოლოდ ტალახი, აგური, კრამიტი შეიძლება გამოვიდეს, მაგრამ ხორცი როგორ წარმოიშვება? ან ძვალი, ან ძარღვები, კანი, ფრჩხილები, თმა?.. თუ ამაზე პასუხი არა აქვთ და კვლავ თავიანთ აზრზე იდგებიან, ჩვენ კვლავ გავუმეორებთ მათ: *დასაწყისში ღმერთმა შექმნა...*"

მაგრამ ოქროპირის ეს მაგალითი ხომ არსებულისგან (მიწისგან) კვლავ არსებულის (ხორცის), რაოდენი განსხვავებაც არ უნდა იყოს მათ შორის, ანუ ნივთიერისგან კვლავ ნივთიერის შექმნის მტკიცებაა და არა არარსებულისგან არსებულის გაჩენის მტკიცება, რისი მიზანიც მოქადაგეს ჰქონდა. მას შეეძლო ამ მიზნით ღვთის ყოვლისშემძლეობა დაემოწმებინა, რომლისთვისაც არარადან შესაქმე არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. ბასილი დიდი, ოქროპირისგან განსხვავებით, ყურადღებას ამახვილებს შესაქმის უდროჟამობაზე:

> „რადგან შესაქმე მყისიერი და უდროჟამოა, ამიტომ ითქვა: *დასაწყისში შექმნა*, რადგან დასაწყისი ნაწილებისგან არ შედგება და განუფენელია. როგორც გზის დასაწყისი ჯერ კიდევ არ არის გზა, სახლის დასაწყისი ჯერ კიდევ არ არის სახლი, ასევე დროჟამის დასაწყისი ჯერ კიდევ არ არის დროჟამი, მისი უმცირესი ნაწილიც კი არ არის. თუ ვინმე კამათის მოყვარული იტყვის, რომ დროჟამის დასაწყისი დროჟამია, დაე, იცოდეს, რომ ამით დასაწყისს ორ ნაწილად ყოფს, ანუ: დასაწყისად, შუად და ბოლოდ. მაგრამ სასაცილოა დასაწყისისთვის დასაწყისის გამოგონება. და ის, ვინც დასაწყისს ორად ყოფს, ის ერთი დასაწყისისგან ორ დასაწყისს ქმნის, უფრო მეტიც, ბევრსა და უსასრულო რაოდენობის დასაწყისს... ამიტომაც, რათა გვცოდნოდა, რომ სამყარო ღვთის ნებით დროში არ შექმნილა, ნათქვამია: *დასაწყისში შექმნა.* ხოლო სხვა მთარგმნელებმა[1], ცხადად რომ გადმოეცათ აზრი, თქვეს:

---

[1] იგულისხმება პონტოელი აკილა, პროზელიტი (II ს.), რომელმაც წმინდა წერილი თარგმნა მას შემდეგ, რაც ებრაელებმა სეპტუ-

> ’εν κεφαλαίῳ ἐποίησεν ὁ Θεὸς – „მყისიერად[1] შექმნა ღმერთმა“ (ბასილი დიდის ჰომილიები ექვსთა დღეთაზე).

მაგრამ წმ. ბასილი შესაქმის უდროჟამობას არ უკავშირებს არარას ცნებას, სახელდობრ, რომ შესაქმე არა მხოლოდ უდროჟამობაში, არამედ ასევე უსივრცობაში მოხდა, რაც იმის ჩვენება იქნებოდა, რომ სამყარო აბსოლუტურ არარაში შეიქმნა, სადაც არც დროჟამული განზომილება ყოფილა და არც ვრცეულობა. ჩანს, მისთვის ex nihilo-ს თემა აქტუალური არ იყო. თუმცა იოანე ოქროპირი და ეფრემ ასური კი საუბრობენ *არარადან* შექმნაზე, მაგრამ არ სვამენ კითხვას, თუ როგორ გაჩნდა თავად ეს *არარა*.

ნეტარი ავგუსტინე *არარას* გამო ვრცლად მსჯელობს, მაგრამ არც მას მიაჩნია პრობლემად *არარას* გენეზისი.

> „შენ შეჰქმენი ცა და მიწა, მაგრამ შენ საკუთარი სუბსტანციისგან როდი შეგიქმნია ისინი, თორემ შენი ქმნილება შენი მხოლოდშობილი ძისა და, მაშასადამე, თვით შენი სწორი იქნებოდა. მაგრამ ყოვლად დაუშვებელია, რომ შენი სწორი იყოს ის, რაც თვით შენგან არ წარმომდგარა. ხოლო შენ გარდა, ღმერთო, ერთარსება სამებავ და სამპიროვანო ერთებავ, არაფერი ყოფილა, რისგანაც შეგეძლო სამყაროს შექმნა. ამიტომაც „არარაისგან“ შეჰქმენი ცა და მიწა... დიახ, შენ იყავი და ის „არარა“,[2] რომლისგანაც

აგინტა უარყვეს. მისი თარგმანი მეტისმეტი სიტყვასიტყვითობით გამოირჩევა.

[1] ბასილი დიდს ’εν κεφαλαίῳ („თავში“), რომელიც აკვილას თარგმანში ენაცვლება სეპტუაგინტასეულ ’εν ἀρχῇ-ს („დასაწყისში“) რატომღაც გაგებული აქვს, როგორც „მყისიერად“.

[2] „შენ იყავი და ის არარა“ – ამ თარგმანით გამოდის, რომ არარა თითქოს ღმერთის თანამარადიულია და თანაც, რომ იგი არსებობს და მისი სუბსტანციისგან შეიქმნა, რაც შეიქმნა, რისი თქმაც არ სურდა ავგუსტინეს. tu eras et aliud nihil, ზუსტად ითარგმება როგორც: „შენ იყავი და სხვა არაფერი [იყო]“.

> შეჰქმენი ცა და მიწა“, ეს ორი სხეული, რომელთაგან ერთი ახლოსაა შენთან, მეორე კი – არარასთან...“ (აღსარებანი, წ. 12, VII. ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანი).

როგორც ვხედავთ, ავგუსტინეს ნააზრევი ნიკეური მრწამსის გამოძახილია: სამყარო ღვთის სუბსტანციისგან შექმნილი რომ ყოფილიყო, ის შექმნილი კი არა, შობილი იქნებოდა, როგორც „ძე... შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა...“. სამყარო კი, როგორც ქმნილი და არა შობილი, შემოქმედის ერთარსი (*ჰომოუსიოს*) არ არის, მისი წიაღიდან არ არის გამოსული და, მაშ, საიდან უნდა შექმნილიყო იგი, თუ არა ისევ და ისევ არარადან, იქიდან, სადაც ღმერთი არ სუფევს? მაგრამ რას წარმოადგენს ეს არარა? ავგუსტინეს მომდევნო მონაკვეთიდან ჩანს, რომ მისთვის არარა თითქოს მხოლოდ მატერიის კნინობის მეტაფორაა და არა აბსოლუტური სიცარიელე, როგორც შესაქმის პირობა:

> „ხოლო შენ მიერ შექმნილი ეს მიწა უსახო მატერია იყო, „უხილავი, უდაბური, და ბნელი იყო უფსკრულის თავზე“. ამ უხილავი, უდაბური და უსახო მიწისაგან, ამ თითქმის „არარაისაგან“ შეჰქმენი ყოველივე, რაც ამ ცვალებად სამყაროს შეადგენს“ (წ. 12, VIII).

მაგრამ, როცა ავგუსტინე შეეცდება გააცნობიეროს არარას კონცეფტი, ასეთ ალტერნატივას მიმართავს:

> „რომ შეიძლებოდეს მასზე გვეთქვა: „არარაობა, რომელიც არის რაობა“, ანდა „არის ის, [რაც] არ არის“ (“nihil aliquid” et “est non est”)[1], მაშინ მე ვიტყოდი ამას. და მაინც, ის რაღაცნაირად უნდა არსებულიყო, რათა, ასე თუ ისე, ხილული და ჩვენთვის ჩვეული სახე მიეღო“ (წ. 12, VI).

---

[1] უკიდურესად შეკუმშული ფრაზა, რომლითაც ავტორი ცდილობს არარას „რაობის“ გამოუხატველობა გადმოსცეს: *არარა-რაიმე* და *არის-და-არც არის.*

„ჩვენთვის ჩვეული სახე“ ამ კონტექსტში უნდა გულისხმობდეს გონებისთვის მისაწვდომს. გონებას კი მხოლოდ იმ „რეალობის“ წვდომა შეუძლია, რომელსაც *რაღაც*, *რაიმე* (aliquid) არსებობა მაინც აქვს. როცა გონება მიადგება გასააზრებლად არარას, მას სხვა გზა არა აქვს, თუ არა – არარას გადაქცევა რაობად (რაიმედ, რაღაცად), რომლის სიტყვიერი გამოხატულება გამოძებნილია: est non est – „არის, არ არის“. აქ ადამიანის გონება წინააღმდეგობაში ვარდება: არარას რაობას ანუ არსებობას მიაწერს, რაც აბსურდია. მაგრამ ეს არის სწორედ ის, რასაც „უსახო სახე“ გვამცნობს – ოქსიმორონი და პარადოქსული იდიომა, მეტაფიზიკური აბსურდი, რაზეც დაფუძნებულია აპოფატიკური ღვთისმეტყველება, როგორც ღვთის შეუცნობლობის მტკიცების უსასრულო გზა.

რა არის საჭირო *ჰო* და *არას* (რაობა-არარას: არის-არც არის) შორის ამ მტკივნეული არჩევანისგან თავის დასაღწევად? ესქატოლოგიური ჟამის მოლოდინი, როგორც ბრაცლაველი ცადიკი სთავაზობს თავის ხასიდებს (იხ. ქვემოთ), თუ ახლავე, ამ ჟამსვე არის შესაძლებელი მისი დაძლევა? ან, უბრალოდ, იმ ყველასგან აღიარებული განსაზღვრებით, რომ ღმერთი აბსოლუტური და ყოვლისშემძლე *არსებაა*? ისე, როგორც ერთგან ლაიბნიცი წერს, მორწმუნენი ჯეროვნად არ ითვალისწინებენ იმ შედეგებს, რომლებიც ამ განსაზღვრებიდან უნდა გამომდინარეობდეს. ამ განსაზღვრებიდან კი, დავსძენთ ჩვენ, ის გამომდინარეობს, რომ ყოვლისშემძლე აბსოლუტისთვის შეუძლებელი არაფერია. რა დააბრკოლებს მის ყოვლისშემძლეობას, რომ არარსებული არსებულად აქციოს?

ქრისტიანული კოსმოგონია აღიარებს არარას შესაქმის დასაწყისში, მაგრამ არ სვამს კითხვას, საიდან და როგორ გაჩნდა დასაწყისამდე ეს არარა, ეს nihil. პასუხს ამ კითხვაზე კაბალა იძლევა და, რაც მნიშვნელოვანია, ხასიდურ მოძღვრებაში იგი ეკსისტენციალურ განზომლებას იძენს.

ციმცუმი

„რათა არსებობა არარადან გამოეთრია“
(იბნ გებიროლი, 1021-1058)

სიკვდილამდე მცირეხნით ადრე ხასიდების ცადიკს, რაბი შნეურ-ზალმანს (1745-1812) უთქვამს: „ყველაფერი, რასაც ახლა ვხედავ, ღვთაებრივი არარაა, რომელიც სამყაროს სიცოცხლეს ანიჭებს“. შნეურ-ზალმანმა სიკვდილის წინ, როცა მას მეექვსე ხედვა გაეხსნა, იხილა ის სურათი, რომელიც სამასი წლის წინ ერთმა ესპანელმა კაბალისტმა ამგვარად წარმოსახა: „არარას სასახლეში ყველაფერი სუფევს“[1]. ამ განჭვრეტით არარა ღვთის მარადიულად თანასუფევს, როგორ *ერთის* ორი საპირისპირო, მეტიც, ურთიერთგამომრიცხავი, გონებისთვის აუტანელი ასპექტი. არარა ღვთის *სხვაა*, მაგრამ ის მისგან რაღაც დამოუკიდებელი აბსტრაქცია კი არ არის, არამედ *მისი სხვაა*, როგორც ერთიანი მედლის სხვა მხარე, რომელიც მეორე სხვაზე არც უდარესია და არც ნაკლული. არარა და ყოფნა ერთი ზეყოფნის ორი ასპექტია. არარა ისევე ეკუთვნის ღმერთს, როგორც ყოფა. ყოფაც ჩემია და არარაც ჩემია, იტყვის ის. ებრაული ენის მორფოლოგია კუთვნილებითი ნაცვალსახელის აუცილებელი დართვით ხელს უწყობს ამ იდეის ადეკვატურად გამოხატვას: „მისი არარა“, ანუ „მისი არყოფნა“. არარას გარდაქმნა ყოფნად, ანუ შესაქმე, არის თავად ღმერთში მიმდინარე პროცესი, როდესაც ღვთიური სიბრძნის მანიფესტაცია ხდება. ეს არის სწორედ შესაქმე, რომელიც არარაში ღვთის დაფარულის გარეგამოვლენაში მდგომარეობს. ფორმულა ასეთია: „მან თავისი არარა თავის ყოფად შექმნა“[2].

განახლებული კაბალის ავტორის, იცხაკ ლურიას (1534-1572) კოსმოლოგია, რომელიც არა მხოლოდ აღიარებს არარადან სამყაროს წარმოშობას, არამედ თავად არარას გაჩენასაც უძებ-

---

1 Gershom Sholem, Über einige Grundbegriffe des Judentums, გვ. 83.

2 Ibid. გვ. 79.

ნის ვითარებას და მიზეზს, რაზეც არათუ ბიბლიური ნარატივი, არამედ ძველი კლასიკური კაბალაც დუმს. მისთვის არარა ისევე დაუსაბამოა და მარადიული, როგორც თავად ენსოფი[1].

ლურიამ ლოგიკური კითხვა დასვა: როგორ შეძლო ენსოფმა რაიმეს შექმნა თავის გარეთ, როცა მის გარეთ არ იყო არც სივრცე და არც დრო. რათა შესაქმე შესაძლებელი ყოფილიყო, აუცილებლად უნდა არსებულიყო სივრცე, რომელსაც უნდა მოეცვა სხვა რამ, ვიდრე ღვთების წმინდა და უსასრულო არსებაა. სხვაგვარად, თუ ღმერთი უსასრულოა, როგორ არის შესაძლებელი რაიმეს არსებობა, რაც არ არის ღმერთი? ღვთის არსებობის შესარიგებლად ფიზიკური სამყაროს არსებობასთან ლურიას შემოაქვს *ციმცუმის* კონცეფტი, რომელიც მან მიდრაშიდან[2] ისესხა, სადაც სიტყვა *ციმცუმ* გამოყენებულია ღვთაების შეკუმშვის მნიშვნელობით: *ენსოფის* უსასრულობა შეიკუმშა *შეხინას* (უსასრულო ღვთის მყოფობის) დასასადგურებლად იერუსალიმის ტაძრის წმინდათა წმინდას შეზღუდულ სივრცეში. ლურიამ ეს მომენტი კოსმოგონიის კონტექსტში გაიაზრა: *ენსოფმა* თავისი თავის მიმართ მოახდინა *ციმცუმი*, ანუ საკუთარი თავი გამოდევნა საკუთარი თავისგან თავის გარეშე სიცარიელის წარმოსაქმნელად, რათა შესაქმე შესაძლებელი გამხდარიყო. ასე რომ, პირველი ხდომილება შესაქმის ისტორიაში სხვა არაფერია, თუ არა ღვთის თვითგამოდევნა თავისივე თავისგან, რამაც შემდგომ საფუძველი დაუდო დევნილების მრავალპლანიან კონცეფტს.

ხასიდების დიდი ცადიკი, ბეშტის შვილთაშვილი რაბი ნახმან ბრაცლაველი (1772-1810) ამგვარად გადმოსცემს ამ კოსმიურ პროცესს:

---

1 *ენ სოფ* – „უსასრულო“, ღვთაების ეპითეტი და საკუთარი სახელი კაბალისტურ წიგნებში.

2 *მიდრაშ* – „ძიება“, ძირითადად, ჰომილიებისა და ბიბლიის ძნელი ადგილების განმარტებათა კრებული.

„კურთხეულმა უფალმა თავისი მოწყალებით შექმნა ეს სამყარო, რადგან ენება თავისი მოწყალების (*ხესედ*) გამოვლენა და, თუ არ შეიქმნებოდა სამყარო, ვის მიმართ უნდა გამოეჩინა თავისი მოწყალება? იმიტომ შექმნა მთელი ქმნილება, დაწყებული ემანაციიდან ბოლომდე – ნივთიერი სამყაროს შუაგულამდე, რომ გამოეჩინა თავისი მოწყალება. მაგრამ როცა მოინება კურთხეულმა უფალმა სამყაროს შესაქმე, არ არსებობდა ადგილი ქმნილებისთვის, რადგან ყველაფერი ერთი უსასრულობა (*ენსოფ*) იყო. ამიტომ მან შეკუმშა (ზმნური მესამე პირის ფორმა: *ციმცემ*, ზ. კ.) ნათელი და ამ შეკუმშვის შედეგად წარმოიშვა სიცარიელე, სიცარიელის შიგნით კი წარმოიქმნა დრო და სივრცე, რაც სწორედ სამყაროს შექმნას ნიშნავს. და ეს სიცარიელე აუცილებელია სამყაროს შესაქმისთვის, რადგან სიცარიელის გარეშე ქმნილებისთვის ვერანაირი ადგილი ვერ მოიძებნებოდა. ეს შეკუმშვა (სახელზმნა: *ციმცუმ*, ზ. კ.) სიცარიელის გასაჩენად მიუწვდომელია გონებისთვის, მხოლოდ დღეთა დასასრულს, როცა შეერთდება ორი დაპირისპირებული რამ – ჰო და არა, მაშინ გახდება შესაძლებელი მისი წვდომა. სიცარიელე წარმოიშვა შეკუმშვის შედეგად. თითქოს მან (უფალმა) შეკუმშა თავისი ღვთაება და თითქოს (იმ სიცარიელეში) აღარ იყო ღვთაება. ხოლო თუ იყო, სიცარიელე არ იქნებოდა, ყველაფერი უსასრულობა იქნებოდა და სად უნდა შექმნილიყო ეს სასრული სამყარო? მაგრამ ისიც შეუვალი ჭეშმარიტებაა, რომ ყველაფრის მიუხედავად, იქაც უეჭველად მყოფობს ღვთაება, რადგან ვერაფერი იარსებებს მისი ცხოველმყოფელი ძალის გარეშე. ამიტომ სიცარიელე შეუცნობელი დარჩება გონებისთვის დროჟამის დასასრულამდე“.[1]

სამყაროს შექმნა ისევე, როგორც სიცარიელის არსებობა შესაქმისთვის, დაბოლოს, სამყაროს არსებობა პარადოქსულია,

---

[1] Артур Авраам Грин, Страдающий наставник, Жизнь и учение рабби Нахмана из Брацлава, 2007, стр. 381.

პარადოქსი კი ადამიანის გონებაში ვერასოდეს დაიძლევა. ამ პარადოქსის მისაღებად რწმენაა საჭირო. ხასიდი რწმენით იწყნარებს ამ პარადოქსს, რომლის საზრისი მხოლოდ მაშინ გახდება საცნაური, როცა გონების შეზღუდულობა (დასაზღვრულობა) მოიხსნება. მანამდე კი გონებას არც იმის შეცნობა (თუნდაც წარმოდგენა) ძალუძს, თუ სად და როდის შეიქმნა სამყარო ყოვლადი უსასრულობის პირობებში, და არც იმისა, თუ როგორ გაჩნდა უსასრულობაში (უდროობასა და უსივრცობაში) სასრული, ანუ დროისა და სივრცის კატეგორიებში გაკვალთული ეს სამყარო. ხასიდებმა აიტაცეს და ეკსისტენციალურ კატეგორიად გახადეს კაბალისტური მოძღვრების ძირითადი კონცეფტი *ციმცუმ*, რომელიც ღვთაების შეკუმშვას, ან, სხვანაირად, ღვთიური სისავსის (გნოსტიკოსთა *პლეროომის*) დაცლას გულისხმობს. მაგრამ ეს მხოლოდ მეტაფორაა ან მითოლოგემა, თუნდაც თეოლოგუმენი შესაქმის პარადოქსის საჩვენებლად და არა ასახსნელად. როგორ მოხდა, რომ ღმერთმა თავისი ღვთაების შეკუმშვით (შეკეცვით, წაგრაგნვით), განდევნით სიცარიელე შექმნა და ამ სიცარიელეში განაგრძობს მყოფობას? ჰოც და არაც. მაგრამ ეს შეუთავსებელია გონებასთან, რომელიც ლოგიკური კატეგორიებით იმეცნებს, რასაც იმეცნებს. დიდი ცადიკი რაბი ნახმანი ამბობს, რომ ესქატოლოგიურ ჟამს (დღეთა დასასრულს) შექმნილი სამყაროსთვის აღარ იქნება ჩვეული არჩევანის (ან ჰო, ან არა-ს) აუცილებლობა, რადგან ყველაფერი შესაქმემდელ ერთობას, არჩევანის მიღმიერ მდგომარეობას დაუბრუნდება (არჩევანი ხომ მხოლოდ დუალისტური სინამდვილის შესაძლებლობაა...). იმ ჟამამდე კი ამ საგანზე საუბარი სხვაგვარად ვერ მოხერხდება, თუ არა ისევ და ისევ შექმნილი სამყაროს გამომხატველი მეტაფორული ლექსიკის მეშვეობით[1]. *არარას* არსს *რაობაში* შექმნილი სიტყვა მხოლოდ თავისი მე-

[1] გრიგოლ ღვთისმეტყველი, რომელსაც „სამების მგალობლად“ მოიხსენიებენ, თუ არა მეტაფორულად, სხვაგვარად ვერ გადმოს-

ტაფორულობის ძალით თუ გამოხატავს. მეტაფორაა თავად *ციმცუმის* ზოგადი იდეა და ყოველი მოქმედება, რაც მასში შეიძლება ვიგულისხმოთ – შეკუმშვა იქნება, წარმოცარიელება, ჩასუნთქვა, თუ თვითგამოდევნა, თუ განზე გაწევა და ადგილის დათმობა ქმნადი სამყაროსთვის. უმყოფობის გადმოცემა გვიხდება მყოფობის გამომხატველი ლექსიკით, რასაც პარადოქსულ შედეგამდე მივყავართ: ნებისმიერი ლექსიკით გამოხატული არარსებული (არარა) არსებულის სტატუსს იძენს, რაც ლოგიკური წინააღმდეგობაა და საღი აზრი მას სამართლიანად უკუაგდებს.

ციმცუმის კონცეფტი ხსნის ყოვლადკეთილი ღმერთის არსებობის პირობებში ბოროტების შესაძლებლობას. მართლაც, როდის და სად შეიძლება გაჩენილიყო ბოროტება, თუ არა მაშინ, როცა და სადაც შეკუმშულმა თუ უკანდახეულმა ღვთაებამ დაცალა თავი, ანუ სიცარიელეში, სადაც ღმერთი აღარ იმყოფება მთელი თავისი სისავსით? ცადიკებმა განავითარეს *ციმცუმის* მოძღვრება და დაასკვნეს, რომ სიცარიელეში, რომელიც ნათლის განდევნის (შეკუმშვის) შედეგად წარმოიშვა, მასში აქა-იქ შემორჩენილი ნათლის ნაპერწკლები უფლის მოწინააღმდეგე ძალებმა დაატყვევეს, სხვანაირად, კვლავ – მეტაფორულად – „ნაჭუჭებში“ მოაქციეს. იქ, სადაც ღმერთი, აბსოლუტური სიკეთე, არ ჰგიეს, ბოროტება ისადგურებს. *ციმცუმი* თუ სამყაროს შექმნის პირობაა, იმავდროულად ბოროტების წარმოშობის პირობაც არის. ნათლისგან დაცლილი სიცარიელის ავსებას სასრული ქმნილებით თან დაჰყვა ნათლის ნარჩენები, რომლებიც ბოროტმა ძალებმა დაისაკუთრეს (ბოროტს მხოლოდ ნათლის ფრაგმენტებთან აქვს წვდომა, არა მთლიან ნათელთან...), მაგრამ ბოროტების ხელში ნათლის ნაპერწკლებმა ნეგატიური სახე მიიღეს, რომელთაც ხასიდები, კაბალისტიკის

ცემს ერთარსება სამების საიდუმლოს. ასევე იქცევიან კაბალის ავტორებიც.

კვალზე, „ნაჭუჭებს“ (*ქლიფოთ*) უწოდებენ. შემდგომ ხასიდებში ჩამოყალიბდა მისტიკური კონცეფცია, რომლის თანახმად, ყოველი ადამიანი, თუ ის დაადგება ხასიდობის გზას, კოსმიური პასუხისმგებლობით იტვირთება – მისი მოვალეობაა ნათლის ნაპერწკლების გათავისუფლება ბოროტ ძალთა „ნაჭუჭების“ ტყვეობიდან და ნათლის სისავსეში მათი მიქცევა. ამ აქტით, ადამიანში დატყვევებული, ნაჭუჭად ქცეული ნაპერწკლის გათავისუფლებით, უფრო სწორად, ნაჭუჭიდან მისი აღდგენით იგი (ხასიდი) სამმაგი ამოცანის გადაწყვეტაშია ჩაბმული: ეს არის ერთსა და იმავე დროს, ურთიერთგამსჭვალვით: პიროვნული, ნაციონალური და კოსმიური ხსნა. სხვანაირად, როგორც კაბალა ამბობს, ეს არის შესაქმეში დაშვებული კატასტროფის, ფიგურალურად, „დამსხვრეული ჭურჭლების“ აღდგენა – *თიკუნ*, რომელიც, ვფიქრობ, ტიპოლოგიურად ქრისტიანული ხსნის (*სოტერიის*) და საყოველთაო აღდგინების (*აპოკატასტასის ტონ პანტონ*) ბადალია (ამაზე ქვემოთ).

„ჭურჭლების მსხვრევა“ (*შევირათ ქელიმ*) კაბალას კოსმოგონიის ფანტასტიკური კონცეფტია, ერთგვარი კოსმოგონიური მითოლოგემა. პროცესი ასეთია: შესაქმისთვის განკუთვნილ „სიცარიელეში“ ენსოფმა მოახდინა თავისი ნათლის ემანაცია, რომლის პირველსავე საფეხურზე ნათლის მატარებელმა ჭურჭლებმა ვერ გაუძლეს შეუქმნელი ნათლის ძალას და დაიმსხვრნენ. ნათლის ნაპერწკლები გაიფანტა, ზოგი ენსოფს დაუბრუნდა, უმეტესობა „ნაჭუჭების“, ალბათ ჭურჭელთა ნამსხვრევების, ბოროტი ძალების ტყვეობაში მოექცა. *თიკუნი* შესაქმის უკუპროცესია: დამსხვრეული სამყარო აღდგენას, ყველაფრის პირველსაწყისში დაბრუნებას მოითხოვს. *თიკუნი* ანუ გამოსწორება-აღდგენა არის კოსმოსის, კაცობრობის ისტორიის, რელიგიის, რჩეული ერის, ადამიანის ცხოვრების საზრისი.

კვლავ *ციმცუმზე* რომ ვისაუბროთ, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მოყვანილი მონაკვეთის ავტორს, ნახმან ბრაცლაველს,

ძალზე აფიქრებს და აღელვებს სიცარიელის არსებობის, როგორც აბსურდის, მაგრამ ამავე დროს, როგორც ღვთიური შესაქმის აუცილებელი პირობის პრობლემა. აი, რას წერს იგი:

> „აჰა, რწმენის მეოხებით, გვწამს რა, რომ კურთხეული უფალი ავსებს სამყაროებს და გარს ერტყმის სამყაროებს და, რაკი ის გარს ერტყმის სამყაროებს, რაკი ასეა ეს, თავად სიცარიელე მისი სიბრძნისგან წარმოშობილად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა უეჭველია, რომ იქ (სიცარიელეში) მყოფობს მისი ღვთაებრიობა, მაგრამ ამის წვდომა და მასში კურთხეული უფლის ძიება შეუძლებელია [...]. და თუ შესაძლებელი იქნებოდა მასში კურთხეული უფლის მოძიება, ასე რომ ყოფილიყო, სიცარიელე ხომ არ იარსებებდა და ქმნილებაც არ წარმოიშობოდა. მაგრამ ჭეშმარიტად არის ამაზე პასუხი და ჭეშმარიტად მყოფობს იქ (სიცარიელეში) მისი ღვთაებრიობა. მსჯელობის შემდეგ კი მასში იკარგებიან (იბნევიან), რადგან შეუძლებელია იქ კურთხეული უფლის პოვნა, რადგან ეს სიცარიელეა (სადაც არაფერი არ არის). მხოლოდ უნდა ვირწმუნოთ, რომ კურთხეული უფალი გარს ერტყმის მას და ჭეშმარიტად მასში იმყოფება მისი ღვთაებრიობა“ (იქვე, გვ. 386).

და კვლავ პარადოქსამდე მიდის ფიქრი. აქ ფიქრი, მსჯელობა, კედელს აწყდება, სადაც წყდება აზროვნების ყოველგვარი საშუალება. ადამიანის გონება ჩიხში ექცევა და მისი თავშესაფარი და შვება მხოლოდ და მხოლოდ რწმენაა.

რელიგიური აზრისთვის აუტანელია იმის დაშვება, რომ არსებობს ადგილი, სადაც ღმერთი არ სუფევს. მეორე მხრივ, მისთვის დაუშვებელია ასევე ღვთიურ უსასრულო სისავსეში რაიმე სასრულის შექმნა. ისევ და ისევ ადამიანმა უნდა დაუშვას არარაობის *არსებობა*, ანუ ისეთი „სივრცისა“, სადაც არ ჰგიეს ღმერთი. ლურიანული კაბალის განჭვრეტით, ღმერთმა სამყარო თავის გარეთ *არსებულ* არარაში შექმნა. ანუ ღვთის შემოქმედებითი ნება შესაქმისას მის გარეთ იყო მიმართული. როცა გერშომ შოლემი ამ კონცეფტს ეხება, თომა აკვინელს იმოწ-

მებს, რომელიც თითქოს ღვთის ამ ქმედებას განსაზღვრავს, როგორც: operatio dei ad extra – „ქმედება ღვთისა გარეთკენ“.[1] ახლოს მიდის პრობლემასთან იურგენს მოლტმანი:

> „ავგუსტინედან მოყოლებული ქრისტიანული თეოლოგია შესაქმეს უწოდებს ღვთის აქტს გარეთკენ: operatio Dei ad extra, opus trinitatis ad extra, actio Dei externa. ეს განსხვავდება ღვთის აქტისგან შიგნითკენ, რომელსაც ადგილი აქვს სამებაში, წევრთა ურთიერთობის სახით.
> მაგრამ არ სვამენ კრიტიკულ კითხვას: შესაძლებელია კი ყოვლისშემძლე ღმერთს ჰქონდეს „გარე“ ასპექტი? თუ მივიღებთ ცნებას – ad extra – ღვთის მიმართ, არ ნიშნავს განა ეს ღვთისთვის საზღვრის დაწესებას? ვის შეუძლია, ღმერთს საზღვარი დაუწესოს? თუკი არსებობს სფერო ღვთის გარეთ, ღმერთი ყოვლისშემძლე და ყველგანმყოფი არ ყოფილა. ეს *გარე* ღმერთის თანამარადიული უნდა იყოს. ეს კი აბსურდამდე მიდის.
> არის ერთი შესაძლებელი გზა extra deum-ის ცნების მისაღებად. ეს არის თვითშეზღუდვა თავად ღვთის მიერ, რომელიც წინ უძღვის შესაქმეს. იმისთვის, რომ უსასრულო ღმერთმა სამყარო შექმნას, მან თავის გარეთ უნდა შექმნას სივრცე.
> Nihil *არარა* ღვთის creation ex nihilo-სთვის მხოლოდ იმ მიზნით გახდა „არსებული“, რომ (და რამდენადაც) ყოვლისშემძლე და ყველგანმყოფმა ღმერთმა *უკან დახია* თავისი მყოფობა და შეზღუდა თავისი ყოვლისმომცველობა“.[2]

მოლტმანი ეყრდნობა ციმცუმის იდეას და ცდილობს დაა-კავშიროს ერთმანეთთან შესაქმე და ჯვარცმა, როგორც იმავე

---

1 Gershom Sholem, Über einige Grundbegriffe des Judentums, გვ. 59. თომა აკვინელის ნაშრომებში ეს გამოთქმა არ იძებნება. თავის ნაწერებში იგი არც ეხება არარას წარმოშობის საკითხს, როგორ უთავსდება ერთმანეთს არარა და ღვთის აბსოლუტური სისავსე.

2 Jürgen Moltman, Creation Out of Nothing, p. 66.

საყოველთაო მოდელის ნაწილი: ღვთიური ნება უნდა წარმოცარიელდეს ან შეიზღუდოს, იტანჯოს, რათა შესაქმე გაიფურჩქნოს. რა გამოდის? ღმერთი თავს სწირავს შესაქმისთვის... მაშ, ციმცუმიც ერთგვარი თვითშეწირვაა.

მის სიტყვებს დავუმატებდი: რომ ეს „უკან დახევა“ ან, კაბალის ტერმინოლოგიით: „შეკუმშვა“, „თავის თავისგან გაქცევა“, „განრიდება“, „თვითექსორია“ სწორედ ღვთის ყოვლისშემძლეობის გამოვლინებაა. რა ძალაც ღმერთს *კენოზისის* მდგომარეობას შეაძლებინებს, იმავე ძალით ხდება *ენსოფის* (უსასრულობის) თვითშეზღუდვა. ყოვლისშემძლე ღმერთს შეუძლია ეგოს და არც ეგოს, ანუ მის აბსოლუტურ სისავსეს ჰქონდეს გარე ასპექტი, სივრცე, სადაც არ ჰგიეს, მაგრამ სადაც შესაძლებელია ქმნილების განშლა სამყაროს სახით. აქედან გამომდინარე, ეს ad extra და extra deum არა მხოლოდ იმას გვეუბნება, რომ, განსხვავებით სამების წიაღში შინაგანი მოძრაობისა, ღმერთი გარეთაც მოძრაობს, არამედ იმ პარადოქსულ ვითარებასაც გვიმხელს, რომ შესაძლებელია შეიქმნას ადგილი ღვთის სისავსის გარეთ, სადაც არ ჰგიეს ღმერთი. ეს არის *არარა*. და ამ არარას ქმნის ყოვლისშემძლე ღმერთი. ყოვლისმპყრობელი ღმერთი ჯერ არარასი და მერმე სამყაროს შემოქმედია, იმ სამყაროსი, რომელსაც არარაში უდევს ფესვი და წილი. არარაა სამყაროს არსებობის შესაძლებლობა და არარაშივეა მისი სიმყიფე.

კაბალის ჩასახვამდე კარგა ხნით ადრე, ჩვ. წ. III საუკუნეში *მიდრაშის* მოძღვარნი ამტკიცებდნენ, რომ ღმერთმა *შეხინა*, თავისი სუფევა (присутствие, παρουσια, praesentia), ციმცუმის პრინციპით, ანუ შეკუმშვით, იერუსალიმის ტაძრის „წმინდათა წმინდაში“ მოაქცია. მაინც რა არის *შეხინა* – ღვთის სუფევა ამ ნივთიერ სამყაროში, თუ არა ერთ უგანზომილებო წერტილში მოქცეული ენსოფი, უსასრულობა, რომელიც ამ „ოპერაციის“ (თვითშეკუმშვის) გარეშე ვერ დაეტეოდა თავის მიერ შექმნილ სამყაროში. ეს არის, შეიძლება ითქვას, მისი ვირტუალური

არსებობა სასრულ განზომილებაში. ეს იდუმალი კოსმიური აქტი გვაგონებს სამების მეორე ჰიპოსტატის, ძის, ჩასახვისა და მერე განხორციელების აქტს, რაც ქრისტიანულ ჰიმნოგრაფიაში საშობაო ტექსტების გავრცელებული ტოპოსია („ვითარ ცათა დაუტევნელი დაიტიე“ და სხვა და სხვა).

„შეკუმშვის“ იდეა, როგორც ზემოთ ითქვა, იცხაკ ლურიამ მიდრაშიდან ისესხა, მაგრამ იგი სრულიად განსხვავებული საზრისით დატვირთა. მიდრაშით, ღმერთი-ენსოფი შეკუმშული შეხინას სახით მყოფობს ტაძარში, ლურიას განჭვრეტით კი, შეკუმშული ან თავის თავისგან განდევნილი ენსოფი თავის გარშემო სიცრიელეს ქმნის. ციმცუმის ცნების გამომხატველი ყველა ლექსემა (შეკუშვა, გაქცევა, უკანდახევა, განდევნა..)[1], არსებითად, ერთსა და იმავეზე – ქმედება-შედეგზე მიუთითებს. ღვთის არსება ერთ ადგილზე „მიიხვეტება“ და, საიდანაც მიიხვეტება, იქ სიცარიელე ჩნდება. ერთ ადგილზე იკრიბება მთელი სიწმინდე, მთელი ღვთაებრივი ძალა და მუხტი, რომელსაც, როგორც უგანზომილებო წერტილს, სივრცეში ადგილი არ უჭირავს, რადგან ამ შეხვეტამ გამოიწვია მისგან ცარიელი და მის გარეშე არსებული სივრცე. სხვა ხედვით, ეს არის *ენსოფის* („უსასრულო“ – გამოუვლენელი ღმერთის) თავის თავისგან „წასვლა-დაშორება“, ანუ *ენსოფი* ტოვებს და შორდება თავის თავს და, საიდანაც დაშორდა, იქ სიცარიელე წარმოშვა, მისგან აბსოლუტურად საპირისპირო რაღაც. იქ, სადაც *ენსოფი* წავიდა, მისი არსების მაქსიმალური სიმკვრივე შეიქმნა, სხვაგვარად რომ თქვათ, უზარმაზარი მასა ერთ უგანზომილებო წერტილში

---

[1] გარკვეული ასპექტით, ადეკვატურია შალომ დავიდის მიერ შემოთავაზებული „შესრუტვა“, რომლითაც ის ენსოფის პრიმორდიალურ ქმედებას ახასიათებს: „[ენსოფის] უსასრულო სინათლეში არ იყო „ადგილი“ სასრული არსებობისათვის. მაგრამ შემოქმედის ყოლადძლიერებამ მას თავის თავში უსასრულო სინათლის შესრუტვის საშუალება მისცა...“ (შალომ დავიდი, ებრაულ-კაბალისტური ფილოსოფია..., გვ. 90).

მოექცა. ხოლო წასვლისა და გახვეტის შედეგად დარჩა აბსოლუტურად გაიშვიათებული რეალობა, ანუ აბსოლუტური სიცარიელე. თუმცა იცხაკ ლურიას განჭვრეტით, ამ სიცარიელეში რჩება *ენსოფის* სიწმინდისა თუ ნათლის კვალი, ნარჩენები. ასე რომ, *ენსოფი* მთლიანად არ „ასუფთავებს“ თავისი არსებისგან თავის მიერვე შექმნილ, უფრო, დატოვებულ არარას, ისევე როგორც ზეთის გემო და სუნი რჩება ჭურჭელში მისი გადმოღვრის შემდეგ. სხვაგვართქმით, *რეშიმუ*-კვალი მსგავსია იმედისა, რომელიც არარაში კიაფობს. ქმნილება, რომელიც ამ არარაში შეიქმნა, საბოლოოდ, არ რჩება სიწმინდისა და ნათლის გარეშე. სასრულ ქმნილებას არ ძალუძს არც უსასრულო *ენსოფში*, არც აბსოლუტურ სიცარიელეში არსებობა, მას მხოლოდ *ენსოფისგან* (აბსოლუტური სიწმინდისა და ნათლისგან) გაიშვიათებულ ადგილზე შეუძლია არსებობა. აქ შემოდის ტერმინი *ხალალ პანუი* – ებრ. „პროფანული სიცარიელე“, რომლითაც ქმნილებათა საარსებო სივრცეა დახასიათებული.[1] *ხალალ პანუი* გვეუბნება, რომ *ენსოფისგან* დაცლილი სივრცე პროფანულის (სადაგის) სტატუსში ვარგისია და, უხიფათოც, დავძენთ ჩვენ, ქმნილების საარსებოდ. და სწორედ აქ მოხდა *ენსოფის* ემანირება არსებული სამყაროს სახით.

ციმცუმის მოქმედების კიდევ უფრო მიახლოებით აღსაწერად ჩვენ შემოგვაქვს ხევსურული ტერმინი „კვრივი“, რომელიც სიწმინდის მაქსიმალურ ხარისხს აღნიშნავს. სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ განმარტებით, *კვრივი* ღრუ და ფუტურო რეალობას უპირისპირდება იმ ნიშნით, რომ იგი, რო-

---

[1] თავად სემანტიკა ტერმინისა *ხალალ* ინტერესს იწვევს. ბიბლიაში იგი სიწმინდის საპირისპირო მდგომარეობას აღნიშნავს, როგორც სადაგ, სეკულარულ სივრცეს, სადაც ადამიანს ნებადართული აქვს ყოფნა და, ზოგადად, არსებობა. ებრ. *ხალალ* იდენტურია არაბულის სიტყვისა *ხალალ*, რომელიც ასევე ნებადართულს ნიშნავს (შდრ. ქართ. ალალი) *ხარამ*-ის, აკრძალულის, საპირისპიროდ (შდრ. ქართ. არამი).

გორც მთლიანი და მონოლითური, ფიზიკურად შეუღწეველია. მირჩა ელიადეს განმარტება წმინდის „თავდაპირველი ონტოლოგიური სიმკვრივის“ (densité) შესახებ[1] ეხმიანება ხევსურული საკრალური ტერმინოლოგიის „კვრივს“, როგორც „ნალახი“ ადგილის, ანუ პროფანული სივრცის საპირისპირო რეალობას. თუ ამ ტერმინებს კაბალაში გადავიტანთ, უნდა ვთქვათ, რომ *ენსოფის* შეკვრივებული სიწმინდე ისევე უპირისპირდება მისგან დატოვებულ სიცარიელეს, როგორც კვრივი – ნალახს (პროფანულ სივრცეს – *ხალალ პანუი*-ს). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ებრაული *ხალალ* სიტყვის ძირეული ეტიმონი „დაშლა“ ადეკვატურად გამოხატავს პროფანული, ნალახი სივრცის ბუნებას. *ხალალ* იმავე ებრაულში ენათესავება „ქვიშის“ აღმნიშვნელ სიტყვას *ხოლ*. ქვიშა კი, როგორც ვიცით, მონოლითური კვრივი მასის – ქვის რღვევისა და დაფშვნის შედეგად არის წარმოქმნილი. ქვა კვრივია, ქვიშა კი – დაშლილი.[2] გარკვეული აზრით, მეტაფორულად იგი არარას და სიცარიელის ხატია. ის არის მტვერი და ნაცარი, ქმნილების ვირტუალური სახე, რასაც ყოველი ნივთი უბრუნდება.

ციმცუმ-კენოზის

არის თვალსაზრისი ქრისტიანობის გავლენის შესახებ კაბალის ზოგიერთ ასპექტზე. მაგალითად, პარალელს ავლებენ მარიოლოგიასა და *შეხინას* კონცეფტებს შორის.[3] შესაძლოა, ეს არ იყოს იმდენად დამაჯერებელი, რამდენადაც *შეხინა* კი წარმოადგენს დედრულ პრინციპს, რასაც ამ სიტყვის გრამატიკული სქესი აჩვენებს (*შეხინაჰ*), მაგრამ მისი დევნილება ძნე-

---

1 იხ. მირჩა ელიადე, მითის ასპექტები, გვ. 125.

2 შდრ. შე-კვრა/და-შლა

3 Эдвард Кесслер, Введение в еврейско-христианские отношения, ББИ, М., 2013, стр. 143.

ლად ეგუება ღვთისმშობლის სახეს, თუ არ გავითვალისწინებთ ხატმებრძოლეობის პერიოდში ღვთისმშობლის დევნილი ხატების ნარატივს (მათ შორის თვალსაჩინოა კარის ღვთისმშობლის ბედი). უფრო სარწმუნო უნდა იყოს პარალელი სულიწმინდასთან, რამდენადაც შეხინაც სამების მესამე ჰიპოსტასის დარად მთელი ქმნილების განმაცოცხლებელია იმ ნაპერწკლების ძალით, რომლებიც ყოველივე არსებულში მყოფობს. მაგრამ შეჭირვებული და დევნილი *შეხინას* კონცეფტით შესაძლებელია ესაიას 53-ე თავის მესიანისტური ინტერპრეტაცია, რომელიც შეიცავს ქრისტიანული ეგზეგეზისის კვალს. ტრადიციული იუდაიზმი ამ ადგილზე რომელიღაც ძველ წინასწარმეტყველს ან ისრაელს, როგორც ერთ ტანჯულ კრებით პიროვნებას, გულისხმობს, მაგრამ *ზოჰარში*, კაბალიზმის პირველწყაროში, ვკითხულობთ:

> „როცა მესია შეიტყობს ისრაელის ტანჯვის ამბავს განფანტულობაში და ისრაელიანთა უკეთურებას, ის მწარედ მოთქვამს ამ უკეთურთა გამო, როგორც დაწერილია: „ის დაჭრილი იყო ჩვენი ცოდვების გამო, დალეწილი – ჩვენს ურჯულოებათა გამო (ეს. 53:5)“.[1]

თუმცა არ არის აუცილებელი აქ ქრისტიანულ გავლენაზე ვილაპარაკოთ. *ზოჰარის* წიგნში და, საზოგადოდ, *კაბალაში* ბევრი რამ არის ისეთი, რაც არ ეგუება იუდაიზმს და, შესაძლოა, ქრისტიანულ ეკსეგეზის მხოლოდ ემთხვეოდეს. თუ რამ საერთოს დანახვა შეგვიძლია კაბალისტურ და ქრისტიანულ მოძღვრებებს შორის, ყველაზე თვალსაჩინო, ჩვენი აზრით, *კენოზისის* და *ციმცუმის* კონცეფტები უნდა იყოს. არავის უკვლევია კენოზისის კონცეფტის წინარე ისტორია, თუ საიდან მოიტანა პავლე მოციქულმა ეს იდეა, უფრო სწორად, ეს მეტაფორა, რომელსაც მან ესოდენ მნიშვნელოვანი მოვლენის, ძე-ღმერთის განკაცების, ადამიანურ ენაზე გამოხატვის ფუნქცია დააკისრა.

---

[1] Эдвард Кесслер, Введение в еврейско-христианские отношения, ББИ, М., 2013, стр. 143

არც ციმცუმის წარმომავლობა უკვლევია ვისმე. გერშომ შოლემი წერს, რომ პირველად ციმცუმი XIII საუკუნის ერთ მივიწყებულ ხელნაწერშია დადასტურებული, მაგრამ მისი წინარე ისტორია, თუ რამ მისცა იმპულსი ამ, როგორც იგი წერს, გამაოგნებლად გაბედულ კონცეფტს, იდუმალებით არის მოცული. არ ვფიქრობთ, რომ მათ შორის გენეტური კავშირი იყოს. *ციმცუმთან კენოზისის* პარალელის გატარებისას უფრო სპონტანურად გამოვლენილ ტიპოლოგიაზე უნდა ვიფიქროთ, ვიდრე იდეის სესხებაზე.

კენოზისი – ბერძნ. κενωσις „წარმოცარიელება“, „სიცარიელე“ ქრისტიანული ღვთისმეტყველების (სოტერიოლოგიის) ტერმინია, რომელიც აღნიშნავს სამების მეორე ჰიპოსტასის, ღვთის ძის, ღვთაებრიობისგან დაცლას განკაცება-განხორციელების მიზნით. მან ადამიანთა ხსნისათვის უარი თქვა თავის ღვთიურ თვისებებზე (ღვთიურობაზე), დაიცალა მათგან, რათა ადამიანური ბუნება მიეღო, ანუ ჩვენი ერთარსება გამხდარიყო. მოციქული პავლე წერს:

> „არაფერი გააკეთოთ ჯიბრით ან ამპარტავნობით, არამედ თავმდაბლობით, საკუთარ თავზე მეტად შერაცხეთ ერთმანეთი. თითოეული მარტო თავის თავზე კი არ უნდა ზრუნავდეთ, არამედ სხვებზეც. თქვენშიც იგივე იფიქრეთ, რაც ქრისტე იესოში, რომელიც ღვთის ხატება იყო და მიტაცებად არ მიიჩნევდა ღვთის თანასწორად ყოფნას, არამედ წარმოიცარიელა თავი (ἑαυτὸν ἐκένωσεν) და მიიღო მონის ხატება, კაცთა მსგავსი გახდა და კაცის სახე მიიღო, დაიმდაბლა თავი (ἐταπείνωσεν ἑαυτὸν) და მორჩილი გახდა თვით სიკვდილამდე, ჯვარზე სიკვდილამდე“ (ფილ. 2:7-8).

უკიდურესი დამცირებით (დაკნინებით, დაგლახაკებით), თავისი *კენოზისის* (წარმოცარიელების, სხვანაირად, განძარცვის) საიდუმლოთი ძე ღვთისა შეიმოსავს ცოდვით დაცემის შედეგად „არარაობად“ ქმნილ ხორცს. მან პარადოქსულად შეუერთა

თავისი ღვთიური სრულყოფილი სისავსე ადამიანის დაცემული ბუნების „სიცარიელეს“. სიცარიელეს აქვს სხვა განზომილებაც: დაფარვა. ღმერთი რეალურად ვერ წარმოაცარიელებს თავს, არ დაიცლება მისგან; თუ ასე იქნებოდა, რისღა განხორციელება უნდა მომხდარიყო? არა, ღმერთმა დამალა თავი, რათა ერთ პიროვნებაში ადამიანური ბუნებისთვის ადგილი მიეცა ღვთიური ბუნების გვერდით. იესოს მთელი ამქვეყნიური ცხოვრება – შობიდან ჯვარცმამდე – კენოზისის, როგორც „დამალვის“, მდგომარეობაა. დაფარული, რასაც ქრისტე უხილავად ატარებდა, ერთადერთხელ გამოვიდა სააშკარაოზე, ისიც, მხოლოდ რჩეულ მოციქულთა წინაშე. ფერისცვალება თაბორის მთაზე აჩვენებს იმ ნათლის სისავსეს, რომელიც მარადიულად ახლავს იესოს, როგორც სამების მეორე ჰიპოსტასს, და რომელიც დროებით ერთგვარად შეიზღუდა, წარმოცარიელდა, დაიფარა ადამიანის წარმავალი ხორცით... რაც უჟამოა, ჟამიერი შეიქნა. კენოზისმა საშუალება მისცა ქრისტეს ღვთიურობას, მოკვდავ ბუნებაში განხორციელებულიყო ისევე, როგორც *ციმცუმმა* – რათა ქმნილებას გზა მისცემოდა. ქმნილება ის „სხვაა“, რომელზეც მოციქული ლაპარაკობს ზემოთ დამოწმებულ მონაკვეთში. მოციქულის სიტყვები შეგვიძლია ორ განზომილებაში ამოვიკითხოთ: მორალურში და კოსმოგონიურში. მორალური ასპექტი თვალსაჩინოა: მოციქული ეგოიზმის დაძლევისკენ და სხვათა სამსახურისკენ და მათ მიმართ თავმდაბლობისკენ მოუწოდებს, რაც ქრისტემ არა მხოლოდ ყოფაში, არამედ, კოსმიურ დონეზე აღასრულა. ქრისტიანული მოძღვრებით, ღვთის განკაცება ახალი შესაქმეა, როგორც „დაბადების წიგნის“ პირველი მუხლების ანალოგიური, იოანეს სახარების კოსმოგონიური პროლოგი მოწმობს, სადაც მოციქულ-მახარებელი მარადიული ლოგოსის (ძე-ღმერთის) განხორციელებაზე ლაპარაკობს: „დასაწყისში იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი... სიტყვა გახდა ხორცი და დაემკვიდრა ჩვენს შორის...“ (ი. 1:1,14). *კენოზისი*, რომლის ამოსავალი მნიშვნელობა

„წარმოცარიელება“ და „დაცლაა“, მხოლოდ მეტაფორა უნდა იყოს იმისა, რაც ქრისტეს შობით მოხდა კოსმოსში. მეტაფორულია აგრეთვე ის, რაც მის რეალურობას არ გამორიცხავს: დაკნინებულ სამეფო საგვარეულოში მოვლინება და ბაგაში შობა და ღვთის ძის მოსვლა ადამის დაძველებულ ხორცში და მიწიერ კანონებს – ფიზიკურს და სოციალურს – დამორჩილება. ძე-ღმერთმა უარი თქვა ღვთიურ დიდებაზე, შემოიძარცვა დიდების სამოსელი, დაიმდაბლა თავი, იმავდროულად, როგორც მონამ, და ჯვარცმით სიკვდილის მორჩილი გახდა (ორივე მნიშვნელობა – დამდაბლება და მორჩილება იგულისხმება ზმნაში ἐταπείνωσεν). კირილე ალექსადრიელის თქმით, *კენოზისი* არის დამცირება მონისა, რომელიც ეძებს არა საკუთარ დიდებას, არამედ მისი მომავლინებელი მამის დიდებას. სწორედ ასე ეუბნა ცადიკი თავის ხასიდებს, როცა თავი გადაშლილი წიგნიდან აიღო: „აქ წერია: შენ დიდებით და ბრწყინვალებით ხარ შემოსილი“. მართლაც, დიდება და ბრწყინვალება სხვა არაფერია, თუ არა მისი სამოსელი. იგი შემოიძარცვავს მას, რათა ქმნილებას მიუახლოვდეს. ღვთის მთელი დიდება, რომლის წვდომაც ჩვენ ძალგვიძს, არის მისი თვითდამცრობა ჩვენი გულისთვის... ამ დროს ცადიკი ქრისტოლოგიურ ჭეშმარიტებას ქადაგებს: ქრისტეს მუდამ ახლავს ის სამოსელი, რომლითაც სამ რჩეულ მოციქულს გამოეცხადა თაბორის მთაზე. მაგრამ ვინ შეძლებდა მისი ხილვის ატანას? ქრისტიანს ამ დროს შეუძლია ცადიკთან ერთად შეევედროს: „მე შენი შვილი ვარ, უფალო, მაგრამ მაინც არ გთხოვ, გამომიცხადო შენი გზების საიდუმლო, რადგან ამის ცოდნას მე ვერ ავიტან“.

ოფიციალურმა იუდაიზმმა მდუმარედ ჩაუარა ესაიას წიგნის 53-ე თავს, სადაც აღწერილია ყველასგან დაწუნებული და დამცირებული „მონა უფლისა“, რომელიც, თავად უცოდველი, ჯერ იტვირთავს სხვათა ცოდვებს და მერე ნებაყოფლობით გასცემს თავს სხვათა ცოდვების გამომსყიდველ მსხვერპლად. ეს აქტი პარადიგმულია, რომელიც ადამიანური ყოფის ყვე-

ლა დონეზე პოულობს ასპარეზს. ამის გარეშე კაცობრიობის არც დიდი და არც მცირე ისტორია არ არსებობს. მას ყოველ ნაბიჯზე შეიძლება წავაწყდეთ, სადაც კი ერთი თმობს მეორისთვის, სხვისთვის, თავის *ეგოს*, თავის დიდებას. იოანე ოქროპირი ამბობს: მე ჯვარცმულში მეფეს ვხედავ, რომელიც თავისი ხალხისთვის უარყოფს მეფურ დიდებას და თავისი ხალხისთვის სატანჯველს იღებსო. ასე იქცევა კაბალის *ენსოფი*, რომელიც სიცარიელემდე, არარამდე, კუმშავს თავის თავს, რათა ქმნილებას დაუთმოს საარსო ადგილი. მორალური ასპექტით, ეს არის თავგანწირვა სხვისთვის იმის მისაცემად, რაც ამ სხვას არა აქვს და თავისი ძალით ვერ მოიპოვებს. ენსოფმა – *უსასრულომ* არსებობად მოსაყვანი არსების სიყვარულისთვის ზღვარი დაუდო თავის უსასრულობას, დათმო იგი სასრულ რაობათა შესაქმნელად. არარაში შეიქმნა რაიმე, რაღაც, მაგრამ თვითგანდევნით შექმნილ ამ არარაში კვლავ მყოფობს *ენსოფი* თავისი ვირტუალურ-პოტენციური არსებობით, ამოურწყავი შესაძლებლობებით.

შესაქმის ქრისტიანული მოძღვრება ერთხმად ლაპარაკობს სიყვარულზე, როგორც ღვთის მიერ სამყაროს შექმნის მოტივზე. ღმერთმა შექმნა სამყარო მხოლოდ იმ მიზნით, რომ მისი ცხოველმყოფელობა მის გარეთ გადაღვრილიყო, რათა არარადან „გამოხმობილი“ ქმნილებანი მის ღვთიურობას და სიწმინდეს ზიარებოდნენ. არარადან შექმნა არა მხოლოდ აბსოლუტურად თავისუფალი ნების აქტია, არამედ აბსოლუტური სიყვარულისაც. ეს ის დაუსაბამო და უბოლოო სიყვარულია, რომლითაც სავსეა სამება. როგორც მაქსიმე აღმსარებელი ამბობს, სიყვარული მარადიულად მოძრაობს სამებაში, სამების წევრთა შორის. იგივე სიყვარული გადის მის „ფარგლებს“ გარეთაც და არარას სიცალიერეში მკვიდრდება. ის უფსკრული, შემოქმედს თავისი ქმნილებისგან რომ აშორებს, ამოვსებულია სიყვარულით, რომელიც მსჭვალავს ყოველივე შექმნილს, როგორც მის მთლიანობაში, ისე კერძოობაში...

რა თქმა უნდა, „მეორე შესაქმეც“, როგორიც არის განკაცების საიდუმლო, ქმნილების გვირგვინის, ადამიანისადმი სიყვარულში მარხია. „ღმერთი სიყვარულია“, ამბობს მოციქული, ხოლო ამ სიყვარულზე, როგორც განკაცების მიზეზზე, თავად განკაცებული ლაპარაკობს: „ისე შეიყვარა ღმერთმა ეს სოფელი, რომ მისცა თავისი მხოლოდშობილი ძე...“ (ი. 3:16), და კიდევ: „ისე შეიყვარე ისინი, როგორც მე შემიყვარე... რადგან შემიყვარე სოფლის შექმნამდე“ (ი. 17:24), „და კვლავაც ვაუწყებ, რათა სიყვარული, რომლითაც შემიყვარე, იყოს მათში და მე მათში ვიყო“ (ი. 17:26).

ღმერთმა შეიყვარა ეს სოფელი, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო გაჩენილი, შეიყვარა იგი „უწინარეს საუკუნეთა“, როცა და სადაც ჯერ კიდევ არ იყო იგი. კაბალაც აღიარებს, რომ *ენსოფმა* ჯერ კიდევ შეუქმნელ არსთა მიმართ სიყვარულისა და წყალობის (*ხესედ*) გამო „განზე გასწია“, „განიდევნა თავი“, „გადაიხვეწა“, რათა ადგილი მიეცა ქმნილებისთვის – მისგან განსხვავებული არსებობისა და განსხვავებულ არსთათვის. კვლავ მოგვყავს ზემორედამოწმებული ნაწყვეტი ბრაცლაველი ცადიკის ნაწერიდან:

> „კურთხეულმა უფალმა თავისი მოწყალებით შექმნა ეს სამყარო, რადგან ენება თავისი მოწყალების გამოვლენა და, თუ არ შეიქმნებოდა სამყარო, ვის მიმართ უნდა გამოეჩინა თავისი მოწყალება?“

ენსოფის გადახვეწის კონცეფტი *შეხინას* მოდუსით მოგვიანო კაბალაში, რომელიც იცხაკ ლურიას სახელთან არის დაკავშირებული, როგორც გერშონ შოლემი ფიქრობს, 1492 წელს ესპანეთიდან ებრაელთა განდევნის გამოძახილია. ლურიამ ესპანეთიდან ისრაელის დევნილება *შეხინასა* და სამყაროს მდგომარეობის სიმბოლოდ დასახა. ებრაელი ხალხის დევნილებას იზიარებს შეხინა, რომელიც სოლომონის ტაძრის დანგრევის შემდეგ დევნილებაში იმყოფება. დევნილება, ქვეყნის გარეთ (ებრ. *გალუთ*) ყოფნა შეიქნა ხალხისა და *შეხინას* არსებობის

მოდუსი. *შეხინა*, ტაძარს მოწყვეტილი, მის გარეთ მყოფი, ისეთივე შიშველია (*გალუთ* სიტყვის სემანტიკა სწორედ ეს არის – სიშიშვლე), როგორც თავის მიწას მოწყვეტილი ხალხი.

ზოგიერთი ცადიკის ჭვრეტაში მთელი ეს წუთისოფელი დევნილების ადგილია არა მხოლოდ ღვთის ქმნილებისთვის, კერძოდ და უპირატესად, ადამიანისთვის, არამედ ღმერთისთვისაც, და ადამიანი მოვალეა კადნიერი გამოწვევა ესროლოს მას. რაბი ბარუხი თავის თავს ღმერთთან ერთად ამქვეყნად უცხოდ და დევნილად (განდევნილად) წარმოიდგენს, როგორც ერთ ბედში მყოფ ორ მეგობარს, ორ ობოლ ძმას. იგივე რაბი თავისი ცხოვრების ეპიზოდებს (ხდომილებებს) კოსმიურ ხდომილებათა სიმბოლოდ განმარტავს.[1] ზოგი *ცადიკი* მგზავრობასა და ხეტიალში ატარებს წლებს, რითაც სურს დევნილი *შეხინას* ბედი გაიზიაროს. ეს არის მათ მიერ ნატვირთი დევნილება, ხეტიალი, *გალუთი*.

მარტინ ბუბერის წვდომით, ხასიდების მთავარი სასიცოცხლო ამოცანა დევნილი ღმერთის ადამიანის სამყაროში შემოყვანაა. თუმცა ღმერთის სურვილიც ესაა: თავად შემოვიდეს თავის ქმნილებაში, რათა დაამკვიდროს მასში სიყვარული, მაგრამ სურს მხოლოდ ადამიანის მეშვეობით, მისი კეთილი ნებით. კოცკელი რაბი მენდელი კითხვაზე „სად არის ღმერთი“, პასუხობს: „ღმერთი იქ არის, სადაც შეუშვებენ“.

მაგრამ ლურიას განჭვრეტით, დევნილების საზრისი არ არის მხოლოდ სასჯელი ისრაელის ცოდვებისთვის, არამედ აუცილებელი განსაცდელი და მისი მისტიკური მისიაც, რაც *თიკუნში* მონაწილეობით გამოიხატება. როგორც სამყაროს ესაჭიროება აღდგენა, ასევე ისრაელსაც თავდაპირველ მდგომარეობაში დაბრუნება. მასთან ერთად დაბრუნდება დევნილებიდან *შეხინაც*. ამ აზრით, იუდაისტური რელიგიის და ეთიკის საკვანძო

---

[1] გურამიშვილის „დავითიანი“ ან კონცეფტს სამ განზომილებაში წარმოადგენს: პიროვნულ, ეროვნულ და კოსმიურ მასშტაბებში.

სიტყვა *თეშუვა* „მობრუნება“ („მოქცევა“) სინანულის (ბერძნ. Μετανοια) ზნეობრივი სფეროდან ისტორიულში და, მეტიც, კოსმიურში გადადის. ლურიას ჰქონდა სასოება, რომ ებრაელი ხალხი, სწორედ დევნილებასა და სატანჯველში ყოფნით, მალე დაასრულებს *თიკუნის* პროცესს და რომ სამყაროს შინაგანი, არსობრივი ჰარმონია გარესამყაროში იპოვის გამოხატულებას, რადგან ეს უკანასკნელი შინაგანი რეალობის მხოლოდ სიმბოლოა.

ორიოდე სიტყვით აღვნიშნავთ ციმცუმის ასპექტებს, მის, ასე ვთქვათ, იმპლიკაციებს სხვადასხვა სფეროში, რომლებიც ნათელს ჰფენენ მის ამოსავალ კოსმოგონიურ კონცეფტს. აქ კაბალა იგავს იშველიებს, როგორც ჭეშმარიტების გადმოცემის ძველთაძველ ხერხს. პირველ ყოვლისა, ჩვენი მხრივ ვიტყვით, რომ ციმცუმი ჰგავს იგავურად, ოდეს კაცმა გვერდზე „ჩაიჩოჩოს“ ან გადაიხვეწოს სხვაგან, არარად შერაცხოს თავი სხვის თვალში და ადგილი დაუთმოს სხვას თავის „ნაჯდომ“ სივრცეში, რომელიც აწ მის გარეთ არის დარჩენილი. თუ ეს ქმედება მოყვასისადმი თანაგრძნობის მიზნით არის ჩადენილი, შეგვიძლია კოსმოგონიური *ციმცუმის* სიმბოლოდ შევრაცხოთ, როცა *ენსოფი* ჯერ კიდევ გაუჩენელ ქმნილებათა სიყვარულით თვითუარყოფამდე, პარადოქსულად რჩება რა მთელ თავის აქტუალურ უსასრულობასა და აბსოლუტურ სისავსეში, თავის თავთან კვლავ იგივეობრივი, სწირავს თავს.

ცადიკებს ციმცუმის მეშვეობით ენსოფის დაფარულობის იგავად აღებული აქვთ დამალობანას თამაში, რომელიც გულისხმობს დამალვას და ძიებას. და რაოდენ შეურაცხყოფილია დამალული, როცა გაირკვევა, რომ იგი არც კი უძებნიათ. თამაშის წესი შეიბღალა, მეტიც, აბუჩად იქნა აგდებული. ხასიდური აზრით, როცა დამალვის წესს ღვთიურ სამყაროში გადავიტანთ, დამალობანას საზრისი გამოხატავს *ენსოფის* განზრახვას, არარად გაუჩინარებით შექმნას ადამიანისთვის ღვთის ძიების აუცილებლობა. როცა დამალული, მაგრამ უძებნი ბავშვი ატირდა და

ბაბუასთან გაიქცა საჩივლელად. ბაბუას ცრემლი მოერია და თქვა: „ღმერთიც ასე ამბობს: „მე დამალული ვარ, მაგრამ არავინ მეძებს“. თავად ძიება გულისხმობს ღვთის არსებობას დაფარულობაში, სხვანაირად, არარას საფარველში მყოფს. ზოგჯერ ხასიდს ეჩვენება, რომ შემოქმედი ნამდვილად უმალავს მას თავის სახეს. რა უნდა ვქნა, რომ რწმენა განმიმტკიცდესო? შესჩივის თავის ცადიკს. „თუკი იცი, – მიუგებს რაბი, – რომ სახეს გიმალავს, ეს უკვე აღარ არის დამალვა“. ესეც საკმარისია, რომ იცი, რომ ის იმალება; ესეც ღვთის შემეცნებაა, ღვთის დაფარულობის შემეცნება, ან, თუ ნიკოლა კუზელის კვალზე ვიტყვით, ეს არის docta ignorantia – „განსწავლული უცოდნელობა“, რაც შეიძლება მხოლოდ იმის ცოდნას ნიშნავდეს, რომ ღვთის ნამდვილი ანუ დაფარული სახე პრინციპულად შეუცნობელია. „ჩვემ შევიცნობთ მას მხოლოდ მისი შეუცნობლობით“. და კიდევ ამგვარად გამოხატავს ამ აზრს კუზელი: „ხილული ნამდვილად არის უხილავის სახე“, ხასიდურად რომ გადმოვთარგმნოთ: „ყოველი არსებული არარას სახეა“ და „მარადშეუცნობელი ღმერთი-*ენსოფი* არარაში, თავის უკიდურეს კუნჭულში იმალება“. და თუ იცი, რომ იმალება, უნდა ეძებო.

დიდ მაგიდს, დოვ-ბერ მეჟერიჩელს ასეთი იგავი მოჰყავს ღვთის დამალვა-ძიების საილუსტრაციოდ (გადმოვცემთ სქემატურად):

> პატარა ბიჭი თავის თანატოლებთან თამაშობდა, როცა მამას თვალი მოკრა და დაუძახა, მამამ კი ზურგი შეაქცია და წავიდა. ბავშვმა სათამაშოები მიატოვა და მისკენ გაეშურა. მამა არ შეჩერებულა, ბიჭმა კი ნაბიჯს აუჩქარა და მამის კვალს მიყვა. თან განუწყვეტლივ უხმობდა. მამა თვალს მიეფარა, გაუჩინარდა, ბავშვი კი თანატოლებთან თამაშს აღარ დაბრუნებია. ეს მამის სიყვარულის გამო იყო...[1]

---

[1] Arieh Wineman, Parables and Tsimtsum, *Prooftexts*, vol. 16, №3, 1996.

ამ იგავში ბავშვი ბავშვიც არის, მამის მაძიებელი, და პიროვნებაც, ღვთის კვალზე მსვლელი. უფრო მეტიც, ის ღვთის მაძიებელი ისრაელია და, შესაძლოა, მთელი ქმნილება, რომლისთვისაც ღმერთი გაუჩინარდა. იგავის შინაგანი საზრისი *ციმცუმის* ლოგიკის ამოცნობაა, სახელდობრ, მამის (ღმერთის) გაუჩინარება იწვევს მისი ძიების აუცილებლობას. მამა-ღმერთი კუმშავს თავის სიყვარულს ძისადმი, რათა ძემ შეკუმშოს თავისი სიყვარული წუთისოფლისადმი და, მის სანაცვლოდ, ღვთისკენ მიმართოს სიყვარული. საკმარისი იყო, რომ მამისთვის მას ერთხელ მოეკრა თვალი.

მეორე ასპექტი. იგავი ღვთის მიერ თვითშეკუმშვის საზრისსაც გვიმხელს. ღმერთი კუმშავს თავს ადამიანის შესაძლებლობათა კვალობაზე, რათა ადამიანს შეეძლოს მისი წვდომა. მთელი სისრულე ღვთისა მიუწვდომელია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ღმერთი ჩრდილავს თავს, რათა მისი ნათლის მცხუნვარებამ და ელვარებამ არ გადაწვას და არ დააბრმავოს ადამიანი. ბეშტი მიმართავდა ასე თავის სხეულს: „მიკვირს, სხეულო, როგორ არ იმსხვრევი შენი შემქნელის შიშით!“[1]

ასე კუმშავს, თუ იგავს პედაგოგიკურ სფეროს მივუსადაგებთ, მასწავლებელი თავის ცოდნას, რათა ის მოსწავლეთათვის ადვილად შესათვისებელი იყოს. ნებისმიერი ძნელად აღსაქმელი ჭეშმარიტება მეცნიერების სფეროდან (მაგალითისთვის ფიზიკური თეორიები რომ ავიღით) ექვემდებარება კუმშვას ან, თუნდაც, გაიგავებას (იგავური გარსით შემოსვას), რათა ის ჩვილთათვის ადვილმისაწვდომად იქცეს.[2] ასე კუმშავს ცა-

---

[1] ამ შიშის ქვეშ უნდა ყოფილიყო ის სამი მოციქული, თაბორის მთაზე მხოლოდ წამიერად რომ იხილეს ქრისტეს ნამდვილი სახე, რომელსაც ის მიწიერი ცხოვრების განმავლობაში დაფარულად ატარებდა.

[2] შდრ. „რძეს გასმევდით თქვენ და არა საჭმელს, რადგან მაშინ არ შეგეძლოთ და არც ახლა შეგიძლიათ“ (1 კორ. 3:2). აგრ.: „მივიდნენ მასთან მოწაფეები და უთხრეს მას: „რატომ ელაპარაკები მათ

დიკი თავისი ხასიდებისადმი გადასაცემ სიბრძნეს – ხასიდური სწავლანი ხომ მეტწილად იგავური სხვაგვართქმანია, რომლითაც ხასიდები იკვებებიან.

ხასიდურ გადმოცემებში გაფანტული იგავები სხვადასხვა ასპექტით გადმოსცემენ და განმარტავენ უკანასკნელ საიდუმლოებებს – საფარველდადებული ტრანსცენდენტური ჭეშმარიტებები იგავთა სამოსელში ეძლევა ადამიანს. წერილობითი *თორა* კაცთაგან დაფარული დაუწერელი თორის იგავია, როგორც ყოველი ხილული საგანი თუ მოვლენა – უხილავისა. დაბოლოს, კაბალისტური კადნიერი განჭვრეტით, მთელი კოსმოსი და მისი შემოქმედი თავად საბოლოო ჭეშმარიტების ზღვრული იგავია.

ვიფიქროთ კაბალისტურად: რა იქნებოდა ფიქრი, ურთიერთობა, მთელი ჩვენი ყოფა, თვით ფიქრი ყოფაზე, იგავი რომ არ არსებულიყო. ნუთუ ოდესმე იყო დრო, როცა იგავი ჯერ შექმნილი არ იყო? მაგრამ შექმნილია? ახლა ვფიქრობთ, რომ როცა გასაჩენი გაჩნდა, მას იმთავითვე დაჰყვა იგავიც, რათა ამოევსო ხარვეზი ქმნილებათა შორის. თუ სამყარო იერარქიულია და კვლავ იარსებებს ყოფიერების საფეხურები, იგავიც იარსებებს: ზემო საფეხურის გამსჭვალვა და ჩენა ქვემოში, ღვთაებრივისა – ადამიანურში, ფიქრისა – სიტყვაში, სიტყვისა – ქმნაში, დიდისა – მცირეში, საიდუმლოსი – ცხადში, ქვეყნისა – პიროვნულში, *შენი – ჩემში*... და კიდევ რა უნდა ითქვას, რომ დასრულდეს, რომ ჩამოვიდეთ ბოლო, თუკი არსებობს „ბოლო“, საფეხურზე, მაგრამ რა არის პიროვნულზე უღრმესი და *შენზე* უახლოესი ქმნილებათა შორის? იგავი განმსჭვალავს მათ ყველას, თვით აბსოლუტურ ყოფას და რა არის მასზე უმაღლესი, რომლის იგავიც არის ის?

იგავებით? მან მიუგო და უთხრა მათ: „იმიტომ, რომ თქვენ მოცემული გაქვთ ცათა სასუფევლის საიდუმლოებათა ცოდნა, მათ კი არა აქვთ მიცემული“ (მ. 13:10).

იგავი თავისი არსებობით ღაღადებს საიდუმლოს და ჭეშმარიტებას, რადგან მისი არსებობა, როგორც მოწოდება, ჭეშმარიტების ჭურჭლად ყოფნაა. იცრუებს პირდაპირი სიტყვა, მაგრამ იგავი ვერ იცრუებს – მას არა უხარინ სიცრუესა ზედა, არამედ უხარინ ჭეშმარიტებასა ზედა... არა სადა დავარდების.

თიკუნ //კუალად-გება, აპოკატასტასის

ქრისტიანობა არა მარტოოდენ ხსნის (*სოტერია*), არამედ განღმრთობის (*თეოზისის*) რელიგიაა. ხსნა ქრისტიანობაში თვითმიზანი და საბოლოო აქტი არ არის. როგორც ფილოსოფიურ ანთროპოლოგიაში ვამბობთ, რომ ადამიანის თავისუფლებას მიზანი აქვს, ასევე აქვს მიზანი სოტერიას – ეს არის განღმრთობა. ადამიანის არა მხოლოდ ხსნაა ჩაფიქრებული ღვთის განგებაში, არამედ მისი ახალ საფეხურზე აყვანა, რაც ადამის ძის ღმერთთან შერიგებით, მასთან დაბრუნების სიხარულით უნდა გამოიხატოს. მაგრამ დაბრუნება თავისთავად არ ხდება, ეს არ არის ობიექტური, ადამიანის გარეშე მიმდინარე პროცესი, ადამიანის ნება აუცილებლობით მონაწილეობს მასში – ეს მხოლოდ მისი საქმეა. ღმერთი მისი მონაწილეობის გარეშე არ ისურვებს და ვერც შეძლებს მის ხსნას.

კაბალის იდეაც ეს არის. მეორე დიდი იდეა, რომელიც გენეზისის (*ციმცუმის* აქტის) საპირისპიროდ დასასრულს ეხება, არის *თიკუნ* – „გამოსწორება“, „აღდგენა“. *თიკუნის* კონცეფტი ესქატოლოგიურ-სოტერიოლოგიურია და სავსებით კანონზომიერი იქნება, თუ მას დავაწყვილებთ *აპოკატასტასისის* იდეასთან, რაზეც ლაპარაკობდა მოციქული პეტრე სოლომონის სტოაში (მ. 17:11; აგრ. საქმე, 3:21).

რისთვის გახდა საჭირო კოსმოგონიური ქმედება *თიკუნ*, რომელშიც მთელი სამყარო ადამიანთან ერთად, მისი აქტიური მონაწილეობით, უნდა ჩაებას? როგორ წარმოიშვა ბოროტება, რამ გააჩინა კატასტროფული ხარვეზი ქმნილებაში? *კაბალა*

პასუხობს: იმ სიცარიელეში, სადაც აღარ იყო ღმერთი, ბუნებრივია, გაჩნდა ბოროტი. ე. ი. *ციმცუმმა* სიცარიელის შექმნით განაპირობა ერთსა და იმავე დროს როგორც ქმნილების, ისე ბოროტების არსებობის შესაძლებლობა. ბოროტება თან დაჰყვა ქმნილებას მის გენეზისშივე... ეს მომენტი *კაბალაში*, ანუ არარადან შესაქმის საფეხური მეტისმეტად ბუნდოვანია. რამდენადაც ასე თუ ისე გასაგებია *არარას* „არსებობა“ და მისი შექმნის *ციმცუმად* წოდებული მეთოდი, იმდენადვე გაუგებარია „ჭურჭელთა მსხვრევის“ იგავური კონცეფტი. ძალაუნებურად ჩნდება ბოროტი დემიურგის გნოსტიკური იდეა ან მაზდეანური აჰურამაზდა-ანგრომაინუს დუალისტური კოსმოგონიური მითოსი: ღმერთი აშენებს, ანტაგონისტი ანგრევს. თუ მონოთეისტურ პოზიციაზე დავრჩებით, რა არის „ჭურჭელთა მსხვრევა“, თუ არა შემოქმედის მარცხი. მაგრამ კაბალა კოსმოგონიის ამ ეტაპს მარცხად არ მიიჩნევს. საკითხს არც აყენებს ასე. რას ნიშნავს „ჭურჭელთა მსხვრევა“, რომელიც შესაქმის აქტის, უფრო, დრამის, მეორე ნაწილია? რატომ დაიმსხვრა ღვთის ჭურჭლები, როცა ღმერთი აშენებდა ამ სამყაროს? *კაბალას* სხვა ენა, გარდა მითოსისა, არა აქვს. მაგრამ ეს თავისებური მითოსია: შესაქმის პროცესში ნათლის პირველწყაროდან, *ენსოფიდან* ემანირებული ნათლის ძლიერ ნაკადს ვერ გაუძლეს არარაში დახვედრილმა „ჭურჭლებმა“, რომლებშიც უნდა ჩაღვრილიყო ნათელი მრავალფერი სამყაროს ასაგებად, და დაიმსხვრნენ. მსხვრევისას ნათლის ნაპერწკლები გაიფანტნენ – ზოგი პირველსაწყისს დაუბრუნდა, ზოგი „ნაჭუჭების“ (ჭურჭლების ნამსხვრევთა) ტყვეობაში მოექცა და მათ ბოროტი ძალები დაეპატრონენ, ჩაიძირნენ ქვემო სამყაროებში, არარას ფსკერზე.

არარას და ნაჭუჭების კონცეფტებს, როგორც კაბალური კოსმოგონიური ენის ცნებებს, სხვა ასპექტიც აქვს ხასიდობის განჭვრეტაში და იმდენი ასპექტი ექნება, რამდენგზითაც კომენტატორი მიუბრუნდება მას, რომელიც ყოველთვის ღიაა ნებისმიერი განმარტებისთვის (პარადოქსული განმარტებები, როგორც *ენსოფი*, ამოურწყავია). არარას იდეა, რომელიც

საბოლოო აზრით გულისხმობს ღვთის დაფარულობას, ბადებს ეჭვს ღვთის არსებობაში ათეიზმის ჩიხამდე. მაგრამ რამდენადაც არსებობს ნათლის ნაპერწკალთა კვალის თუ ნარჩენის, კონცეფტი, რჩება ღვთის არსებობის ერთგვარი კვალი ცნობიერებაშიც. სხვადასხვაგვარად გადმოცემული იგავი დამალობანისა (თუ იცი, რომ გემალება, არ შეიძლება, არ იცოდე, რომ ის, ვინც იმალება, არსებობს) ამის ილუსტრაციაა.

რა შეუძლია გვითხრას „ნაჭუჭის“ კოსმოგონიურმა კონცეფტმა?! იგი შეიძლება ცნობიერებისა და აზროვნების ფაქტი გახდეს, თუმცა მისი მოდუსის გამოყენებას ალბათ საზღვარი არა აქვს კაბალის ამოურწყავ ეგზეგეტიკაში. ბრაცლაველი რაბი ნახმანი წერს:

> „უწყოდე, რომ ორი სახის მწვალებლობა არსებობს. არის მწვალებლობა, რომელიც წარმოიშობა გარეშე ბრძნობისგან, რაზეც ნათქვამია: „უწყოდე, რა უპასუხო მწვალებელს“. ამ მწვალებლობაზე არსებობს პასუხი, რადგან ეს მწვალებლობა გარეშე ბრძნობისგან წარმოიშობა, რომლის სათავე ჭურჭელთა მსხვრევის შედეგად გაჩენილი ნარჩენებია, რადგან ნათლის სიჭარბისგან დაიმსხვრა ჭურჭლები და, როგორც ცნობილია, ასე შეიქმნა ნაჭუჭები. სწორედ აქედან არის წარმოშობილი გარეშე ბრძნობანი – ჭურჭელთა მსხვრევისგან, სიწმინდის უსარგებლო ნარჩენებისგან. როგორც ადამიანისგან რჩება ზოგიერთი უსაგებლო ნარჩენი, როგორიც არის, ფრჩხილები, თმა და ოფლი, ასევე გარეშე სიბრძნენი წარმოიშობა სიწმინდის ზოგიერთი ნარჩენისგან. ასე რომ, ვინც მოექცა ამ მწვალებლობაში, ცხადია, უნდა გაექცეს მას და თავს უშველოს და მაინც მასში მოქცეულს შეუძლია მისგან ხსნა. რადგან იქაც არის შესაძლებელი კურთხეული უფლის პოვნა, თუ შეეცდება იქ მის ძებნას. რაკი მწვალებლობა ჭურჭელთა მსხვრევის შედეგად არის წარმოშობილი, არის მასში, როგორც ცნობილია, სიწმინდის ზოგიერთი ნაპერწკალი და ზოგიერთი დამსხვრეული და დაცემული ასონიშანი“.

მაგრამ ნაჭუჭების მეტაფორას, როგორც გერშომ შოლემი გვამცნობს, სხვა მეტაფორამდეც მიჰყავს კაბალისტური გონი: ხორბლის დათესვის შემდეგ ხორბლისგან არაფერი აღმოცენდება, თუ ნაჭუჭი, რომელშიც თესლი იმყოფება, არ გაიხლიჩა, არ „დაიმსხვრა“. სწორედ ისე, როგორც პავლე მოციქული კიცხავს დაშლილი სხეულის აღდგომის მეჭველთ: „უგუნურო, რასაც დათესავ, არ გაცოცხლდება, თუ არ მოკვდა. და, როცა თესავ, სხეულს კი არ თესავ, რომელიც იქნება (მომავალში), არამედ შიშველ მარცვალს...“ (1 კორ. 15:36).

აი, ამ ნაჭუჭებისგან შედგება *დღეს,* აქტუალურ ხანაში, მთელი მატერიალური სამყარო, სადაც ღვთიური ნაპერწკლებია დატყვევებული. რა არის ადამიანის ამოცანა ხასიდური მრწამსით? მისი ამოცანაა კოსმიური აღდგინების (ებრ. *თიკუნ ჰა-ყოლამ*) პროცესში მონაწილეობის მიღება დატყვევებული ნაპერწკლების გასათავისუფლებლად და თავდაპირველი მთლიანობის აღსადგენად. ადამიანის მოწოდებაა, შეამზადოს გზა ყველა განდევნილი და გაფანტული ნაპერწკლის შესაკრებად და პირველწყაროში დასაბრუნებლად. თიკუნის პერიოდი მესიანისტური ხანაა, როცა სამყარომ თავისი საბოლოო, აღორძინებული სახე უნდა მიიღოს. თიკუნი გზაა, რომელსაც მიჰყავს ყველა ქმნილება თავისი დასასრულისკენ, ამავე დროს ეს არის, დასაწყისისკენ მიმართული გზაც, რომლის ბოლოს შემობრუნება იწყება.

ჰკითხეს დოვ-ბერ მეჟერიჩელს, როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ჩვენი ლოცვა ისეთი მხურვალე იყოს, რომ ღმერთთან ადიოდესო.

მაგიდმა მიუგო: „ნათქვამია, რომ ვინც ცეცხლს ეძებს, ნაცარი უნდა გაქექოს. მე კი ვამბობ: საკმარისია, ადამიანმა გაიხსენოს, რომ ის მხოლოდ ნაცარი და მტვერია, თითქმის არარაა, იმ ღვთიური ნაპერწკლის გარეშე, რომელიც მას განასულებს (სულქმნის), რომ ნაცარში დაფარულმა ნაპერწკალმა წამიერად ძლიერ ალად იფეთქოს“.

მოკლე ცნობები მთხრობელ ცადიკებზე

ბაალ შემ ტოვი, ისრაელ ბენ ელიეზერი, ბეშტი (1698-1760) – ობლობაში გაზრდილმა ბეშტმა თავი, როგორც ახალი რელიგიური მოძრაობის ლიდერმა, მხოლოდ ოცდათექვსმეტი წლისამ გამოაცხადა. ქარიზმატულ ქადაგებათა და სასწაულქმედებათა წყალობით თავის ირგვლივ შემოიკრიბა უბირი დაბასოფლელნი, რომელთაც პირველხასიდთა ბირთვი შეადგინეს. ბეშტის გამონათქვამები, რომლებიც თვითონ არასოდეს ჩაუწერია, მისი სიკვდილის შემდეგ მისმა მიმდევრებმა წიგნებად გამოსცეს. მრავალი წლის შედეგ დაიბეჭდა „ქებანი ბეშტისა“, სადაც შეკრებილია მისი ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები და მის სიცოცხლეში და სიკვდილის შემდეგ შექმნილი ლეგენდები.

ბარუხ მეძიბოჟელი (1753-1812) – ბეშტის ასულის, სასწაულმოქმედ ადელის შვილი, რომელმაც პაპის შედეგ მისი ადგილი, როგორც მოძღვარმა, დაიჭირა მეძიბოჟში, სადაც ბეშტმა სასწავლებელი დააარსა.

დოვ-ბერ მეჟერიჩელი, დიდი მაგიდი (1704-1773) – ბეშტის საყვარელი მოწაფე, რომელმაც ხასიდური მოძრაობა მთელ ევროპაში განავრცო. მასთან შეხვედრამდე დოვ-ბერი უკვე სახელგანთქმული იყო, როგორც „თორის გენია“ და კაბალის უებრო მცოდნე. მასზე ამბობდნენ, რომ მისი ლოცვების ძალა უზენაესის განაჩენს აუქმებსო.

აბრაამ-ანგელოსი (1741-1776) – დიდი მაგიდის, დოვ-ბერ მეჟერიჩელის შვილი. ეწეოდა ასკეტურ-განდეგილურ ცხოვრებას, განუწყვეტელი მარხვებით თრგუნავდა სხეულს. ღრმად წვდებოდა თორის საიდუმლოებებს. კაბალის საფუძველზე განა-

ვითარა მოძღვრება ცადიკზე, რომლის სული ყველა თაობის სულებს მოიცავს. ჭეშმარიტი ცადიკი მთელი თავისი უნარით და თვისებებით უნდა ემსახურებოდეს ღმერთს – „ნაჭუჭებიდან“ ათავისუფლებდეს ღვთიურ ნაპერწკლებს და ღვთიურ ნათელში აბრუნებდეს.

იაკობ-იოსეფ პოლონოელი (დაახლ. †1783) – ბეშტის საყვარელი და ერთგული მოწაფე. ახალგაზრდობაში ხასიდობის მოწინააღმდეგე იყო, მაგრამ ბეშტმა, რომელმაც მასში მახვილი გონება და უნარები დაინახა, თავისკენ გადაიბირა. როცა იგი ხასიდი გახდა, შარგოროდიდან, სადაც ის რაბინი იყო, განდევნეს და მან ბეშტს მიაშურა. მეჟერიჩელი მაგიდი იაკობი, რომელიც ბეშტის მემკვიდრე გახდა ხასიდებში, მას ელიაჰუს (ელიას) გამოცხადების მოწმედ და უდიდესი სიწმინდის ადამიანად მიიჩნევდა. თავისი ქონების უდიდესი ნაწილი იაკობ-იოსეფმა ღარიბებს შესწირა. მისი წიგნი „იაკობ-იოსეფის შთამომავლობა“ ხასიდიზმის მთავარი წყაროა.

ფინხას კორეცელი (1726-1791) – არისტოკრატიულ რაბინულ ოჯახში შობილი, ბეშტის უახლოესი მოწაფე გახდა. ბეშტის სიკვდილის შემდეგ მან თავისი ხასიდების კარი შექმნა, საიდანაც შემდგომ ბევრი სახელოვანი ცადიკი გამოვიდა. მასზე ამბობდნენ, ცხოველთა და ფრინველთა ენა ესმისო. თავად ბეშტის თქმით, მისი სული სინანულის სამყაროდან არის და მიწას მხოლოდ ხუთას წელიწადში ერთხელ ევლინება.

იეხიელ-მიხალ ზლოჩეველი, მაგიდი (1726-1781) – ბეშტისა და შემდგომ დოვ-ბერ მეჟერიჩელი მაგიდის (იხ.) უახლოესი მოწაფე. იმდენად დაწინაურებული იყო მოძღვრებაში, რომ ნება დაეთო, ჰქონოდა ტრაპეზის მაგიდა თავისი ხასიდებისთვის. გარდაიცვალა ლოცვით ექსტაზში. არ დაუწერია ერთი სიტყვაც კი და არც არავის მის მოწაფეთაგან მისი ქადაგებები არ ჩაუწერია. მხოლოდ მოგვიანებით სხვადასხვა წიგნში გაფანტული მისი გამონათქვამები შეკრიბეს და ცალკე წიგნად („მრავალი წყლები“) გამოსცეს.

მენახემ-ნახუმ ჩერნობილელი (1730-1797) – სიყმაწვილიდანვე ბეშტის საყვარელი მოწაფე იყო. შემდგომ გახდა მისი მოძ-

ღვრების გამავრცელებელი. გამოირჩეოდა განსაკუთრებული სიმდაბლით და მორჩილებით. თავი არ ეღირსებოდა რაბინის თანამდებობაზე და რიგით მასწავლებლად მსახურობდა. მაგრამ ბოლოს მაინც ჩერნობილის მაგიდი გახდა. როგორც ადრეული ცადიკები, ისიც არ წერდა წიგნებს, მაგრამ ნება დართო, რომ ჩაეწერათ მისი შეგონებანი.

მორდეხაი ნესხიჟელი (1742-1800) – ზლოჩეველი რაბის, იეხიელ-მიხალის (იხ.) ერთგული მოწაფე. სახელი გაითქვა როგორც დიდმა სასწაულმოქმედმა, რის გამოც შეწყვიტა სასწაულ-ქმედების პრაქტიკა. ხასიდები განადიდებდნენ მას, როგორც „ბეშტის ორეულს“. ასევე სჯეროდათ, რომ მორდეხაი ნესხი-ჟელის სხეულში წინასწარმეტყველ სამუელის სული იყო დაბუდებული. ამბობდნენ, რომ მისთვის თორის შესწავლა, ლოცვა, სმა-ჭამა და სხვა ერთი ბუნების ქმედებანი იყო, რომლებითაც მისი სული უზენაესამდე აღზევდებოდა.

მენახემ-მენდელ ვიტებსკელი (1730-1788) – მამამ, მოსემ, რომე-ლიც ბეშტის მოწაფე იყო, მიჰგვარა ბეშტს ჯერ კიდევ ბავშვი მენახემი, რომელიც შემდგომ დიდი მაგიდის, დოვ-ბერ მეჟე-რიჩელის (იხ.) საყვარელი მოწაფე გახდა. მისი სიკვდილის შემდეგ იგი ბელორუსიისა და ლიტვის ხასიდების მოძღვრად დაინიშნა. ღრმად იყო ჩაწვდომილი თორისა და კაბალის სა-იდუმლოებებს. მისი მოძღვრება შემონახულია წიგნებში: „მი-წის ნაყოფი“, „ხის ნაყოფი“, „გამონათქვამთა კრებული“.

მორდეხაი (მოტლ) ჩერნობილელი (1770-1837) – მენახემ-ნახუნ ჩერნობილელის ვაჟი. მამის სიკვდილის შემდეგ დაიკავა ჩერ-ნობილელის რაბის ადგილი და დიდად განავრცო ხასიდობა ამ მხარეში. ჰქონდა მრავალრიცხოვანი კარი, გარს ათასობით ხასიდი ეხვია.

ნახმან ბრაცლაველი (1772-1810) – ბეშტის შვილიშვილი დედის მხრიდან, ადმორის[1] ტიტულის მატარებელი, არაორდინალური

---

[1] *ადმორ* არის ცადიკის, როგორც მისტიკური პიროვნების, ტიტული. სახელი წარმოადგენს აბრევიატურას ებრაული სიტყვებისა: *ადო-ნეინუ*, *მორეინუ* ვე-*რაბეუნუ*, რაც ნიშნავს „ბატონი ჩვენი, მასწავ-

ფიგურა ხასიდობის ისტორიაში, დამაარსებელი ხასიდობის ბრაცლავური შტოსი, რომელიც დღემდე არსებობს. მან განავითარა ცადიკიზმის კონცეფტი, ცადიკის როლი არნახულ სიმაღლემდე აიყვანა, კოსმიური განზომილება შესძინა. მისი განჭვრეტით, ცადიკი არის „სამყაროს ღერძი“, რომელიც აკავშირებს ადამიანთა სამყაროს უზენაესთან; ხასიდი პასუხისმგებელია არა მხოლოდ თავის ხასიდებზე, არამედ მთელ ებრაელობაზე, რამდენადაც მასშია მოქცეული თითოეული ისრაელიანის სული. იგი თავს „თაობის ცადიკად“ მიიჩნევდა თაობათა ოთხ ცადიკს შორის – მოსეს, *ზოჰარის* ავტორის – შიმონ ბენ იოხაის, იცხაკ ლურიასა და ბეშტის შემდეგ. რაბი ნახმანის ამგვარი ამბიციური თვითაღიარება, მეგალომანიასთან მიახლოებული, მიუხედავად მისი ღრმად განსწავლულობისა, მიუღებელი იყო ხასიდთა წრეში; ბევრჯერ მოუხდა მას თავისი კარის დატოვება, გადადიოდა ქალაქიდან ქალაქში მისი გამგები ხასიდების საძებნად, დაბოლოს, ბრაცლავში დამკვიდრდა, სადაც ერთგული მიმდევრები და თაყვანისმცემლები ჰპოვა. სიკვდილის შემდეგ მისმა კარმა ვერც ერთი ცადიკი ვერ აღიარა მის ღირსეულ შემცვლელად და დღემდე ბრაცლაველ ხასიდებს ცადიკი არ ჰყავთ.

შმელკე ნიკოლსბურგელი (1726-1778) – დიდი მაგიდის, დოვ-ბერ მეჟერიჩელის (იხ.) მოწაფეთაგანი, თავისი თაობის ბევრი ცადიკის მასწავლებელი გალიციასა და პოლონეთში. ქარიზმატული მოქადაგე და მლოცველი, რომელიც ლოცვის დროს ისეთ ექსტაზში ვარდებოდა, რომ სიტყვების ნაცვლად მის ბაგეთაგან ახალი, მანამდე გაუგონარი ჰანგები ამოდიოდა. მასზე ლეგენდები შეიქმნა, რომელთაც ცალკე წიგნში („კეთილი მირონი“) მოიყარეს თავი.

აარონ კარლინელი (1736-1772) – მან სათავე დაუდო კარლინელ ცადიკთა დინასტიას. გადმოცემით, მისი ოჯახი დავით მეფის საგვარეულოს ეკუთვნოდა. ჯერ კიდევ ყმაწვილი მეჟერიჩში

ლებელი ჩვენი და მოძღვარი ჩვენი“. ადმორის ტიტული თაობაში განსაკუთრებული ღირსებებით აღჭურვილ ცადიკებს ენიჭებათ.

ჩავიდა და დოვ-ბერ მეჟერიჩელს (იხ.) დაემოწაფა. კარლინში დაბრუნების შემდეგ მას დაეკისრა მისია ხასიდობის გავრცელებისა ლიტვაში, სადაც მან, სრულიად ახალგაზრდამ, დიდი გავლენა და ავტორიტეტი მოიპოვა. მის მიერ ხმამაღლა წარმოთქმული ლოცვები განსაკუთრებული მუსიკალობით გამოირჩეოდა.

შნეურ-ზალმან ლიადელი (1745-1812) – ბავშვობიდანვე განსაკუთრებული უნარებით გამოირჩეოდა. დააარსა ხასიდობის ახალი მიმართულება ხაბადის სახელწოდებით (*ხაბად* სამი სიტყვის: *ხოხმა* (სიბრძნე)-*ბინა* (გაგება)-*დაათ* (ცოდნა) პირველი ასოებისგან შედგენილი სიტყვა). დასმენის შედეგად დაპატიმრებული იყო პეტერბურგის პეტრე-პავლეს ციხესიმაგრეში.

ლევი-იცხაკ ბერდიჩეველი (1740-1810) – დიდი მაგიდისა და შმელკეს (იხ.) მოწაფე. ლევი-იცხაკი განთქმული იყო კაცთმოყვრეობით და შემოქმედისადმი მხურვალე სიყვარულით. ამბობდნენ, რომ მან სამსჯავროზე გამოიძახა უზენაესი მოთხოვნით – ეზრუნა თავის შვილებზე და ღმერთიც დამორჩილდა სასამართლოს განაჩენს.

ზუსია ჰანაპოლელი (დაახ. 1719-1800) – ელიმელეხ ლიზენსკელის უმცროსი ძმა, დიდი მაგიდის მოწაფე. ხასიდებს შორის გამოირჩეოდა გულუბრყვილობით და უკიდურესი გულახდილობით, სალოსური ქცევით. დასაფლავებულია დიდი მაგიდის გვერდით.

ელიმელეხ ლიზენსკელი (1717-1786) – სიჭაბუკეში თავის ძმასთან, ზუსიასთან ერთად ნებაყოფლობით დევნილებაში იმყოფებოდა, განასახიერებდნენ რა დევნილ შეხინას. ზუსიას შთაგონებით, ხასიდობა აღიარა და დიდ მაგიდს დაემოწაფა, რომლის სიკვდილის შემდეგ ლიზენსკში დამკვიდრდა, საიდანაც ხასიდიზმს ავრცელებდა გალიციასა და პოლონეთში. მისი როლი იმდენად მნიშვნელოვანი იყო ხასიდურ მოძრაობაში, რომ მას ბეშტსაც კი ადარებდნენ. მის წიგნს, როგორც თილისმას, სნეულთა და მშობიარეთა ბალიშის ქვეშ დებდნენ და დღემდე ასეა.

შლომო კარლინელი (1738-1792) – დიდ მაგიდთან დაახლოებული პირი, ხასიდობის მოქადაგე ლიტვაში. მისი ხასიდები მას მესიის განსახიერებად მიიჩნევდნენ. სწამდათ, რომ მათმა რაბიმ იცოდა ხეთა, ფრინველთა და ცხოველთა ენა. იგი მოკლეს კაზაკებმა პოლონეთის აჯანყების დროს, 1792 წელს.

ისრაელ კოზნიცელი (1736-1815) – სიჭაბუკეში თავისი მასწავლებლის, შმელკეს (იხ.) რჩევით მეჟერიჩში წავიდა და დიდ მაგიდს დაემოწაფა, რომელმაც უწინასწარმეტყველა, რომ იგი პოლონეთში ხასიდობის გამავრცელებელი იქნებოდა. მხურვალე მოქადაგე და სასწაულმოქმედი, რომლის კურთხევას ესწრაფოდნენ არა მხოლოდ ებრაელები, არამედ პოლონელი დიდგვაროვანნიც, დევნილებას განიცდიდა ხასიდობის მოწინააღმდეგეთა მხრიდან. გადმოცემის თანახმად, კოზნიციდან დევნილი დიდხანს იმალებოდა ლევი-იცხაკ ბერდიჩეველის სახლში.

იაკობ-იცხაკ ლიუბლინელი (1745-1815) – *ნათელმხილველად* წოდებული, დიდი მაგიდის მოწაფე, ელიმელეხ ლიზენსკელის სკოლის დამრიგებელი. პოლონეთისა და გალიციის თითქმის ყველა ცადიკი მისი ნამოწაფარი იყო. დიდი მაგიდი მასზე ამბობდა, რომ ასეთი სული წინასწარმეტყველთა შემდეგ ქვეყანას არ მოვლენია.

შალომ-შახნა პოგრებიშჩელი (1768-1802) – დაობლებული შალომ-შახნა შლომო კარლინელის სახლში იზრდებოდა. იგი ერთ-ერთი „მეფურ“ ცადიკთაგანი გახდა, რომლებიც სხვებისგან ტანსაცმელითაც კი განსხვავდებოდნენ. მისი სწავლანი და საუბრები მამის, აბრაამ „ანგელოზის“ წიგნის დამატებად დაიბეჭდა.

ისრაელ რუჟინელი (1796-1850) – დიდი მაგიდის, დოვ-ბერ მეჟერიჩელის (იხ.) შვილთაშვილი, 17 წლიდან ადმორის ტიტულის მატარებელი იყო. სახელი განითქვა მაღალი ცადიკური ღირსებებით და თორაში ღრმად განსწავლულობით, რამაც რუსეთის ხასიდთა მეთაური გახადა. მის სანახავად და მოსასმენად პოლონეთიდანაც მოდიოდნენ ხასიდები. რუსეთის მთავრობასთან დასმენით ორი წელიწადი პატიმრობაში

დაყო. პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ სადაგორში დამკვიდრდა, სადაც ადმორის სამსახურს ეწეოდა. საკუთარი სახსრებით შეეწეოდა ისრაელის ხასიდებს, აუშენა დიდი სინაგოგა სახელწოდებით „ისრაელის დიდებულება“ (*თიფერეთ ისრაელ*).

აბრაამ-იაკობ სადაგორელი (1819-1883) – ისრაელ რუჟინელის შვილი. დაპატიმრებული იყო 15 თვით გაწვევისგან თავის არიდების ბრალდებით. თავისი სწავლება გადმოსცა წიგნში „ჭეშმარიტება იაკობს“.

მენახემ-ნახუმ შტეპინეშტელი (1810-1869) – ისრაელ რუჟინელის შვილი. ადმორთაგან ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ხასიდობა რუმინეთში გაავრცელა.

დავიდ-მოშე ჩორტკოველი (1828-1903) – ისრაელ რუჟინელის მოწაფე, იყო ადმორი. მოძღვრება გადმოსცა წიგნში *დივრეი დავიდ* – „სიტყვანი დავიდისა“.

მოშე-ლეიბ სასოველი (1745-1807) – შმელკე ნიკოლსბურგელის საყვარელი მოწაფე, ხასიდობის მხურვალე ქადაგი. გამოირჩეოდა უდიდესი თვინიერებითა და კაცთმოყვარეობით. მისი სიკვდილის შემდეგ მისი ქადაგებები და მოძღვრება მოწაფეებმა წიგნებად გამოსცეს.

მენახემ-მენდელ კოსოველი (1768-1825) – ადმორი, გამოირჩეოდა ნების სიმტკიცით და მახვილი გონებით. მისი მოძღვრება გადმოცემულია წიგნში „თორის კარავი“.

ხაიმ კოსოველი (1805-1854) – მენახემ-მენდელ ოსოელს შვილი. გადაწვეტილი ჰქონდა წმინდა მიწაზე დაფუძნება, სახლიც იყიდა ცფათში, ხასიდების ქალაქში, მაგრამ ჩანაფიქრი ვერ განახორციელა. დაწერა წიგნი *თორათ ხაიმ* – „რჯული სიცოცხლისა (ან ხაიმისა)“.

იცხაკ-აიზიკ კალოელი (1751-1821) – სწავლობდა შმელკე ნიკოლსბურგელის კარზე. მისი წამოწყებულია ხასიდობის გავრცელება უნგრეთში. უნგრელი ხასიდები დღემდე მის საფლავს მოინახულებენ.

აბრაამ-იოშუა-ჰეშელ აპტელი (1755-1825) – ხასიდობის ერთ-ერთი გამავრცელებელი პოლონეთსა და რუმინეთში, განთქმული იყო თავმდაბლობით და კაცთმოყვარეობით. მიიჩნეოდა თა-

ვისი თაობის ადმორად, მისი სიტყვა ხასიდებისთვის კანონი იყო.

მენახემ-მენდელ რიმანოველი (†1815) – ბავშვობიდანვე გატაცებული იყო ხასიდობით, შემდგომ შმელკე ნიკოლსბურგელს დაემოწაფა. ბოლოს იგი თავისი დროის ცადიკთა წინამძღოლი გახდა. მის კარზე ათასობით ხასიდი იყო შემოკრებილი, მათგან ბევრმა მისმა მოწაფემ ადმორის ტიტული დაიმსახურა. მენახემ-მენდელმა ხასიდობაში ბევრი მნიშვნელოვანი წესი და ჩვეულება შემოიღო.

იეჰუდა-ცვი სტრეტინელი (1845-1907) – დაბა სტრეტინის რაბინი და ადმორი. ამბობდნენ, რომ მისი ლოცვა თვითაალებადი ცეცხლი იყო და ღირდა მის მოსასმენად ასობით ვერსის გავლა.

მორდეხაი ლიახოვიჩელი (1742-1810) – შლომო კარლინელისა და ბარუხ მეძიბოჟლის (იხ.) გამოჩენილი მოწაფე. დაპატიმრებული იყო რაბი შნეურ-ზალმან ლიადელთან ერთად პეტერბურგში, პეტრე-პავლეს ციხესიმაგრეში. ყოველმხრივ ეწეოდა ხასიდების თემს წმინდა მიწაზე.

მოშე კობრინელი (1783-1858) – უბრალო ოჯახიდან გამოსული მოშე ყრმობიდანვე ეზიარა ხასიდობას. კობრინის (ბელორუსია) ადმორობის მიღების შემდეგ ეს ქალაქი ხასიდობის მნიშვნელოვან ცენტრად აქცია. აქ გახსნა მან სასწავლებელი, რომელმაც მრავალი ხასიდი მიიზიდა. ხელს უწყობდა წმინდა მიწაზე ხასიდთა თემების ჩამოყალიბებას. ცნობილი იყო თვინიერებით, ექსტატური მლოცველობით და ერთგული მსახურებით.

ხაიმ-მეირ-იეხიელ მოგელნიცელი (1789-1849) – სწავლობდა თავის პაპასთან, კოზნიცელ მაგიდთან; გაიზიარა ლიუბლინელი *ნათელმხილველის* და აბრაამ-იეშუა-ჰენშელ აპტელის მოძღვრება. სიწმინდისთვის მას *სარაფი* (სერაფიმი) შეარქვეს.

დავიდ ლელოველი (1746-1814) – ლიუბლინელი *ნათელმხილველის* მოწაფე და იაკობ-იცხაკ პშისხელის, *წმინდა ებრაელის*, ახლო მეგობარი. ხასიდობის ერთ-ერთი მხურვალე მოქადაგე და აპოლოგეტი. მასზე შექმნილი ლეგენდები თავმოყრილია წიგნში „დავითის გოდოლი“.

მოშე ტეიტელბოიმი (1759-1841) – ლიუბლინელი *ნათელმხილველის* საუკეთესო მოწაფე, ადმორი. ფულს აგროვებდა წმინდა მიწაზე ხასიდურ თემებში გასაგზავნად. დღითი დღე მოელოდა მესიის მოსვლას. მის საფლავზე დღემდე მიდიან სალოცავად. დაწერილი აქვს წმინდა წერილის კომენტარები („ხარობს მოშე“).

ისახარ-ბერ რადოშიცელი (1765-1843) – ლიუბლინელი *ნათელმხილველის*, პშისხელი წმინდა ებრაელის და აბრაამ-იეშუა-ჰეშელ აპტელის მოწაფე. განსაკუთრებით რიტუალური განწმენდის მცნებას მისდევდა, ხშირად ყინვაში მდინარეზე ყინულს ჩატეხდა და განიბანებოდა. ღარიბულად ცხოვრობდა, გასაკითხს არასოდეს იღებდა. მისი მასწავლებლის, აპტელი რაბის სიკვდილის შემდეგ რადოშიცის ადმორი გახდა. იყო სასწაულმოქმედი, რისთვისაც ხასიდებმა „წმინდა ბაბუა“ შეარქვეს.

შალომ ბელზელი (1783-1855) – ადმორი თორის დიდ მცოდნეთა და სხვა ადმორებისა (ადმორთა ადმორი). სახელი განითქვა სწავლულობით და სასწაულქმედებებით. მას შეარქვეს „მშვიდობის მთავარი“ (*სარ შალომ*). თავისი მოძღვრება გადმოსცა წიგნში „კადეშის უდაბნო“ (*მიდბარ კადეშ*) და თორის კომენტარებში.

ხაიმ ცანზელი (1797-1876) – ბავშვობიდანვე გამოჩნდა მისი უნარები თორისა და თალმუდის სწავლისას. რვა წლისა ლიუბლინელ *ნათელმხილველს,* იაკობ-იცხაკს ეწვია, რომელმაც მამამისს უწინასწარმეტყველა, რომ ხაიმი თაობის მეთაური გახდებოდა. ცანზაში, სადაც დამკვიდრდა კიდეც, ადმორობა მიიღო. მთელ თავის შემოსავალს უპოვართ ახმარდა. ხშირად აწყობდა „ტრაპეზებს“ თავისი ხასიდებისთვის და დიდხანს უყვებოდა მათ ხასიდურ გადმოცემებს. რაბი ხაიმმა მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა, მათ შორის მნიშვნელოვანია: ხუთწიგნეულის კომენტარები სახელწოდებით *დივრეი ხაიმ* – „სიტყვები სიცოცხლისა“ ან ხაიმისა (მისი სახელი სიცოცხლეს ნიშნავს) და *ოცარ ხაიმ* – „საგანძური სიცოცხლისა“ ან ხაიმისა.

ცვი-ჰირშ ჟიდაჩოველი (1763-1831) – სწავლობდა თავისი დროის თითქმის ყველა გამოჩენილ ცადიკთან და ადმორთან. იყო გალიციის ხასიდთა ხელმძღვანელი. დატოვა თორის და ზოჰარის კომენტარები, შესავალი იცხაკ ლურიას მოწაფის, ხაიმ ვიტალის კაბალისტური წიგნისა „ცხოვრების ხე“.

იაკობ-იცხაკ პშისხელი, (1766-1813) – „იეჰუდიდ“ წოდებული, ერთ-ერთი უდიდესი მცოდნე თორისა თავის თაობაში, ხასიდობაში ინტელექტუალური მიმდინარეობის („პშისხის სკოლა“) თავკაცი. სიკვდილის წინ მან ყველა თავისი ნაწერი დააწვევინა იმ მოტივით, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ თავისი დროისთვის იყო აქტუალური.

სიმხა-ბუნიმ პშისხელი (1767-1827) – იაკობ-იცხაკ ლიუბლინელის, *ნათელმხილველად* (იხ.) წოდებული დიდი მაგიდის მოწაფე და იაკობ-იცხაკ პშისხელის თანამოსაგრე. პროფესიით მეაფთიაქე, თორის უდიდესი მცოდნე იყო. გამოირჩეოდა პარადოქსული აზროვნებით და ქცევებით, თუმცა ინტელექტუალური ხასიდობის წარმომადგენელი იყო. მისი პიროვნების მომხიბლაობის წყალობით პშისხის ინტელექტუალურმა სკოლამ ბევრი არაორდინალური აზროვნების ადამიანი მიიზიდა. სიმხა-ბუნიმის მოძღვრება გადმოცემულია მის მთავარ თხზულებაში „ხმა სიხარულისა“ – მისი სახელი *სიმხა* ებრაულად სიხარულს ნიშნავს.

მენახემ-მენდელ კოცკელი (1787-1859) – უდიდესი ცადიკების – ლიუბლინელი ნათელმხილველის, პშისხელი „წმინდა ებრაელის“ და პშისხელი სიმხა-ბუნიმის მოწაფე, გამოირჩეოდა სულის სიმტკიცითა და მახვილი გონებით. თავისი მოძღვრება გადმოსცა წიგნში „თორის კარავი“ (*ოჰელ თორა*).

იცხაკ-მეირ გურელი (1799-1866) – იზრდებოდა და იწრთობოდა კოზნიცელი მაგიდის სახლში, შემდგომ სიმხა-ბუნიმთან, დაბოლოს, მენახემ-მენდელ კოცკელთან, რომლის ხასიდებს მისი სიკვდილის შემდეგ ჩაუდგა სათავეში. დაწერა წიგნი „იცხაკ-მეირის სიახლენი“.

მენახემ-მენდელ ვორკელი (1819-1868) – სწავლობდა მამასთან, მენახემ-მენდელ კოცკელთან, მამის ხასიდებმა იგი ადმო-

რად აღიარეს. ცნობილი იყო თავისი მცირესიტყვაობით და მახვილგონიერებით.

იცხაკ ვორკელი (1779-1848) – სწავლობდა ლიუბლინელ *ნათელ-მხილველთან*, დავიდ ლელოველთან და სიმხა-ბუნიმთან. ვორკში დასადგურების შემდეგ დაიწყეს მასთან დენა მრავალრიცხოვანმა მოწაფეებმა, რომელთაც იგი სიყვარულითა და მზრუნველობით ექცეოდა. დაწერა წიგნი „იცხაკის კარავი“ (*ოჰელ იცხაკ*).

ხანოხ ალექსანდროველი (1798-1870) – მისდევდა პშისხელი იაკობ-იცხაკის, „წმინდა ებრაელისა“ და პშისხელი სიმხა-ბუნიმის გზას, ე. წ. ინტელექტუალურ მიმართულებას ხასიდობაში. იყო ათასი ხასიდის ადმორი; თხზავდა საგალობლებსა და გამოცანებს.

დავიდ ტალნელი (†1882) – ცნობებს ვერ მივაკვლიეთ.

საძიებელი

აბრაამი 42, 82, 139-141, 143, 166, 195, 208, 212, 225
ადამი 18, 26, 31, 43, 91
ავგუსტინე (Aurelius Augustinus) 243, 244, 253
ამაღლება 28, 72, 74, 79, 175
ამორა, ამორაები 138
აპოკატასტასისი 251, 269
არარა, არარაობა 32, 59, 60, 102, 151, 175, 182, 237-247, 249, 250, 252-254, 256, 257, 259, 262, 265, 266, 270
ატკინსი, პიტერ (Peter W. Atkins) 238

ბასილი დიდი 242, 243
ბოროტი 24, 64, 65, 69, 70, 78, 86, 103, 162, 198, 221, 226, 230, 234, 251, 270
ბოროტება 19, 25, 29, 30, 43, 51, 52, 73, 105, 108, 146, 158, 172, 203, 230, 250, 269, 270
ბოროტმოქმედი 32, 73, 104
ბუბერი, მარტინ (Martin Buber) 8-12, 15, 24, 37-40, 264

გალუთი 173, 231, 263, 264
გამოსყიდვა 29, 46, 67, 82, 85, 111, 120, 136, 149, 177, 159, 199, 225
განსაცდელი 29, 57, 73, 82
გემარა 53, 60, 149, 164, 231
გოეთე 39
გრიგოლ ღვთისმეტყველი 253
გურამიშვილი, დავით 264

დამალობანა 144, 199, 259, 265, 271
დაცემა 28, 74, 192, 263
დევნილი 55, 258, 264, 277
დევნილება 12, 17, 43, 59, 60, 67, 74, 76, 82, 85, 90, 98, 131, 143, 149, 157, 160, 163, 168, 176, 179, 199, 231, 247, 257, 263-265, 277, 278
დილთაი, ვილჰელმ (Wilhelm Dilthey) 10, 38, 40
დროჟამი 190, 196, 242, 248, 252
დუმილი, მდუმარება 23, 97, 121, 169, 183, 184, 186, 190, 202, 228

ელიადე, მირჩა 257
ენსოფი 28, 246, 251, 254-256, 262, 263, 265, 266, 270

ვაჟა-ფშაველა 36

ზოჰარის წიგნი 22, 26, 27, 171, 215, 231, 258, 276, 282

თალმუდი 15, 16, 17, 30, 40, 71, 88, 110, 123, 134, 138, 155, 161, 165, 182, 203, 206, 213, 224, 232, 281
თანა, თანაები 138, 155, 179, 180
თეოზისი 269
თიკუნი 34-36, 85, 251, 264, 265, 272, 269
თომას აკვინელი (Thomas Aquinas) 252, 253
თორა 27, 30, 64, 80, 81, 95, 96, 124, 129, 171, 175, 181, 185, 195, 210, 212, 222, 224, 229, 268

იაკობი 62, 97
იგავი 11, 25, 30, 31, 32, 36, 40, 119, 136, 167, 186, 265-271
იერუსალიმი 53, 56, 98, 114, 115, 138, 149, 223, 225, 247, 254
იოანე ოქროპირი 241-243, 262
იომ ქიფური 46, 88, 92, 98, 132, 150, 165, 171, 172, 177

კაბალა 13, 21, 22, 26, 73, 104, 131, 153, 201, 218, 237, 245-247, 249-252, 254, 257, 258, 262, 265, 269-271, 273, 275
კენოზისი 254, 257-261
კვრივი 256, 257
Creatio ex nihilo 237

ლევი-სტროსი, კლოდ (Claude Lévy-Strauss) 39
ლოცვა 15, 20, 21, 26, 27, 35, 37, 45, 62, 65, 66, 68, 72, 73, 81, 82, 88, 96, 99, 108, 110, 119, 120, 123, 124, 131, 135, 146, 155, 156, 160-163, 169, 172, 173, 177, 181, 182, 191, 194, 197, 200, 203, 206, 214, 222, 230, 231, 233, 234, 272, 273
ლურია, იცხაკ 22, 179, 237, 246, 247, 252, 255, 256, 263-265, 276, 282

მართალი 19, 25, 26, 66, 73, 87, 106, 141, 173, 174, 182, 205, 216
მესია 27, 30, 65, 69. 79, 83, 98, 100, 106, 120, 121, 125, 149-152, 155, 156, 160, 167, 168, 170, 175, 196, 197, 219, 232, 258
მითნაგიდი 99, 126-128
მოლტმანი, იურგენს (Jürgens Moltman) 253
მონანული 57, 161, 165, 224, 230
მორწმუნე 8, 32, 61, 188, 223, 233, 238, 245
მოსე 22, 25, 26, 43, 56,93, 94, 129, 138, 141, 166, 167, 193, 195, 202, 220
მოწოდება 24, 27, 28, 34, 76, 105, 226, 232, 272
მწუხარება 34, 35, 43, 69, 150, 171, 172, 197, 203

ნათელი 64, 84, 86, 87, 92, 106, 109, 118, 135, 143, 149, 152, 161, 165, 166, 187, 248, 250, 251, 255, 256, 260, 267, 270, 271, 274

ნაპერწკალი 19, 20, 24, 57-59, 83, 122, 143, 149, 160, 176, 177, 194, 195, 202, 250, 251, 258, 270-272
ნაღველი, ნაღვლიანობა, შავნაღვლიანობა 34-36, 159, 186, 197
ნახმან ბრაცლაველი რაბი 10, 237, 247, 249, 251
ნიკოლას კუზელი (Nicolaus Cusanus) 266
Nihil 238, 240, 241, 244, 245, 253

Operatio ad extra 253

პავლე მოციქული 20, 31, 258, 259, 272

რახელი 97, 115
რწმენა 11, 12, 15, 17, 19, 21, 27, 28, 30, 32-35, 47, 50, 51, 57, 61, 62, 77, 148, 188, 189, 234, 238, 240, 249, 252, 266

საიდუმლო 20, 21, 31, 33, 43, 56, 98, 99, 110, 118, 131, 142, 151, 161, 164, 173, 184, 194, 204, 218, 228, 231, 237, 250, 254, 259, 261, 263, 268, 269, 273, 275
სამოთხე 20, 53, 64, 67, 96, 103, 131, 150, 152, 155, 160, 179, 180, 185
სატანი 25, 35, 43, 334
საჭმელი 45, 51, 73, 84, 88, 94, 111, 177, 180, 203
სიზმარი 53, 174, 176, 179, 190, 205, 207
სიკეთე 12, 26, 29, 34, 47, 61, 63, 70, 72, 74, 87, 92, 93, 112, 117, 146, 158, 172, 174, 182, 198, 200, 202, 205, 221, 230, 250
სიმდაბლე 29, 43, 92, 157, 172, 196
სინანული 19, 28, 52, 57, 59, 69, 84, 88, 158, 201, 203, 223, 224, 230, 232, 265, 274
სიყვარული 18, 19, 31, 34, 35, 43, 55, 65, 74, 83, 85, 97, 98, 101, 103, 104, 106, 110, 117, 118, 132, 144, 146, 158, 179, 180, 199, 217, 227, 231, 262-267, 277, 283
სიწმინდე 43, 50, 54, 57, 59, 63, 65, 66, 82, 86, 127, 129, 146, 176, 177, 187, 193, 194, 201, 202, 205, 218, 226, 228, 230, 232, 255-257, 262, 271, 274
სიხარული 18, 34-36, 43, 46, 64, 76, 85, 89, 103, 119, 123, 126, 127, 130, 150, 166, 172, 186, 191, 194, 202, 205, 216, 223, 269, 282
სნეულება 48, 49, 95, 124, 145, 153
სოტერია 251, 269
სპინოზა, ბარუხ 66, 67
სული 18, 21, 26-31, 40, 43, 44, 48, 50, 59, 63, 64, 71, 81, 83, 86, 87, 89-91, 98, 104, 108, 124, 126, 128, 131, 136, 143, 144, 149, 154, 164, 168, 172, 173, 175, 176, 191, 197, 202, 210, 219, 221-223
სულხან-საბა ორბელიანი 256

სხეული 12, 18, 51, 54, 63, 81, 83, 86, 94, 97, 98, 108, 124, 128, 130, 131, 133, 139, 144, 181, 187, 210, 221, 238, 244, 267, 272, 273, 274

ტანჯვა, სატანჯველი 25, 29, 53, 67, 85, 94, 104, 111, 112, 118, 124, 160, 163, 179, 204, 231, 262, 265
ტაძარი 53, 59, 149, 162, 170, 223, 255, 264
ტერტულიანე (Tertullianus) 30

უდროჟამობა 242, 243
უცოდველი 51, 53, 110, 261

შესაქმე 60, 237, 239, 240, 242, 443, 449, 251, 253, 254, 260, 263, 270
შეხინა(ჰ) 43, 50, 55, 61, 64, 65, 67, 69, 70, 74, 82, 85, 90, 92, 93, 96, 131, 143, 149, 160, 163, 173, 179, 198, 231, 247, 254, 255, 257, 258, 363, 264, 277
შოლემი, გერშომ 38, 40, 252, 259, 263, 272
შოფარი 80, 134, 180, 181, 215, 216, 234, 235

ცადიკი 23, 25-30, 32, 33, 35-38, 41, 51, 77-79, 96, 107, 111, 127, 133, 159, 160, 165, 181, 193, 199, 230
ცეკვა 35, 36, 43, 46, 54, 57, 90, 115, 117, 118, 186, 216
ციმცუმი 13, 246-251, 253-260, 265, 269, 270
ცოდვა 12, 18, 24, 28, 29, 34, 35, 46, 51, 63, 85, 88, 91-93, 108, 136, 147, 157, 160, 165, 172, 173, 178, 181, 197, 204, 216, 221, 223, 230-232, 258, 259, 261, 264
ცოდვილი 19, 26, 28, 29, 34, 53, 64-66, 72, 83, 91, 93, 96, 141, 150, 157, 216

წმინდათა წმინდა 86, 162, 187, 247, 254

ჭეშმარიტება 227, 265, 269

ხესედი 25, 33, 34, 248, 263
ხსნა 18, 19, 31, 79, 135, 153, 237, 251, 269, 271

ჰასკალა 9, 10
ჰითლაჰავუთი 20, 35, 156
ჰოკინგი, სტივენ (Stephen Hawking) 238

ბიბლიოგრაფია

Martin Buber, Die Geschichten des Rabbi Nachman, Frankfurt A. M., 1906.

Martin Buber, Die Erzählungen der Chassidim, Manesse Verlag, Zürich, 1949 (ხასიდური მოთხრობები დალაგებულია ცადიკთა სკოლების მიხედვით, ქრონოლოგიურად).

Martin Buber, The Legend of the Baal-Shem, Schocken Books, New York, 1987 (თარგმანი გერმანულიდან: Die Legende des Baalschem, 1908).

Мартин Бубер, Хасидские истории: Первые учителя, Мосты культуры *Москва* – Гешарим *Иерусалим* [2006].

Мартин Бубер, Хасидские истории: Поздние учителя, Мосты культуры *Москва* – Гешарим *Иерусалим*, 2009.

Louis I. Newman, The Hasidic Anthology, Tales and Teaching of Hasidim, Schocken Books, New York, 1963 (ეს არის მოთხრობათა ყველაზე ვრცელი კორპუსი, სადაც ისინი თემატიკის მიხედვით არის დალაგებული).

Мартин Бубер, Гог и Магог, роман, Гешарим Иерусалим 5762 – Инапресс, С.-Петербург, 2002 (კონცეპტუალური რომანი ხასიდების ცხოვრებიდან; ბუბერის ერთადერთი თხზულება, რომელიც ებრაულად არის დაწერილი).

Артур Авраам Грин, Страдающий наставник, Жизнь и учение рабби Нахмана из Брацлава, Мосты культуры *Москва* 2007 – *Иерусалим* 5768 (თარგმანი ინგლისურიდან).

Раби Шимон, Фрагменты из книги Зоґар, Перевод с арамейского, комментарии и приложения текстам М. А. Кравцова, М., „Гнозис“, 1994.

Gershom Sholem, Über einige Grundbegriffe des Judentums, Suhrkamp Verlag, 1996.

Gershom Sholem, Isaak Luria: A Central Figure of Jewish Mysticism, Bulletin of the American Academy of Arts and Science, Vol. 29, No. 8, 1976.

Michael Oppenheim, The Meaning of Hasidut: Martin Buber and Gershom Scholem, *Journal of the American Academy of Religion*, Vol. 49, No. 3 (Sep., 1981).

შალომ დავიდი, ებრაულ-კაბალისტური ფილოსოფია რაბი შნეურ-ზალმან ლიადელის წარმოსახვებში, თელ-ავივი, 2002.

ხასიდური სწავლანი, „ფიქრები – რჩეულთა ბიბლიოთეკა“, 11, თბ., „ლომისი“, 1984.

Dictionnaire encyclopédique du Judaïsme, Cerf/Robert/Laffont, Poublié sous la direction de Goffrey Wigoder, 1996.

Jürgen Moltman, Creation Out of Nothing, in: Creation and Humanity, The Some of Christian Theology, ed. Ian A. McFarland, Louisville, Kentucky, 2009.

Creation and Humanity: The Sources of Christian Theology, ed. by Ian A. McFarland, Westminster John Knox Press, Luisville, Kentucky, 2009.

Богословие творения, под редакцией Алексея Бодрова и Михаила Толстолуженко, изд. ББИ, М., 2013.

გამომცემლობა **ინტელექტი**

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №5
225-05-22, 291-22-83, 5(99) 55-66-54
inteleqti@caucasus.net info@intelekti.ge
www.intelekti.ge

სტამბა დამანი
Print House Damani

თბილისი, პ. ჩანჩიბაძის ქუჩა 6
☎ 214 34 01, 577 33 38 55
stamba.damani@gmail.com
f სტამბა დამანი / Print House Damani